კარგ ქართველთა
ხსოვნისათვის

A la Mémoire de quelques Bons Géorgiens de mon temps

(PORTRAITS - SOUVENIRS)

par Jean Zourabichvili

PARIS, 1962

ივანე ზურაბიშვილი

კარგ ქართველთა ხსოვნისათვის

ლიტერა
თბილისი

გამომცემლობა ლიტერა, 2006

ივანე ზურაბიშვილი ოჯახთან ერთად

ივანე ზურაბიშვილი

ივანე (ვანო) ზურაბიშვილი დაიბადა 26 იანვარს (ძველი სტილით) 1872 წ. ქალაქ ფოთში.

მამა მისი (ისიც ივანე) ახლად გადმოყვანილი საბაჟოს უფროსის თანამდებობაზე, იყო კახელი, სოფელ კალაურის მღვდლის შვილი, დედა კი — ანასტასია, იესე ბოდოკიას ასული, იმერეთიდან.

ვანო იყო მეექვსე შვილი ამ ოჯახისა, მაგრამ ცოტა ხანს დასცალდა მას მშობლიური ნაზი სიყვარულით დატკბობა; ვანო იყო ჯერ კიდევ სამი წლისა, როდესაც გარდაიცვალა მამა მისი, კაცი მეტად სათნო ხასიათისა, ცოლშვილის მოსიყვარულე და მოამაგე, და რომელს დამსახურებული ჰქონდა დიდი პატივისცემა ნაცნობთა და თანამშრომელთა შორის.

მისმა მეუღლემ, ვანოს დედამ, რომელმაც ერთ დღეს დაჰკარგა ყელჭირვების სენით ორი ვაჟი, გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები, ვერ აიტანა ეს ახალი უბედურება და ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ ისიც, მისი ქმრის გვერდით მიაბარეს მიწას.

დედის მაგივრობა პატარა ვანოს დებმა გაუწიეს; განსაკუთრებით უფროსმა დამ მანანამ, რომელიც უსაზღვრო

სიყვარულითა და ზრუნვით თავს ევლებოდა თავის პატარა ძმას და მას ობლობას არ ამჩნევინებდა.

როცა მანანა თავად ციციშვილს ცოლად გაჰყვა, მან პატარა ვანო თან წაიყვანა თავის ახალ სახლში, სოფელ ქარელს, ქართლში.

ვანო ზურაბიშვილი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა ქართლში გატარებულ მისი ბავშვობის სამ წელიწადს, სადაც მან სავსებით იგემა სოფლის ცხოვრების სიტკბო.

ციციშვილის ნათესავ და სხვა ბავშვებთან ერთად ბაღვენახებში, მინდვრებში თუ ჭალებში თამაშობდა იგი და თანაც აკვირდებოდა სოფლის მუშაობას, ეცნობოდა თავის ქვეყნის სიმშვენიერეს და მისი ბუნების მრავალფეროვნებას.

მაგრამ ხვედრმა ეს ბედნიერებაც არ შეანარჩუნა პატარა ვანოს; მისი და მალე გარდაიცვალა; ვანო ქუთაისში ჩაიყვანეს და მის ნათესავ ბეკო კეჟერაძესთან ბინა გაუჩინეს. მისი მეორე და თბილისში სწავლობდა და, რასაკვირველია, მას არ შეეძლო ძმის მოვლა.

ვანოს მალე სწავლის დროც მოადგა და იგი გიმნაზიის ერთი მასწავლებლის, ბ-ნ კოლიანკოვსკის ოჯახს მიაბარეს რუსული ენის სასწავლელად და გიმნაზიისათვის მოსამზადებლად. 1882 წლის შემოდგომაზე ვანო კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში შევიდა და ორი წლის შემდეგ გიმნაზიის პანსიონში მიიღეს.

უქმეებს და ზაფხულს ვანო ანნა ივანე მგალობლიშვილის ასულის, დემიდოვის ოჯახში ატარებდა, სადაც დემიდოვების სამივე ვაჟი მკვიდრ ძმასავით ეპყრობოდა მას, ხოლო დედა თავის შვილებში მას არ არჩევდა.

გიმნაზიაში ყოფნის დროს ვანოს უკანასკნელი ღვიძლი ნათესავები — მისი და-ძმა — სიკვდილმა წაართვა.

ამის შემდეგ ვანოს მზრუნველად დარჩნენ მისი დეიდაშვილები: გრიგოლ და ბარბალე ვოლსკი-დემიდოვის ოჯახი, რომელიც ნათესაურ სიყვარულს და ალერსს ჭარბად იჩენდა ვანოსადმი.

თვით გიმნაზიაში ვანოს გულითადი მეგობრები გაუჩნდნენ და მისი სიყრმე ძმური სიმპატიის გარემოში იშლებოდა და მის ბუნებით რბილ და მოსიყვარულე გულს კიდევ უფრო მეტ სიკეთისაკენ იწვევდა.

1891 წელს, მაისში ვანომ დაამთავრა სწავლა გიმნაზიაში და შემოდგომაზე კიევის უნივერსიტეტში მედიკურ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ მალე აზრი შეიცვალა და იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა. 1892 წ. მან ქალაქიც გამოიცვალა და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1895 წლის ივნისში ვანო ზურაბიშვილმა დაამთავრა სწავლა და თავის სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლის ივლისში მან შეირთო ნიკო ნიკოლაძის უფროსი ასული ნინო და ქუთაისში დაბინავდა.

მოსკოვში ყოფნის დროს ვანო ზურაბიშვილმა თავის მეგობარ გრ. გველესიანთან ერთად სთარგმნა ხუთმოქმედებიანი პიესა "მარიამ სტიუარტი", რომელიც "მოამბე"-ში დაიბეჭდა.

ქუთაისში მან დაიწყო მოთხრობების წერა. ამ ხანას ეკუთვნის მისი "მწვანე ყვავილა", "საათი", "თოვს", რაც "ივერია"-ში იბეჭდებოდა. ქუთაისიდანვე ვანომ გაგზავნა წერილი "ივერია"-ში დიდი მღვდელმთავრის, გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებისა გამო. ამავე დროს ამ დიდი საზოგადო მოღვაწისა და პიროვნების შესახებ ვანომ მოათავსა ვრცელი წერილი მოსკოვის "ისტორიჩესკი ვესტნიკ"-ში.

1896 წ. დეკემბერში ვანო გადავიდა თბილისს საცხოვრებლად და იქ მაშინვე შეუერთდა ახალგაზრდა პუბლიცისტთა და მწერალთა წრეს და დაიწყო უფრო მუდმივი ლიტერატურული მუშაობა.

თბილისის ქართველი საზოგადოება სიმპატიით და დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა ახალგაზრდა მწერალთ და მოღვაწეთ, და ამხანაგებში, თუ ფართო საზოგადოებაში ივანე ზურაბიშვილს მეგობრები და კეთილისმსურველნი გაუჩნდნენ.

ყველა ჩვენი ლიტერატურის დედა ბურჯი: ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, მამია გურიელი, ივანე მაჩაბელი, - გაიცნო ვანომ და ხვდებოდა მათ რედაქციის თუ კერძო კრებებზე და ყველგან სიკეთით და სიმპატიით მოპყრობას და წაქეზებას ხედავდა.

ახალგაზრდა მწერალთა და მოღვაწეთა წრემ — კიტა აბაშიძე, გრ. აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), ვლ. ლორთქიფანიძე, ილია და ნინო ნაკაშიძე, მარიამ დემურიასი და სხვ. — გულითადი მეგობრობით მიიღო ვანო და მას გააცნეს თბილისის საზოგადოება, მიმი კულტურული წრეები.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვანოზე "ივერი"-ის რედაქციის კრებები, სადაც ხიბლავდა მისი საყვარელი მწერლისა და პოეტის ილია ჭავჭავაძის პიროვნება. ვანო სამუდამოდ დარჩა მისი თაყვანის მცემელი. ხშირად კერძოდაც ხვდებოდა ვანო დიდ ილიას ალექსანდრე ორბელიანის სახლში.

1898 წელს კიტა აბაშიძემ შეირთო თეკლე ორბელიანის ასული, ძმისწული მარიამ ორბელიანისა (ეს უკანასკნელი იყო პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული და ალ-

.ჯ.-ორბელიანის მეუღლე). ამ ამბავმა უფრო დააახლოვა ვანო ორბელიანების მთელს ოჯახს, ვინაიდან კიტა იყო საუკეთესო და უსაყვარლესი მეგობარი ვანოსი მთელ მის სიცოცხლის განმავლობაში. ქალბატონ მარიამის სახლი იყო იმ დროის ნამდვილი ლიტერატურული სალონი: იქ იკრიბებოდა ახალგაზრდა მწერალთა წრე; იქ კითხულობდნენ თავის ნაწერებს ახალგაზრდები; იქ უსმენდნენ მუსიკას და სიმღერას; იქ მსჯელობდნენ ქართულ ლიტერატურაზე, საზოგადო საქმეებზე და ქართული ცხოვრების მწვავე საკითხებზე.

თვითონ ქალბატონი მარიამი იყო შესანიშნავი დამკვრელი პიანინოზე, ღრმად განათლებული ქალი, მშვენიერი მცოდნე ფრანგული ენისა და ლიტერატურის. ამასთან ის იყო ნამდვილი ქართველი ქალი, ქართული ადათების შემნახველი და ყოველ ქართულ საქმეში, საზოგადოებრივი ხასიათის წამოწყებაში მხურვალე მონაწილე. მის სალონში დაიბადა აზრი კიტა აბაშიძის და ვანოს ინიციატივით: მეფე ერეკლეს ფონდის შექმნისა და პირველი კონცერტი ამ საქმის სასარგებლოდ ქალბატონ მარიამის რძალის ნინო ორბელიანისას მოეწყო. ამ "ფონდის" შემწეობით სამმა ქართველმა, რუსეთში საუნივერსიტეტო სწავლის დასრულების შემდეგ, საზღვარგარეთ თავისი განათლების შევსება და განვითარება შესძლო. ესენი იყვნენ: პარიზში — ანდრო დეკანოზიშვილი; გერმანიაში — ვლ. ლორთქიფანიძე და გრ. რობაქიძე. სამივემ ასახელა შემდეგში ქართული მწერლობა.

ქალბატონ მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანისა თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტი: სათავადაზნაურო ქალთა სკოლის გასახსნელად; და ამ საქმისათვის პირველი თანხის შესაგროვებლად ახალგაზრდა წრემ, რომელ-

შიც ვანოც იყო მონაწილე, შეადგინა გუნდი, ვგონებ ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით. ეს გუნდი მეცადინეობდა ვარლამ ჭიჭინაძის ბინაზე. შემდეგ ამ გუნდმა შემოიარა შეძლებულ ქართველთა ოჯახები, სადაც მას სიამოვნებით უსმენდნენ და ფულს სწირავდნენ სკოლის ფონდისათვის. ამ თავისებური "ალილო"-ს საშუალებით ხუთი ათასი მანეთი შეგროვდა.

1897 წლის შემოდგომიდან ვანო ზურაბიშვილი, ცოლით და შვილით თბილისში ბინავდება და ცნობილ ვექილის ტერ-სტეპანოვის თანაშემწედ ხდება. ამავე დროს ის იწყებს თანამშრომლობას გაზეთ "ნოვოე ობოზრენიე"-ში, სადაც მრავალ ქართულ სიტყვაკაზმულ თარგმანს ათავსებს. ამას გარდა რუსულ და ქართულ პერიოდულ გამოცემებში სწერს წერილებს საზოგადო საკითხთა შესახებ. ერთ დროს მას შეხვდა დიდი პოლემიკა გაზეთ "კავკაზ"-ის რედაქტორ პოეტ ველიჩკოსთან, რომელმაც უწოდა მას "პოლიტეხნიკური ტენორის" სახელი, რადგანაც ვანო დაჟინებით მოითხოვდა თავის წერილებში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას საქართველოში და ნამეტურ-კი — პოლიტეხნიკუმისა.

"ივერია"-ში, "მოამბე"-ში და "ცნობის ფურცელ"-ში იბეჭდებოდა ვანო ზურაბიშვილის მოთხრობები, რამოდენიმე იუმორისტული ხასიათის პატარა ამბავი და მრავალი პოლიტიკური წერილი, ბევრი თარგმანი სხვა და სხვა ევროპიელი მწერლის თხზულებებისა.

ვანო სცდილობდა ამ თარგმანთა საშუალებით აღედგინა ის სულიერი კავშირი საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის, რასაც აბრკოლებდა მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი სამშობლოსი.

ფრანგულით მან თარგმნა მაშინ: მოპასანის, ანატოლ ფრანსის, ალფონს დოდეს და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. მან გააცნო ქართველებს ესპანელი, იტალიელი, ფინლანდიელი, შვედელი, გერმანელი, პოლონელი მწერლები. იაპონიის ცხოვრებიდანაც (რუსულით) სთარგმნა მან დიდი რომანი "ნამიკო"...

ქუთაისში საქალაქო არჩევნების დროს, სადაც ვანოს კანდიდატურა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ იყო წარდგენილი, თვით ფედერალისტებში, რაღაც მიზეზის გამო, ერთმა ჯგუფმა მას შავი კენჭი უყარა და ამის გამო სხვამ გაიმარჯვა. ვანოს მომხრენი ძალიან შეწუხდნენ (კიტა აბაშიძე, ზდანოვიჩი და სხვანი)... დაიწყო ამ შემთხვევის გამო მსჯელობა და კიტა აბაშიძემ წარმოადგინა დებულება: დადგა მომენტი, როდესაც საქართველოში უფრო გარკვეული ეროვნული ხაზის მიმართულება უნდა შეიქმნასო. ამის გამო საუბარი ყოფილა ალექსანდრე (საშიკო) ორბელიანის სახლში ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით. ილიამ ეს მოსაზრება გაიზიარა და ცოტა ხნის შემდეგ ილიამ (1904 წ.)(?) მოიწვია საადგილმამულო ქართულ ბანკში ყრილობა, რომელსაც დაესწრო 80 თუ 85 კაცი (მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, ვასო ყიფიანი, გიორგი გვაზავა, პავლე თუმანიშვილი, ნიკო თავდგირიძე და სხვანი. ილიამ ამ კრებაზე წარადგინა წინადადება ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის შექმნისა.

ეს წინადადება ყველამ გაიზიარა და როდესაც თავმჯდომარის არჩევის რიგი დადგა, რა თქმა უნდა, ეს მას თვითონ შესთავაზეს, მაგრამ ილიამ კატეგორიული უარი განაცხადა და კრებას ურჩია ამ პოლიტიკური საქმიანობისათვის ახალგაზრდა ივანე ზურაბიშვილი აერჩიათ. და მართლაც, ვანო ერთხმად იყო არჩეული.

ამ ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე კაცმა და მათ შორის გიორგი გვაზავამ. ეს პროგრამა დაიბეჭდა ათი ათას ცალად პავლე თუმანიშვილის ფინანსური დახმარებით.

1905 წლის რევოლუციისა და შემდეგ რეაქციის ხანაში ამ პარტიამ ფეხი ვერ მოიკიდა და მას დიდხანს არ უცოცხლია...

შემდეგში, როდესაც 1918 წ. სპირიდონ კედიას მეთაურობით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ახალგაზრდებთან ერთად ვანო ზურაბიშვილმა კვლავ მასში მონაწილეობა მიიღო.

1905 წელს ვანო იღებდა მხურვალე მონაწილეობას პავლე თუმანიშვილის გაზეთის "ვოზროჟდენიე"-ს რედაქციაში და დასტამბა მრავალი პოლიტიკური წერილი, რომლითაც მუდამ იცავდა თავისუფლების იდეალს და ემსახურებოდა ქართულ საქმეს. მისი გონება და გული ყოველთვის მიზიდული იყო ქართული სინამდვილით, მისი გაჭირვებით და საჭიროებით და ეტრფოდა იგი სამშობლოს მრავალფერ სიდიადესა და სილამაზეს.

ვანოს ყოველი სტრიქონი იყო ნაკარნახევი მხოლოდ ამ სურვილით: თავისი ყოველი ძალა ხალხისა და ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულად დაწერილ ნაშრომისათვის ვანოს, პრინციპიალურად, არასდროს შაური არ აუღია.

1910 წ. ვანო მოგზაურობს ევროპაში და უგზავნის "კლდე"-ს (რედაქტორი: პეტრე სურგულაძე) წერილებს თავისი მგზავრობის შთაბეჭდილებათა გამო — ბოსფორის

მომხიბლავი ნაპირები, ნეაპოლი, რომი, ვენეცია მხატვრული გემოვნებით აქვს მას აღწერილი.

კარგი მეხსიერება, ძველ საბერძნეთ-რომის ისტორიის ცოდნა, მხატვრობის, სკულპტურის, ხუროთმოძღვრების და მუსიკის სიყვარული ამშვენებენ ამ წერილებს და ხიბლავენ მკითხველს.

ეს არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი მოგზაურობა ვანოსი ევროპაში. 1901-1903-1908-1910-1912-1914 წლებში მან მოიარა მთელი სამხრეთი და ცენტრალური ევროპა, პოლონეთიდან დაყოლებული ესპანიამდე და მას აქ არ გამოუტოვებია არც ერთი მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ან ისტორიული შენობა, ან საერთოდ ღირსეული სანახავი.

ძნელია აქ, უცხოეთში გახსენება და ჩამოთვლა ყველა ორიგინალურ ნაწერისა თუ თარგმანისა, რომელიც ეკუთვნის ვანო ზურაბიშვილის კალამს მის საქართველოში ოცდახუთი წლის მოღვაწეობის განმავლობაში.

ორი დიდი თარგმანი ფრანგულით დარჩა მას ხელნაწერად: ერთი საქართველოში: ანატოლ ფრანსის "ღმერთებს სწყურიათ", ნათარგმნი 1919-1920 წ., მეორე კი პარიზში: ალფონს დოდეს "პატარა კაცი", რომელიც მის ქაღალდებშია, უკეთეს დროთა მოლოდინში.

1897 წლიდან ვანო ზურაბიშვილი რკინის გზის საველილო განყოფილებაში შედის და 1908 წლიდან 1919 წლამდე ამიერკავკასიის რკინისგზათა მთავარ იურისკონსულტის თანამდებობა უკავია. როგორც რკინის გზათა გამგეობაში, ისე სასამართლოს სფეროებში ვანომ დაიმსახურა

დიდი პატივისცემა. სინდისიერება, უანგარობა და შრომის ნიჭი უმტკიცებენ მას მისდამი სიყვარულსა და მეგობრობას:

უფროსებშიც და ხელქვეითთა შორისაც. ყოველთვის მართალსა და მტკიცეს, ფლიდობის უაღრეს მტერს, ამაყს თავისი ქართველობით და ყველასთან თავაზიან ვანოს, ჭირივით ეჯავრებოდა პირმოთნეობა და ლაქუცობა. რკინის გზათა უმთავრესად რუსული გამგეობა პატივსა სცემდა ამ განათლებულ ქართველს და მან შესძლო, ყოველ ოფიციალურ და არაოფიციალურ დაბრკოლებათა მიუხედავად, თავისი პირადი გავლენის წყალობით შეეყვანა რკინის გზების სამსახურში არა ნაკლებ ორასი ქართველისა.

1917 წლის რევოლუციის პირველ დღეებშივე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშები და მოხელეები, უმრავლესობით სოციალ-დემოკრატები, არასოციალისტ ივანე ზურაბიშვილს ირჩევენ რკინისგზელთა კომიტეტის თავმჯდომარედ!

ბევრს ახსოვს, თუ რა სამსახური გაუწია ამ კომიტეტმა, მისმა ერთგულმა მუშებმა მაშინ საქართველოს და მის დედა-ქალაქს; თუ როგორ უვნებლად გაისტუმრეს მილიონიანი რუსული ჯარი, რომელიც მოსწყდა ამიერკავკასიის ფრონტს და ლამობდა რუსეთისაკენ სვლის დროს გაეცარცვა ჩვენი დაბა-ქალაქები.

1917 წელშივე ისევ ის კომიტეტი გზავნის პეტროგრადში, რკინისგზათა კონგრესზე ორ დელეგატს: ივანე ზურაბიშვილს და ისიდორე მალანიას; კონგრესზე კი, რვაას დელეგატთა შორის, ივანე ზურაბიშვილი არჩეულია ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად.

ეს საქმიანობა ვანოს ხელს არ უშლიდა პარალელურად მხურვალე მონაწილეობა მიეღო ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელ საზოგადოებაში, ქართულ სათავად-აზნაურო სკოლის დამხმარე კომიტეტსა და ქართული დრამატიული საზოგადოების კომიტეტში.

თბილისის ნაფიც ვექილთა საზოგადოებაშიც ივანე ზურაბიშვილს პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული და იქაც რამდენჯერმე წლითი-წლამდე თავმჯდომარედ იყო არჩეული. ამავე საზოგადოებაში, ჯერ კიდევ 1914 წლის ომამდე, როდესაც ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ოცნებაც აკრძალული იყო, ივანე ზურაბიშვილმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს ავტონომიის შესახებ.

1918 წელს ივანე ზურაბიშვილი საქართველოს სენატში იყო არჩეული. იმავე წელს ის მიწვეულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში და იღებს მონაწილეობას მის ცენტრალურ კომიტეტში.

ვანო მუშაობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში ქართული სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარედ, სწორედ იმ დაწესებულების წიაღში, რომელს ასულდგმულებდა ილიას აჩრდილი და რომელიც იყო მის მიერ ნაანდერძევ ტრადიციათა მატარებელი.

1917 წლიდან ივანე ზურაბიშვილი არჩეული იყო კახეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარედ.

დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენამ შეუქმნა ივანეს ისეთი მრავალფერი სახის სამუშაო ასპარეზი, რომ ის მალე გამოვიდა სენატიდან, რათა უფრო თავისუფლად ჩართულიყო ეროვნულ კეთილდღეობის აქტიურ მშენებლობაში.

1918 წლიდან 1921 წლამდე ივანე არის ტყიბულის ქვანახშირის მაღაროთა გამგეობის თავმჯდომარე; ამას გარდა მოქმედი წევრი ქართული სავაჭრო-სამრეწველო პალატისა, წევრი ფრანგულ-ქართულ სავაჭრო პალატისა და თავმჯდომარე ქართულ სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ბან-

კისა, რომელ თანამდებობაზე საგანგებოდ იქმნა მოწვეული წინანდელ თავმჯდომარის, დიდად პატივცემული ვასო ყიფიანის მიერ.

იურიდიული საკითხებისათვის მას იწვევენ ხშირად მრჩევლად და 1921 წელს ის დასახელებულია საკათალიკოსო საბჭოს მრჩევლად...

25 თებერვალს 1921 წ. რუსეთის წითელი ჯარი შევიდა თბილისში. წინა ღამეს უკანასკნელი მატარებელით ივანე ზურაბიშვილი წავიდა ქუთაისს და იქიდან, რამოდენიმე დღის შემდეგ, ბათომს. აქედან 19 მარტს უკანასკნელი ფულით ნაყიდი ბილეთებით ვანო ცოლითა და უმცროსი ვაჟით გაემგზავრა ფრანგული გემის "ანატოლი"-ს ტრიუმში სტამბოლისაკენ; ჯიბეში მას დარჩა 79 თურქული ლირა და გულში კი — უსაზღვრო ნაღველი ასე უცბად დაკარგული აღსრულებული ოცნებისა.

სტამბოლში, პირველ ხანად, ვანოს ძალიან გაჭირვებული ცხოვრება შეხვდა, ისე როგორც ქართული ემიგრაციის უმრავლესობას.

რამოდენიმე თვის შემდეგ ა. ხოშტარიამ დააარსა სტამბოლში თურქულ-სპარსული ბანკი და ივ. ზურაბიშვილი ამ ბანკის იურის-კონსულტად მიიწვია. სამი წლის განმავლობაში ვანო დარჩა ამ თანამდებობაში. ამავე ხნის განმავლობაში ვანო თავმჯდომარეობდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტამბოლის კომიტეტს.

1924 წ. აგვისტოს ბოლოს ივანე ზურაბიშვილმა დასტოვა სტამბოლი და გადმოვიდა პარიზს ცოლითა და უმცროსი შვილით.

მცირე თანხა, რაც მას ერგო ბანკიდან წასვლის დროს, ძლივს ეყო მოგზაურობისათვის და პარიზში ორი-სამი თვე ცხოვრებისათვის. ისევ მიადგა გაჭირვება ვანოს და მის

ოჯახს. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მან იშოვა სამუშაო "ბონ-მარშე"-ს უნივერსალურ მაღაზიაში, სადაც სარდაფში საყიდლების პაკეტებს ჰკრავდა. მერმე გადაიყვანეს მაღაზიის ბიუროში, წერილების საწერად.

1926 წ. ვანო შევიდა "სამარიტენ"-ის მაღაზიაში "ინსპექტორის" (ნოქართა ერთი ჯგუფის ზედამხედველი) თანამდებობაზე.

ხუთი წლის განმავლობაში, დღითი-დღე, დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე ვანო ფეხზე უნდა მდგარიყო, ხშირად შენობის გარეთ, მიუხედავად სიცხისა, თუ სიცივისა, მაგრამ ეს მას მორალურად არ სტეხდა და მიუხედავად ასეთი ფიზიკური პირობებისა, ვანო განაგრძობდა პოლიტიკურ მუშაობას.

შემდეგ ვანო აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის თავმჯდომარედ.

1930 წ. ვანო ინიშნება ამავე პარტიის პარიტეტულ წარმომადგენლად ეროვნულ მთავრობასთან. ამის გამო ის სტოვებს "სამარიტენს" და მას დრო ეძლევა სალიტერატურო შრომას დაუბრუნდეს. იგი ათავსებს წერილებს "პრომეთე"-ში (ფრანგულად), "დამოუკიდებელ საქართველო"-ში და ეროვნულ-დემოკრატიულ "საქართველო"-ში. ზოგ წერილს ვანო აწერდა: ვინ-ზენ, ზ-ლი, ჟანზეტ, ან და აგრეთვე თავის მეორე გვარს "დარბაისელი".

ვანოსთვის ნატვრის და ოცნების საგანი სიყრმის დღეებიდან არ შეცვლილა: იგი ისევ და ისევ მისი მშობლიური მიწა-წყალი და საყვარელი ერი არის.

1931 წ. მას ერთი ოცნება მაინც შეუსრულდა: მესამე შვილმაც დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი და ამრიგად ვანო გრძნობს, რომ მამულისადმი ეს მოვალეობა გაჭირვების მიუხედავად პირნათლად შეასრულა.

დიდი ილიას საიუბილეო დილაზე ვანომ აღტაცებული მოხსენება წაიკითხა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. წაიკითხა აგრეთვე მოხსენება ვაჟა-ფშაველაზე.

1936 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი: "საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა", რომელშიაც აღნიშნულია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის ვითარება 1918 წლიდან 1936 წლამდე.

ამ წიგნში ხშირად მოუხდება ჩახედვა იმ ქართველს, რომელიც დაინტერესებულია თავისი სამშობლოს ამ ეპოქის საერთაშორისო გარემოებით.

ვანოს უკანასკნელი, ეს წინამდებარე წიგნი არის აღწერა 1890-1920 წელთა მანძილზე შეხვედრილ, ქართველი ერის დამახასიათებელ, მშვენიერ პიროვნებების პორტრეტების აღწერა; იგი არ არის ბიოგრაფიული ან ისტორიული ხასიათისა, არამედ ცოცხალ სურათებში, თანამედროვე ატმოსფეროს და ბუნებრივ მომხიბლავ ჩარჩოების შენახვით შესრულებული აღწერაა.

ვანოს სურდა შეენახა ჩვენთვის და ეჩვენებინა მომავალ თაობათათვის ქართველი ხალხის სულიერი სიმშვენიერე, რომელიც მუდმივია, როგორც ერი, მაგრამ თავისებურია, ვინაიდან წარსული ხანა აღარ მეორდება.

ვანომ ვერ დაამთავრა თავისი წადილი: რამდენიმე პორტრეტი დარჩა შეუსრულებელი, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო კოტე აფხაზისა და ქალბატონ ნინო თაყაიშვილისა.

1939-40 წ. ზამთარმა სენ-ჟან-დე-ბრეს სოფელში გატარებულმა მკაცრად იმოქმედა ვანოს ჯანმრთელობაზე. რამდენჯერმე განმეორებულმა გრიპმა შეასუსტა ვანოს ჯანმრთელობა და 1940 წლის 14 ივნისს, დილას ვანო

ზურაბიშვილი გარდაიცვალა ბრევანის სანატორიუმში პარიზიდან 13 კილომეტრით).

ვანო — ეს ოჯახის და საზოგადოების მოყვარული ადამიანი — გარდაიცვალა სულ მარტო და უცხო ხელმა დაუხუჭა მას თვალები. უკვე 12 ივნისიდან დაწყებული შეუძლებელი გახდა (პარიზში გერმანული ჯარის შემოსვლა მოხდა 13-14 ივნისს) პარიზიდან გასვლა და ვერც პარიზში მყოფი მეუღლე ნინო, ვერც ბორდოში გახიზნული შვილები ვანოს დასაფლავებას ვერ დაესწრნენ.

მხოლოდ 1942 წელს მაისში მისმა შვილებმა მამის გვამი გადმოასვენეს და მიაბარეს მიწას ლევილის სასაფლაოზე, სადაც უკვე მრავალი ქართველი არის დამარხული.

ასე უბედურად დამთავრდა მიწიერი ცხოვრება ძვირფასი ვანოსი, სამშობლოსა და ცოლშვილის მოყვარულისა, - იგი გარდაიცვალა უცხოეთში და მარტოობაში. მის დასაფლავებას ვერ დაესწრო ვერც ერთი თანამემამულე და არ ერგო არც სიტყვა და არც ნეკროლოგი; ქართული რჯულისა და ადათების თაყვანისმცემელი ვანო გააცილა სასაფლაომდე კათოლიკე მღვდელმა...

ასეთია ბედის უსამართლობა და უკუღმართობა...

ასეთია ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს უკეთეს შვილთა ხშირი მაგალითი — მარტოობა და მივიწყება...

მაგრამ ეს მარტოობა არის მხოლოდ მოჩვენებითი. "საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი" — ვანო კი იყო მდიდარი სულის პატრონი, მდიდარი თავის ფაქიზ და ღრმა გრძნობებით, ოჯახის სიყვარულით, მეგობრობით, შემოქმედებით და სიმართლით.

მას არ დაივიწყებენ არა მხოლოდ მისი ოჯახ-ნათესავები და მეგობრები, არამედ მისი თანამშრომელნი და თანამწერლები.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი იხსენიებს მას თავის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ბელეტრისტს და მთარგმნელს; კარსტიც, თავის ფრანგულ შრომაში, ამასვე იმეორებს. მაგრამ ვანოს ჰქონდა დაწერილი ბევრი პუბლიცისტური წერილი, და ის გაფანტულია სხვა და სხვა გამოცემაში. ყველა ეს ლამაზი ლიტერატურული მემკვიდრეობა ვანომ დაუტოვა თავის საყვარელ ქვეყანას და ყოველი მისი სტრიქონი მისი სამშობლოს მოყვარული შვილის მიერ არის დაწერილი და წმიდა გულისა და სულის ნაკარნახევი.

არჩილ და ლევან ზურაბიშვილი

პარიზი, 1962 წ.

შენიშვნა: ვანო ზურაბიშვილის ეს ბიოგრაფია შედგენილია უმთავრესად ჩვენი დედისა და ნაწილობრივ ექვთიმე თაყაიშვილის ცნობათა მიხედვით.

კარგ ქართველთა ხსოვნისათვის

ივანე ზურაბიშვილი ოჯახთან ერთად

მიდის დრო შეუმჩნეველის ნაბიჯით.

დღე დღეს მისდევს და წელი წელს სცვლის.

წამი, წელი, საუკუნე, - მოგვიგონია საზომი, და თითქოს ჩვენის ცხოვრების სარბიელი, მისი მანძილი, ამავე საზომით არ გვქონდეს მოზომილი, უდარდელად ავყოლივართ დროს დენას, დღევანდელით ვცხოვრობთ, ხვალინდელს ვუთვალთვალებთ, ხვალეზე ვამყარებთ იმედებს, მისგან ველით იმის ასრულებას, რაც დღემდე არ შესრულებულა, და ამასობაში ვერც კი ვამჩნევთ, რომ ხვალინდელი დღე მუდამ გაგვირბის და ხელში ისევ დღევანდელი დღე გვრჩება.

მიდის დრო ჩუმის ნაბიჯით და მასთან ერთად მიდიან, მიჰყვებიან ჩვენი მშობელ-ნათესავნი, მახლობლები და მეგობრები...

თვითოთ თვითეულად გვეცლებიან და ახლებს უთმობენ ადგილს.

გაივლიან წელნი. მიიხედ-მოიხედავ, ქვეყანა სავსეა ხალხით; ცხოვრება დუღს და გადმოდის. თითქოს არაფერი გამოცვლილა, ან თუ გამოიცვალა, ხმაურობა და ყიჟინი უფრო დიდი გამხდარა.

მაგრამ მიიხედ-მოიხედავ-თქო, და ასე გეგონება, ქვეყანა დაცარიელებულა და გარშემო უდაბნოსებური სიჩუმე დამკვიდრებულაო.

სევდით და ჭმუნვით მოცული გონება სწრაფობს მაშინ წარსულს შეაფაროს თავი და იქიდგან გამოწვეულ მახლობელთ და მეგობართა საყვარელი სახეები გარს შემოირტყას, მათ ებაასოს ოდესღაც თქმულის სიტყვებით, მათთან ერთად განიცადოს ერთხელ განცდილი გრძნობანი.

ნაღვლიანი თვალი მისჩერებია ფერფლწაყრილ წარსულს; საბრალო გონება ძალას ატანს თავის თავს, სცდილობს კვალ-და-კვალ აიაროს განვლილი ცხოვრების გზა, მაგრამ, აბა, ვის შეუძლია დღე-დღეზე და, თუ გინდ, თვე-თვეზე ზედწაბმით აღადგინოს მთელი თავისი წარსული? რამდენი წელიწადიც არის ისეთი, უფერულად ჩაევლოს და ერთი პატარა წერტილიც არ დაეტოვებინოს დასაყრდნობად გონებისათვის!

წარხოცილან მეხსიერების ფურცლებიდგან სანახავები, ყრუდ და გაუგებრად მოისმიან თქმული სიტყვები, თავის დროს რომ, ვინ იცის, როგორ გვაღელვებდნენ და რა ზრახვათ გვიბადებდნენ სულსა და გულში.

მკრთალ ლანდებსავით და მოჩვენებებსავით გამოიყურებიან სახეები. ზოგს ისე წასვლია ფერი, ისე გამდნარა, ისე განთქულა, რომ ველარც კი ვცნობილობთ.

გვინახავს, გაგვიგონია;

გაგვხარებია, გვწყენია.

და ბევრი ამ ნახულისა და გაგონილის, ამ სიხარულისა და წყენისა დაფერფლილა, დანაცრებულა.

ველარაფერი ძალა, ველარავინ და ვერაფერი ვერ გაგვიახლებს ამ წარსულ გრძნობათ, ამ ნაგრძნობ განცდათ.

იყვნენ და წავიდნენ, წავიდნენ სამუდამოდ და აღარ არიან.

მაგრამ ასე კბილებ ჩაცვივნულს თუ ჰგავს ჩვენი წარსულის მოგონება, ბნელით მოცული ადგილი შიგ თუ

ბევრად მეტია, ვიდრე ნათელი, მით უფრო ცოცხლად და ნათლად იხედებიან ამ წარსულიდგან ცალკე სანახავები, ადვილ გასაგონად მოისმის ზოგიერთი ხმა და მკვეთრად გამოიყურებიან საყვარელი ნაცნობი სახეები.

ისეთის სინამდვილით ჩანერგულა ეს სანახავები გონებაში, ისე მკაფიოდ აღბეჭდილა შიგ, რომ ყველა შემდგომ მსგავს და თანაგვარ სანახავების ნიმუშად და სამუდამო საზომად გადაქცეულა.

სახეები კი? მათი სიტყვები?

ესენი ხომ ისე ცოცხლად შეუნახავს გონებას, ისე მკვეთრად გვიდგებიან გონების თვალწინ, რომ, ხელი გავიწოდოთ, შევეხებით-თქო, გვგონია, და მათი, ვინ იცის, როდის ნათქვამი სიტყვები ყურში გვიდგას, თითქოს ეს-ეს იყოს გვსმენოდეს.

თავის დროზე იქნება ვერ გამოვიჩინეთ, საყვარელო დაკარგულნო, ვერ დაგანახვეთ მთელი ის სიყვარული და ალერსი, რომელიც გერგებოდათ: უდარდელ ყმაწვილურ გრძნობას ასე ეგონა, მუდამ ჩვენთან დარჩებოდით. დრო კი, ეს ულმობელი მოანგარიშე, შეუწყნარებელი ყოფილა.

თქვენ წახვედით, სამუდამოდ მოგვშორდით, და მეტი აღარა დაგვრჩენია, თქვენს ხსოვნას და თქვენს აჩრდილთ ვუძღვნათ, რაც რომ გულში დაგვგუბებია სიყვარული და მადლი.

დედა

შენ — პირველი სიტყვა და პირველი გრძნობა იმ გულისა, რომელიც ისე ტკბილად მტკივა, როდესაც ამ ორს მარცვალში გამოხატულ ტკბილს არსებას მოგიგონებ! შენ, სიყვარულის და სინაზის დაუშრეტელო წყაროვ, რომლის სახელზე უწმიდესი, უმაღლესი და უმშვენიერესი არა ეგულვის რა ამ ქვეყნად ადამიანს.

რამ დაგვიამოს დასევდიანებული გული და მჭმუნვარე სული ისე, როგორც დედის ნუგეშმა!

ვინ გაიზიაროს ჩვენი სიხარული ისე, როგორც დედის გულმა!

ვინ შესწიროს მთელი თავისი არსება, -სული, გული, ხორცი, - მთლად და ერთბაშად, ან ნაწილ-ნაწილ, ლუკმა-ლუკმა ჩვენის ბედნიერების მოჩვენებასაც კი!

დედამ, მხოლოდ დედამ, ყოველთვის და მუდამ დედამ!

ვიცი, საყვარელო და დაუვიწყარო, ვიცი, ხედავ შენის შვილის ნაღვლიან და დამწუხრებულ სახეს და, ერთის წამით მაინც გადაუყარო ოღონდ სახიდგან ღრუბელი და ბედნიერების ღიმი მოჰგვარო მის დაღვრემილ სახეს, მზადა ხარ, მკვდრეთით აღდგომა რომ შეგეძლოს, იმავ წამს ხელმეორედ განუტევო დაბრუნებული სული, შეეწირო მის ბედნიერებას.

ადრე, ძლიერ ადრე განმშორდი და დამტოვე ღვთის ანაბარა. ისე ადრე, რომ ნორჩმა გონებამა ვერც კი მოასწრო შენის სახის ნაკვთები აღებეჭდა და შეენახა.

სულ ორიოდ სიტყვა თუ მახსოვს შენგან თქმული, ორიოდ შემთხვევა ჩვენის, დედა-შვილის, ერთად ყოფნისა.

მაგრამ ეს წყვილი სიტყვაც, ის ობოლი სანახავიც აგერ ცხოვრების მიწურულში ყურში მაქვს და თვალ წინ მიდგას.

რომ იცოდე მერე, ჩემო დაუვიწყარო, როდის მომაგონდება ხოლმე ეს სიტყვები?

გულს რომ სევდა შემიპყრობს.

არ გეგონოს, გადაშენებულიყოს ქვეყანაზე გულშემატკივრობა. არა, ადამიანი უფრო კეთილი ყოფილა, ვიდრე ბოროტი: გამინდვია მწუხარება ახლობელ-მეგობრებისათვის, და ბევრს სრულის გულწრფელობით გაუზიარებია ჩემი დარდი და წუხილი, ცდილა მის განელებას და დამწუხრებულ გულის დამშვიდებას, მაგრამ... მაგრამ რომელი ნუგეში, რომელი ალერსი შეედაროს დედის სადა შემოძახებას: შვილო, ჩემო შვილო! — როდესაც გულში იკრავს, თავს ევლება და შვილის გულიდგან თავისაში მწუხარების გადატვირთვით სევდას უქარვებს.

გამინდვია მწუხარება მეგობრებისათვის; ესენიც ცდილან ჩემს დამშვიდებას, მაგრამ ყოველთვის საჭიროდ დამრჩენია მაინც შენის სახელის მოგონება, მისი ხმა-მაღლა წამოძახება, შენი ამოოხვრით მოწოდება:

ოჰ, დედა ჩემო, დედა!

დედა არსად სჩანს, მაგრამ ასეთია ამ უტკბეს სახელის იდუმალი ძალა, რომ მარტოოდენ ხსენებაც კი კმარა მისი, რომ მჭმუნვარე სული დაგიამდეს.

ლოგინში ჩამაწვინეს და: დაიძინე, ხვალ დილას ნახავო, - მითხრეს.

მთელ დღეს იმის ხსენებაში იყვნენ, იმის ლაპარაკში, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს, როგორი დავაჟკაცებული უნდა ყოფილიყო ყველასაგან დიდის ხნის უნახავი ჩემი დეიდაშვილი, რომელიც, როგორც დილას მიღებულმა ტელეგრამამ გვამცნო, ამაღამ უნდა ჩამოსულიყო.

დალოცვილები მთელს დღეს მის ხსენებაში იყვნენ, იგონებდნენ მის ბავშვობას, სხვა-და-სხვა ამბებს მისის ცხოვრებიდგან, ამიშალეს მისის ნახვის სურვილი და, აგერ სულ ცოტა რომ აკლდა მის მოსვლას, ჩამაწვინეს ოთხი-ხუთი წლის ბავშვი ლოგინში და, დაიძინეო, - მიბრძანეს.

აბა, რა დამაძინებდა. ვიწექი თვალდახუჭული და რა ამბებს არ ჰქმნიდა ბალღის აღელვებული გონება. ყური კი მეორე ოთახისაკენ მქონდა, სადაც მოლოდინში თავი მოეყარა მთელს ოჯახობას, დედი-ჩემის გარდა.

ის ავად არის, ლოგინიდან ვერ დგება და აგერ, ჩემს მახლობლად წევს. ხმას არ იღებს, რომ ძილი არ დამიფრთხოს თავის პატარას.

ერთბაშად მეორე ოთახიდან მოისმა — მოვიდა, მოვიდა; მოვიდაო — და გარეთ სიჩქარით მიმავალი ფეხის ხმა.

ხვალ ნახავო? რატომ ხვალ და არა დღეს, რაკი არ მძინავს! წამოვვარდი ლოგინში. მეტის სიჩქარით ფეხები ზეწარ-საბანში გამეხლართა. გადმოხტომის მაგიერ გადმოვვარდი ლოგინიდგან და ისე მაგრა დავკარი თავი იატაკს, რომ შუბლზე უშველებელი კოპი დამაჯდა.

აი, მაშინდელი მახსოვს პირველი შენი სიტყვა; შენის მისუსტებულის ხმის მწუხარე კილო:

- ბავშვი, ბავშვი... მოხედეთ ბავშვს!.. ვაი, შვილო!..

არ უნდა გასულიყო დიდი ხანი იმ საღამოსა და იმ ნაშუადღევს შუა, რომელიც ასეთსავე სიცხადით იჭრება ჩემს გონებაში.

საწოლია. საწოლზე ვიღაც წევს. თავთან პატარა მაგიდა უდგას, რომელზედაც ლამბაქი მურაბით დევს და თეფშზე რამდენიმე ფორთოხალი. მაგიდისა და საწოლის კუთხეში ვდგევარ, მაგიდას ძლივს ვწვდები ნიკაპით, ცერებზე შევმდგარვარ და პატარა თითებით მარცვალ-მარცვალ ვეზიდები ალუბალს ლამბაქიდგან პირში.

ვიღაც შემოდის, ფრთხილად მარიდებს მაგიდას, - მწოლარი მძინარე ჰგონია, - და ჩურჩულით მეუბნება:

- დედას სძინავს, ხომ ხედავ. ნუ აწუხებ. ეს მურაბა მისთვისაა. მურაბა თუ გინდა, მითხარი და სხვას მოგცემ.

- დააცალე, სჭამოს ბავშვმა... ნუ მიგყავს, დარჩეს... — ისმის ლოგინიდან მისუსტებული ხმა.

- დააცალე, ნუ მიგყავს, დარჩეს! — აი, მეორეჯელ და უკანასკნელად გაგონილი შენი სიტყვები, დღესაც რომ ყურში მიდგას ნიშნად რაღაც სამუდამოდ დაკარგულ, დაუბრუნებელ ბედნიერებისა, რაღაც ბედითის და გამოუსწორებელისა.

უკანასკნელი სიტყვები, რადგან გამომეხატება ეს სურათი თვალწინ თუ არა, ორი სხვა განუყრელად თან მოჰყვება და გულის ტკივილს მიორკეცებს.

ვიღაც მაღალ კაცს ხელში ავუყვანივარ და ზემოდან დავყურებ ისევ იმავ საწოლს. მაგიდის მაგიერ სასთუმალს ხომლი უდგას, ხოლო საწოლზე ვიღაც გულხელდაკრეფილი წევს, გაჩუმებული, თვალდახუჭული და პირდამუწული, და სახე ისეთი წყნარი აქვს, ისეთი წყნარი და იმავე დროს ისეთი ბეჯითი და უდრეკი, თითქო რაღაც მძიმე და საბოლოო გადაწყვეტილება მიუღიაო.

დავცქერი, შიში მეპარება; ატირებულ სახეს ვარიდებ და ვმალავ იმის გულში, ვისაც ხელში ავუყვანივარ.

ვერ გავრკვეულვარ, რა მოხდა, ან ის ვინ არის, ამ ლოგინში რომ წევს უძრავი. აქ ხომ ის იწვა, ვისთანაც

დედა, დედას ძახილით მოვრბოდი ხოლმე. ვუყურებ იმ კაცს, მის სახეში მინდა ამოვიკითხო პასუხი, და, აკი ისიც ჩემსავით არ სტირის!

- დედა, დედა მინდა, - ამომხდა შეუგნებელ სასოწარკვეთილების ხმა: უბედურობა თავს დამტყდომია. ჩემი პატარა არსება კი ჯერ ამ უბედურობის წინათგრძნობას მოუცავს, რაღაც საშინელი ამბავი აწი მელის...

აივანზე ვარ. ვიღაც უცხო სდგას ჩემთან; ჩემიანებს ვერავის ვხედავ ჩემს გვერდით. ან როგორ იქნებიან ჩემს გვერდით, როდესაც ეგერ არიან ქუჩაში იმ კაცების უკან, რომელთაც მიაქვთ ის, გუშინ თუ გუშინწინ ლოგინში რომ ვნახე დადუმებული.

მათ კიდევ ვიღაც სხვა კაცები მიუძღვებიან, რაღაც ახირებულ შავის, ფართო თეთრის ზოლებით შემოვლებულ სამოსლებით შემოსილნი.

თვალი იმ უძრავს, უკანასკნელ ფიქრში წასულ სახეზე დამრჩა.

იგივე სიდინჯე, იგივე უკანასკნელი უდრეკი გადაწყვეტილება და ღრმა, ღრმა ფიქრი.

ვიზედ? რაზედ?

ცა მოღრუბლულია, თქორავს, ცივა.

- დედა, დე-და! — ვეძახი ზემოდგან. არ მინდა რომ წავიდეს. არც მსმენია და არც მინახავს, რომ დედა შვილს სტოვებდეს, მაგრამ რაღაც შიში მეპარება, რომ ეს უკანასკნელია და მეტს ვეღარ ვნახავ. არ მინდა რომ წაიღონ, და გულამოსკვნით ვიმეორებ:

- დედა, დე-და, დედა მინდა...

უცნობი კაცი ხელს მკიდებს და ოთახში შევყავარ. სხვა უცხო კაცებმა კი შენ წაგიღეს... სამუდამოდ.

დედის მაგიერი

(ანა ივანე მგალობლიშვილის ასული)

- ნუ ხარ, გოგო, მუდამ თინიკი, თვარა, მამა ჩემს აქვს ცხონება, ერთხელ იქნება, მაგ მურიან ცხვირს ამოგინაყავ!

და გონების თვალ წინ მიდგება ცისფერთვალებიანი, - ო, რა კეთილად გამომყურალე თვალებიანი! — ხანში შესულის ქალის სახე.

ცხვირს ამოგინაყავო! არც იმ გოგოს სჯეროდა ეს მუქარა, რომლისკენაც იყო მიმართული, არც მე — მის დამსწრეს. პირადად ჩემი ყურადღება ამ შემთხვევაში სხვა რამ მიიქცია.

სწორედ იმ დღეებში ამოვიკითხე ისტორიის სახელმძღვანელოში ბერძენ ფილოსოფოსის დიოგენოსის ამბავი, ცინიკოსს ეძახდნენო. სიტყვა თინიკის გაგონებაზე წაკითხული გამახსენდა, - ისე გვანდა ცინიკოსი თინიკს, თინიკოს, - და ვკითხე:

- თინიკი ნუ ხარო, რომ ბრძანეთ, რას ნიშნავს თინიკი?

- ბინძურს, პირდაუბანელს, შვილო, გათხვრილს, - მოიბრუნა ჩემსკენ თავისი კეთილი სახე.

- მერე საიდგან გაჩნდა ეგ სიტყვა ქართულში? გადმოქართულებული ბერძნული "ცინიკოსი" ხომ არ არის? — განვაგრძე ჩემი ფილოლოგიური გამოძიება.

- რა ვიცი, შვილო, ბერძნულის არა მესმის რა. ასე გამიგონია და მეც ასე ვამბობ.

ყველა ამ კითხვა-პასუხს ერთი წამი არ დასჭირვებია, და სად იყო ან წყრომა, ან ცხვირის ამონაყვის გუნების მსგავსი რამ.

რამდენჯერ გაგვიგონია მისგან მის სამს შვილს და მეოთხეს მე, მის შორეულ ნათესავს, რომელსაც, მასთან შეხიზნულ მისის მეგობრის ობოლს, მეოთხე შვილის სრულუფლებიანი ადგილი მეჭირა მის გულში, - რამდენჯერ გაგვიგონია მისგან:

- "მე მაქვს სიცოცხლე..." ან "მამა ჩემს აქვს ცხონება, მე თქვენ"... და ზედ მოყოლებული რამე მუქარა, მაგრამ ისეთი ყოფილა ყოველი წარმოთქმული, რომ გარეგნად შეუფერებელ ფორმაში სიყვარულისა და ალერსის კილოს ადვილად არჩევდა ყური, და აბა, რას შეგვაშინებდა!

- ნუ ხარ, გოგო, თინიკი!.. — თითქო აი, ეს-ეს არის წარმოეთქვას ეს სიტყვები, თვალწინ მიდგება მისი კეთილი, საყვარელი სახე და მოცინარე, - მაშინაც კი, როდესაც ვისმე უჯავრდებოდა, - ცისფერი თვალები და მესმის მისი მუდამ ტკბილი ხმა, რომლისთვისაც ვერას გზით ვერ მიეცა მრისხანე კილო; მესმის და ასე მგონია, რომ ვკითხო, საიდგან გაჩნდა ეს სიტყვა ქართულში-მეთქი, ისევ გავიგონებ:

- რა ვიცი, შვილო, ასე გამიგონია და მეც ასე ვამბობ.

მომაგონდება მაშინდელი მისი სახე, ერთობ იმდილანდელი, ან უკეთ, იმ წამის სანახაობა, და ეს უკანასკნელი ჩემდა უნებურად იწვევს და თვალწინ მიყენებს მეორეს.

თიბათვის დამლევია. მზიანი, ნათელი შუადღეა. ცხელა, მაგრამ ბაღებით და მწვანით მდიდარმა ქუთაისმა არ იცის ჰაერის უძრავად დგომა და ამიტომ მისი სიცხე არასდროს არ არის შემხუთავი.

დგას, ერთი სიტყვით, ის მშვენიერი ზაფხულის დღე, ქუთაისში რომ იცის.

სხვაგანაც ეცოდინება, უეჭველია, ასეთი დღეები, მაგრამ ქუთაისში რომ იცის-მეთქი, რომ ვამბობ, ეს იმიტომ, რომ პირველად ქუთაისში განმიცდია გაზაფხულის თავბრუს დამხვევი, დამათრობელი სუნთქვა და ზაფხულის მზის მხურვალე ალერსი. ამიტომაც ვფიქრობ, თუ ვლაპარაკობ ან სხვა მიამბობს ამბავს, რომელიც გაზაფხულსა ან ზაფხულში ხდება, გონებისა და გრძნობის შუა არსებულ თვისების წყალობით, ზაფხულად წარმომიდგება და გაზაფხული კიდე ქუთაისისავე გაზაფხულად.

სახლის უკანა აივანზე ვართ ისა და ჩვენ ოთხნი. აივნის მოკლე, განის მხარე ქუჩისკენაა, სამხრეთით. მზე ამ მხარეს აწვება, მაგრამ მის მწვავე სხივებისაგან გვიფარავს ვაზის ხშირი ფოთლები, ღობეს რომ ამოყოლია და სახლის სახურავამდე აუტანია ყლორტები.

ცხელა და კარგადაც ცხელა, მაგრამ ჭრიჭინას ჯერ არ გაუბამს თავისი დაუსრულებელი ერთფეროვანი გალობა; მისთვის, სჩანს, არ კმარა ეს სიცხე, არ დამდგარა ნამდვილი ზაფხული.

ვაზის ფოთლებს შუა შორს, შორს მოსჩანან სწორ ხაზად ამართული, მთელს მათ სიგრძეზე ერთნაირად მაღალი აჭარის მთები, აგერ შუა ზაფხულამდე თოვლი რომ შერჩენიათ ალაგ-ალაგ, კალთების ნაოჭებში.

რა ლამაზი ხართ, აჭარის მთებო, ამაყად რომ ამართულხართ ტურფა ქვეყნის სადარაჯოდ!

რა საუცხოვო მშვენიერი ხართ განსაკუთრებით საღამო ხანს, მზე რომ გადახვრას იწყებს!

მთელ დღეს ოქროსანი, დაიწყებს მზე ჩასვლას თუ არა, თქვენც აითამაშებთ თქვენს მწვერვალებზე და კალთებზე ფერადებს, და არ არის ქვეყანაზე ფერი, ნაზი და მკვეთრი, მკრთალი თუ გარკვეული, სახე არ უცვალოს თავისებურად თქვენმა ხეებმა და ხრამებმა, თქვენმა მწვერვალებმა და დანაოჭებულმა კალთებმა, ყველამ თავისთვის ნაირნაირად არ გამოიყენოს დღიური მნათობის ერთი და იგივე სხივები!

მზე დიდი ხანია ჩაესვენა, სიბნელე გამეფდა თქვენს ძირში და თქვენს ხეებში, მთებო, და თქვენს მწვერვალებზე კი ჯერ კიდე არ შემწყდარა სინათლე-სიბნელის შეჯიბრება და ბრძოლა!

უნაზეს და უმშვენიერეს ფერთა და ფერადთა, სინათლის ამ ციურ ასულთა, ნამდვილი ფერხულია, აუჩქარებელი და ნელი თამაში!

ჰქრება ნელნელა მხიარული ფერები. ინთქმება სინათლის მკრთალი ზოლები და ნაპერწკლები იმ წყვდიადში, რომელიც ქურდულად გეპარებათ, მთებო, ქვემოდგან, მაგრამ გაუმაძღარი თვალი მოჯადოებულსავით მოგჩერებიათ, თითქო სიბნელის გარღვევას და გამქრალ სიტურფის აღდგენას სცდილობდეს.

თავ მაღლა აღებულები ზეცას მიბჯენიხართ და მნათობთ უშუალოდ ებაასებით.

მაგ სიმაღლეზე ყველაფერი სიწმიდეა და უზადო სიმშვენიერე, - უმანკოების გამომსახველი სპეტაკი თეთრი თოვლი, მდინარე ბროლისებური ანკარა წყაროები, პირველ ყოფილ სიმწვანით აზურმუხტებული ნაზი მოლი და ის წმიდა ჰაერი, რომლის ზოგჯერ მობერილ ნიავს ისეთი

ნეტარებით შეუშვერს ხოლმე შუბლს მაშვრალი ბარი. ამიტომაც პირველად თქვენ მოგესალმებათ ხოლმე დღის მნათობი და თავის პირველ ოქროს სხივებით თქვენ შემოგევლებათ!

მანდ, მაგ თქვენს მიუწდომელ სიმაღლეზე დაუნახავს ადამიანის გონებას ყოველისვე სიკეთის და სათნოების ტახტი, და ამიტომაც კეთილ აზრს და სათნო გრძნობას მაღალ აზრსა და მაღალ გრძნობას უწოდებს.

როგორ არ დარჩენოდა თქვენს კალთაში პირველად თვალ ახილულის ქართველის სულს თქვენი მაღალი თვისებანი!

თქვენი შვილი ისიც თქვენებრ უდრეკია და ამაყი. მის თავზედაც სჭექს ხშირად მრისხანე მეხი, მასაც ისე მოიცავს ხოლმე ჭირთა და უბედურებათა თოვა, როგორადაც შავი ღრუბელი შეგბურავთ და უხილავ გყოფთ თქვენ, და ასე ჰგონია, გაჰქრა, წარიხოცა მისი სახეც და სახელიცაო.

მაგრამ ამოვა ბრწყინვალე მზე, გადიყრით ღრუბელთ, საყვარელო მთებო, და ისევ ამაყად აღიმართებით თქვენის სიდიადით და სიმშვენიერით, და თქვენი შვილიც თქვენებრ გულგაუტეხელი იმედით შემოგცქერით თქვენ, მაღალ მისწრაფებათა ხელთუქმნელნო საკურთხეველნო, იმ იმედით, რომ მინამ თქვენ ფეხს არ მოიცვლით მის სამკვიდრებელის სადარაჯოდგან არ შესწყდება არც თქვენს მძლავრს სუნთქვას აყოლებული მისი გულის ცემა.

თქვენთან სიცოცხლე, თქვენი ჭირიმე, საყვარელნო ბუმბერაზნო, და თუ ერთ დღეს ჩვენც სიკვდილი გვიწერია, ისევ თქვენთან, თქვენ გენაცვალეთ, გვირგვინოსანნო...

დიდ საქმეში ვართ გართული, - სამურაბე ალუბალს კურკას ვაცლით, - და თან ვყბედობთ. ის დაგვცქერის,

ყურს უგდებს ჩვენს ლაქლაქს. დროგამოშვებით ერევა ჩვენს ლაპარაკში, და კმაყოფილებისა და სიამოვნების ღიმილი უთამაშებს ტუჩების კუთხეებს. ხან და ხან გაგვიჯავრდება კიდეც, თითქო ამა თუ იმ უხეირო სიტყვის გამო.

გაგვიჯავრდება? ვისა სჯერა? განა ამ მოცინარე ცისფერ თვალების პატრონს გულის მოსვლა შეუძლია?

ჩვენ ჩვენსას განვაგრძობთ: ალუბალს კურკას ვართმევთ და თან ვტრაბახობთ.

- იცი, გუშინ უფრო შორს გავცურე, - ტრაბახობს ყველაზე უფროსი ჩვენში, თერთმეტის-თორმეტის წლის ნიკო, - ცოტა დამაკლდა კინალამ იმ დიდ ქვამდის მივცურე.

- მოდი, დღეს შევეცადოთ, ერთად მივცუროთ, - წინადადებას იძლევა მისი მომყოლი, ორი წლით მასზე უმცროსი ვალიკო.

- რა ქვაო, რომელი ქვაო, რას ამბობთ, რას ტყიპინებთ, - გვაწყვეტინებს ხმამაღლა ოცნებას ჩვენს საატრფიალო საგანზე, რიონში ბანაობაზე, ცისფერი თვალები და თან ღრუბელი გადაურბენს სახეზე.

ეხლა მიგიხვდი მხოლოდ სავსებით, ჩემო საყვარელო ცისფერთვალა დედობილო, თუ რად გადაჰკრა მუქმა ფერმა მაგ ღია ცისფერს. მიგიხვდი, რადგან აგერ, ამ წამს ვხედავ მაგ ცვლილებას, აგერ თვალ წინ მიდგას იმ თიბათვის დამლევის შუადღის შენი სახე. ეს-ეს არის, რომ გვკითხე, რას ტყიპინებთო?

ოთხსავე მთელთ, ჯანსაღთ, სიცოცხლით სავსეთ და მხარულთ შენთან, შენს კალთებში გვიგულებ, და უეცრად თავში საშინელი აზრი გაგირბის: ოთხის მაგივრად სამი რომ დამიბრუნდეს, რაღა ვქნა, რომელ კედელს ვახალო თავი?

- რა ქვაო, რომელი ქვა? რას ამბობთ?

აჰა, სიფრთხილე გვმართებს! - ვამბობ გუნებაში. ნათქვამს გამოსწორება სჭირია, თორემ მშვიდობით რიონო, მხიარულო და სარულო! თქვენი მტერია, საღამოს აღარ გაგვიშვას საბანაოდ.

- არა, მართლა კი არ ვცურავთ; არ გეგონოთ. სულ პატარა წყალში ვბანაობთ. ვჭყუმპალაობთ. ნიკო რომ ამბობს, ის ქვა სულ ხუთ-ექვს ნაბიჯზეა ნაპირიდგან, და არც წყალია ღრმა, ვასიკოც კი (ყველაზე უმცროსი ჩვენში) ისე მიდის იმ ქვასთან, რომ წყალი იღლიამდისაც კი არ სწვდება. ამ პატარა წყალშია, რომ ვითომდა ვცურავთ და ცურვით მივდივართ იმ ქვამდე. საშიში არაფერი არ გეგონოთ.

დაიჯერა თითქო, მაგრამ სახიდგან გადაყრილი შიში თვალების კუთხეებში მიმალვოდა. საჭიროა კიდევ რამ საშუალება, რომ საბოლოოდ დავამშვიდოთ ჩვენი საყვარელი ცისფერი თვალები.

- ტარიელმა რომ თავისი თავგადასავალი უამბო ავთანდილს, და ავთანდილი არაბეთს გაბრუნდა, ამას წინად რომ მოგვიყევით, მერე რა მოხდა? რა მოუვიდა ან ერთს, ან მეორეს? გვიამბეთ!

რა კარგად მივუგენით საშუალება, რა უცბად დავამშვიდეთ. სახეზე ღიმმა შეუთამაშა და დაიწყო:

- ხომ გახსოვთ, შვილო, უკანასკნელად რაც მოგიყევით... როსტევან მეფემ ტარიელთან გაბრუნება დაუშალა ავთანდილსა-თქო, და ავთანდილმაც გაპარვა დააპირა.

ავთანდილმა დაიბარა შერმადინი და:

შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირმზე, ნათელთა მფენელი:
"ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი,
შენგან თავისა შენისა საჩემომ გამომჩენელი".
მქებრად ამბისა მათისა ხამს მკითხველი და მსმენელი...

ვიცოდით, რა სიამოვნებას წარმოადგენდა მისთვის რუსთველის დიდებულ ლექსების თქმა, საშუალებად გამოვიყენეთ ეს მისი გრძნობა, რომ სიტყვა ბანზე აგვეგდო და ამნაირად გაგვექარვებინა მისთვის ის შიში, რომელსაც ჩვენი რაიონში ბანაობა ჰგვრიდა, მაგრამ დახეთ, ჩვენვე არ დავრჩით ჩვენისავე ხერხით მოტყუებული...

"...სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისა რგებად ველთა რბენა"...

ისმის მისი რითმიული ხმა, ან უკეთ, მის ხმაში დიდებული რითმი რუსთველის ლექსისა; მწყობრად და დიდებულად მოსდევენ ხან ეპიურის სიმშვიდით, ხან უნაზეს ლირიზმით სავსე, ხან კიდე ლექსად გამოჭედილი სიბრძნის პოემის ტაეპები. ვუსმენთ ლექსთა მუსიკით მოხიბლულნი, სიტყვის სიძლიერით დატყვევებულნი.

ასე ამბობდნენ უთუოდ, - ან იქნებ მღეროდნენ? — მაგრამ არა ამბობდნენ სწორედ რუსთველის ლექსებს წარსულ საუკუნეშიაც, იმაზე წინაც და კიდე უფრო ადრეც. ერთის სიტყვით, მას აქეთ, რაც "ვეფხისტყაოსანი" დაწერილა, თორემ არა ჰგავს, ჩვენის ცისფერ თვალების გამოგონილი იყოს ასეთი თქმა.

მივჩერებივართ ოთხივენი, სმენად გადაქცეულები, პირდაღებულები და სახეზე იმ გამომეტყველებით, რომელიც ერთ და იმავე დროს დიდ ყურადღებას, ვერ გაგებას და მიხვედრის დიდ სურვილს გამოხატავს.

ჩვენი მოსიყვარულე დროგამოშვებით განმარტებას გვაძლევს, თავისის სიტყვით გვიხსნის გაუგებარ ადგილებს, ე.ი. უმთავრეს ნაწილს.

ნაირნაირად მოსდევს ლექსი — ლექსს, ტაეპი — ტაეპს.

ძლიერ გვეძნელება აზრის მიხვედრა, მაგრამ ლექსის მუსიკამ მოგვაჯადოვა, - ჩუმად ვართ.

აგერ ირიჟრაჟა, ლექსი უფრო გასაგები გახდა:

"...კაცი ჯაბანი რითი სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი...
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

"ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო" და "სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი", ხომ ბევრჯერ გაგვიგონია.

აგერ კარის უკანასკნელი ტაეპიც, და ჩვენც მოვრჩით ჩვენს საქმეს, - ალუბალი კურკა გაცლილია.

ბევრი მინახავს ჩემს სიცოცხლეში დიდად ნასწავლი და დიდის გამოცდილების აღმზრდელ-მასწავლებელი, მაგრამ იშვიათი თუ შეედრებოდა ჩვენს საყვარელ კეთილ ცისფერა ფერიას, რომლის განათლება ქართულის წერა-კითხვით, "ვეფხის ტყაოსნის" ზეპირად ცოდნით და ძველ ქართულ წიგნების წაკითხვით განისაზღვრებოდა.

რა ჩინებულად ესმოდა ჩვენი, ერთი მტკაველა ხალხის დარდი და სიხარული; რა ღრმად ჰქონდა გამჯდარი არსებაში ის აზრი, რომ ბავშვი ისევე საჭიროებს ალერსსა და სიხარულს, როგორც მცენარე ჰაერსა და მზის შუქს. რა მოხერხებულად ჰქმნიდა სულ პატარა საშუალებათა შემწეობით ამ სიხარულისა და სინათლის ატმოსფერას, - როგორ ზრუნავდა ჩვენის სიამოვნებისა და გართობისათვის, მიუხედავად ხშირად უსაღსრობისა და ზოგჯერ გაჭირვებისაც კი.

შობა-აღდგომისათვის მზადება, აქ გოზინაყის ხარშვა, იქ აღდგომის პურის ცხობა. ბაზარში სიარული ტკბილეულობის თუ სპკლავის საყიდლად, და ყველა ეს ჩვენის მონაწილეობით, ჩვენთან ერთად ფუსფუსით, ყველაფერში ჩვენის გარევით.

მაგონდება ერთი აღდგომის ღამე. გვიანი აღდგომა იყო, აპრილის მეორე ნახევარში.

შინ მივდივართ ეკლესიიდგან ნაცისკრევს ისა, ჩვენ და კიდევ ერთი ვინმე.

ჩვენ, პატარები ხელიხელ ჩაკიდებული წინ მივუძღვებით მხიარულის ლაქლაქით, ისინი უკან მოგვდევენ და რაღაცას ლაპარაკობენ დაბალის ხმით.

ყურს ვუგდებ და ვცდილობ, არავინ შემატყოს; ადვილია, რადგან ბნელა.

თითო-ოროლა ჩემამდე მოსულ სიტყვაზე მივხვდი, რასაც შეეხება მათი საუბარი, და ეს უფრო მიშლის სურვილს: ყური ვუგდო, რომ არა გამომეპაროს რა მათის ლაპარაკიდგან.

"ის ვინმე" დიდია, ვაჟკაცი. კოჭლია და ყავარჯენს ხმარობს.

უსახლკარო, გზა დაბნეული მეტნაწილად უსაქმოა. დღეს რომ აქ არის, ერთს-ორს კვირაში დაჰკრავს ფეხს და გადიკარგება სადმე. — ხან ფოთს, ხან ბათომს, ხან კიდევ სადმე სხვაგან, უფრო შორს.

გაივლის ორი-სამი თვე, ზოგჯერ ოთხიც და ხუთიც, და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდება, სრულებით მოულოდნელად, გამხდარი, გაყვითლებული, ჩამოგლეჯილი და კარს მოადგება ჩვენს საერთო მოკეთეს.

უნდა ნახოთ მაშინ ამის შეწუხებული სახე. სად ნახოს, ვის გამოართვას ან საცვალი, ან ტანსაცმელი, რომ მიეშველოს და ადამიანური სახე დაუბრუნოს.

აი, ეხლაც ჩამოვიდა დიდ ორშაბათს ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი. ეხლა სუფთად ჩაცმული წყნარად მოაბიჯებს ყავარჯენამოიღლიავებული ჩვენ საყვარელ დედის მაგიერის გვერდით.

ცალკე ლიტანიამ, ცალკე ამ მშვენიერ, წყნარ წმიდა ღამის თბილისის ჰაერის ნაზმა ალერსმა და სიმშვიდემ განსაკუთრებულს მისთვის არა ჩვეულებრივ გუნებაზე მოიყვანეს.

რაღაცასაც ეუბნება, ჰპირდება. დროგამოშვებით მესმის:

- ჰო, შვილო, დროა, გონს მოხვიდე... ბავშვი აღარა ხარ...

მივხვდი, მივხვდი! არიგებს, რომ ურიგო ცხოვრებაზე ხელი აიღოს. ყელში ბედნიერების ცრემლები მაწვება, - ის ხომ ჩემი ძმაა, ჩემსავით ობოლი.

მზადა ვარ: მივვარდე, მოვეხვიო, ორივენი გადავკოცნო; ვუთხრა ჩემს ძმას, ჩემზედ ბევრად უფროსს, დაუჯეროს დარიგება და დაპირება არ გაუცრუოს. ვუთხრა, გავუზიარო ის გრძნობა, რომლითაც მივსებს ბავშვურ გულს ამ მშვენიერ ღამეს, ეხლა ხან მოსმენილი "ქრისტე აღსდგა".

მზადა ვარ, მაგრამ ვერ ვბედავ: ვაი, თუ ასეთმა ჩემმა ჩარევამ ამ წუთს მისი დიდებული ხასიათი დაუკარგოს და ამ წმიდა ღამის ღირსი, სიყვარულით სავსე განწყობილება დაარღვიოს.

ჩუმად მივდივარ ბედნიერი და ვნატრულობ:

- ღმერთო, ღმერთო, ამ წმიდა ღამის მადლისათვის მოიყვანე გონს საბრალო ჩემი ძმა!

და რაღაცა იმედით მევსება გული, როდესაც მივიხედე

და დავინახე, რომ ჩემი ძმა დაღუნულიყო და ხელზე ჰკოცნიდა, მას კი თავზე ხელი მოეხვია ამისათვის, გულზე მიეკრა და ერთხელ კიდევ ეუბნებოდა:

- ღმერთი მოწყალეა, შვილო, შეგეწიოს მისი მადლი; ოღონდ შენც დაჭკუიანდი. რაც იყო — იყო. აწი კმარა.

ხვალ მივდივართ. აგერ ორი თვეა, რაც ჩავაბარეთ გამოცდები ვალიკომ და მე; გავიკარით დიპლომები და მას აქეთ ხვალინდელი დღის მოლოდინში ვართ. უნივერსიტეტში მივდივართ, გესმით თუ არა, მკითხველო? ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედა-მიწა ქალამნად! ორი თვე არც ისეთი ვადაა, რომ ასეთი ბედნიერება მოინელოს ადამიანმა.

დარბის, დაფუსფუსებს ჩვენი საყვარელი ცისფერთვალა; ხან წავა და სყიდულობს ფართლეულობას, ხან შინ ზის და ჰკერავს, - სტუდენტურ მზითევს გვიკერავს.

დღეს როგორღაც დაღონებულია, ზოგჯერ ამოიოხრებს: რაც უფრო ახლოვდება განშორების დრო, უფრო და უფრო სწუხს. ორ შვილს გზავნის სადღაც შორს, ციცვს ქვეყანაში. უცნობ ხალხში და შიში ეპარება გულში, ვინ მოუვლის, რომ რამე გაუჭირდეთო. ამოიოხრებს და ისევ დაფაცურდება, სამგზავროდ ხომ საგძალიცაა საჭირო. რაღაც ცხვება, საცივი მზადაა და ქოთნის ძებნაშია, რადგან ეს არის ერთადერთი საშუალება საცივის გზაში წასაღებად.

აი, ხვალეც დღევანდელ დღეთ იქცა. ბარგი ეტლშია. სადგურზე მივდივართ. გადაწყვეტილია, რომ მთელი ოჯახობა ბათომამდე გამოგვყვება. სადგურამდე ორივე სტუდენტი მასთან ვზივართ ეტლში.

გვიყურებს, მოგვჩერებია, თითქოს სცდილობდეს გულში ჩაიბეჭდოს ჩვენი სახეები, გვიცინის და... დროგამოშვებით თითო-ოროლა ცრემლი გადმოუგორდება თვალთაგან.

ბათომს შუაღამისას მივედით. ყველა უნივერსიტეტში მიმავალი ახალგამომცხვარი სტუდენტები და მათი გამცილებელი მშობელ-ნათესავნი ერთსა და იმავე სასტუმროში ჩამოვხტით.

მეორე დღეს შუადღისას გემზე ავედით და დავლაგდით.

დადგა გამოთხოვების წამი.

- აბა, შვილებო, თქვენ იცით, როგორ ჭკუიანად იქნებით; ერთმანეთს მოუარეთ. ხშირად მომწერეთ თქვენი ამბავი, - და ხან ერთსა და ხან მეორეს გვიკრავს გულში, გვეალერსება. გულს იმაგრებს, მაგრამ ცრემლები მისდაუნებურად უცვივა თვალებიდგან.

დაინძრა გემი, შებრუნდა, ცხვირი ჩრდილოეთისაკენ ჰქნა და გზას გაუდგა.

ბაქანზე ვართ თავმოყრილი თორმეტი ამხანაგი, - ყველა ახალი სტუდენტი. დიპლომების ჩაბარების დღეს პირობა დავდევით, ყველანი ერთ და იმავ დღეს გავმგზავრებულიყავით. ზოგმა ვერ მოახერხა დანიშნულ დროზე მოსულიყო, და ოცდაორის მაგივრად მხოლოდ თორმეტნი ვართ. ქუდებისა და ცხვირსახოცების ქნევით ვეთხოვებით ნაპირზე დარჩენილს ჩვენს ახლობლებს...

...ოცდაორნი... სადა ხართ, ვინც ცოცხალნი ხართ, სიყრმის ძმანო და სულის მეგობარნო? რა დარი გიდგათ? გონებას რა აზრები გიმძიმებთ, გულს რა სევდა გიღრღნით? სადა ხართ, რომ ჩემი ცრემლი მაინც ავურიო თქვენსას, თუ სული ვერ დაგიმშვიდოთ...

ჩვენი ცისფერი თვალებიც ხელს გვიქნევს და ფეხმოუცვლელად დგას იმავე ადგილს, სადაც დავტოვეთ.

სახეზე მისი ტკბილი ღიმი უთამაშებს, მაგრამ ამ ღიმ ქვეშ ადვილად იხედება სიხარულის, იმედის და შიშის ერთმანეთში ბრძოლა.

წაიშალა კიდეც სახეები; ვხედავთ მხოლოდ ადამიანთა გროვას, რომელიც პატარავდება, პატარავდება, წერტილად იქცევა და ბოლოს სულ ჰქრება.

მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რა საშინელი მსგავსება, რა საშინელი სიმბოლოა ყოველსავე გამოთხოვებაში.

მაშინ კი, დაგვეკარგენით თუ არა თვალთაგან ჩვენი მშობლები და მოკეთენი, მხიარულად შევუდექით სამგზავროდ უკეთესად მოწყობას და, თუ შეიძლება ითქვას, პირი მომავლისაკენ ვქენით, და ეს ხომ იგივეა, ზურგი შევაქციეთ იმას, რაც უკან დაგვრჩა.

ჰოი, სიყმაწვილევ, უდარდელო და ეგოისტო!

გაირბინეს წელთ. ოთხი ბავშვი ოთხ ვაჟკაცად გადვიქეცით. ზოგი სად გადაგვაგდო ბედმა და ზოგი — სად! დრო მიდიოდა. ცხოვრება თავის ნებაზე გვატრიალებდა და ამ ტრიალში, ვგრძნობდით, რაღაც გვავიწყდებოდა.

- რა ვუყოთ, რომ ღარიბები ვართ. წამომეზრდებიან ეს ჩემი ბიჭები და სულ ხავერდსა და ბრილიანტებში მატარებენ...

ვიცი, რასაც ნიშნავდა ხავერდი და ბრილიანტები: გრძნობის ხავერდისებურ სიფაქიზეს, სინიდისის ბრილიანტისებურ სიმტკიცეს.

გაგიმართლეთ იმედი?

იმ დღეს რომ შენი სახე ვნახე, რომელიც ისე მკვეთრად და ისეთისავე სიცხადით მიდგება თვალ წინ, როგორც სხვა და სხვა დროს ნახული შენი სახე, ამის პასუხი ველარ ამოვიკითხეთ შენმა შვილებმა.

ერთ დღეს ტელეგრამები მოგვივიდა: ვის თბილისს, ვის ბათომს, ვის კიდევ სხვაგან.

გამოვეშურეთ სხვა-და-სხვა კუთხიდან და აგერ ყველანი ქუთაისში შევიკრიბენით.

მკათათვეა. ცხელა. უხმოდ, თითქმის უცრემლოდ ვდგევართ მის კუბოს წინ, - მეტად დიდია ჩვენი მწუხარება.

ერთი და იგივე აზრები მოგვდის, ალბათ, თავში ყველას, ერთი და იგივე სანახავები გვეშლება გონების თვალ წინ: როგორ ველრიტინებოდით ხოლმე რიონზე საბანაოდ გაშვებას, როგორ მივჩერებოდით, როდესაც "ვეფხისტყაოსნის" ლექსებს გვეუბნებოდა, როგორ გვისტუმრებდა უნივერსიტეტში გასამგზავრებლად, როგორ...

გარშემო სიჩუმეა. ვდუმვართ ჩვენც იმ უკანასკნელ ღრმა ფიქრის წინაშე, რომელსაც უძრავ უყვია საყვარელი სახე იმისი, ვინც ჩვენის ბავშვობისა და სიყმაწვილის ბედნიერების სადარაჯოზე იდგა.

ღია ფანჯრებში შემოდის ჭრიჭინას განუწყვეტელი ხმა და მხოლოდ ის არღვევს ამ დიდებულ სიჩუმეს.

გრიგოლ ვოლსკი

იანვრის მიწურული უნდა იყოს, ქუთაისის მოკლე ზამთრის შუა ხანი. ფანჯრის მინები მუქ-თეთრად არის მოქარგული, ჰყინავს, მაშასადამე. თან ზენაქარი, ზაფხულ-ზამთარ ერთნაირად უსიამოვნო სტუმარი, წვრილ თოვლს ათამაშებს ჰაერში. ცივა.

ველარ ვუძლებ სიცივეს, - რაღაც სათამაშოთი ვირთობ თავს, მაგრამ გაყინული თითები არ მემორჩილებიან, და წუწუნს ვიწყებ.

- მცივა, მცი-ვა, - ვცდილობ მივიქციო ვისიმე ყურადღება.

- რამ შეგაცივა? რომ არც ისე ჰცივა! — გამომიჩნდა მანუგეშებელი. ამ სიტყვებით მოდის ჩემსკენ ყმაწვილი, ხელს მკიდებს და მეუბნება:

- აბა, მოდი, გასწავლი, როგორ უნდა გათბე.

ხელიხელჩაკიდებული იწყებს ოთახში ერთის კუთხიდგან მეორეში ჩქარ სიარულს; ჯერ ვუძალიანდები; ფეხს უკან ვითრევ, მერე კი ცოტ-ცოტა ვიწყებ ფეხის აყოლებას და მის ჩქარ ნაბიჯს ვუმარჯვებ ჩემს სირბილს.

ამასობაში რაღაცას მიამბობს, მართობს და ბოლოს იმდენს ახერხებს, რომ მხიარულ გუნებაზე მაყენებს, და

აგერ რომ სულ ცოტა მაკლდა ტირილი დამეწყო, ვიცინი კიდეც, პატარა თიკანსავით ვხტი და რაღაცას ვტიკტიკებ.

რას მიამბობდა, ან მე რას ვეუბნებოდი? რაღა მახსოვს!

მახსოვს მხოლოდ გრიშას ვეძახდი. მაგრამ, არა, მახსოვს კიდევ ერთი რამ: მახსოვს მასწავლა, როგორ შეიძლებოდა ავდარის კარგ დარად გამოცვლა.

- თუ წვიმს ან სთოვს, ერთის სიტყვით, თუ ცუდი დარი დგას და გინდა, გადაიღოს და გამოიდაროს, უნდა წაიღო ფარდაგი, წახვიდე და, წყალწითელაზე რომ დიდი გამოქვაბულია, - ხომ გახსოვს, ზაფხულში სასეირნოდ რომ ვიყავით, გიჩვენე, შიგ შევედით კიდეც, - იქ უნდა მიხვიდე და იმ გამოქვაბულს ააფარო ის შენი ფარდაგი. იმ წამსვე გადაიღებს, რაც უნდა თავსხმა წვიმა მოდიოდეს, გამოიდარებს და მზე გამოვა.

რა დარწმუნებული ვიყავი ამ საშუალების სინამდვილეში. რა რიგ მჯეროდა, რომ ავდრის დარად შეცვლა ჩემს ნებაზე იყო!

უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ სწორედ ავდარში უნდა წავსულიყავი, მერე ისე შორს და თან კიდევ უშველებელი ფარდაგი მეზიდნა!

და კიდევ: წყალწითელას ხეობა თავის მიძინებულის მდინარეთი, თავისის ხშირი ბუჩქნარით და ტყით დაბურულის კალთებით და კლდეებით, რომლის ძირშიაც მეგულებოდა გამოქვაბული, ეს ხომ ალების სამფლობელო და ჭინკების ნამდვილი ბუდე იყო! ვინ იცის, ქაჯებისა და დევების საბინადროც იქნება იქ ყოფილიყოს.

ერთის სიტყვით დარის მოსაყვანი ჩინებული საშუალება ჩემ ხელთ მქონდა, მაგრამ არასდროს არ ვცდილვარ მის გამოყენებას.

გაიარა იმ ზამთარმა. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, და მათ სრულებით დამავიწყეს გამოქვაბული და ფარდაგი. გაიარა რამდენიმე სხვა ზამთარმა და ზაფხულმაც, მაგრამ ის გრიშა ჩემს გვერდით აღარ მახსოვს.

გიმნაზია დამთავრებული უნივერსიტეტში წასულიყო და დიდის ხნით დამეკარგა თვალთაგან.

დიდ ხანს დავრჩით ასე დაშორებულები, ის — სტუდენტი ერთის ფაკულტეტიდან მეორეზე სიარულში თავის მოწოდების მაძებარი, მე კიდე ბუნების წესის თანახმად, ბავშვური განუსჯელობის მორჩილი, ადვილად ამტანი იმ უბედურობათა, რომელიც უხვად ათოვდა ჩვენს, გრიშას და ჩემს, ოჯახს.

დაშორებული კი ვიყავით ერთმანეთს, მაგრამ გრიშას სახელი ისე ხშირად იხსენებოდა ოჯახში, რომ არა თუ არ მავიწყდებოდა, არამედ მუდამ თვალ წინ მედგა ის ყმაწვილი, რომელმაც იმ ზამთრის ცივ დღეს ისე გამათბო და გამართო.

ის სითბო ნათესაურ გრძნობის სითბოთი შემეცვალა, და თუ ვისმე წამოსატრაბახებლად ძმა ჰყავდა ან ვინმე სხვა ახლობელი, მეც თავი მაღლა მომქონდა და ვამაობდი:

- ჩემი დეიდაშვილი გრიშა...

ასეთის გრძნობის მასაზრდოებელი გარემოება ის იყო, რომ, როგორცა ვთქვი, ხშირი იყო ჩვენს შორის, და-ძმებში და დეიდაშვილებში, მისის სახელის ხსენება.

აი, ფაკულტეტი გამოიცვალა; აი, ოდესიდგან მოსკოვს გადავიდა. გაზეთში მისი ლექსია დასტამბულიო. ლექსისთვის ფსევდონიმი მიუწერია, უმწიფარიძის სახელიო.

ამას მოჰყვა მოსკოვის უნივერსიტეტიდგან დათხოვნა, ყაზანში გადასვლა, რადგან შიდა-რუსეთის სხვა უნივერ-

სიტეტების კარები დაუხშეს და იქ შესვლა აუკრძალეს. ბოლოს ისევ მოსკოვის უნივერსიტეტში დაბრუნება.

ყოველი ამ გარემოებათაგანი უხვ მასალას იძლეოდა ოჯახში სალაპარაკოდ და გრიშას მოსაგონებლად.

ერთ გაზაფხულის დამლევს გრიშა, როგორც იქნა, ჩამოვიდა ქუთაისს ოთხის, და შეიძლება ხუთის, წლის განმავლობაში სამშობლოს მოშორებული.

რა ბედნიერი იყო თავისიანებში და თავის ქვეყანაში დაბრუნებით! რა მხიარული! რარიგ დავაჟკაცებულიყო!

გრიშა! დიაღ, ეს სწორედ ის გრიშა იყო, რომელიც მე მახსოვდა, ოღონდ წვერ-ულვაშს შეემოსა ყმაწვილი სახე.

ეს კი არ შემეშინია მისთვის აქამდისინ: როდესაც ყურადღებით გისმენდათ, ცალ წარბს მაღლა აიხრიდა, მთელის ტანის სიმძიმეს მეორე, დახრილ წარბის მხარეს გადაიტანდა და განივრად დაღებულ თვალებით მოგჩერებოდათ.

ამბების მოყოლის მოყვარულს და საუცხოო მოუბარს გამოულეველი მასალა დაგროვებოდა ხანგრძლივ დაშორების დროს.

- რად მიატოვე, გრიშა, საფილოლოგიო ფაკულტეტი?

- უნივერსიტეტში რომ მოვხვდი, ასე მეგონა, ლათინურ გრამატიკას გადავრჩი-მეთქი. მეტი არ აქვს თქვენს მტერს! აკი არ გამიჩნდა ერთი პროფესორი, რომელმაც თითქმის მთელი სამი თვე რაღაც სიტყვების ნათესაობითი ბრუნვის ისტორიას მოანდომა. ძლიერ მინდოდა ფილოლოგიურ დარგის შესწავლა. მოთმინებაც დიდი გამოვიჩინე, მაგრამ ამ პროფესორმა იმედი დამაკარგვინა, მიცემითი ბრუნვამდე მივსულიყავი როდისმე. და რაკი ბუნებისმეტყველებამაც გამიტაცა, ავიღე და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადავბარგდი.

მართლადაც გაეტაცნა ბუნებისმეტყველებას, - იმ ზაფ-ხულს ნამდვილი საბუნებისმეტყველო კურსი გაგვიმართა მე და ჩემ ტოლ ჩემს სამ ნათესავ ბიჭს.

ნაცნობ საყვარელ ადგილებს დიდი ხნის მოშორებულს გული ვერ უთმენდა შინ ჯდომას. გავიყრებოდით დილითვე ან ახალ ნასადილევს ქალაქს გარეთ, ხან წყალწითელისკენ, ხან რაჭა-ლეჩხუმის გზით, ხან კიდე აჯამეთის ტყისკენ მიმავალ შარათი, ამოვუდგებოდით ორნი ერთის მხრივ, ორი მეორეთი, და იწყებოდა ნამდვილი ლექციები, - სწყუროდა, რაც გაეგონა და ესწავლა,, ნათლად და გასაგებად გადმო-ეცა ჩვენთვის.

საფილოლოგიო ფაკულტეტი მასწავლებლების მოსამ-ზადებელ განყოფილებად გვქონდა წარმოდგენილი, და გად-მოცემის ასეთს სურვილსა და უნარს რომ ვხედავდით მასში, არა ერთხელ გვითქვამს მისთვის:

- ისე გიყვარს ახსნა-განმარტება და სწავლება, რომ ფილოლოგიურზე უნდა დარჩენილიყავ, გრიშა!

მასწავლებელი ყველა განყოფილებიდგან შეიძლება გა-მოვიდეს და გამოდის, მაგრამ ერთნაირად მართალი ვიყა-ვით მაინც, როდესაც ვეუბნებოდით, რომ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე უნდა დარჩენილიყო.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბუნებისმეტყველო ფა-კულტეტის სტუდენტი თავის საგნით გატაცებული თვალს გვიხელდა ბუნების კანონებზე, მის იდუმალ ცხოვრებაზე, დრო გამოშვებით ქართულ ლექსებსაც შეგვაყოლებდა, და აქედან ხომ სულ ახლო იყო თვით ენაზედაც გადასულიყო. შემდეგში კი ქართული მართლწერა და, საზოგადოდ, ქარ-თული ღრამატიკა საუბრის საყვარელ თემად გადაექცა.

მახსოვს, ერთხელ "ივერიას" კითხულობდა. ერთბაშად შესწყვიტა კითხვა, მომიბრუნდა და მითხრა:

- მიკვირს, ილიას გაზეთს როგორ მოსდის ასეთი შეცდომა.

ერთერთს წინადადებაში შეხვედროდა სიტყვა "ვისმეს" და ეს იყო, რომ ვერ მოენელებინა.

- "ვისმეს"?! რასა ჰგავს ასეთი წერა! არის ორი ნაცვალსახელი: "ვინ" და "ვინმე", რომელიც სწორედ იმასვე ნიშნავს, რაც ლათინური QUI და QUIDAM ხომ გახსოვს, როგორ იბრუნება ლათინურში ერთიცა და მეორეც. ლათინური QUIDAM შესდგება ნაცვალსახელიდგან QUI და უცვლელ დამატებისაგან DAM იგივეა ჩვენებური "ვინმე" და ქართულადაც უნდა ბრუნავდეს მხოლოდ პირველი ნაწილი, მეორე კი უცვლელი უნდა რჩებოდეს. ამრიგად სახელობითი ბრუნვა იქნება: "ვინმე", ნათესაობითი — "ვისმე", მიცემითი — "ვისმე", მოქმედებითი — "ვითმე". "ვისმეს" კი ბარბაროსული ქართულია.

ძლიერ ეჯავრებოდა ქართული ენის მოტრფიალე გრიშას, როდესაც ზმნის ზედას თან-ით აბოლოვებდნენ. როდესაც ვეტყოდით, რომ თანი ისმის და იმიტომ სწერენ მას-თქო, გვიპასუხებდა:

- მაშ, რამდენი დამწერია, იმდენი მართლწერა შემოიღეთ ბარემ. ქართული მართლწერა დიაღ რომ ძლიერ მარტივია, მაგრამ ეს მაინც არ არის იმის საბუთი, რომ, ვინც როგორ მოისურვებს, ისე სწეროს, აქაოდა ჩემს ყურს ასე ესმისო. ამრიგად, ვინმე ენამოჩლექილი თავის გამოთქმებისამებრ დაიწყებს წერას და კიდე ერთს ახალ მართლწერას მოგვახვევს თავს.

არა, ბატონო, მაგნაირი განმარტება ძლიერ შორს წაგვიყვანს. მართლწერას თავისი კანონები აქვს. ზმნისზედა ყოველთვის დონით უნდა დაბოლოვდეს და მაგის კანონიც ეგ გახლავს. ამ კანონს თავისი გამონაკლისი აქვს და ეს გამონაკლისი ის არის, რომ მხოლოდ იმ ზმნის ზედას

დაბოლოვება შეიძლება თან-ით, რომელიც ზედშესრულ სახელიდგან წარმოდგება, თუ ამ უკანასკნელის ძირი თან-ით თავდება. მაგალითად, არის ზედშესრული "აქეთი" ან "იქითი". აქედან წარმოებული ზმნისზედა "აქეთ, "იქით", რა თქმა უნდა, დონ-ით ვერ დაბოლოვდება, ოღონდ როდესაც სწერენ, "კარგათ", "ცუდათ", "მჭიდროთ" და სხვ., ეს ქართულის დამახინჯებაა.

- მოდი, გრიშა, რაკი მასე გიყვარს ქართულ მართლწერაზე ლაპარაკი, შეადგინე ერთი ღრამატიკა, - შენიშნა ერთხელ ერთმა ჩვენთაგანმა.

- ღრამატიკის შედგენის რა მოგახსენოთ, მაგას ვერ გავბედავ, - მეტად ძნელი საქმეა და ცოტა სხვა მომზადება სჭირია მაგ საქმეს, ოღონდ მინდა თავი მოვუყარო ყველა ჩემ დაკვირვებას, და იქნებ ერთ დღეს გამოვაქვეყნო შენიშვნების სახით.

გაიარა კიდევ რამდენიმე წელმა და გრიშა საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. დიდხანს დაურჩა უნივერსიტეტში ყოფნა, მთელი ცხრა წელიწადი. ამის მიზეზი ფაკულტეტების გამოცვლა იყო და ერთხელ უნივერსიტეტიდგან დათხოვნაც.

პირველ ხანს თავის სპეციალობას მისდევდა, ექიმობას. მაგრამ გული სხვა მოქმედებას და სხვა მოღვაწეობას ეუბნებოდა. არ გაუვლია დიდ ხანს, სულ სამ-ოთხ წელიწადს თუ ემსახურა ესკულაპ-იპოკრატეს მეცნიერებას, თავი გაანება ადამიანთა ექიმობას, რომ სხვა უფრო რთულის სხეულის ჯანმრთელობა დაესახა მოღვაწეობის საგნად, და გახდა ქ. ბათომის გამგეობის წევრი.

სულ თხუთმეტიოდ წლის წინად საქართველოსთვის დაბრუნებულ ქალაქს, ვინ გინდა არ ეპატრონებოდა და

საქართველოს ამ ძველ ქალაქში თუ ვინმე იყო მოკლებული მზრუნველობას და მნიშვნელობას, მხოლოდ ქართული ელემენტი; ქართული საქმე იყო დაჩაგრული.

როდესაც ზემოთ ვთქვით, სხვა უფრო რთული სხეული დაისახა თავის ზრუნვის საგნად-მეთქი, ქართველი ერი და ქართული ეროვნული საქმე გვქონდა სახეში.

ბათომს ხშირად დავდიოდი და ჩასვლის უმალ გრიშასთან გავჩნდებოდი ხოლმე.

რა რიგ მხიარული და ხალისიანი დამხვდებოდა ხოლმე, მახსოვს, პირველ ხანებში, როდესაც მთელის თავის ენერგიით და ძალღონით ეტანებოდა თავის საქმეს. ისე როგორც გამომიშვებდა, რომ ბათომის ბულვარზე არ გავეტარებინე და არ ეჩვენებინა ბულვარის ის ახალი ნაწილი, რომელიც ზღვისათვის წაეგლიჯათ. წელს გაამაგრებდნენ ერთ პატარა ნაწილს, ჩაყრიდნენ ხეებს, გაისად მეორეს და ამრიგად, გაიხედავდი, რამდენსამე წელიწადში ბულვარს ახალი ხეივანი მომატებოდა. ქუჩებში სეირნობის დროს ჩემს ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რა კარგა იყო მოვლილი და როგორ სუფთად შენახული ქუჩები, ქუჩების გასწვრით დარგულ ტროპიკულ მცენარეულობას და ყვავილებს.

ერთხელ ეშმაკურად მანიშნა თვალით ელექტრონის დიდი ფარნები, რომელიც იმ ხანს მოეწყოთ ქალაქის გასანათებლად და მითხრა:

- მთავრობამ ნება დაგვრთო ელექტრონით მხოლოდ რკინის გზის სადგურიდგან ნავთსადგურში მიმავალი ქუჩები გაგვენათებინა, და ჩვენც მხოლოდ ის ქუჩები გავანათეთ ვითომ, ნამდვილად კი, როგორც ხედავ, ის ქუჩებიც არიან განათებული, რომელნიც პირველთ სჭრიან, ე.ი. მთელი ქა-

ლაქი. მწვადიც შევწვით და არც შამფური დაგვიწვავს. მერე რა ადვილი ხერხი ვიხმარეთ, - ავიღეთ და ყველა ფარანი ქუჩების ჯვარედინებზე ჩამოვკიდეთ.

ერთ-ერთ ჩასვლაზე მახარა:

- რომ იცოდე, რა მშვენიერი ანკარა მთის წყალი მოვიყვანეთ და რა იაფად დაგვიჯდა წყალსადენი!

ქალაქის სისუფთავე, განათება, წყალსადენის მოწყობა, ქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ყველა ამას თავგამოდებით ემსახურებოდა, მაგრამ ყველაზე დიდ მის სიხარულსა და სიამაყეს შეადგენდა სკოლები, რომელთაც ქალაქის თვითმმართველობა ხსნიდა.

საკმარისი რიცხვით როგორც სავაჟო, ისე ქალების სკოლები, - პირველდაწყებითი თუ სახელოსნო, სამოქალაქო თუ პროფესიონალური, - ძლიერ კარგად იყო დაყენებული და მოვლილი. მასწავლებლები თუ სულ არა, დიდი უმეტესობა ქართველები იყვნენ.

ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაზე, მის პოლიტიკაზე იყო, რასაკვირველია, დამყარებული, რომ ყოველნაირ ჯურის ხალხით დასახლებულს, ინტერნაციონალს, როგორც ყოველსავე ნავთსადგურ ქალაქს, ბათომს ქართული სული შენახოდა და ქართული სახე დადებოდა.

გრიშასაც კარგად ესმოდა ეს, და თავგამოდებით და დაუღალავად მუშაობდა ქართულ მოსახლეობის გაძლიერებისათვის, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ქართველობას, ვაჭარი იქნებოდა, მუშა თუ ხელოსანი, მკვიდრი ნიადაგი მოეპოვებინა, ფეხი მაგრად მოეკიდნა.

და აი, ამ აზრის განსახორციელებლად სკოლას ჰქონდა, მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა და უდიდესი როლი. სკოლის საშუალებით უნდა გაძლიერებულიყო ქართული ენა, და, რაც უმთავრესი იყო, სკოლას უნდა განემტკიცებინა ეროვნული შეგნება ეხლახან მშობელ ქვეყნის

წიაღში დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ამავე მოსაზრებით დიდის მზრუნველობით და სიყვარულით უვლიდა გრიშა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლასაც.

ერთხელ არ ჩავსულვარ ბათომს ისე, რომ, თუ ახალი არაფერი არ იყო, ძველი რამ ისევ არ დაეთვალიერებინა ჩემთვის და რამე არ ეხარებინა და მუდამ, სიმღერის ჩასართავისა არ იყოს, ერთისა და იმავე დაბოლოვებით:

ბათომი ქართული ქალაქია, საქართველოს განუყოფელი ნაწილი!

მუდამ-თქო, მაგრამ პირველ ხანს თუ ყმაწვილური ხალისი და გულის სიმხიარულე თან ახლდა გრიშას გამრჯელობას, შემდეგში რაღაც ნაღვლიანი ნოტები მომესმა მის ხმაში, შუბლი ნაოჭებ მოყრილი მეჩვენებოდა და ზოგჯერ თვალებში სევდიან გამოხედვას ვხედავდი.

რაღაც ახალის სულის კვეთება ემჩნეოდა, რაღაც უკმაყოფილების მსგავსი გრძნობა იკიდებდა ფეხს მის გულში.

უკმაყოფილება რითი? ვისადმი?

ვინ იცის, რადგან ერთხელ რა არის, არ შემოუჩივლია...

კილოკავად, გადაკვრით, შორის სიტყვით უთქვამს ზოგჯერ: ძნელი საქმეა საზოგადო მოღვაწეობა, საზოგადოდ, და უფრო კიდევ ჩვენშიო. ბევრი კარგი თვისებაა თავმოყრილი ქართველის ხასიათში, ბევრი სიკეთე სჭირს, - ნიჭიერი, გონება მახვილი, გამჭრიახი, - ოღონდ ამ სიკეთეს და სულის და გონების სიმდიდრეს ზოგი ცუდი რამაც ახლავს. მაგრამ ეგ არაფერია, - უნაკლულო სხვა ვინ არის ქვეყანაზე, ჩვენ ვიყოთ.

უბედურება ის არის მხოლოდ, რომ, ცუდი თუ რამ გვჭირს, ისეთი, რომელიც განსაკუთრებით მავნებელია ჩვენს პირობებში საზოგადო და, კიდევ უფრო, ეროვნულ საქმისათვის.საუბარში, სჯა-ბაასში დაუბრუნდებოდა ხოლ-

მე გრიშას მისი უწინდელი ხალისი, გაცოცხლდებოდა, აიხრიდა თავისებურად ცალ წარბს, გადიხრიდა ტანს მეორე ფეხზე, რომელსაც მოიკოჭლებდა და მოგაჩერდებოდათ თავისის მხიარულის შემკითხავ თვალებით, ან თავისებურად, აუჩქარებლად, მეთოდიურად მოჰყვებოდა მუსაიფს.

თვალ წინ მიდგას ამგვარ მომენტების გრიშას სახე და, რომ მომაგონდება, რომ ასეთი მომენტები უფრო და უფრო ძვირი ხდებოდა მის ცხოვრების უკანასკნელ წლებში, ეხლა, დაგეიანებით, გული დამიღონდება: საჭირო იყო იქნება ახლო მისვლა, უფრო ღრმად ჩახედვა იმ გულში, რომელშიაც სევდიან გრძნობას მოეკალათნა და, მისისავე ლექსის არ იყოს, გულ-ღვიძლის ღრღნა დაეწყო მისთვის.

როდესაც კაცს რამე აზრი აწუხებს, მოუსვენრობას იჩენს, შფოთავს, ადგილს ხშირ-ხშირად იცვლის, თითქო შემაწუხებელ აზრის ძველ ადგილზე დაგდება უნდოდეს და ამრიგად მისი მოშორება.

გრიშამ მიატოვა ბათომი და მასთან ერთად ის მოღვაწეობა, რომელსაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წელნი შესწირა. თბილისში გადმოვიდა და ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას მიჰყო ხელი ქართულ გიმნაზიაში.

ადგილიც გამოიცვალა და საქმეც, მაგრამ ვერ გაუმთელდა ერთხელ გაბზარული გული. ან კი ვინ გაქცევია თავის თავს და თავის აზრებს, თავის ჭირსა და მწუხარებას! თავის სულის განწყობილებას!

ერთხელ ლტოლვილი სიამე ძნელად თუ დაუბრუნდეს სულს.

იჭვი არ იყო, გრიშა სულის ერთგვარ მარტოობას განიცდიდა, და ამ გარემოებას დაედო განსაკუთრებული ბეჭედი მის ხასიათზე და სახეზე: უწინდებურად აიხრიდა

ცალ წარბს, მაგრამ უწინ რომ მხიარული გამოხედვა მოჰ-ყვებოდა ამ მოხვრას, ეხლა რაღაც სევდიანობის ფერი გადაჰკრავდა.

დიდხანს აღარ დასცლია ქართულ გიმნაზიის მასწავ-ლებლად ყოფნა, - სულ ორ თუ სამ წელიწადს თუ იმას-წავლებლა და ადამიანი, რომელსაც ხშირად უთქვამს, ავად-მყოფობა რა არის, არ ვიცი, უეცარმა სენმა რამდენსამე დღეში გამოასალმა წუთისოფელს, მიუხედავად იმისა, რომ თავს ადგა თბილისის მთელი ქართველი ექიმობა.

დიდის ყურადღების ეკიდებოდნენო, რომ ვთქვათ, ეს სიტყ-ვები ვერ გამოხატავენ იმ ზრუნვას და ყურადღებას, რომე-ლიც მათ გამოიჩინეს გრიშას მიმართ.

ეს იყვნენ მეგობრები, რომელნიც მთელის თავის გონების და სულისა და გულის ძალით შეებრძოლნენ ულმობელ სენს, რომ სიკვდილის კლანჭებიდგან გამოეგლიჯათ მათი საყვარელი გრიშა. თვითონ ასმევდნენ და უსობდნენ წამ-ლებს და ამ მოვლის დროს არა ერთს ვეღარ შეეკავებინა ცრემლი. მაგრამ აუცილებელი ხომ იმიტომაც ჰქვია აუცი-ლებელს, რომ ვერ ასცილდები ან არ აგცილდება.

და აი, თვალ წინ მიდგება ამ უკანასკნელ წუთების გრიშას სახე.

დიდი სიცხე აქვს, ვეღარავის ცნობილობს. ბოდავს და ბოდვაში გამოიხატება მთელი მისის სიცოცხლის აზრი, მთელი სიღრმე მისის გრძნობისა იმის მიმართ, ვისაც "ეტ-რფოდა მარად".

ხშირ-ხშირად იდებს წინ მარცხენა ხელს და მის გულ-ზე, ვითომც ქაღალდი იყოს, მარჯვენა ხელის თითს ატა-რებს, თითქო კალამი იყოს და სწერდეს, და თან ამბობს:

- უნდა მივწეროთ ხონთქარს, ნუ ავიწროებს საქართვე-ლოს... ამის უფლება არა გაქვს-თქო, თორემ ინგლისს მივ-

მართავთ და... დაწვრილებით უნდა მიეწეროს; ყველაფერი უნდა ავუხსნათ...

თითქო არ გვესმოდეს, ვინ არის ხონთქარი, უმატებს:

- სულტანუ... სულტანუ...

და გაათავებს ბოდვაში წერას თუ არა, თავს განზე გადიგდებს, ხელებს, ქაღალდად და კალმად რომ ხმარობდა, გადაშლის, გულაღმა დაიდებს აქეთ-იქით ტანის გასწვრივ და დასძენს ისეთის ხმით, რომელშიაც ისმის, - ხომ მართალია, ხომ დაგარწმუნეთ, რომ ასე უნდა მოვიქცეთ:

- უნდა მიეწეროს, უთუოდ უნდა მიეწეროს...

ერთხანს წევს უსიტყვოდ, და მხოლოდ ხშირის, გაძნელებულის სულთქმის ხმა ისმის.

შემდეგ წამოიღებს ისევ მარცხენა ხელს, დაიდებს ქაღალდად და იწყებს მარჯვენა ხელის თითით წერას:

- დაუყოვნებლივ უნდა მიეწეროს ხონთქარსაც და ინგლისის მთავრობასაც, რომ საქართველო არაფერ შუაშია... რუსეთის პოლიტიკის პასუხისმგებელი არ არის... უნდა მიეწეროს... არ შეიძლება, ხმა უნდა ამოვიღოთ...

რა მარტივსა და ახირებულ სიტყვებად გამოგახატვინა, საყვარელო გრიშა, ბოდვამ მთელის შენის სიცოცხლის ზრახვანი და ნატვრანი, შენის ცხოვრების საგანი.

ამ საგანს უტრიალებდა ყველა დანარჩენ გრძნობა დაკარგულ შენის გონების უკანასკნელი გამოკრთობა, იმ საგანს, რომელსაც, შეგნების პირველ წამიდგან მოყოლებული უკანასკნელ სულთქვამდე, უგალობდი შენს ჰიმნს:

"შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად"...

გაბრიელ ეპისკოპოსი

- დაიძინე, დაიძინე! დრო რომ მოვა, მე თვითონ გაგაღვიძებ, - მეუბნება ჩემი ბიძაშვილი, რომელიც სობოროში საალდგომო წირვაზე წაყვანას დამპირდა.

- დაიძინეო? ადვილი სათქმელია. ვწევარ ტახტზე, ჩუმადა ვარ, მაგრამ ძილს რა მოაკარებს ჩემს თვალებს, როდესაც აგერ გვერდზე ვხედავ სკამზე დალაგებულს, გამზადებულს ტილოს ახალ ხალათსა და შარვალს და სკამ ქვეშ ახალ ლაფჩინებს, როგორც ეძახდნენ ქუთაისში მეწულისაგან შეკერილ ქუსლიან ფეხსაცმელს.

ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, მე რომ მოუთმენლობამ ამიტანა: როდის იქნება დაღამდება და წასვლის დრო დადგება, გამოვეწყო ახალ ტანისამოსში და სობოროში წავიდე-თქო.

საღამომდე ამ მოუთმენლობას მინელებდა ჩვეულებრივი ამ შემთხვევაში შინაური ფაციფუცი, მზადება და, რაკი ოჯახში ყველაზე უმცროსი მე ვიყავი, ოღონდ არც ისე პატარა, რომ ჩემი დასაქმება არ შეძლებულიყო, ხშირი გამოძახება:

- აბა, ერთი გადირბინე, შენ გაზდას, დუქანში და მოიტანე...

ან: - გაიქეცი ერთ წამს მეფურნესთან, ჰკითხე, ბატკანი შეიწვა თუ არა-თქვა...

საბედნიეროდ, ყველა ამას ერთბაშად კი არ დამაბარებდნენ: ერთი ათჯერ მაინც გამარბენინეს და მომარბენინეს.

ეხლა კი საქმე აღარაფერი მაქვს, და წირვაზე წასვლის მოლოდინმა უკიდურეს წერტილამდე აიტანა მოუთმენლობა.

საზეიმოდ გამოწყობა და საზეიმოდვე გამოწყობილ ხალხში გარევა უკვე საკმარისი მიზეზია ამისათვის, ხოლო მე კიდევ ერთი სხვაცა მაქვს, რომელიც განსაკუთრებით აღელვებს ჩემს პატარა გულს და ცნობის მოყვარეობას მიღიზიანებს: თვით გაბრიელ ეპისკოპოზია მწირველი.

გამახსენდა, როგორის მოკრძალებით ახსენებენ ხოლმე მის სახელს უფროსები, როგორის მოწიწებით ლაპარაკობენ მის შესახებ, და, თუმცა ერთხელ თუ ორჯერ მინახავს შემთხვევით ქუჩაში, ის აზრი, რომ ახლო ვნახავ და ამასთან მწირველს, მოსვენებას არ მაძლევს.

- აბა დროა, მოვემზადოთ, - მეუბნება ჩემი ბიძაშვილი. და თვალის დახამხამებაზე უკვე გამოწყობილი ვიყავი.

მოუთმენლად ვაყოლებ თვალს ჩემის ბიძაშვილის მოძრაობას, დინჯად და აუჩქარებლად რომ იცვამს, და დროგამოშვებით ვაჩქარებ:

- მალე, ვასიკო, თორემ ლიტანიას ვერ მივუსწრებთ.

- ნუ გეშინია, მივუსწრებთ, დროზე მივალთ.

როგორც იქნა, გამოვედით, გავიარეთ ეზო, - დიაღ, იმ დროინდელ დალოცვილ ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს უდიდეს ქალაქში, სახლს ვერ ნახავდი თითქმის უეზოოს და ზოგი ხომ სოფლურად შუა ეზოში იყო მოქცეული და ხეხილის ხეებს ამოფარებული, - და სობოროსკენ გავუდექით.

უმთვარო, მაგრამ საუცხოოდ მშვიდი და თბილი ღამე იყო. ოდნავ სიო სახეს გვიკოცნიდა. თბილი და რბილი აპრილის ნაზი, წყნარი ჰაერი, ხეხილის ყვავილებისა და იასამნის სუნით გაჟღენთილი, იმ ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ რაღაც ნეტარებით უვსებდა ადამიანს სულსა და გულს. ნამდვილი აღდგომის ღამე!

სობოროსთან რომ მივედით, ჩემმა ბიძაშვილმა დამარიგა, არ მომშორდე, თორემ დიდი ხალხი იქნება და გაგსრესენო.

მაგრამ, რისი დარიგება: მე წინდაწინვე მქონდა გულში გადაწყვეტილი წინა რიგში მოქცევა, რომ ეპისკოპოზი ახლოს მენახა.

შიგ სობოროში ტევა აღარ იყო. აქ გამოვიყენე ჩემი უპირატესობა — პატარა ტანი, ავამუშავე იდაყვები, გავძვერი, გამოვძვერი და იმდენი მოვახერხე, რომ ამბიონთან ამოვყავი თავი.

დაიწყო ლიტანია. აგერ თვით ეპისკოპოზიც: წინ მოუძღვის ცნობილი თავისი საუცხოო ხმით მთავარდიაკვანი შარაბიძე, - ის რომ ასამაღლებელს იტყოდა, გუმბათის ვიწრო სარკმლებს ზანზარი გაჰქონდა.

ისევ ამბიონთან ვარ. ეპისკოპოზი ამბიონზეა და "ქრისტე აღსდგა"-ო ულოცავს ვიღაცას და ჰკოცნის, მერე მეორეს.

გავბედე, შევდგი ფეხი ერთ საფეხურზე, მერე მეორეზე და წინ წავიწიე.

ქრისტე აღსდგა! — დამადო ხელი მხარზე და მაკოცა. სიხარულისგან დაბნეულს "ჭეშმარიტად" ყელში გამეჩხირა.

გათავდა ლიტანია. დაიწყო წირვა. თვალს არ ვაშორებ ეპისკოპოზს.

ვისმე რომ ეკითხა, რას მისჩერებიხარ მოჯადოებულსავითო, ალბათ ვერავითარ პასუხს ვერ მოვახერხებდი მაშინ.

რად მიეჩერებოდი? განა დიდებსაც იგივე არ გვემართე-

ბა, როდესაც პირველად ვხედავთ გამოჩენილ, დიდ პიროვნებას?

დიდის ყურადღებით ვუკვირდებით, ვუსინჯავთ გარეგნობას, ქცევას და მიხვრა-მოხვრას. ერთის სიტყვით, ვეძებთ მისის ნიჭის გარეგან ნიშნებს.

უმეტეს ნაწილად პირველ დანახვაზე ასეთს ნიშნებს ვერ ვპოულობთ და, ცოტა არ იყოს, იმედ მოტყუებულნი გუნებაში ვამბობთ: ისეთივე ყოფილა, როგორც სხვებიო!

მხოლოდ უფრო გვიან, როდესაც საქმეში ვნახავთ, თავის სტიქიონში, ერთბაშად ვუპოვით ხოლმე იმ რაღაც განსაკუთრებულს, სახეში, თვალებში თუ ხმაში, რაც განარჩევს მას უმრავლესობისაგან.

მეც ამ ინსტიქტიურმა ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა ალბათ იმ აღდგომა ღამეს, ისე რომ მივჩერებოდი ეპისკოპოზ გაბრიელს.

ოღონდ ჩემი ცნობისმოყვარეობა უფრო ბედნიერი გამოდგა; რაც გამიგონია, გამართლებული გამოდგა: გარეგნულადაც დიდ პიროვნებას ვხედავდი.

აქაც რომ ეკითხნა ვისმე, რაშიდ იხატება, რაზედ ატყობ, რომ შენს წინ დიდი პიროვნებაა, ვერც ამ კითხვაზე მოვახერხებდი ალბათ პასუხს.

არ ვიცი, რაღაც სხვანაირია, სხვებს არ გავს-მეთქი, ვიტყოდი ალბად.

უფრო გვიან მხოლოდ, როდესაც კიდევ და კიდევ ვნახე, განსაკუთრებით, როდესაც ერთი მისი ქადაგება მოვისმინე და ამ ქადაგების დროს მის ნაღვლიან სახეს და მწუხარე თვალებს თვალმოუშორებლივ მივჩერებოდი, მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მაშინ მივუგენ მისის მაღალის სულის და გულის სიღრმის ნიშნებს.

1884-ში თუ 1885-ში, ერთის სიტყვით, ნახევარი საუკუნეა მას აქეთ, ქუთაისის გიმნაზიაში მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც ძლიერ ააღელვა ქართველი საზოგადოება.

ოცდათერთმეტ მაისს, სამოსწავლო წლის უკანასკნელ დღეს, გიმნაზიის დირექტორმა მასწავლებელთა ამალის თანხლებით ჩამოიარა ჩვეულებისამებრ ყველა კლასი და გამოაცხადა წლიურ სწავლის შედეგები, — ვინ იყო გადაყვანილი შემდეგ კლასში და ვინ რჩებოდა.

ჩამოიარა დირექტორმა კლასები, გამოაცხადა შედეგები და მოწაფენი დაიშალნენ, წავიდ—წამოვიდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ოღონდ...

ოღონდ იმავ საღამოს გიმნაზიის უშველებელ გძელ შენობას, ქუჩიდგან ფანჯრებს და ეზოს მხრივ შენობის მთელ სიგძეზე დაყოლებულ შუშაბანდს ერთი მთელი მინა აღარ შერჩენოდა; მთლად დაემსხვრიათ და დაელეწათ იმ მოწაფეთ, რომელნიც უკვე წინა წელს იყვნენ დატოვებული თავიანთ კლასებში და ეხლა, რაკი ისევ ვერ ეცნო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს შემდეგ კლასში გადაყვანის ღირსად, ხოლო მესამე წელიწადს იმავ კლასში დარჩენა კანონით აკრძალული იყო, გიმნაზიიდგან დათხოვნილი აღმოჩნდნენ.

გიმნაზიაში იმჟამად ირიცხებოდა ხუთასამდე მოწაფე, და ამათგან უნიჭობის გამო, - ასეთი იყო პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილების აზრი, - დათხოვნილი იყო ას ოცი მოწაფე, ყველა ქართველი.

ამ მოვლენამ ძლიერ ააღელვა საზოგადოება.

- როდის აქეთ არის, რომ ასეთი უნიჭონი აღმოჩნდნენ ჩვენი შვილები, - ამბობდნენ წყრომით მშობლები.

- ამის მსგავსი მაგალითი ჯერ ქვეყანას არ უნახავს, - ღელავდნენ არა მშობლებიც, მთელი საზოგადოება.

ხუთასს ბავშვსა და ყმაწვილში ყოველთვის გამოერევა რამდენიმე ისეთი, რომელიც სიზარმაცისა, თუ სხვა რამე მიზეზის გამო ჩამორჩება სწავლას და ამიტომ შემდეგ კლასში გადაყვანის ღირსი არ იყოს, მაგრამ ხუთასიდგან ასოცი, ესე იგი, მოწაფეთა რაოდენობის მთელი მეოთხედი? წარმოუდგენელია და გაუგონარია!

ქუთაისის საზოგადოების მღელვარება თბილისის ქართველობასაც მოედო, - გულს მოხვდა სხეულის ტკივილი. "ივერია" გამოეხმაურა ამ მოვლენას და მისი ნამდვილი მიზეზი გამოშალა.

თვით ქუთაისში გადადგეს რაღაც ნაბიჯები თავადაზნაურობის წინამძღოლმა და ქალაქის მოურავმა, მაგრამ გაიარა ერთმა-ორმა თვემ, და დათხოვილ მოწაფეთა ამბავი მიყუჩდა, ყველას მიავიწყდა.

დადგა ენკენისთვე, დაიწყო ახალი სამოსწავლო წელი. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩამდგარიყო, - ასოც ქუჩაში გაყრილ ყმაწვილის ამბავი აღარავის აგონდებოდა... გარდა ერთისა, რომლის მუდამ ჩაფიქრებული სახე და ნაღვლიანი თვალები მოწმობდნენ თავის სამწყსო ერისათვის მუდმივსავსე ფიქრსა და დარდს...

ერთ უმშვენიერეს სანახავთაგანია ქუთაისის ის ნაწილი, სადაც მქუხარე და მშფოთავ რიონს, რომელიც თითქო მორევია ბოლოს მის შემავიწროებელ მთებს, აქეთიქით გაუწევია მათი კალთები და თავისი კალაპოტი გაუგანიერებია, ერთხელ კიდევ სცდილობენ გადაეღობონ კავკასიონის უკანასკნელი დაპატარავებული ქედები არქიელის გორისა და მწვანეყვავილას სახით.

ამ უკანასკნელის დაბრკოლებით განრისხებული რიონი ბრაზობს, ღრიალებს, ქაფს იყრის და ძალზე სცემს ტალღებს კლდიან ნაპირებს.

რად წყრები, რიონო? შემცდარხარ, თუ გგონია, შენს შესავიწროებლად დაუყენებია შენს მშობელს კავკასიონს ეს ორი დარაჯი.

არა, პირიქით! შენისა და შენის ძმა ერის ცხოვრების თავისუფალ დენის დასაცველად აუმართავს ისინი შენის ქვეყნის ბუნებას.

განა ის ციხე, ამ სიმაღლეების ერთ-ერთ თავზე რომ ხედავ, შენ საწინააღმდეგოდ არის აგებული?

ვის უნახავს თოფის სროლით და ტყვიის ფრქვევით ემუქრებოდნენ მდინარეს და მერე ისე მშვენიერს და კისკასს, როგორიცა შენა ხარ, რიონო?

ან კიდე ამ მთებს შუა ცელქად დენა არ სჯობია, რიონო, გაშლილ ვაკეზე დამდორებას?

იქაა, რომ სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს გავხარ, მხნესა და გამრჯელს!

აქაა, რომ შენი მღელვარე დენა ცხოვრების სარკედ გვევლინება, - ცხოვრება ხომ მოძრაობაა და ბრძოლით წინსვლა...

იშვიათ სილამაზით არის მოხაზული ეს ორი მაღლობი, - პატარა, რომ მთის სახელი ატაროს და სერად — მეტად დიდი, - არქიელის გორა და მწვანეყვავილა.

ერთი, რომლის კაკლებისა და ცაცხვების მწვანეს ოქროში ავლებს სამხრეთის მზე, გაშლილი და მხიარული.

მის თავზე და კალთებზე დაყრილან ბაღებში პატარა სახლები, და ბილიკებით და ვიწრო გზებით ადის და ჩამოდის ხალხი. აქ მოძრაობაა და ცხოვრება.

მეორე მელანქოლიურია და სევდის აღმძვრელი.

ჩამავალ მზის სინათლე ნაზად ინთქმება მის ყვავილებით სავსე მწვანეში, მინამ სულ არ გაჰქრება და ამ სერის ზედაპირზე არ გამეფდება ისეთივე სრული სიბნელე და სიჩუმე, როგორიც სუფევს მრავლად დაყრილს მის გულზე საფლავებში, - მწვანეყვავილა ქუთაისის ძველი სასაფლაოა.

იქ, არქიელის გორაზე, ძველის ბაგრატის ტაძრის მეზობლად ცხოვრობს გაბრიელ ეპისკოპოზი.

... ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ? ვისთვის რას იტყვი!..

მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...

უტყვი? არა, პოეტო, სხვა ვერ მიმხვდარიყო იქნება, რას ბუტბუტებდა მოდუდუნე მტკვარი, შენ კი, ზეგარდმო ნიჭით ცხებულს, კარგად გესმოდა, რასაც მოგითხრობდა "მრავალ დროების მოწამე", რას ჩიოდა.

გესმოდა და ამიტომაც წყლის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად მოსული არა თუ ვერ გაერთე, სევდამ გიმატა და

... ჩვენი ცხოვრება
ფუჭი და მხოლოდ ამაოება...
გეჩვენა.

შენსავით სევდიანი, შენსავით ზეციურ მადლით ცხებული, შენის ფიქრების და დარდის მოზიარე სხვა ვინმე ქართველი შენებრ ყურს უგდებდა იმავ მრავალ დროების მეორე მოწამეს, - რიონის შხუილს, და რიონიც იმას ეტყოდა ალბად, რაც მტკვრის დუდუნში შენ გესმოდა.

და ყურით მონასმენი განა იმავ წამს თვალთ გამოხედვაში არ გამოიხატება?

ამიტომაც იყო, რომ ისე ღრმად ჩახვეოდა გაბრიელს მწუხარება სადღაც შორს, რაღაც უჩინარ სახეებს მიპყრობილ თვალებში.

ქუთაისის გიმნაზიას თავისი, წმ. ნიკოლოზის სახელის ეკლესია აქვს. ამიტომ ნიკოლოზობას ეპისკოპოზი აქ სწირავდა ხოლმე.

იმ წელსაც, როდესაც მოხდა ასოც ყმაწვილის დათხოვნის უცნაური ამბავი, ეპისკოპოზი გიმნაზიაში მობრძანდა საწირველად.

საზეიმოდ გამოწყობილნი ვდგავართ ეკლესიაში უფროს-უმცროსნი, მასწავლებელ-მოწაფენი. ადგილის სიწმიდეზე უფრო ეპისკოპოზის იქ ყოფნა მოქმედებს ჩვენზე, - კრძალვით ვუსმენთ მის წირვას.

წირვა თავდება კიდეც, ეპისკოპოზი გამოდის საკურთხევლიდგან. კვერთხი მიართვეს.

დაებჯინა ორისვე ხელით კვერთხს, გადაიხარა ჯერ მარჯვნით, მერე მარცხნით, უფრო მაგრად დაეყრდნო კვერთხს და:

- ჩემო შვილებო, - დაიწყო ისეთის ხმით, რომელიც ორატორულ მიხვრა-მოხვრისა და შთაბეჭდილების მოსახდენად გარეგან ნიშნების ხმარების არავითარ მოლოდინისათვის ადგილს არ იძლეოდა, მაგრამ... პირველ გაგონებისთანავე იპყრობდა მთელს თქვენს არსებას და გიმონებდათ განსაკუთრებულის სიწრფელის ჰანგებით.

მსმენელი გრძნობდა, რომ ის, რასაც ეპისკოპოზი ამბობდა, არ იყო მორალურ ფორმულების ჩვეულებრივი გადაშლა, მოვალეობის უბრალო ასრულება; რომ ის აზრები, ის საკითხები, რომელთაც ის ეხებოდა თავის ქადაგებაში, არა თუ ღრმად ჰქონდა მოფიქრებული, არამედ მთელს მის ცხოვრების საგანს შეადგენდა და მისის ღრმა გონებისა და გრძნობის, მისის მაღალ და სპეტაკ სინიდისის საუცხოვო ნაყოფი იყო...

- ჩემო შვილებო, თქვენ დღეს მოისმინეთ სახარების სიტყვები: ღმერთი, ვინც უყვარს, იმას სჯის...

სახარების ამ სიტყვების შესახებ მინდა გელაპარაკოთ...

დღეს, თქვენ, ჩემო შვილებო, და უფრო თქვენ, აღმზრდელნო და მასწავლებელნო!

ზარმაცის, გაუგონარის, ცუდის ყოფაქცევის ბავშვის თავიდან მოშორება, დათხოვნა და ხელის დაბანა, - ამაზე ადვილი რა იქნება, - ამბობდა ეპისკოპოზი, - მაგრამ ეს არ არის აღმზრდელის დანიშნულება. მას მეტი მოთმენა სჭირია, ვიდრე რაც გინდა სხვა ხელობის კაცს. და მეტი კიდევ სიყვარული მათდამი, ვინც ხვალინდელ საზოგადოებას წარმოადგენენ. უდიდესია მოვალეობა იმათი, ვინც მომავალ თაობის აღმზრდელობას კისრულობს და უმაღლესი, და აღმზრდელს არ აქვს უფლება სთქვას, რაც შემეძლო, ვქენ და მეტი აღარ შემიძლიანო. დასაჯეთ, გაუჯავრდით, დასტუქსეთ ზარმაცი და გაუგონარი და უფრო კიდე შეეცადეთ სიყვარულით და მოთმინებით მიუგნოთ მისის ბუნების კეთილი მხარენი და მისის ნაკლულოვანების მიზეზები...

ერთხელ ერთ ინგლისურ სკოლის გამგემ, იტონის სკოლის, მიჰმართა ბავშვებს და ჰკითხა: რა გირჩევნიათ, სკოლიდგან დაგითხოვოთ თუ წკეპლა დაგარტყათ სიზარმაცისა და დანაშაულისათვისო.

და იცით, რა უპასუხეს ბავშვებმა, იმ ეშმაკმა ინგლისელმა ბავშვებმა? — გაგვწკეპლეთ, ოღონდ ნუ დაგვითხოვთო, - ერთხმად შესძახეს მათ...

დათხოვნა, თავიდგან მოშორება, ამისათვის აღმზრდელობა არ არის საჭირო...

უნდა გენახათ, რა დღე დაადგათ ჩვენს მასწავლებლებს, დირექტორს. ეპისკოპოზის სიტყვები გახურებულ შანთსავით ხვდებოდა მათ დამნაშავე სინდისს. კარგად მიუხ-

ვდნენ მღვდელმთავარს მის ნამდვილ აზრს: სკოლაში პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდესო, და გაჭარხლებულნი საჩქაროდ გაიკრიბნენ ეკლესიიდგან და ქადაგების დასრულებასაც არ მოუცადეს.

წარსული საუკუნის ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლები საშინელი რეაქციის ხანას წარმოადგენდნენ.

ჩვენში ჯერ არ გაჩენილიყო პოლიტიკური პარტიები, არც რევოლუციური. ამიტომ ადვილი მისახვედრია ჩვენს ეროვნულ მოღვაწეთა გამოსვლები ახდილად რევოლუციურ ხასიათს ვერ მიიღებდნენ. საჯარო სიტყვისათვის შეიქნა ერთნაირი ფორმა, - გარეგნად კანონიერი და შინაარსით უკმაყოფილებისა და ეროვნულ წყრომის გამომთქმელი და ეროვნულ ზრახვათა ნათლად გამომსახველი.

ასეთი იყო გაბრიელ ეპისკოპოზის ის სიტყვა, რომლითაც ის დახვდა ალექსანდრე მესამეს.

1888-ის შემოდგომაზე ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა საქართველოში. ჯერ თბილისს მოვიდა, მოიარა კახეთი და ბოლოს ქუთაისს მოვიდა.

აქ სადგურიდან პირდაპირ სობოროში გაემართა, სადაც გაბრიელს პარაკლისი უნდა გადაეხადნა.

ეტლი სობოროს კიბესთან გაჩერდა. ხელმწიფემ ამალის თანხლებით აიარა კიბე, შევიდა სობოროში და ამბიონისკენ გაემართა, როდესაც ეპისკოპოზის ხმა მოესმა:

- შედექ, რუსეთის ხელმწიფევ...

ხელმწიფე შეყოყმანდაო, ამბობდნენ დამსწრენი, უნდოდა სვლა განეგრძო, მაგრამ უნებლიედ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოზის შემოძახებამ მოასწრო, და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპისკოპოზის სიტყვა.

- ... ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინშიო, - უთხრა სხვათა შორის თავის მისალმებაში გაბრიელმა, - და როგორც ასეთი სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვსო...

ეროვნული უკმაყოფილება და ჩივილი იმდენად ნათლად იყო გამოთქმული ეპისკოპოზის სიტყვაში, რომ იმთავითვე გუნება გაფუჭებული იმპერატორი სულ მოიღრუბლა. ის ღრუბელი ვერც იმ საღამოს თავად-აზნაურობის მიერ გამართულმა ნადიმმა გადუყარა სახიდგან.

ვისაც ეპისკოპოზ გაბრიელის ქადაგებანი მოუსმენია ან წაუკითხავს, ადგილად დაინახავდა, რა ცოტა ადგილი უჭირავს მათში სარწმუნოების დოღმატიურს მხარეს და ეკლესიურ ელემენტებსაც კი, სამაგიეროდ, რა სიმდიდრეა ზნეობრივ და ფილოსოფიურ საკითხებისა, რა ღრმაა და იმავ დროს, რა სადა მათი განმარტება!

საღვთისმეტყველო საგნებს შორის არის ერთი, - ჰომილეტიკა ჰქვიან, რომელიც ასწავლის, როგორ უნდა დალაგდეს და წარმოითქვას ქადაგება.

ეპისკ. გაბრიელსაც უთუოდ გავლილი ჰქონდა ჰომილეტიკის კურსი, მაგრამ მისთვის ის ზედმეტი და გამოუსადეგარი იყო, რადგან მის ღრმა ნიჭსა და მაღალ სულს თავისი წესები და თავისი გზები ჰქონდა, თავისი განსაკუთრებული სიტყვა თავისი აზრების გამოსათქმელად; იმდენად განსაკუთრებული, რომ თამამად შეიძლება მისი სახელი დაერქვას და მქადაგებელთათვის მისაბაძ მაგალითად დაისახოს.

უნივერსიტეტში ახალი შესული ვარ. გიმნაზიურ პატარა კლასის შემდეგ, სადაც სულ ოცდაათიოდე მოწაფე ვიყავით, უნივერსიტეტის კურსი, სადაც სამასზე მეტი სტუდენტია, მეუცხოვება: ჯერ ოცდაათშიაც ზოგი კლასის ამხანაგია, ზოგი ნამდვილი მეგობარი, ამ სამასში კი ბევრი, იქნება, სწავლის ბოლომდე უცნობი დამრჩეს.:

საჭიროა, ზოგი მაინც გავიცნო, ამხანაგები გავიჩინო.

ვინ არ გინდათ, არ იყოს სამასს ყმაწვილში, რუსი და უკრაინელი, მრავლად არიან ებრაელებიც, სომეხი, ბერძენი, პოლონელი და სერბ-ბულგარელებიც კი.

ამ უკანასკნელთ, სერბ-ბულგარელებს, ამ უნივერსიტეტში, - კიევისაში, - სამხრეთ სლავიანების სახელით უფასო სწავლის პრივილეგია აქვთ მინიჭებული.

ქართველ სტუდენტებს ძლიერ გვეინტერესება სერბ-ბულგარელების აზრი რუსის მთავრობის ასეთი არშიყობის შესახებ.

გავეცანი ერთს ბულგარელს და, როდესაც მისის ქვეყნის ამბავი ვკითხე, - ხომ სულ ათის-თორმეტის წლის წინ განთავისუფლებული ერი იყო, - ცივი წყალი გადამასხა:

- მე რომ შენის ქვეყნის ამბავს არ გეკითხები, შენ რაში გეინტერესება ჩემიო?

მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, ერთი სასიამოვნო რამ კი მითხრა:

- საქართველო? ეს ის ქვეყანაა, რომელსაც განთქმული გაბრიელ ეპისკოპოზი რომ ეკუთვნის? — მკითხა და როდესაც გაკვირვებულმა ვკითხე, საიდან იცოდა გაბრიელის სახელი, მიპასუხა:

- გაბრიელ ეპისკოპოზის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, როგორც შეუდარებელ მქადაგებლისა და მისი ქადაგებანი ბულგარულ ენაზე ნათარგმნია და გამოცემული.

საქართველოსი ამ ჩემმა ბულგარელმა სხვა არა იცოდა გარდა იმისა, რომ ის იყო ეპისკოპოზ გაბრიელის სამშობლო.

გაბრიელ ეპისკოპოზის მაღალის ნიჭის დიდი და მაჩვენებელი საბუთი ამაზე უკეთესი რაღად გინდათ: შორეული, სულ სხვა ტომის ერი სთარგმნის მის ქადაგებათ.

არა ნაკლები, თუ უფრო დიდი მნიშვნელობისა არა, აქვს ამ მხრით იმას, რომ გაბრიელის ქადაგებანი ნათარგმნი იყო და გამოცემული აგრეთვე ინგლისურად ბრიტანეთის საბიბლიო საზოგადოების მიერ.

1901-ში თუ ორში "მოამბ"-ის ერთ-ერთ სარედაქციო სხდომაზე განსვენებულმა იონა მეუნარგიამ, ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების დაუღალავმა მკვლევარმა, წაგვიკითხა ჟურნალში მოსათავსებლად მოტანილი გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია.

შემდეგ, სარედაქციო მუშაობა რომ გათავდა და დამსწრენი, ჩვეულებისამებრ, კერძო მუსაიფს შეჰყვნენ, - აღარ მახსოვს, რამ მოიტანა, - იმავ იონამ გაბრიელ ეპისკოპოზის და მუხრან-ბატონის მიწერ-მოწერის ამბავი გვიამბო.

გაბრიელ ეპისკოპოზს დიდი წერილი მიეწერა მუხრან ბატონისათვის ამ უკანასკნელის მიერ გამოქვეყნებულ ბროშურის გამო.

მუხრან-ბატონი თავის ბროშურაში "ო სუშჩესტვე კრუპნიხ ედინიც" წესს უგებდა პატარა ერებს. ის ამტკიცებდა,

რომ სახელმწიფოს ერთი ენა უნდა ჰქონდეს, და ამიტომ დიდ სახელმწიფოებისაგან პატარა ერებმა უნდა შეითვისონ მისი ენა, თავიანთი კი უნდა დაჰკარგონო.

აი, ამ აზრის წინააღმდეგ მიეწერა გაბრიელს თავისი პასუხი.

გაბრიელის ეს წერილი და მუხრან ბატონის პასუხი მასზე გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ დაისტამბა "მოამბე"-ში (1896 წლის მარტის ნომერში).

ძლივს შემიკავებია თავი, სავსებით არ გადმოვწერო აქ გაბრიელის წერილი, ისეთი მშვენიერია თავისის შინაარსით, თავისის, გაბრიელისებურის, კილოთი და ქართულით.

მისი სავსებით გადმობეჭდვა, ცოტა არ იყოს, ფერს უცვლიდა ამ წარსულთა სახეების გამოძახების ხასიათს, ბიოგრაფიების წერას დაამსგავსებდა, ხოლო ასეთი არ არის ჩემი განზრახვა და არც სურვილი...

გაბრიელის წერილი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ საპოლემიკო გამოლაშქრებას. ეს არის წყნარი, დინჯი და თავაზიანი მსჯელობა ბრძენისა და, რაც უფრო საგულისხმიეროა, თავის ერის და მისის ენის უსაზღვრო გულშემატკივარისა.

გაბრიელის კალმის და სულის ამ თვისებების დამამტკიცებელი იმაზე უკეთესი საბუთი რაღა იქნება, რომ თვით მოკამათე ასე იწყებს თავის პასუხს:

"გულსა შინა არა არს ზაკვა", ვიწყობ ამ სიტყვით: რასაცა სწერ, იმასა გრძნობ, მაშასადამე, წრფელის გულით მოვისმენ და შევისმენიცა მოწერილობა შენი, ნაყოფი წრფელისავე გულისა"...

"მაღალ და ვრცელს მნიშვნელობას აძლევ ენას, - სწერს სხვათა შორის გაბრიელი მუხრან ბატონს, - როდესაც

იტყვი: "ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის". სხვა ვინმესთან, არა ისე განათლებულთან და ლოღიკის მცოდნესთან რომ მქონდეს ბაასი, მე ამ სახით ვუპასუხებდი: თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისთვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მის შეკეთებას, გავრცელებას, დამარხვას და არა დაკარგვას...

... მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე შენთან ვერ გამივა. შენ მაშინვე სიტყვას გამიწყვეტ და მიპასუხებ: "თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მცირე ხალხის ენა მოისპოს და დიდი ხალხის ენა გავრცელდეს, რაც გინდა იწუხოს და იზრუნოს პირველმა, ბუნება მის წესზე ვერ გადავა". მართლა, თუ ის აზრი, რომელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში, ბუნების კანონია, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაპარაკი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულერთია, მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი?"

ამას თეორიულად ამტკიცებო, განაგრძობს გაბრიელი:

"შენი თეორიის თავსაკიდური აზრი ეს არის: "სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი; ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს; ენა სულია ორგანიზმის, მაშასადამე, ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში...

"ეს აზრი თეორიულია. შედარებით ანუ დამსგავსებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო არის ორგანიზმი, მაგრამ ასოდ-ასოდ არ მიიღება ეს დამსგავსება.

"მართლა, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ე.ი. ადამიანთა, რაც გინდა მჭიდ-

როდ და მაგრად იყვნენ იგინი შეერთებულნი, ასო-ასოდ ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ.

"პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს ამ შენ თეორიას?..

"თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერაოდეს ვერ ახსნის მრავალფეროვანსა, მრავალკერძოსა, დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივ ისტორიულ ცხოვრებასა"-ო.

ამის შემდეგ გაბრიელს მოჰყავს პატარა ერების მიერ დიდ სახელმწიფოებში თავიანთი ენის შენახვის მაგალითები და მათ შორის ბასკებზე მიუთითებს:

..."სუყველანი ამბობენ, რომ ფრანციისთანა ერთგვაროვანი და ერთენოვანი სახელმწიფო არ არისო ევროპაში, მაგრამ აქაც სამხრეთით, ისპანიის საზღვრებთან ახლაც სცხოვრობს ერთი ძველი იბერეთის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველს ენას ხმარობს. გასინჯე, რომ ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ძველი ენა, რომელსაც ხმარობს ერთი მუჭა ხალხი ორიათასი წლის განმავლობაში!"...

..."ისტორია, მართალია, იხსენებს მრავალ თესლთა და ენებთა, რომელნი თითქმის განქარდნენ ისტორიულ ასპარეზიდგან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრებისაგან შევიწროება, იძულება, ამოწყვეტა!

"თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებ შენ ისტორიულ კანონს და წესს, მაშინ საწინააღმდეგოს ვერავინ დაგიმტკიცებს"...

ენას ხომ იცავს და იცავს ჩვენი საყვარელი ეპისკოპოზი, მაგრამ დიდად აღსანიშნავია მისი მიდგომა იმ სახელმწიფო თეორიისადმი, რომელიც გაბატონებული იყო იმ დროს მეცნიერებაში. ეს იყო სახელმწიფოს ორგანიული თეორია, რომელსაც სახელმწიფო ერთ მთლიან ორგანიზმად (ცოცხალ

სხეულად) ჰქონდა წარმოდგენილი და რომლის ზოგი მიმ-
დევარი ისე შორს მიდიოდა, რომ ადამიანის სხეულთან
დამსგავსებით, სახელმწიფოს თავიც მოაბა, ხელფეხიც გა-
უჩინა, კუჭი, გული, ფილტვები და ერთობ ყველა ორგანოები
აღმოუჩინა და... ჭიპიც კი უპოვა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რა მარტივის მოსაზრებით და
უბრალო სიტყვებით გააბათილა ეს თეორია გაბრიელმა.

რუსეთში ეპისკოპოზი თავის ეპარქიის დასათვალიე-
რებლად რომ დაიძროდა, გამიგონია, ყველგან ზარების
რეკვით უხვდებოდნენ და აცილებდნენო. ქალაქში თუ
სოფლად საგანგებო ეტლით დადიოდა, რომელსაც ოთხი
და ზოგჯერ ექვსი ცხენი ება წყვილ-წყვილად. ბინაც
დიდი და მდიდრულად მოწყობილი ჰქონდა და ურიცხვი
მოსამსახურე ჰყავდაო.

სულ სხვანაირად სცხოვრობდა გაბრიელ ეპისკოპოზი.
ბინა — უბრალო ერთსართულიანი სახლი, - ქალაქის
განაპირას ჰქონდა, და საწირველად ქალაქში რომ ჩამობ-
რძანდებოდა, უბრალო ბირჟის ეტლს მიართმევდნენ და
ასეთსავე ეტლით ბრუნდებოდა შინ, არქიელის გორაზე.

ძნელი წარმოსადგენია უფრო მთლიანის და ამასთან
ისეთის თავისებურის ბუნების ადამიანი, როგორც გაბრი-
ელ ეპისკოპოზი იყო. მადლიანი და მადლით სავსე იყოო,
- რაღაც გემომოკლებული დახასიათება იქნებოდა. სათ-
ნოება და მადლი მას უთუოდ არ აკლდა, ოღონდ მისის
სახის ღრმა და რთული გამომეტყველება, რომელშიაც სიყ-
ვარული და სიკეთე სიმკაცრის რაღაც მსგავსს ეუღლებო-
და და ყველა ამას მწუხარე, სევდიანი იერი ახლდა, რჩე-
ულთა შორისაც განარჩევდა.

მისი ნაღვლიანი თვალები სადღაც შორს იცქირებოდნენ, მის მსმენელთა თავებს ზემოდ, თითქო სცდილობდნენ სადღაც შორს, მიუწდომელი და საიდუმლოებით მოცული მომავალი განეჭვრიტათ.

ბოროტება და სიავე საკმარისად არის გაბნეული ამ სოფლად, რომ ნამდვილ და ღირსეულ მოძღვრის გული დაამწუხროს, ხოლო გაბრიელ ეპისკოპოზს ამ მწუხარების და ნაღვლის ბეჭედი დასდო არა სიავემ უფრო, რომლის მსხვერპლი ხდება ცალკე პირი, ფიზიკური არსება. მას თვალ წინ ედგა უფრო დიდი მსხვერპლი, მისი დაჩაგრული ერი, დაჩაგრული ისეთის ძალისაგან, რომელზედაც მისი სიტყვა კი არა, ვერ სჭრიდა ვერავითარი ძალა.

ამ ნაღველს ადვილად ამოიკითხავდით მის დამწუხრებულ თვალებში.

მისი სამწყსო, მისი სულიერი შვილნი, ქართველნი საერთოდ ზედ მიწევნით მიხვდომოდნენ თავიანთ გულშემატკივარის სულიერ წამება-ტანჯვას, ნათლად ხედავდნენ, რომ მათმა ეროვნულმა უბედობამ დაუღონა სამუდამოდ სახე და დაუნაღვლიანა თვალები მათ საყვარელ გაბრიელს.

და უნდა ითქვას, ერიც ისეთის ღრმა სიყვარულით, ისეთის გამოუთქმელის პატივისცემით და მოწიწებით უპასუხებდა თავის "გაბრიელს", რომ, ვეჭვობთ, ვისმე სხვას დაემსახურებინოს ასეთი საერთო, ღრმა სიყვარული და პატივისცემა.

თავისი ასეთი გრძნობა ქართველმა ერმა ნათლად გამოხატა გაბრიელ ეპისკოპოზის გარდაცვალებისა და გასვენების დღეებში.

1896-ში ქუთაისს ეწვია ის დიდი ზამთარი, რომელიც იქ იცის დაახლოებით ყოველ ათ წელს. ნინოობას დაიწყო

თოვა და განუწყვეტლივ სთოვდა სამის კვირის განმავლობაში. ორ მეტრზე მეტი თოვლი დასდო. ქუჩებში სიარული შეუძლებელი გახდა და ალაგ-ალაგ ქუჩის ერთი მხარიდგან მეორეზე გადასასვლელად თოვლში გვირაბების გათხრა გახდა საჭირო.

16 თებერვალს, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, გავარდა ხმა, ეპისკოპოზ გაბრიელი გარდაიცვალაო. ქუთათურები ღრმა მწუხარებამ მოიცვა. მაგრამ მწუხარებაცაა და მწუხარებაც. ქუთათურების მწუხარებას რაღაც უნუგეშობის სახე მიეცა, თითქო გაბრიელ ეპისკოპოზის სიკვდილი ბუნების საწინააღმდეგო ყოფილიყოს, თითქო ის სამუდამოდ უნდა შერჩენოდა სააქაოს და უფრო თავის ქვეყანას.

იმ გრძნობამ უნუგეშობისა, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს გამოუცდია, როდესაც საყვარელი არსება დაგვკარგვია და ასე გვგონებია, აწი ყველაფერი გათავდა, ვეღარაფერი გვიშველისო, ეხლა მთელი ერი თუ არა, მთელი ქუთაისი მოიცვა. ოღონდ გასვენების დღემ ნათლად დაგვანახვა, რომ მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, განიცდიდა ამ ღრმა მწუხარებას.

მიცვალებული ქუთაისის სობოროში მიასვენეს, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ხალხის დენა არ შეჩერებულა.

პირველი წირვა სობოროში სწირა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა.

მისმა ამ წირვის დროს წარმოთქმულმა დიდად მჭევრმეტყველურმა და უღრმეს გრძნობით აღსავსე სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

...ლამპარო საქართველოს ეკლესიისა, დიდება ქართველთაო. მოძღვარო ოქროპირო გაბრიელ, ერთი ოდენ მოვა-

ლეობა თანამსახურის მღვდელ-მთავრისა მაბედვინებს მივიღო ჩემს თავზე საშიში პატივი ლაპარაკისა იმ კათედრიდგან, რომელიც განაშვენე შენ"... ასე დაიწყო ეპისკოპოზ გრიგოლმა თავისი შესანიშნავი სიტყვა:

"გარნა, მოძღვარო ჩემო, მე არა ქადაგებასა და არა მოძღვრებასა ვბედავ დღეს ამ კათედრიდგან წინაშე საფლავისა შენისა. მე მხოლოდ მინდა ამა კათედრიდგან თაყვანის გცე უკანასკნელის მადლობითა შენის წმიდა სამსახურისათვის"... და ამ სამადლობელო თაყვანისცემაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა საუცხოვო სიმშვენიერით დახატა განსვენებულის დიდებული სახე და ღვაწლი.

პირველი მადლობა მიუძღვნა სამღვდელოთა და საეკლესიო მსახურთაგან:

"შენ ხარ პირველი მღვდელ-მთავარი ქართველთა, რომელმანცა ამ ძველს ჩვენს სამღვდელოებას, დროთაგან დაჩაგრულს, შთაბერე სული ახალი და მიეც აწინდელი ძალი სამოქალაქო ცხოვრებისა. შენ დაუტოვე მას ძველის ცხოვრებიდგან და საეკლესიო წესიდგან ის, რაიცა ღირს იყო ცხოვრებისა, ვითარცა მემკვიდრეობა ღირსთა მამათა, და აღმოკვეთე იმის ცხოვრებიდგან ყოველივე, რაიცა შეადგენდა ღვარძლსა უსარგებლოსა".

"მეორე მადლობა გშვენის შენ, მოძღვარო, სამწყოსაგან. რამდენი სუსტი სარწმუნოება განამტკიცე; რამდენ ურწმუნოსა განუნათლე გზა დამასკელისა; რამდენი ცრუმორწმუნეობა აღმოფხვრა უვიცის ხალხის გულისაგან შენმა წინასწარმეტყველურმა სიტყვამ! რა ზნეობითი ნაკლულოვანება დარჩა შენს სამწყსოში, რომელიც არ განგემსჭვალოს შენ მახვილის სიტყვითა? რა ღირსება იყო, რომელიც არა გექოს და არ გესწავებინოს ხალხისათვის?.. თითქმის ორ-

მეოც წელი შენ იყავ მოძღვარი უებრო იმერეთისა, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელნი ზრდიდნენ და ზრდიან ახალ თაობათა. შენ მეტი საქმე ჰქმენ, მოძღვარო, შენ ხალხი აღზარდე, გიხაროდენ!

"გმადლობს შენ ერი საქართველოსი, რომელიც განაშვენე შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამა საუკუნოისა, რომელმანცა დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარეობას და ქადაგებას თანასწორ გვიქებდნენ ჩვენ ფრანგნი, გერმანელნი, ინგლისელნი, ე.ი. მთელი განათლებული ქვეყანა.

"გმადლობს შენ ენაცა მშობლიური ენა, რომელიც მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელ პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმიდელისა და ამბროსი მქადაგებელისა უარჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუსადეგარი მეცნიერებისათვის"...

განსაკუთრებულ ამაღელვებელ სიმშვენიერის სიტყვებით დააბოლოვა ეპისკოპოზ გრიგოლმა თავისი მგრძნობიარე სიტყვა, როდესაც პოეტურის სიმკვეთრით და სიმარტივით დაახასიათა გაბრიელის სიტყვის უკვდავი ძალა:

..."ქადაგება გაბრიელისა სძევს ჩვენს ეკლესიაში იქ, სადაც ასვენია ქადაგება მოციქულთა. ამაზე ზევით არ წავა პატივი არა ქართველისა, არა ხორციელი კაცისა!

"საუკუნო გაივლის, რომ ხმა გაბრიელისა კიდევ გაისმოდეს ეკლესიასა შინა ივერიისა პირითა უბრალო მეფსალმუნისათა".

ოღონდ უაღრესად ლამაზი იყო ეპ. გრიგოლის სიტყვის უკანასკნელი აკორდი, რადგან ჭეშმარიტად უმძლავრეს მუსიკალურ სიმფონიის მსგავსად სწვდა მსმენელთა გულის სიღრმეს:

"...სიტყვით წმიდაო, საქმით წმიდაო, ცხოვრებით წმიდაო. შენ სიკვდილითაც დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სხვათა და სხვათა კეთილთა საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება"*.

ეპისკოპოზ გაბრიელის გასვენება და მის საყვარელ გელათში დაკრძალვა დანიშნული იყო 26 თებერვლისათვის.

დიდებული თოვლი არა თუ არ გადნა, არამედ თებერვლის შუა რიცხვებში კიდე ბლომად დაათოვა ზედ, და გასვენების დღეს ისეთივე გაუვალი იყო ქუჩები და გზები, როგორც იანვრის ბოლოს.

ადვილი წარმოსადგენია ამიტომ, რა გასაჭირი მოელოდა იმ ხალხს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა უკანასკნელ განსვენების ადგილამდე მიეცილებინა თავის საყვარელ ეპისკოპოზის კუბო. ამ ხალხის რიცხვი კი უშველებელი იყო, - გელათს მივიდა არა ნაკლებ ათიათასი ქალი და კაცი.

ჩვენ არ წარმოვადგენდით თავისუფალ სახელმწიფოს, რომ მთავრობას ეროვნული გასვენება დაედგინა, მაგრამ უდეკრეტოდაც გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენება ნამდვილ ეროვნული გამოდგა და დეკრეტით დადგენილზე ბევრად უფრო დიდებული, მშვენიერი და გულწრფელი, რადგან ერმა თავისის თავისუფალის ნებით, სრულის შეგნებით, სიყვარულით და წრფელის გულით მოიხადა თავისი უკანასკნელი ვალი დიდებულ მამულიშვილის წინაშე.

არ დარჩენილიყო საქართველოს არც ერთი კუთხე, რომ საგანგებო დელეგაცია არ გამოეგზავნა; არც ერთი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე, გაბრიელის გასვენებას არ დას-

---

* *მთელი თავისი ქონება ეპ. გაბრიელმა უანდერძა ქართულ საგანმანათლებლო საქმეს.*

წრებოდა; არც ერთი სარწმუნოება, რომლის მსახური გაბრიელის კუბო გელათამდის არ მიეცილებინათ.

ილია ჭავჭავაძეს ქუთაისი ახალგაზრდობაში ენახა, რადგან იქ ემსახურნა რამდენიმე ხანი, ოღონდ, ვგონებ, გელათი პირველად ამ დღეს და ამ გარემოების გამო ნახა.

ილიას პირველად გელათში მოსვლა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედრის წინაშე მუხლთ მოსაყრელად და "შენა ხარ, რომ სარწმუნოება გაამეცნიერე და მეცნიერება გაასარწმუნოვე"-ს სათქმელად ერთი საუკეთესო მოწმობათაგანია გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრებისა და ღვაწლის დიდებისა და დიდებულების.

მეცხრამეტე საუკუნის ორი დიდი ქართველი პირველად და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო ერთი ცოცხალი, მეორე კი — მარადისობის საიდუმლოებას ზიარებული.

დიდმა გელათმა საუკუნოდ მიიბარა და გულში ჩაიხუტა ღვთისა და ერის დიდი მსახური ეპისკოპოზი გაბრიელი.

კიტა აბაშიძე

მესამე გაკვეთილი ეს-ეს არის დაიწყო, ლათინურის გაკვეთილია.

მესამე კლასის ორმოციოდე შეგირდი მენცელისებურ* სურათს წარმოადგენს, - ზოგის სახე გულახდილად მოწმობს, რომ ძველის რომის გამოკვეთილ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ ენის შესწავლა იმდენადვე ედარდება, რამდენადაც შარშანდელი თოვლის ამბავი; ზოგი სცდილობს ცრუ ინტერესი გამოიხატოს სახეზე და ინტერესის მაგიერ მისდაუნებურად შიში ეხატება, იმ წყეულმა მასწავლებელმა, ღმერთი არ გაუწყრეს და მე არ გამომიძახოს, გაკვეთილი არ მკითხოსო.

ეგერ ორი სხვა რაღაცას ჩურჩულობს: დროგამოშვებით თვალებს მასწავლებლისაკენ გამოაპარებენ, ხომ არ ესმი-

---

* *მენცელი გამოჩენილი გერმანელი მხატვარია. შესანიშნავია, სხვათა შორის, ორი მისი ნახატი: "გაკვეთილი" და "ორ გაკვეთილს შუა" (შესვენება), რომლებშიაც ცალკე ბავშვების გროვის საერთო სურათსაც იძლევა, ცალკე ყოველ მოწაფის განსაკუთრებულს, ინდივიდუალურ სახეს, თავისის განსაკუთრებულის გამომეტყველებით.*

სო; მაგრამ, სჩანს, ჩურჩულის საგანი მეტად საინტერესოა; ავიწყდებათ, რომ კლასში არიან; ხმას უმატებენ და იწვევენ შემოძახებას, - ჩუმად!

ერთის სიტყვით, კლასის ჩვეულებრივი სურათია, სადაც ბავშვის არსება თავდაცვაზეა გადასული და გონების დასაცავ იარაღად უყურადღებობას და სიზარმაცეს ხმარობს.

ერთბაშად იღება კარი და, - რა მოხდა? რითი აიხსნება მისი შემობრძანება? — შემოდის გიმნაზიის დირექტორი. კლასი სმენად და ყურადღებად გადაიქცა.

- ზ.-შვილო და გ.-ძე, ამ საღამოს, ხუთს საათზე გიმნაზიაში გამოცხადდით, - პანსიონერებად ხართ მიღებული სახაზინო ხარჯით, - გამოგვიცხადა მე და ერთს ჩემს ამხანაგს, გადაავლო თვალი დამფრთხალ მოწაფეთ, გადაუგდო ორიოდ სიტყვა მასწავლებელს და გავიდა.

კლასს გულზე მოეშვა...

საღამოს დანიშნულ დროზე ორი ახალი პანსიონერი გამოვცხადდით ზედამხედველთან. ჩაგვაცვეს პანსიონის ტანსაცმელი, გვიჩვენეს ჩვენი ადგილები სასწავლო დარბაზში, ჩვენის სასწავლო ნივთების უჯრები განჯინებში, მოგვცეს წიგნები და რვეულები და... თავი მიგვანებეს.

პანსიონში ასოცზე მეტი შეგირდი ირიცხებოდა. ამათში არა ცოტა იყო უფროს კლასების მოწაფე, მაგრამ უმრავლესობას უმცროს კლასების მოწაფენი შეადგენდნენ.

ეს იყო ის საზოგადოება, რომლის წევრები ვხდებოდით ამიერიდგან, რომელიც ამიტომ, რა თქმა უნდა, ძლიერ გვაინტერესებდა და რომელსაც ჩვენც არა ნაკლებად ვაინტერესებდით.

სახვალიოდ გაკვეთილების მზადება სრულ ხუთ საათზე იწყებოდა ზარის ხმაზე. ჩვენს ახალ ამხანაგებს დრო არ ჰქონდათ გამოგვლაპარაკებოდნენ და ამიტომ ცნობისმოყვარე თვალებით მოგვჩერებოდნენ და გვსინჯავდნენ.

ჯერ დიდების საზოგადოებაში რომ შედიხარ დაგვიანებით, ისეთში, რომელიც უკვე გაერთიანებულა, ხომ რა უხერხულობას გრძნობს ადამიანი პირველ წამებში და ყმაწვილების საზოგადოება ხომ სულ სხვა არის.

დიდები, მტრულადაც რომ იყვნენ განწყობილი ახალმოსულისადმი არ უჩვენებენ თავიანთ გრძნობას, - დიდები არიან და გარეგან თავაზიანობას თავიანთ მოვალეობად სთვლიან.

ბავშვები კი!.. ჯერ რომ არავითარი პირობითი ფორმა მათთვის არ არსებობს, - რასაც გრძნობენ, იმას გამოსთქვამენ და ქცევაც შესაფერი აქვთ.

რაც შეეხება მათ გრძნობებს, ღმერთმა დაგიფაროთ, ბავშვთა საზოგადოების ყურადღების ღირსი გახდეთ.

პირველი მათი აზრი, სულის პირველი მოძრაობა ახალ მოსულის დაჯაბნებისა და სასაცილოდ აგდების სურვილია.

ამას ყოველი ბავშვი წინდაწინვე გრძნობს, როდესაც თავის ტოლთა უკვე შემდგარ წრესთან უხდება გაცნობა და დაახლოვება.

აქ სჭირია ახალმოსულს სიფრთხილე და გამჭრიახობა. მისი ამ წრეში მომავალი მდგომარეობა, მისი ბედი და უბედურობა ამ პირველ წუთებზეა დამოკიდებული, - ან გახდება ამ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი, ანადა სამუდამოდ დაბრიყვებული დარჩება და დაცინვის, თავში წაკვრისა და წატყაპუნების საგანი შეიქნება.

სამუდამოდ-მეთქი, - ეგ იქნება გადამეტებული იყოს, მაგრამ არც იმდენად...

მეც ვუთვალთვალებ ამ თავისუფალ რესპუბლიკის მოქალაქეთ, ამათ, რაც გინდათ თქვით, ის ღირსება კი აქვთ, რომელიც ასე ძვირია იმ მოქალაქეთა შორის, რომელნიც ნამდვილ რესპუბლიკებს მართავენ: სიტყვებს აზრების გა-

მოსათქმელად ხმარობენ და არა დასაფარავად, და რასაც ფიქრობენ, იმას ამბობენ.

ვუყურებ, ვაჩერდები ცალკე სახეებს და ვცდილობ გამოვიცნო, რა ხალხია, ვინ არის საამხანაგო...

ჩაიარა ამ პირველმა საღამომ, მრავალმა სხვამაც. ჩვენი, ახლად მიღებულების ცხოვრება ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში, - გაგვიჩნდნენ ამხანაგები, მეგობრები.

იმ დარბაზში, რომელშიაც ჩემი სამეცადინო ადგილი იყო, შორიახლოს ჰქონდა თავისი კიტას.

კიტაც გავიცანი, ოღონდ რაკი ის ერთის კლასით უფროსი იყო და თავისი ამხანაგები ჰყავდა, ჩვენი ნაცნობობაც უბრალო ნაცნობობად დარჩა.

შორიდან ვხედავდი, რომ სხვებს არა ჰგავდა, - სიცოცხლე არ აკლდა, მაგრამ ყოველსავე ტლანქსა და ბრიყვულს, ხუმრობა იქნებოდა თუ თამაში, ერიდებოდა.

ყმაწვილებში ხშირია, რომ ასეთს მორიდებულ ამხანაგს აიწუნებენ და, თუ მარჯვედ არ დახვდა, სიცოცხლეს გაუმწარებენ, - გამოუგონებენ რამე უცნაურ ზედმეტ სახელს, ყოველნაირად იბრიყვებენ, დასცინიან.

კიტას ყოველივე ეს ასცდა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვი, უგემურ ლაზღანდარობას და ბრიყვულ გართობასა და თამაშს ერიდებოდა.

პირიქით, ამ მცირეწლოვანთა რესპუბლიკის ცოტა არ იყოს, თავაშვებული მოქალაქენი, როგორღაც განსაკუთრებულის მორიდებით ეპყრობოდნენ კიტას, და ამისათვის მას არ დასჭირვებია მარჯვედ დახვედრა.

პირველში ვერ მივმხვდარიყავ ასეთის განწყობილების მიზეზს, მაგრამ მალე მოხდა ერთი გარემოება, რომელმაც დამანახვა, თუ სულის რა თვისებებს მოეპოვებინა ამ ყმაწვილისათვის მის ტოლთა და ამხანაგთა ეს განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი პატივისცემა.

ერთ დღეს ავად გავხდი და პანსიონის საავადმყოფოში მოვხვდი. ყელის ტკივილი მოედო ბავშვებს და სულ ცოტა ხანში ოციოდ ავადმყოფმა მოსწავლემ მოიყარა თავი. ამათ რიცხვში კიტაც მოჰყვა.

მოხდა ისე, რომ ჩემს მეზობლად დააწვინეს.

საღამოს ერთ ხანს ვილაპარაკეთ და ცოტა ხანს უკან ორივეს ჩაგვეძინა.

შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა, როდესაც ხველამ გამომაღვიძა. პირში რაღაც თბილი ვიგრძენ; გამოვაფურთხე და... ელდა მეცა: სისხლი დავინახე; ახლა განგებ დავახველე და ერთხელ კიდევ ძალზე, კიდევ გადმოვაფურთხე — ისევ სისხლი!

წარმოიდგინეთ ეხლა, მკითხველო, თორმეტის წლის ბავშვი, საავადმყოფოს საწოლზე დიდს დარბაზში, რომელსაც ძლივს ანათებს ოდნავ მბჟუტავი ნავთის სანათი, გარეთ ღამე და სიცივე, შიგნით სიჩუმე, რომელსაც არღვევს ავადმყოფების სუნთქვა და ზოგიერთის ხვრინვა.

წარმოიდგინეთ! რომ ამ ბავშვს გაუგონია, რა სნეულების ნიშანიცაა პირიდგან სისხლის ამოღება, და ადვილად მიხვდებით მის სულის განწყობილებას.

წავიხურე თავზე საბანი და ტირილი დავიწყე. ვტიროდი ჩემს ბედს და უპატრონობას; ვტიროდი იმას, რომ ჯერ სიცოცხლე არ დამეწყო და მალე წუთისოფელს უნდა გამოვსალმებოდი — დარწმუნებული ვიყავ, რომ გაზაფხულზე ბოლო მომეღებოდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ჩემმა ასეთმა უმწეო მდგომარეობამ და ტირილმა; ალბათ დიდ ხანს; ძილი არ მეკარებოდა.

ერთბაშად ვიგრძენ, რომ ვიღაც ჩამოჯდა ჩემს ლოგინის კიდეზე და ხელი დამადო თავზე. გადავიხადე თავიდგან

საბანი, დავჭყიტე თვალები და პირველ დანახვაზე შევშინ-
დი, - მოჩვენება მეგონა.

საბან-წამოხურული ჩამომჯდარა ჩემს ლოგინზე კიტა
და ჩუმის ხმით მეკითხება:

- რა დაგემართა? რამ შეგაწუხა ისე, რომ სტირი?
გტკივა რამე? გინდა ფერშალი გავაღვიძო? — და თან
ხელს მისობს თავზე და სცდილობს დამამშვიდოს.

ღმერთო, რა ბედნიერება იყო! სხვას რომ დავეხსნათ,
ცოცხალ ადამიანის ხმის გაგონება, - სულ უპატრონოდ
აღარ ვყოფილვარ.

და ეს ადამიანი მელაპარაკება, მეალერსება, მამშვიდებს
და მანუგეშებს.

მე ვუზიარებ ჩემს შიშსა და მწუხარებას, შიშს იმისას,
რომ ვერ გადვურჩები უწყალო სენს, რადგან განსაკუთრე-
ბული მიზეზი და საბუთიც მაქვს, დარწმუნებული ვიყო
ამაში.

ის, თოთხმეტი წლის ყმაწვილი, თითქმის ბავშვი, სადღაც
პოულობს სიკეთით და სინაზით სავსე მანუგეშებელ სიტყ-
ვებს და იმ ალერსიან კილოს, რომელიც სიტყვებზე უფრო
დამაჯერებელია, მამშვიდებს, მაწყნარებს და აღწევს იმას,
რომ რიჟრაჟზე უდარდელად თუ არა, ერთნაირად დამშვი-
დებულმა ჩავიძინე.

მაგონდება იმღამინდელი კიტას ბავშვური სახე. მისი
საბან მოხვეული, ზურგ მორგვალებული ლოგინის კიდეზე
ფეხმოკეცილი პოზა, მისი კეთილი მზრუნველი სახე და
თვალები, რომელთაც ძილი ეკიდებოდა, და ის კი არ აკა-
რებდა; მომაგონდება, რომ ამ მდგომარეობაში მან ვიღაც
მისთვის სრულებით უცხოსათვის ასეთს მდგომარეობაში
გათენებამდის დაჰყო, რომ სხვისი მწუხარება დაეურვებინა
და გული მადლიერ გრძნობას ვერ იტევს და ვფიქრობ:

რამდენად უფრო ადვილი გასავლელი იქნებოდა ცხოვრების მძიმე გზა, რომ მის გულის მსგავსი მრავალი იყოს ქვეყნად.

1895 წლის ივნისია. ჩრდილოეთიდგან მოვეშურები სამშობლოში. სამუდამოდ ვბრუნდები.

ნოვოროსიისკში გემზე უნდა გადავჯდე.

ო, სიხარულო! გემზე ჩემის ამხანაგების მთელი ჯგუფი დამხვდა. ვინ ოდესიდგან მოდის; ვინ კიევიდგან და ხარკოვიდგან. ამათ დაგვიანებით შინ წამოსვლის მიზეზი იგივეა, რაც ჩემი: უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებულთ საბოლოო გამოცდები დიდხანს გაუგრძელდათ.

ავედი გემის ბაქანზე თუ არა, ვხედავ, კიტა მოეშურება ჩემსკენ:

- შენც ეხლა მოდიხარ? როგორა ხარ? რას შვრები? ძლიერ ხომ არ დაულლიხარ გამოცდებს... — და გაიბა განაცადის და გამოვლილის დაუსრულებელი გაზიარება და მომავლის შესახებ გეგმებზე მუსაიფი და აზრების გაცვლა-გამოცვლა, ხოლო იმ მომავალისა, რომელიც პირად ცხოვრების მოწყობის საკითხს გარეშე იდგა.

აგერ შემოგვერია ლაპარაკში კიდევ ერთი, მეორე და ნელ-ნელა გემზე მყოფი მთელი ქართველი სტუდენტობა, ანუ უკეთ, ახალი ნასტუდენტარი, ჩვენს გარშემო იყრის თავს.

ჩვენს გარშემო? კიტას გარშემო, რადგან ხან ერთი მოაშურებს: "ერთი ამას უყურე, კიტა რას ამბობს!"... ხან მეორე რაღაც საკითხით და წამ-და-უწუმ გაისმის კიტას სახელი.

თვალ წინ მიდგება მაშინდელი კიტას მხიარული და ცოცხალი სახე, ბედნიერი იმ ახალგაზრდულის აღფრთოვანებით, რომელსაც გარშემო ხედავს, და ყურში მიდგას

მისის ალერსიანი ხმის კილო, თუმცა ზოგჯერ სიტყვა გარეგნად არც მაინცა-და-მაინც ალერსიანია. მაგრამ, ამხანაგ-მეგობრები არ შევყრილვართ განა, რომ სიტყვებს არ მოვერიდოთ. ყველაფერი კილოა, ტონი, და კილო ის მეგობრული და ძმურია, რომელიც ყველას იზიდავს...

ჩამოვედით ჩვენს ქვეყანაში. ყველას თავისი ოჯახისაკენ ეჩქარება. კიტამ თავის კაცხისაკენ გასწია, მე კიდევ ქუთაისისკენ გავეშურე.

გაიარა წელიწად ნახევარმა. ქუთაისში სამხედრო ბეგარა მოხდილი იმის ფიქრში ვიყავი, სად დავბინავებულიყავ ან რა ხელობა დამეწყო. ბოლოს თბილისში მოკალათების სურვილმა მძლია.

იმ დროსა, როგორც შემდეგშიაც და ალბად მუდამ, თბილისი მექად ჰქონდა მიჩნეული ქართველ ახალგაზრდობას. იქ ისკვნებოდა ჩვენის ცხოვრების ძარღვი, - ჟურნალ-გაზეთები, მუდმივი დრამატიული დასი, ყველა ქართული კულტურული დაწესებულება, ბოლოს ყველა დიდი ქართველი, - ყველაფერი ეს თბილისს იყო თავმოყრილი; ყველას მზეც იქ ამოგვდიოდა და ჩვენი ბედის ვარსკვლავიც იქ გვეგულებოდა.

ამ გადაწყვეტილების ასრულებას ის გარემოებაც მიადვილებდა, რომ კიტაც თბილისს მეგულვებოდა, - იმ დროს "ივერია"-ში თანამშრომლობდა და თვით რედაქციაში მუშაობდა.

გადავწყვიტე და 1897-ის იანვარში გავწიე თბილისს მარტოხელმა, ოჯახი კი ქუთაისს დავტოვე იმ დრომდე, ვიდრე ახალ ადგილზე მივიხედ-მოვიხედავდი და რამე საქმეს დავადგებოდი.

ჩასვლის მეორე დღესვე "ივერი"-ის რედაქციას მივაშურე, მაგრამ, ვაი თქვენს მტერს, მე იქ ამბავი დამხვდა, - გაზეთი რვა თვით დაეხურა მთავრობას.

კიტა დაღვრემილი შემხვდა. ერთ წელსაც არ გაევლო, რაც იქ მოეკალათნა საგაზეთო მუშაობით გატაცებულს და აკი ერთბაშად არ შეუკვეცეს ფრთები! ეს ხომ ის დრო იყო, როდესაც მხოლოდ ერთად-ერთი ყოველდღიური გაზეთი ჰქონდა მთელ ქართველ ერს "ივერი"-ის სახით, და როდესაც რამდენისმე წლის განმავლობაში თხოვნას, მეცადინეობას, ცდას და უკან დევნას გაზეთის გამოცემის ნებართვის მიღებისათვის მთავრობის უარი მოსდევდა.

- სად ჩამოხტი? ჩემთან გადმოდი: ჯერ კიდევ რამდენსამე ხანს აქ ვრჩები და როდესაც წავალ ერთადვე ვიშოვოთ სადმე ბინა, - მითხრა კიტამ, და მეც დავბინავდი დროებით გაუქმებულ რედაქციაში.

რედაქცია დროებით გაუქმებული იყო, მაგრამ გაზეთის თანამშრომელნი ვერ შესჩვეოდნენ ახალ ვითარებას, ან უფრო, ვერ გადაჩვეოდნენ ძველს ჩვეულებას, და უწინდებურად მოდიოდნენ რედაქციაში.

შეიკრიბებოდნენ ჩვენს, ე.ი. კიტას სამუშაო კაბინეტში, - იგივე სალონი და საწოლი ოთახიც, - დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი ლასხიშვილი, ძმანი ყიფშიძენი, ალექსანდრე (ფრონელი(და გრიგოლი, გრიგოლ აბაშიძე, - ეს უკანასკნელი ჩემსავით შეხიზნოდა თავის ბიძაშვილს კიტას, - და სხვანი.

გრიგოლ აბაშიძეს, გრიშას, ერთი ქურქი ჰქონდა. დღე მოსასხამად ხმარობდა და ღამე — საბნად.

ერთხელ თუ ორჯელ ილიაც გვესტუმრა.

შეიყრებოდა ეს ხალხი და იმართებოდა დაუსრულებელი საუბარი. ლაპარაკი ჯერ ახალ ამბებს უტრიალებდა, ჩვენის ქვეყნისას თუ მთელ მსოფლიოსას. ფაქტიურ ცნობების გაზიარებას მოჰყვებოდა მათი თეორიული დაფასება. ერთ ხანს პოლიტიკურ და სოციალურ საკითხების თეორი-

ის შარას ვადექით და ბოლოს ჩვენის ქვეყნის სინამდვილის ორღობეებში გადავუხვევდით.

დიდხანს არ დაგვცლია "ივერი"-ის ბინაზე ყოფნა. ნამუსიც კაი საქონელიაო, ნათქვამია, და რა სახით უნდა დავრჩენილიყავით, როდესაც გაზეთი მთელის რვა თვით იყო უკვე დახურული. ვიხმარეთ ნამუსი და მეხუთე-მეექვსე დღეს დავტოვეთ რედაქციის ბინა.

ჯერ კიდე არ დაგვკარგვოდა სტუდენტური ხალისი და ვერ მოგვეშორებინა სტუდენტობისას შეთვისებული ბოგანო ჩვეულებანი. სადღაც მიხეილის პროსპექტზე კიტას მოენახა ერთ გერმანელ კოლონისტის სახლში კარგა მოზრდილი ოთახი და აქ მოვთავსდით სამივე, რადგან სადაც ჩვენ ორნი, იქ გრიშა აბაშიძეც იყო მესამე თავისის განუყრელის ქურქით.

დავლევდით დილით სტუდენტურად ჩაის და წავიდწამოვიდოდით ჩვენს საქმეებზე და სადილობისას შევიყრებოდით ისევ, რომ კარგა ნაშუადღემდის ერთად გაგვეტარებინა დრო.

ერთად არ ნიშნავდა მარტო ჩვენ სამს, რადგან დღე არ გავიდოდა ორი-სამი სხვა ვინმე არ გვსტუმრებოდა — შიო არაგვისპირელი, თუ თბილისს იყვნენ ნიკო თავდგირიძე და ანდრია დეკანოზიშვილი, თბილისში დამკვიდრებულთ აღარ ვამბობ, - ან ჩვენ არ დავცემოდით თავს ვისმე.

საყურადღებო იყო ჩვენი დილის ადგომა.

აიღებდა ბალიშიდგან თავს თუ არა კიტა, რაიმე არიას მოჰყვებოდა.

- შე დალოცვილო, მასე დილა ადრიან რომ ხარჯავ მაგ შესანიშნავ ხმას, საღამომდე დაიცადე და ოპერაში იმღერე, ახლა კი ძილს ნუ მიშლი, თუ ძმობა გწამდეს, - მიაძახებდა

გრიშა და ძალზე წაიხურავდა თავზე თავის "ღამის გამთენ-ებელ" ქურქს.

ერთხანს შესწყვეტდა კიტა სიმღერას, არც უიმისოდ, რომ არ ეთქვა:

- აბა, რა გესმის მუსიკის. საკვირველია, პოეტი ხარ, ჩინებულ ლექსებს წერ და მუსიკა კი არ გიყვარს.

- ვინ გითხრა, მუსიკა არ მიყვარსო? — გამოჰყოფდა გრიშა ქურქ ქვემოდან თავს და, რაკი იცოდა, ძილს აღარავინ დააცლიდა, მარდად წამოხტებოდა ფეხზე, მიაგდებდა იქით ქურქს, თითქო რამდენსამე ხანს უკან მოსასხამად არ დასჭირდებოდა ეს-ეს არის საბნის როლიდგან გამოსული.

- მუსიკა კი მიყვარს, ოღონდ შენი გალობა მუსიკა ggონია იქნება? — გადაჰკრავდა სიცილით გრიშა.

ამასობაში ამდგარი კიტა პირისბანას იწყებდა. მივიდოდა თუ არა პირის საბანთან, თითქო ან პირის ბანის პროცესი ან თვით პირის საბანი რაღაც ამაოების შესახებ ფიქრების მომგვრელ ძალას შეიცავდნენ, მოჰყვებოდა:

- შენ ხარ ღმეერთი, რომელი შთახედ ჯოჯოოოხეთად, და დახსენ სალმობანიიი შესვენებულ...თანი...

ერთხანს ისმოდა ეს "შენ ხარ ღმერთი", მინამ პირველს ისევ გრიშას არ დაეკარგებოდა მოთმინება და არ მიაძახებდა:

- კარგია, გეყოფა, თუ ძმა ხარ, რას ჩასცივებიხარ მაგ "შენ ხარ ღმერთო"-ს. სადაც საჭიროა, იქაც არ გამაგონა ნეტავი, და შენ სიცოცხლით სავსეთ გვიგებ წესს.

გაჩუმდებოდა კიტა ერთ ხანს, მაგრამ ცოტა ხანს უკან უნებლიედ დაიწყებდა: "შენ ხარ ღმერთი"...

საბედნიეროდ ეს "ბისი" აღარ გასტანდა ხოლმე დიდ ხანს, რადგან პირის ბანას მორჩებოდა, - აკი მოგახსენეთ,

პირსაბანი უნდა ყოფილიყო ამ განწყობილების მიზეზი, და ჩაის დრო მოდიოდა, ხოლო ჩაის სმა, რა განწყობილების მომგვრელიც არ იყოს, სიმღერით მის გადმოცემის საშუალებას აღარ იძლევა.

გავიდა ზამთარი, გაზაფხულ-ზაფხულიც თან მიჰყვა. დადგა შემოდგომა. ფეხი მოვიმაგრე, - პატარა საქმე გამიჩნდა, - და ცოლ-შვილის ქუთაისიდგან წამოყვანა გავბედე.

დავიჭირე პატარა ბინა, რომელშიც ერთი ოთახი კიტას დავუთმე. ამანაც იშოვა ადგილი, და შეერთებულის ძალებით შევუდექით ცხოვრების ბრძოლას.

ბრძოლა! აი, ნეტავ იმ დროს! ხუთი თუმანი თვეში, რომელიც ფაქტიურ თანაშემწეობისათვის მეძლეოდა ჩემის პატრონის, ნაფიც ვექილისაგან და ზოგჯერ კიდე რამდენიმე ზედმეტი გროში, რომელსაც ვიგებდით მე და ჩემი ცოლი საგაზეთო მუშაობით, და ხუთი თუმანი კიტას ჯამაგირი საკონტროლო პალატაში, ეს იყო მთელი ჩვენი შემოსავალი. ამით უნდა შეგვენახა თავი კიტას და მე ჩემის ოჯახით; ამით უნდა დავხვედროდით და გავმასპინძლებოდით ჩვენს მეგობრებს.

თუ სტუმართ მოყვარეობა ქართველ კაცის განსაკუთრებული თვისებაა საზოგადოდ, ჩვენს პატარა ბინაზე ამ ქართველურმა ზნემ ყოველივე საზღვარი გადალახა. არა თუ მე, როგორც ოჯახის პატრონი, ვყოფილიყო ამის მიზეზი. არა, მიზეზი ის იყო, რომ თითქმის ყველა ჩვენი მეგობარ-ამხანაგი უცოლო და მარტოხელნი იყვნენ და უმთავრესად ის, რომ ამ პატარა ბინაზე ეგულებოდათ კიტა, რომელიც ჩვენ ახალგაზრდულ წრის სული და გული იყო.

ჩვენდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ბინა რუსთაველის პროსპექტზე გვეჭირა, ზედ საოპერო თეატრის პირდაპირ. პროსპექტზე გამოჭიმული მდიდარი სადგომები კი არ გეგონოთ. ამ დიდ სახლებს უკან, ეზოებში, ზოგ დიდ სახლს ამომალული აქვს სხვა უფრო პატარა სახლები, და ერთს ამისთანა სახლში გვქონდა ჩვენი ბინა.

და აი, მოხდებოდა, წყნარად და მშვიდობიანად რომ შეეექცეოდით ლაპარაკსა და ჩაის, წამოხტებოდა კიტა და დაიძახებდა:

- ჰუგენოტებს მღერიან, ბიჭო, დღეს ოპერაში. მოდით წავიდეთ!

- გვიანღაა, - იტყოდა ვინმე.

- ბილეთებს ვეღარ ვიშოვით, - მოიმიზეზებდა მეორე.

- რა მეჰუგენოტება, თუ ღმერთი გწამს, სულ ერთი აბაზი თუ მაქვს, მეტი არა, - მაცხადებდა პროტესტს მესამე.

მაგრამ ერთ წამს უკან ყველანი, ვინცა ვართ, უქუდონი გადავრბივართ რუსთაველის პროსპექტს და თეატრში მივეშურებით.

გათავდებოდა წარმოდგენა და იმავ გზით შინ ვბურუნდებოდით, რომ შეწყვეტილი ბაასი, დავა და ხუმრობა გაგვეგრძელებინა.

საღამოს ამ მეორე ნახევარს ან უფრო ნამდვილი იქნება ვთქვა, შუაღამეს, ნათიატრევს, მის შთაბეჭდილების ქვეშ, ლაპარაკი, რა თქმა უნდა, მუსიკაზე და მომღერლებზე გვქონდა და ამ საგნის შესახებ ჩვენი წრე ორად იყოფოდა: ერთ მხარეს იყვნენ ისინი, ვისაც ოდესის უნივერსიტეტში ესწავლათ — ესენი უმრავლესობას წარმოადგენდნენ იმ ხანად — და არა-ოდესელები.

- აჰ, არ შეიძლება, არამბუროსთანა მომღერალი მეორე

არ გაჩენილა ქვეყანაზე, - იტყოდა რომელიმე ოდესელი, - ის რომ რაულის არიას მღეროდა!!!

- ე, ბატონო, მოჰყვენ და აწი ყურებს გამოგვიჭედენ თავიანთი არამბუროს ქებით, - იტყოდა დაცინვით ვინმე არა-ოდესელი.

და ეს იყო ხოლმე უკანასკნელი საგანი, რომელზედაც შესწყდებოდა შუაღამეს კარგად გადაცილებული მეგობრული საუბარი და ხუმრობა.

დავიშლებოდით უდარდელნი, იმედებით სავსენი, ბედნიერნი, რომ ისე მჭიდროდ შეთვისებულნი ვიყავით ერთმანეთთან.

ვინღა სჩიოდა, რომ ჩვენმა კიტამ ყველას დაგვაბერტყინა ჯიბეები და არ ქონაში გაგვასწორა ისიც, ვისაც ბილეთის საყიდელი ფული ჰქონდა, და ისიც, ვისაც ერთი აბაზის მეტი არ გააჩნდა, რომ ხვალინდელი დღე ყველას საზრუნავი გაგვიხდებოდა.

ვის ახსოვდა ცხოვრების ეს მხარე!

ხვალინდელი დღე? განა ისიც დღეთა იმ რიგს არ ეკუთვნოდა, რომელიც ჩვენს სიყმაწვილეს შეადგენდა!

ანადა, სახე რომ ვისმე დაგვღვრემოდა, გაჭირვება რამ დაგვტყდომოდა თავს, კიტა აგერ არ გვყავდა?

შენც გამოგიცდია ალბად, მკითხველო, მოგზაურობის დროს, - შენსავე კუთხეში გივლია თუ შორეულ ქვეყნებში. — ასეთი გრძნობა: ჩაუვლი რომელსამე სოფელს, გაივლი პატარა ქალაქს წყნარ პატარა ქუჩას, და ერთბაშად რაღაც მშვიდობიანობის და მყუდროების ტკბილი გრძნობა მოგიცავს გულს, და გაიფიქრებ, - ჩემი ნება რომ იყოს, აქ დავლევდი რაც დამრჩენია ცხოვრების დღენიო.

სოფელიც სხვა სოფელსა ჰგავს და ქუჩაც სხვა ქუჩას; აქაც თითქო ისეთივე ხალხი ტრიალებს, სახლებიც იგი-

ვეა, რაც სხვაგან, მაგრამ თვალი ამჩნევს აქაურობაში რაღაც განსაკუთრებულ დაწყობილობას თუ მოხაზულობას, არკვევს სიტყვით გამოუთქმელ რაღაც ისეთს განსაკუთრებულ თვისებებს ამ ახალი სანახაობისას, რომლითაც თურმე დიდი ხანია განუსაზღვრავს შენს გრძნობას, - მაგრამ განა მხოლოდ შენს გრძნობას? — მთელს შენს არსებას მშვიდობიანობა და მყუდროება.

აზრადაც არ მოგსვლია შეგექმნა შენს გონებაში ასეთი მყუდრო და სანატრელი საცხოვრებელი მდებარეობა, და რომ გეფიქრა კიდეც და შეგექმნა შენს წარმოდგენაში განყენებული რამე სურათი, სინამდვილე უკუ გაგდებინებდა შენის გონების ნაწარმოებს და დაგანახვებდა, რომ შენს გემოვნებას, შენს არსებას შენს გონებაზე ბევრად უკეთესი და ხელოვანი ოსტატი ჰყოლია — ბუნება!

ჩვენი დალოცვილი ქვეყანა მდიდარია ასეთის მყუდრო და ტკბილის საცხოვრებელ ადგილებით.

ერთერთი ასეთი ყვირილის ხეობაა ზემო იმერეთში, რომელსაც მიჰყვება ჭიათურის მიმავალი რკინის გზის შტო.

ამიერკავკასიის რკინისგზის მთავარ ხაზის სადგურ შორაპანში მგზავრმა უნდა გამოიცვალოს მატარებელი, უნდა გადაჯდეს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიან რკინისგზის პატარა, თითქო სათამაშო ვაგონებიდგან გამართულ მატარებელში, რომელიც ერთხელ-ორჯელ შეტრიალ-შემოტრიალდება, რომ აღმართზე ასვლა გაიადვილოს, ერთბაშად პატარა სერს უკან მიიმალება და გაუდგება ხეობას.

მატარებელი მორჩილად მისდევს მდინარე ყვირილის დაკვლაკნილ ხაზს; გარდიგარდმო იშლება მშვიდობიანი და კეკლუცი, თითქო ერთნაირი, მაგრამ მარჯვნით და მარ-

ცხნით ამართულ სხვადასხვა სიმაღლისა და მოხაზულობის სერების წყალობით მრავალფეროვანი, ერთი მეორესაგან განსხვავებული, სულის დამატკბობელი და გულის დამააშებელი მშვიდი სანახავები.

ისეთი უხვია იმერეთის ბუნება, ისე ადვილად ხარობს მრავალნაირი მცენარე, რომ ქოლგა რომ ჩაარჭო მიწაში, მეორე დღეს კვირტებს გამოიღებსო, - იხუმრა ვიღაცამ.

ქოლგის რა მოგახსენოთ, ოღონდ ხშირად მინახავს, გლეხი რომ ღობეს შემოავლებდა ეზოს, აგერ-აგერ სარები ფოთლებს გამოიტანდნენ.

ასეთის უხვის მცენარეულობით არიან შემოსილი ეს სერებიც, აქეთ-იქით რომ ჩაურბიან რკინის გზას, მწვანენი ზაფხულში მწვანე ფერის იმ სხვადასხვაობით, რომელიც განასხვავებს სხვა-და-სხვა ჯიშის ხეს, ისე აჭრელდებიან შემოდგომაზე, ისე მრავალფეროვანი ხდებიან, თითქო ფერებისა და ფერადების გამოფენა გაემართოს ბუნებას.

რომელი კალეიდოსკოპი, რომელ მხატვრის პალიტრა შეედაროს ფერების იმ სიმდიდრეს და წარმტაც მშვენიერებას, რომელიც გამოუყენებია ბუნებას ამ სამოთხისებურ სილამაზის შესაქმნელად.

თვალი ვერ მოგიშორებია ადამიანს, და გული მადლიან გრძნობას ვერ იტევს!

და აი, ამ მომხიბვლელ ჩარჩოში, ხან აგერ მაღლობზე წამოიჭრება სოფლის პატარა ეკლესია, ხან აგერ გორაკის კალთაზე გამოიჭვრეტს ხეებს უკან მიმალული გლეხის ოდის სახურავის კრამიტი, რომლის მოწითალო ფერი ისე საგანგებოდ შეუღლებია ყოველის მხრიდგან მოზღვავებულ მწვანეს და ისე ჰშვენის მას, როგორადაც მხიარული და ალერსიანი ღიმილი კეკლუცის სახეს.

ყველაფერი იდილიით არის აქ სავსე, და ეგერ ყვირილაზე გადებული წკნელებისაგან დაწნული ხიდი, რომელზედაც ორი კაცი გვერდს ვერ აუვლის ერთმანეთს, თითქო რომელიმე ლუნა-პარკის ერთერთი გასართობი იყოს და არა მოსახლეთა დიდის საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგანი.

სადგურებსაც კი, რათა ამ ალერსიანსა და მყუდრო მიდამოებს არ ეცვალოს მათი მიმზიდველი და მომხიბვლელი ხასიათ, და საქმიანობის გარეგანი ნიშნები არ შეიჭრას ბუნების მეჯლისში და არ დაურღვიოს სადღესასწაულო ხასიათი, უფრო სააგარაკო, დასასვენებლად გაშენებულ პატარა სახლების ხასიათი აქვთ, ვიდრე საზოგადო დაწესებულების შენობებისა.

აგერ სალიეთის სადგურიც. აქ ვტოვებ ხოლმე მატარებელს, მის პატარა ვაგონებს, რომ "ოჩრის" ცხენზე შევჯდე და შევუდგე კაცხის აღმართს.

საცოდავნო, მთიან ადგილებში გაშენებულნო საქართველოს სოფლებო! დაგიდგებათ როდისმე ის ბედნიერი დღე, რომ ეღირსოთ იმას, რასაც ადამიანის ენაზე გზა ეწოდება?

სწორედ რომ გმირი ხალხი უნდა სცხოვრობდეს აქ, რომ ახერხებს იმის ჩამოტანას, რაც გასატანი აქვს, და იმას ატანას, რაც მოსატანია.

იქვე სადგურთან იწყება რაღაც გზის მსგავსი; გაივლი რამდენსამე ას ნაბიჯს და ამ მსგავსების ხსენებაც იკარგება. თქვენს წინ ამართულა აღმართი, რომელსაც გზის გაგრძელებად მხოლოდ იმიტომ თუ ჩათვლით, რომ აქეთ-იქით ღობეები აქვს აყოლებული.

საბრალო ცხენი მიაბიჯებს ნელ-ნელა ერთის ღობიდან მეორემდე; აქედან პირველამდე და ასეთის ირიბის

სიარულით აჰყავხართ ზემოთ. გებრალებათ ცხენი, გეცოდებათ ადამიანი, რომელსაც ეს გზის უქონლობა იმდენ შრომას უნაყოფოდ უკარგავს.

მაგრამ აიღებთ თავს მაღლა, ახედავთ ცის ლურჯ კამარას, მოავლებთ თვალს გარშემო სანახაობას, გარშემო ამართულ სერებს, გორაკებს, მთებს, მათს მიკლაკნილ-მოკლაკნილ, გადაწნულ და გადაგრეხილ თავისნება გასაოცარსა და განუმეორებელ მოხაზულობას, მის მდიდარ მწვანეს, რომელსაც არღვევს აქა-იქ ჩაწინწკლული ხან პატარა, ყავრით დახურული, ხან უფრო მოზრდილი, კრამიტით, გლეხების ოდები, და გული გაგინათლდებათ.

ამ მიწა-წყლის შვილი არ იყო განა, სწორედ ამ სანახაობით გამოწვეულმა ღრმა გრძნობამ რომ წამოაძახებინა:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...

ოღონდ აღტაცებას სამზღვარი არ აქვს, როდესაც მოგზაური კაცხის მონასტერს გაუსწორდება და როდესაც გარშემო ამართულ მაღლობებსა და მთებს, სადამდისინაც კი მისწვდება თვალი, მათ შუა ჩაწოლილ ხევებს, მთელ ამ მოციმციმე, მოცინარე და მხიარულ ბუნებასთან ერთად თვალს მოავლებს მედგრად აყუდებულს ჩრდილოეთით დინჯსა და დიდებულს კავკასიონს.

როგორ მიხაროდა და როგორ მიყვარდა აქ მოსვლა! აქ სტუმრად კი არ მოვდიოდი; მოვდიოდი ისე, როგორც თავის სახლში მოდიან. მეგობარი მეგობრულად დაგვხვდეს, რა საკვირველია, ოღონდ აქ კიტას განსვენებული დედა და მასთან ბატონყმობის დროიდან შერჩენილი ორი მოხუცებული დედაკაცი ისეთის სიყვარულით და ისეთის გულით უხვდებიან კიტას მეგობრებს, როგორც თვით კიტას, თითქო ესენიც ოჯახის ნამდვილი წევრები ყოფილიყვნენ.

მაგონდება უდროოდ გამოთხოვებული ამ სოფელს კიტა ამ გარემოცულობაში. საკონტროლო პალატაში სამსახურ დაწყებულმა, მალე მიანება თავი სახელმწიფო დაწესებულებას და გახდა მომრიგებელი შუამავალი ჯერ რაჭაში და სულ ცოტა ხანს უკან თავის სამშობლო კუთხეში.

ვინც არ იცნობდა კიტას ხასიათს, მის უსაზღვრო გულკეთილობას, ლმობიერობას და უანგარობას, მომრიგებელ შუამავლის როლში უნდა ენახა.

როგორის ყურადღებით ეკიდებოდა გლეხის ინტერესებს; როგორ სცდილობდა, ამათთვის რაც შეიძლება უკეთეს პირობებზე დაეყოლებინა მებატონე, რომელსაც ხან მოეფერებოდა და ხან საყვედურის და წყრომის ხმით შესძახებდა:

"...არ გეკადრება, ბატონო... ე, გადანაჭრები შენთვის არაფერს წარმოადგენს და ამ ადამიანისათვის კი მისწრებაა"...

ან:

- იკმარე, რასაც ეს საცოდავი გლეხი გაძლევს; იმ რაღაც ორ გროშის მომატებას რომ ითხოვ, შენ ვერ გაგაკეთებს და ამას კი ძალიან დააკლდება...

დაიყოლებდა მებატონეს და მხიარულად დაუძახებდა გლეხს:

- აბა, ახლა წადი და ეგერ პურს გაჭმევენ, - მიუთითებდა სამზარეულოსაკენ და იქით კიდევ გასძახებდა:

- ერთი ამას მოუარეთ, აჭამეთ, დაალევინეთ...

და თუ ზოგჯერ მოგვიანებით გაათავებდა მორიგებას და შემოაღამდებოდათ:

- ახლა სადღა უნდა წახვიდე, ჩემო — თედორე იქნებოდა თუ ივანე — ეგერ მეჯინიბეებთან გაათიე ღამე.

ამრიგად, კიტას სახით თან უანგარო დამცველი ჰყავდა მასთან მოსულ გლეხს და თან უფასო სასტუმრო და საჭმელ-სასმელი მის ჭერ ქვეშ.

სახლიც თითქო საგანგებოდ ჰქონდა ისეთს გეგმაზე აშენებული, რომ ერთდროულად მრავალი სტუმარი მოთავსებულიყო და არც არავინ შეწუხებულიყო იმავ დროს, არც სტუმარი და არც მასპინძელი.

დიდ სასტუმრო ოთახს ორივე მხრით დაყოლებული ჰქონდა ოთხ-ოთხი ოთახი, და ნახევარს მათგანს სასტუმროში გამოსასვლელი კარი ჰქონდა. მართალია, სახლი კიტას აშენებული არ იყო, მაგრამ არც მისი სტუმართმოყვარეობა და კეთილი გული გამჩდარა თავისით, - სახლიც იმათ დაუტოვეს, ვინც სათნოებითა და სიკეთით სავსე გული და მაღალი სული გადმოსცეს.

მამით პატარაობითვე დაობლებულიყო კიტა, და მე მხოლოდ დედამისს ვიცნობდი, განსვენებულს ქალბატონს სოფიოს.

რა მორიდებული, უწყინარი, რა თავაზიანი და მზრუნველი, რა ნაზი, ტკბილი და კეთილი!

კეთილი? სიკეთის განხორციელება!

მუდამ შავს სადა კაბაში. შავისავე მანდილით ლეჩაქზე, თავისიანებთან თუ სტუმრებთან იჯდა ხოლმე ჩუმად და, თუ ლაპარაკში გაერეოდა, ან რამე კეთილ აზრისათვის დასტურის მისაცემად, ან გასაკიცხავად, თუ საუბარი რამე ცუდ მოვლენას, ან ვისიმე ცუდ საქციელს ეხებოდა. ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში განყენებულ ცოდვას ჰკიცხავდა, საქციელს, ადამიანს კი... ადამიანი მისთვის სიბრალულისა და პატიების საგანი იყო მხოლოდ.

აჩრდილსავით, შეუმჩნევლად შემოსული ისევ შეუმჩნევლად გაბრუნდებოდა ხოლმე, ან რამე საქმეზე, ან თავის ოთახში, თავის ნაყმევ მოახლესთან ატარებდა მეტ ნაწილად დროს.

ქალბატონი და მოახლე კი არა, ესენი უფრო დები იყვნენ: - ერთსა და იმავე ოთახში სცხოვრობდნენ, თავისუ-

ფალ დროს ერთმანეთთან საუბარში ატარებდნენ, და ერთი რომ უქეიფოდ შეიქნებოდა, მეორე ემსახურებოდა.

ბევრს ნაყმევს შეჰყვარებია თავისი ნაბატონარი ისე, რომ თავისუფლებაზე უარი უთქვამს ბატონ-ყმობის გადავარდნისას და სამუდამოდ დარჩენილა ბატონთან, მაგრამ არა მგონია, სადმე განმეორებულიყოს ისეთი გათანასწორება, ისეთი მჭიდრო და ღრმა მეგობრულ კავშირად გადაქცეულიყოს ძველი დამოკიდებულება, როგორც ამ ორ დედაკაცს შორის.

რაღა საკვირველია ასეთის დედისაგან და ამ ბუნების წიაღში, ამ ცასთან დაახლოვებულ სიმაღლეზე, რომელიც ვარსკვლავებთან საბაასოდ მოუწოდებს ადამიანის სულს, გაჩენილიყო ისეთის მდიდარის ბუნებისა და მაღალის სულის პატრონი, როგორიც იყო კიტა.

ბუნების სიტურფე, მთის წმინდა ჰაერი, ისტორიის ნაგლეჯი კაცხის მონასტრისა და ლეგენდა — სვეტის სახით, სადაც, ვინ იცის, როდის და ვისგან დასვენებული ხატები მიუვალნი გამხდარან მომაკვდავთათვის, რადგან კლდის ის ნაწილი, სადაც ხატები ყოფილან დასვენებული, მოსკდა მთას და სვეტად ამართულა ცალკე, - ასეთია ის ჩარჩო, რომელშიაც მეხატება შორეულ წარსულიდგან კიტას სახე.

არც ის არის საკვირველი, რომ ბავშვობიდგან წიგნის მოყვარულს, იმ წრეში დაბადებულს, სადაც მისის ქვეყნის წარსულს, მის ბედსა თუ უბედობას, მის დიდებულ პიროვნებათ, და მათ შორის მის მწერალთა და პოეტებს უტრიალებდა მუდამ უფროსთა საუბარი, სადაც სავალდებულო იყო რუსთველის ლექსთა და საზოგადოდ ქართულ მწერლობის ცოდნა, კიტას გაღვიძებოდა მშობლიურ ისტორიისა და უმთავრესად პოეზიისა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურის გემო და სიყვარული.

ლიტერატურის გემო კიდევ უფრო გაუძლიერა ახალგაზრდა კიტას პარიზში ყოფნამ, სადაც გიმნაზიის კურსის დამთავრებისთანავე წავიდა და ორი წლის განმავლობაში ბრუნეტიერის, ფაგეს და სხვა პროფესორების ლექციებს უსმენდა სორბონაში და ხარბად ეწაფებოდა ჟიულ ლემეტრის, რენე დუმიკის და სხვა კრიტიკოსთა ნაწერებს.

პარიზიდან გამობრუნებული კიტა ოდესის უნივერსიტეტში შევიდა და პირველის წლიდანვე მიჰყო ხელი კალამს. მისი პირველი ნაწერები პარიზში ცხოვრების გამოძახილია, - ფრანგულ ლიტერატურას ეხება. მაგრამ არ გაუვლია დიდ ხანს, და ფრანგულ კრიტიკის მეთოდებით აღჭურვილმა და უცხოელ ლიტერატურის შესახებ წერით გავარჯიშებული კალამი მშობლიურ მწერლობას შესწირა სავსებით.

ერთხელ, მახსოვს, შევესწარ, ძველ ქაღალდებს, შავებსა და საგაზეთო წერილებს სინჯავდა და ალაგებდა. ერთბაშად გაზეთის ამონაჭერი გადმოიღო და მიჩვენა.

- ერთი პირველ ჩემ წერილთაგანია, უნივერსიტეტიდგან გამოგზავნილი. წერილი "ივერია"-ში იყო დასტამბული. ერთ დღეს მომდის წერილი და რას ვხედავ?

ვიღაცას ამოუჭრია ეს ჩემი წერილი, მთლად აუჭრელებია კორექტურულის შესწორებებით და ისე გამოუგზავნია...

ამ სიტყვებით გადმომცა გაზეთის ამონაჭერი და სულ ბოლოში არშიაზე წავიკითხე გამომგზავნის მოკლე წარწერა:

"კარგ აზრებს ენაც კარგი სჭირია". გრ. ვოლსკი".

კიტას მოძრავი, შეიძლება ითქვას, მოუსვენარი ხასიათი, მისი თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი, მისის წინსვლისა და განვითარებისათვის აღგზნებული და ცეცხ-

ლმოკიდებული გული, მისი ოცნება და ნატვრა, ქართული ლიტერატურაც ყოფილიყოს გამსჭვალული ახალის გზების იმ მოუსვენარ ძებნით, რომელიც ახასიათებს ევროპის ერთა ლიტერატურას, - კიტას ასეთი მრავალმხრივი ბუნება სავსებითაა აღბეჭდილი მის ნაწერებში.

"ზოილობა" შორს იყო კიტასაგან. იშვიათია ის კეთილგანწყობილობა, რომელიც ახასიათებს მის კრიტიკულ წერილებს. ან კი როგორ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო ადამიანი, რომლის უდიდესი გულის ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ქართული კაზმული მწერლობა ან სულ არ იზრდებოდა, ან თუ იზრდებოდა, შეუმჩნეველის და სულის დამაღონებელის სიგვიანით.

საკმარისი იყო ამიტომ დაეწერა ვისმე სულ პატარა მოთხრობა, პატარა რამ ამბავი, რომ წერილი ეძღვნა მისთვის, შეექო და ყოველნაირად წაექეზებინა.

მახსოვს, გაჩნდა ჩვენშიაც დეკადენტ-პოეტების წრე, რომელიც დიდის რიხით ბეჭდავდა თავის ლექსებს, გამოდიოდა საღამოებზე დეკადენტურ ლექსებით, სცემდა უხერო სახელებით მონათლულ ულაზათო ლექსების კრებულებს.

კიტა ამათაც თავის ჩვეულებისამებრ ლმობიერად ექცეოდა და, როდესაც ვუსაყვედურე, არც მაგოდენი გულკეთილობა ვარგა-მეთქი, ღიმილით მიპასუხა:

- მართალი ხარ. რა ისე მაღლა ჩვენ ავედით, რომ დაცემა გაგვიჭირდეს. მაგრამ ამ სენსაც გამოვიართ, და ახალგაზრდობას წერის უნარი და სურვილი შერჩება. გამოფხიზლდება, გამომთელდება და უკეთეს რასმე შეჰქმნის.

იდეალისტსა და ბუნებით ოპტიმისტს კიტას არაფრად მიაჩნდა ამა სოფლის საუნჯენი. რბილსა და ძვალში ჰქონდა გამჯდარი "რასაცა გასცემ, შენია"-ს აზრი და ჭეშმარიტება.

უანგარობის გრძნობა, საზოგადოდ დამახასიათებელი კიტას დროის ახალგაზრდობისათვის, მასში უკიდურეს წერტილს აღწევდა. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, ისე ჰყვარებოდეს მეგობარ-ამხანაგების, დახმარებას აღარ ვიტყვი, დასაჩუქრება, მათი სიამოვნება.

ოლონდ, მეგობრებსა და ამხანაგებს რომ ვამბობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარეშე, ვისაც უნდა მიემართნა მატერიალურ დახმარებისათვის, ხელცარიელი გაესტუმრებინოს, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, თუ თვითონ უჭყაოდა ჯიბეში რამე გროში.

უკიდურესად უანგარო და თავისთვის დოვლათის ძებნისათვის გულ-გრილი, კიტა სულ სხვანაირად უყურებდა ფულისა და სიმდიდრის საკითხს, როდესაც საქმე მის ერს მისდგებოდა.

თვალ წინ ჰქონდა იმის მაგალითი, თუ როგორ მდიდრდებოდა ვინ გინდა რა მოსული ხალხი იმ საუნჯის წყალობით, რომელიც ბუნებას ერისათვის მიენიჭა: შავქვას აწყდებოდა მილეთის ხალხი, ყველა ჯიბეს ისქელებდა, და ყველაზე ნაკლებად პატრონები და ადგილობრივი მოსახლეობა.

ამის მიზეზი, სხვათა შორის, იყო ქართველური ცუდი ზნე, - გაუტანლობა, უნდობლობა და შურიანობა.

პირველი შავი ქვის წარმოებაში შეებრძოლა ამას განსვენებული გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), კიტასი არ იყოს, უანგარო იდეალისტი, მაგრამ დიდად მოწადინებული ეროვნულ სიმდიდრის შექმნისა და ერის ეკონომიურად გაძლიერებისა.

მალე კიტაც გვერდში ამოუდგა თავის მეგობარ გიორგის. მათი სურვილი იყო, ის დიდი ნაწილი შავიქვის წარ-

მოების მოგებისა, რომელსაც უცხოელი შუამავლები იდებ-
დნენ ჯიბეში, ქართველ ერს დარჩენოდა.

ხელშეკრულებათა რა პროექტები არ დასწერეს, რა პრო-
პაგანდა არ გასწიეს, რომ ქართველ მრეწველებისათვის
თავი მოეყარათ, მათგან ისეთი მძლავრი ერთეული შეექ-
მნათ, რომელსაც უცხოელ მტაცებლისგან უნდა გაეთავი-
სუფლებინა წარმოება, მაგრამ, ნათქვამია, შინაურ მღვდელს
შენდობა არ აქვსო, ვერც ამით სძლიეს ქართველურ ხასი-
ათის ცუდი თვისებანი.

იჭექა რევოლუციამ და პირველსავე წამიდგან მოიყო-
ლია კიტა მებრძოლთა პირველ რიგებში. ისედაც მკვირ-
ცხლი, ცოცხალი და აქტიური კიტა მთელის თავის არსე-
ბით შეუერთდა მას. დიდის ხნის ნატვრანი ხელმისაწვდომ
და განაღდებულ სინამდვილეთ წარმოუდგა მის აღგზნე-
ბულ გონებას. თუ რამე ეშველებოდა მის დაჩაგრულ ერსა
და მშობელ ქვეყანას, სწორედ ახლა. საჭირო იყო გარჯა,
ძარღვების დაჭიმვა, მთელის ძალღონის მოკრება და მთე-
ლის ენერგიის ამუშავება...

მაგრამ სწორედ ამ დიდებულ წამს, როდესაც იწყებოდა,
ეგონა, ნამდვილი სიცოცხლე და ნამდვილი მოღვაწეობის
დრო, სწორედ ამ დროს დასცა ბედმა ქურდულად ზურგში
ლახვარი: უკურნებელმა სენმა ლოგინად დააგდო და რამ-
დენსამე თვეში გამოასალმა კიდეც ამ წუთისოფელს.

ადამიანი, დედაკაცია თუ მამაკაცი, ჩვეულებრივ ორჯელ
იბადება, თუ შეიძლება ითქვას, ე.ი. ორჯელ ხდება ორის
სხვა-და-სხვა ოჯახის შვილი. ერთის, რომელშიაც ნამდვი-
ლად იბადება, და მეორესი, რომელსაც დაქორწინება უქმნის.

მისი ბედიც და უბედობაც, ამისდა მიხედვით, მჭიდროდ არის დაკავშირებული მისის ცხოვრების გარემოებათა შემქმნელ ამ ორს წყაროზე.

ადამიანი თავისუფალი არსებაა; თვითონ ჰქმნის თავის ბედსაო, ადასტურებს ხალხური სიბრძნეც: "რაც მოგივა დავითაო, ისევ შენის თავითაო".

მართალია, მაგრამ, აბა, სად გაექცეს ადამიანი, სხვა რომ არა იყოს, იმ ერთობას, იმ კავშირს, რომელსაც გვარი ჰქვიან და რომელსაც ჰქმნის წინაპართა სისხლი?

როგორ აუხვიოს გვერდი იმ მოვლენას, რომელსაც ჰქმნის სისხლთა ორის ნაკადის შერევა?

თავისუფალნი ვართ, უფალნი ვართ ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის გონებისა და სინიდისის, ოღონდ არიან ძალები ამ უფალთ გვბატონობენ და ჩვენს ბედსა და უბედობას სჭედენ.

კიტა ბედნიერი იყო. ბედნიერი იყო იმით, რომ მაღალის სულის და კეთილშობილ გულის პატრონ დედის შვილს მისი მაღალი სული და კეთილშობილი გული გამოჰყვა.

ბედნიერი იყო იმით, რომ, როდესაც ამა ქვეყნის წესის მორჩილმა საკუთარი კერის შექმნა მოიწადინა, ბედმა ისეთს ოჯახს შეჰყარა და ისეთი მეუღლე არგუნა, რომელთაც იგივე სულის სიმაღლე და იგივე გულის სათნოება ამკობდათ.

ბედნიერი იყო იმ ერთსულობით და სრულის თანხმობით, რომელიც სუფევდა როგორც ცოლ-ქმარს, ისე მშობლებსა და შვილებს შორის მამულიშვილის და მოქალაქის მოვალეობაზე შეხედულობის შესახებ.

მაგრამ ულმობელ ბედს შეშურდა მისთვის ასეთი ბედნიერება და, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სწორედ ისეთს დროს უმტყუნა და გაეწყვიტა სიცოცხლის ძაფი, როდესაც

მოქმედებისა და ახალ განცდათა ასპარეზი ის-ის იყო გადაეშალა უცხო წალკოტივით.

ულვთო სიკვდილმა იმდენი სულგრძელობაც კი ვერ გამოიჩინა, რომ 26 მაისის სანატრელ ხმის გაგონება დაეცალა მისთვის, - 1917 წლის 30 ქრისტეშობისთვეს გამოასალმა ამ ქვეყანას.

ჭეშმარიტად ულვთო იყო კიტას სიკვდილი, მაგრამ სიმწრის ფიალაში მაინც რჩებოდა თურმე ადგილი უკანასკნელისა და მშობლის გულისათვის უმძიმეს წვეთისათვის:

1924 წლის აგვისტოში ურჯულო ხელმა ტყვია ჰკრა გულში და მოკლა ყოველისვე გარეგანის და სულიერის მშვენიერებით შემკული ქართველი ყმაწვილი, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი, - კიტას პირმშო შვილი, გია აბაშიძე.

ამა წლის აჯანყების რვა თვით წინ დაპატიმრებულს, რა თქმა უნდა, აჯანყებაში მონაწილეობის ბრალი ვერ დაედებოდა, ოღონდ ასეთია ახალ ცხოვრების სამართალი.

ამ სამართალის წინაშე თავის ქვეყნის სიყვარული დანაშაულია. ხოლო თუ ეს სიყვარული მოთავსებულია ისეთს ლამაზ სულში და სპეტაკ გულში, როგორც გია აბაშიძეს ჰქონდა, ეს ხომ დანაშაულის უაღრესად დამამძიმებელი გარემოებაა ამ სამართალის მიხედვით.

ბევრს ქართველ ყმაწვილს გაუწირავს მამულისათვის გმირულად სიცოცხლე, მაგრამ ვეჭვობთ, ბევრს შეეძლოს იმ ხანგრძლივ წამების გადატანა, რაც ამ მშვენიერ ყმაწვილს შეხვდა წილად, და ამის შემდეგ ისე უდრეკად, ისე დიდებულად სიკვდილის დახვედრა, როგორც ესა ჰქმნა გია აბაშიძემ.

•

გასახელა, კიტა, შენმა პირმშომ! გაგიმართლა შენი მაღალი რწმენა ადამიანის მაღალ მოვალეობის შესახებ, მაგრამ... ის ხომ შვილი იყო შენი, და უწყალო ბედმა, რომელმაც შენის უდროო სიკვდილით საუკუნოდ დაამგლოვიარა შენი საყვარელი ოჯახი, ეს უკანასკნელი, ერთნაირად ტკბილი, - გმირის შვილის მამობის სიტკბოს, აბა, ვინ უარყოფს? — მაგრამ უმწარესი, - შვილის დაკარგვის გამო მწუხარებაზე უმძიმესი ვინა სთქვას, ეს უკანასკნელი წვეთი მან აგაცილა და არ შეგასვა.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე

ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის დაბალ კლასების მოწაფეთა შორის რაღაც არა ჩვეულებრივი მღელვარეა. მეოთხე კლასიანებს ახალი ამხანაგი მომატებიათ.

ახალის წევრის შემოსვლა უკვე საკმარისი მიზეზია დაარღვიოს მოსწავლეთა ცხოვრების ერთფეროვანობა, ოღონდ ის ხმები, რომელიც თან ახლავს დღეეანდელ მოვლენას, უფრო საყურადღებოდ ხდის მას ბავშვების თვალში.

- იცი, ბანკის სკოლიდან გადმოსულა! ძლიერ ნიჭიერ მოწაფედ ითვლებოდა თურმე იქ. ისეთი ნაკითხი და განვითარებული ყოფილა, რომ... — ეუბნებოდა ერთი ყმაწვილი გარშემორტყმულ ტოლამხანაგებს. ესენი კი დიდის ყურადღებით მისჩერებოდნენ და თვალებით სინჯავდნენ ახალმოსულს, თითქო განვითარებისა და ჩინებულობის გარეგან ნიშნებს ეძებდნენ მასში.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე, რადგან ეს იყო ბანკის სკოლის ის მოწაფე, რომელიც დღეიდგან ჩვენის წრის წევრი ხდებოდა, ამ დროს ვითომ ვერც კი ხედავდა მისკენ მიმართულ ათიოდ წყვილ ცნობის მოყვარე თვალს, სადღაც განზე იყურებოდა და ხელებს იფშვნეტდა.

ჩემო კარგო ვალოდია, ჩვენის ერთად გატარებული წლების რომელ წერტილსაც არ მივაბჯენ გონების თვალს, ყველგან ამ შენის ჩვეულებრივის მოძრაობით მელანდება შენი სახე, ამ შენის უნივერსალური ჟესტით.

გაცხარებული კამათია ამხანაგებს შორის. ერთხანს გაჩუმებული უგდებ მოკამათეთ ყურს და სმენად გადაქცეული ხელებს იფშვნეტ.

გესიამოვნა რამა, გაგიხარდა რამ, და სიხარულსაც და სიამოვნებასაც ხელების ფშვნეტით გამოხატავ.

გული მოგაყვანინეს ან გეწყინა რამ, და ისევ იგივე ხელების ფშვნეტა და კიდევ ერთი მოძრაობა, რომელიც მუდამ თან ახლდა ამ ხელების ფშვნეტას, - მხრების წინ წამოღება და თვალების ერთ წერტილში მიჩერება...

ცოცხლად მიდგას თვალ წინ შენი სახე, მაგრამ რამდენს არ ვაფორიაქებ შორის წარსულის ბედნიერ დღეებს, იშვიათად თუ წავაწყდები აქა-იქ ამ, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო საყვარელს და, რადგან ჩვენი სიყრმის დღენი იშლებიან მასზე, უმშვენიერეს ფილმზე, შენს მოცინარ სახეს. უფრო ხშირად ხან დინჯსა, ხან კიდევ ჩაფიქრებულს გხედავ.

ერთხელ-ორჯელ თუ ჩაგითრია ლელო ბურთმა, თორემ ვერ იქნა, ვერსად ვერ დაგინახე ვერც წრებურთის მოთამაშეთა და ვერც იმათ შორის, ვინც ოთურმას გადადიან.

ახირებულია, მაშინ უფრო მხიარული და უდარდელი მეგონე, ვიდრე ეხლა გხედავ ამ სიშორიდგან.

ეხლა კი ვიცი, რა ფიქრები გიტრიალებდნენ თავში, რა დარდები — გულში.

იმ თავითვე მუყაითი და წიგნების მოყვარული, შენ ხარბად დაეწაფე ცოდნის წყაროს, - ცალკე შენის ქვეყნის წარსული და ცალკე თანამედროვე მეცნიერება, უფ-

რო კი პოლიტიკური ისტორია და დამოუკიდებლობისადმი სხვა-და-სხვა ერთა მისწრაფება და ბრძოლა თავისუფლებისათვის, - ამ საგნებსა და ასეთს აზრებს ეტანებოდა შენი გონება და გრძნობა.

ამ სარჩოს ძებნაში იყო მუდამ შენი აზრი, და სარჩოს ძებნასაც იგივე სცოდნია თურმე, რაც ლუკმა პურისთვის მუდმივ ზრუნვებს: სიდინჯე და უდარდელობის წართმევა.

მაგრამ, რა გინდ ადრე დადინჯდეს ადამიანი, სიყმაწვილის გატაცებას, მის სიცელქეს ვინ გაქცევია, შენ გაქცეოდი.?

და გახსოვს, ჩვენი ექსკურსიები ქუთაისის დუქნებში, სადაც ქურდულად შევიპარებოდით,დავიმალებოდით დუქნის უკანა ოთახში, მოვითხოვდით ღვინოს და ორიოდ ჭიქა ღვინით წაქეზებულნი რა საკითხებს არ წავეპოტინებოდით, რა გეგმებს არ ვაწყობდით!..

1891-ის ივნისის ოთხია თუ ხუთი. გამოცდები ჩავაბარეთ კიდეც და აგერ გიმნაზიის საბჭოს ოთახის კარის წინ შევგროვილვართ. ველით, რომ დაგვიძახონ და დაგვირიგონ გიმნაზიის სწავლის დამთავრების მოწმობანი.

მოუთმენლად ვართ. ან კი რა საკვირველია: აი-აი უნდა გადავლახოთ ის ფორმალური ხაზი, რომელიც საზღვრავს ჩვენის სიყმაწვილის ორ ხანას, სიმწიფისა და უმწიფრობისას.

აჰა, მიგვიპატიჟეს, მოგვილოცეს სწავლის დასრულება და ამის დამადასტურებელი ქაღალდიც ჩაგვაბარეს.

საჩქაროდ გამოვდივართ ქუჩაში ძვირფას საბუთ-ამოიღლიავებული, ერთ წამს შევდგებით, ერთმანეთს შევხედავთ და შემდეგ უსიტყვოდ გადაეხვევით ერთმანეთს, ბედნიერები, ერთის გრძნობით და ერთის აზრით გამსჭვალულნი.

ბედნიერ წამების მოგონებაც ერთნაირ სიამოვნების განცდაა. ოღონდ, ვაი, რომ გაუზიარებელი მრჩება.

დადგა ზაფხული. მარგარინის სტუდენტები, როგორც ვიღაცამ გვიწოდა, რადგან გიმნაზიას სამუდამოდ გამოვეთხოვეთ და უნივერსიტეტი კი ჯერ თვალით არ გვენახა, დავიშალენით: სოფლელებმა თავიანთ სოფლებს მიაშურეს და ზოგმა კიდევ დაბა-ქალაქებს.

ვალოდია ხშირად ჩამოდის მაინც ქუთაისში თავის სოფელ დიდ ჯიხაიშიდგან, და მაშინვე გვაქვს დაუსრულებელი მუსაიფი ბულვარის ხეივნებში.

ერთ-ერთს ასეთს შეხვედრისას გადავწყვიტეთ უნივერსიტეტში გასამგზავრებლად თავი მოგვეყარა ყველა ჩვენ ამხანაგებისათვის და ერთად გავდგომოდით გზას.

გადავწყვიტეთ და ავასრულეთ კიდეც, დავნიშნეთ ვადა და შევატყობინეთ ყველა ამხანაგს.

დანიშნულ დღეს, - კარგად მახსოვს, ხუთი მარიობისთვე იყო, - ქუთაისიდგან დავიძარით ხუთი და ექვსი ქუთათური მკვიდრი.

ჩვენის განზრახვის ხმა, ყველანი ერთად გავმგზავრებულიყავით, მთელ ქალაქს მოდებოდა, და ამ ამბავმა, გარდა იმისა, რომ ყოველ ჩვენთაგანს თავისი გამცილებელი ჰყავდა, ბევრი ისეთი ხალხიც მოიზიდა სადგურზე, რომელსაც უამისოდ აზრადაც არ მოუვიდოდა ჩვენი გაცილება.

ქუთაისის პატარა მატარებელში ტევა არ იყო, რადგან მთელმა ამ ხალხმა რიონის სადგურამდე გასეირნება მოინდომა.

მოვედით რიონს, გადავსხედით ბათომისკენ მიმავალ დიდ მატარებელში. გზა და გზა დაიწყო ჩვენ სოფლელ ამხანაგების დენა.

აგერ ნიკოლაძის პლატფორმაზე შემოჯდა ერთი.

- ვალოდია, შენა?

- სადა ხარ, კაცო? — ისმის ბნელაში მისი ხმა.

- აქა, აქ, მეორე ვაგონში ბოლოდგან.

მატარებელი ერთ წამს ჩერდება, ვეხმარებით ბარგის ამოტანაში. აი, ამოვიდა კიდეც.

რა ბედნიერები ვართ, ისევ ერთადა ვართ!

აი, ბათომიც. გადმოვდივართ მატარებლიდგან. თექვსმეტი შევგროვილვართ.

მართალია, გიმნაზია დავამთავრეთ ოცდაექვსმა და ამრიგად ჩვენი განზრახვა სავსებით ვერ ავასრულეთ, მაგრამ ესეც დიდი მიღწევაა.

განსვენებულმა გიორგი ლასხიშვილმა შემდეგში მიამბო, რომ მასა და მის ამხანაგებსაც დაბადებოდათ აზრი რამე განსაკუთრებულის აქტით აღენიშნათ გიმნაზიის კურსის დამთავრება და გადაეწყვიტათ ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიის სწავლა დამთავრებულ ქართველებს დანიშნულ დღეს ლიხის მთაზე მოეყარათ თავი, და იქ, ქართლ-იმერეთის საზღვარზე გაემართათ ამხანაგური საზეიმო ქეიფი, განზრახვა განზრახვად დარჩენოდათ.

განზრახვა მათი იყო უკეთესი, იქნება, ხოლო განზრახვის შესრულება კი ჩვენი.

დაილოცა, სიყმაწვილევ, შენი უშუალო და ამიტომ მადლით წმიდა გრძნობა, შენი ხალისი და გიჟური გატაცება. უსაზღვროა და უანგარო შენი სიყვარული, შენი მეგობრული გრძნობა თავდადებული.

გიყვარს ყველა, ვინც გარს გარტყია, ამიტომ არის, რომ ვერ იტან შეჩვეულ წრის შევიწროებას. ერთიც რომ ჩამოგშორდეს ამხანაგი, გულს გაკლდება.

გიორგი ლასხიშვილის წრის განზრახვისა ჩვენ არა ვიცოდით რა, მაგრამ დახეთ, იმათაც და ჩვენც ერთი და იგივე გრძნობა და აზრი გვასულდგმულებდა! მათიც და ჩვენი განზრახვაც ერთ და იმავ ყმაწვილურ გრძნობის შედეგი იყო, წარმოშობილი ინსტიქტურ სურვილით, რაც

შეიძლება დიდხანს ერთად ვყოფილიყავით და რაც შეიძ-ლება შორს გადაგვედო ჩვენის ერთმანეთთან დაშორების წამი.

ბათომიდგან თექვსმეტმავე ოდესაზე ავიღეთ გზა, მიუ-ხედავად იმისა, რომ ზოგი მოსკოვს მიდიოდა და ზოგი ხარკოვს და მაშასადამე უფრო მოკლე გზაც ჰქონდათ.

გემიც ისეთი ამოვირჩიეთ, რომელიც ყველა ნავთსად-გურში შედიოდა და ამიტომ უფრო დიდ ხანს უნდებოდა გზას.

მაგონდება, ბევრად უფრო გვიან, ერთი ოციოდ წლის შემდეგ ამბავი. რომში კოლიზეუმის დასათვალიერებლად მე და ერთმა ჩემმა მეგობარმა მოხუცებული გიდი ავიყვა-ნეთ.

შეგვიყვანა ამ სიდიდით და ნაშენობით განსაცვიფრე-ბელ ამფითეატრში, დაგვსვა ქვებზე და:

- ეხლა დახუჭეთ თვალები, ყური კარგად დამიგდეთ და მინამ არ გითხრათ, თვალს ნუ გაახელთ.

ჩვენც დავხუჭეთ თვალები და გიდი მოჰყვა:

- წარმოიდგინეთ, რომ ეს სადა ქვის კედლები თავიდ-გან ბოლომდე შემოსილი იყო ნაირ-ნაირის, სხვა-და-სხვა ფერის იშვიათის მარმარილოთი, რომ ამფიტეატრის ყვე-ლა რიგს, ქვემოდან სახურავამდე, გარს უვლიდნენ საუცხ-ოვო ქანდაკებანი, ხოლო თვით რიგები მორთული იყო ძვირფასის აბრეშუმით და აღმოსავლეთის ხალიჩებით. შემოსავალ კარებში გაქვავებულსავით დგანან რომის ჯა-რისკაცები. სახურავის მაგივრობას სწევს მთელ ამ უზარ-მაზარ შენობაზე გადაჭიმული სქელი აბრეშუმის მუქ-ვარდის-ფერი უშველებელი საფარი, რომელსაც უხილავი ხელი სურნელოვან წყალს ასხურებს, შიგნით სიგრილის შესანახად.

ამ საფარში გატარებული მზის სინათლე ნაზ ვარდისფერ სინათლედ გამეფებულა.

წარმოდგინეთ ეხლა, რომ საკრავების ხმა მოგესმათ შორიდგან და უამრავ ხალხის ხმაურობაში თქვენს ყურს სწვდება: "ავე კეისარ!"

ხმაურობა ახლოვდება, და აგერ ხედავთ, აი, იმ ყველაზე დიდსა და ყველაზე მდიდრულად მორთულ ლოჟაში შემოდის ის, ვინც მბრძანებლობს ქალაქსა და მთელს ქვეყნიერებას, - თვით რომის იმპერატორი, თან მოსდევს ამალა, - სარდლები, სენატორები, წარჩინებულნი, ქალები... და რა ქალები?

ამავე დროს დინჯად შემოდიან და პირველ რიგებში იჭერენ ადგილს მხედრები, რომის წარჩინებულ გვარეულობათა წარმომადგენელნი: უფრო მაღლა საშუალო წოდებანი მოთავსებულან და სულ მაღლა დაბალ ხალხს, პლებსს, დიდი ხანია მოუყრია თავი.

წარმოიდგინეთ ეხლა, რა ხმაურობა აქვს, თუ ოთხმოცათას არა, როგორც ზოგი ამბობს, სულ ცოტა ორმოცდაათი ათასს აქ შეკრებილ კაცსა, ქალსა და ბავშვს.

რიგებსა და რიგებს შუა დადიან საგრილებელ სასმელების გამყიდველნი. არენაზე მიდი-მოდიან მონები.

აქა-იქ მოჩუქურთმებულ მარმარილოს საგანგებო ჭურჭლებში იწვის აღმოსავლეთური სურნელება.

ხალხს მოუთმენლობა ეტყობა: "დროა, დროა!" — ისმის აქეთ-იქითგან.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა: წარმოდგენის დაწყების ნიშნად იმპერატორმა თითი ასწია.

- წარმოიდგინეთ ყველა ეს და... თვალი გაახილეთ.

გავახილეთ თვალი და... სინამდვილეში ვიხილეთ გიდის მიერ დახატული სურათი, ხანმოკლე, წუთიერი, მაგ-

რამ იმდენად ცოცხალი, თითქო ერთი იმ დამსწრეთაგანი ჩვენც ვყოფილიყავით.

მინდა იმ გიდის საშუალება ვიხმარო და ეხლა შენ გეტყვი, მკითხველო:

წარმოიდგინე წყნარი, სარკესავით გადაშლილი, ჯერ კიდევ ჩვენის ქვეყნის ნაპირების ჩარჩოში ჩასმული ზღვა; ამ ზღვაზე წყნარად მიმავალი გემი, რომლის ბაქანზე თავი მოუყრია თექვსმეტ ყმაწვილს.

მათის ცხოვრების ცაზე აქამდის აქა-იქ თუ გადაურბენია პატარ-პატარა, უმნიშვნელო ღრუბელს, თორემ ჯერ არასდროს არ მოუცვია იგი ქარტეხილით დამძიმებულ შავ-ბნელ ღრუბელს.

წარმოიდგინე, რომ ასეთი დიდი მოგზაურობა პირველია მათს ცხოვრებაში და რომ ამ მოგზაურობის დროს თავიანთ თავის უფროსი თვითვე არიან და არავინ ჰყავთ რისამე დამშლელი.

წარმოიდგინე, როგორის იმედებით ავსებენ თავიანთ მომავალს, სად მიემგზავრებიან, რის მოლოდინში არიან და ერთი რამ კიდევ, რომ ყოველ ამ თექვსმეტთაგანს თან მოაქვს საგანგებოდ ამორჩეული, სულ ცოტა, ორ-ორი ბათმანი თავის ქვეყნის ღვინო, რომელსაც თან ახლავს აღარავისთვის სავალდებულო დარიგება, - შვილო, გამოიმეტე და ცოტ-ცოტა სვი-ო.

წარმოიდგინე ყველა ეს და ადვილად მიხვდები, თუ რა სიხარულსა და ბედნიერებას, რა ნეტარებას განიცდიდა ეს ახალგაზრდობა, როგორ აცხოველებდა მათი სიმღერა და ლაღობა გემის ბაქანს...

ვალოდიასაც დიდი ბედნიერება ეხატა სახეზე. იფშვნეტს და იფშვნეტს ხელებს და მხრებ წამოწეული, მოცინარე თვალებს თვალებში მიყრის.

დროგამოშვებით მიჯდება სადმე კუთხეში დაგროვილ მსხვილ თოკებზე და გატაცებული კითხულობს სწორედ იმ ხანს გამოცემულ ახალგაზრდა ქართულ გამომცემელ ამხანაგობის მიერ "ელგუჯა"-ს.

აღტაცებულია ამ რომანის გმირების სადა, მაგრამ ღრმა ბუნებით. წაიკითხავს რამდენსამე გვერდს, აიღებს მაღლა თავს და, რაღაც ფიქრებში წასული, ცის ტატანს მიაჩერებს თვალებს.

რაღაც ფიქრებში. ეს ხომ იგივე ფიქრებია, მწარე ფიქრები და მათთან განუყრელი ოცნება, იმედები, რომელიც არა ერთხელ გაგვიზიარებია ერთმანეთისათვის ჩვენს დაუსრულებელ სჯა-ბაასში, ჩვენს მეგობრულ საუბარში.

ერთი აკლია ჩვენს სრულს ბედნიერებას, - გვაკლია კიდევ ორი მეგობარი. ისინიც რომ ჩვენთან ყოფილიყვნენ, ჩვენი პატარა ჯგუფი საკვსებით იქნებოდა წარმოდგენილი და წუთიერი ბედნიერებაც უნაკლო.

გვაკლიან ნიკო და ანდრო*.

ყველაფერს ბოლო აქვს ამ ქვეყნადო, ნათქვამია, და ჩვენს ერთად მოგზაურობასაც დაუდგა ბოლო. ოდესას მივედით. ზოგი აქ რჩება; მათ შორის ვალოდიაც. დანარჩენები უფრო შორს მივალთ.

- აბა, კარგად იყავი. არ დაიზარო, მოიწერე ხოლმე, - ერთის და ამავე სიტყვებით ვეთხოვებით ერთმანეთს, ვეხვევით ერთი მეორეს და... მთელის ერთის წლით ვშორდებით ერთმანეთს, ბავშობიდგან ახალ გამოსულობის დროიდგან, დღემდის განუყრელი გულის მეგობრები.

---

* ნიკო თავდგირიძე და ანდრია დეკანოზიშვილი

გაიარა ჩვენის სტუდენტობის ამ პირველმა წელმაც. ხუმრობაა?! მთელის ერთის წლის შთაბეჭდილებანი გვაქვს გასაზიარებელი, მერე როგორი შთაბეჭდილებანი!

სტუდენტობის პირველი წლისა, იმ სრულებით ახალის ცხოვრებისა, ამ ცხოვრების იმ ახალისა და არაჩვეულებრივ მოვლენათა, რომელნიც წარუხოცელ დაღს ადებენ ყმაწვილის სულსა და გულს.

წავა ვალოდია რამდენიმე დღით, ერთის კვირით სოფელში და ისევ ჩამოიჭრება ქუთაისში.

ერთ-ერთ ჩამოსვლაზე, ივლისის შუა იქნებოდა, მითხრა:

- ხვალ ბათომს მივდივარ; ერთი ჩემი ნაცნობი ფრანგი მოდის და უნდა დავხვდე, ზეგ ნაშუადღევს ჩამოვალთ და, თუ ძმა ხარ, ბულვარში დამხვდი. გაგაცნობ და პურიც ერთად ვჭამოთ და მერე ვნახოთ, როგორ მოვუაროთ იმ ჩემს ნაცნობს.

მესამე დღეს გავეშურე ბულვარისაკენ. დანიშნულ ადგილს რომ მივუახლოვდი, დავინახე სკამზე ჩამომჯდარი ვალოდია და მის გვერდით ვიღაც უწვერ-ულვაშო კაცი. შორიდგანვე მეუცნოვა უცნობის სახე და მისალმებისთანავე მივახალე ვალოდიას, ეს ქალი ვინ ჩამოგიყვანია-მეთქი.

- ნუ სულელობ, ბიჭო, რისი ქალი, ვინ ქალი!?

ეს ისე დინჯად მითხრა, ისე წარბშეუხრელად, რომ თვალს აღარ დავუჯერე და ქალი კაცად მივიჩნიე.

მეორე-მესამე დღეს დავათვალიერებინეთ ჩვენს უცხოელ სტუმარს ქუთაისი. მოვიარეთ ახლო-მახლო მიდამოები, - ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, წყალწითელას მხარე, საღორიის ტყე და სხვ., და ბოლოს გადავწყვიტეთ გელათი გვეჩვენებინა.

დანიშნულ დღეს სადგურზე შევიყარენით. ვხედავთ, მოდიან ნ. ნიკოლაძე, ვექილი გიორგი ღოღობერიძე და მომრიგებელი შუამავალი მერაბ ლორთქიფანიძე.

- თქვენ რა გინდათ აქა, თქვე პადლ...ბო, - მოგვმართა ნიკომ მე და ვალოდიას ამ არაჩვეულებრივის მოსასალმებელ სიტყვით.

- ვალოდიას ერთი ნაცნობი ფრანგი ჩამოვიდა და გელათის დასათვალიერებლად მიგვყავს, - ვუპასუხე მე.

- ეს ქალი ვინ ჩამოგიყვანია, შე პ-ცო, - მიმართა ეხლა ვალოდიას.

ვალოდიამ განზე გაიხედა და გაიღიმა:

- ახლა შენღა მაკლიხარ! სადაური ქალია!

- ქალიცაა და არც ყმაწვილი. მე, გინდა მომატყუილო? მაგას დავეხსნათ და გელათის ნახვას მერეც მოასწრებთ. მოდით, ტყიბულში წამოგვყევით. მაღაროებს დაგათვალიერებინებთ, ქვანახშირის ამოღებას გიჩვენებთ და ნაქერალაზედაც აგიყვანთ; საუცხოო სანახავია. ჭამა-სმა კარგი გექნებათ და მოისვენებთ კიდეც რამდენსამე დღეს მშვენიერ მთიან ადგილს. სხვა რა გინდათ!

ამ დროს ქუთაისსა და ტყიბულს შუა სახალხო მატარებელი ორჯერ დადიოდა მხოლოდ კვირაში. ამიტომ ტყიბულში წასვლა ნიშნავდა სამის დღით იქ დარჩენას.

ერთხანს დავფიქრდით, - წინადადება მეტად მოულოდნელი იყო, მაგრამ ასეთი კარგი შემთხვევა არც ისე ადვილი საპოვნელი იყო ჯიბეგაფხეკილი სტუდენტებისათვის: ხუმრობაა — სამის დღის სრულებით უფასო პანსიონი საუცხოო მთიან ადგილს, და ჩვენც დავთანხმდით.

ავედით ტყიბულში. აქ მაღაროების გამგე ინჟენერის ბინაზე მოგვცეს ოთახი. გაგვიგეს იატაკზე ხალიჩები და ლებები, - ბოდიში მოიხადეს, არ გელოდით მაგდენ ხალხს და შინ კი მაგდენი საწოლი არა გვაქვსო. ერთის სიტყვით, მოგვაწყვეს და თავი გაგვანებეს, თვითონ კი საქმეს ჩაუსხდნენ, რომლისთვისაც მოსულიყვნენ.

ერთ ნასადილევს მოდის ნიკო და გვეუბნება:

- აბა, წამოდით, ნაქერალასკენ წავიდეთ. სულ მაღლა ვერ ავალთ, მაგრამ რამდენიც შევიძლოთ, ავიდეთ.

მივდივართ, ვმუსაიფობთ; უფრო ყურს ვუგდებთ ნიკოს. უცნაური ადამიანია, მოუსვენარი და გაუმაძღარი, რამდენადაც საქმე რამე ცოდნის შეძენას შეეხება. ღრებულსავით სვამს ყოველსავე ახალ შთაბეჭდილებას, რომ მერე გონების ცეცხლში გაატაროს და თავი ქვეყნისათვის გამოსაყენებელ აზრად გადაადნოს.

აი, ეხლაც ტყიბულის ქვანახშირის ამბავს გვეუბნება; რკინისგზა რომ გამოიყვანეს, აქაურ სადგურს პირველში "ურგები" ერქვაო, ხოლო ქვანახშირის გაზიდვა რომ დაიწყო, "სარგებ"-ით გადაკეთდაო.

გვიჩვენებს "ბრიკეტები"-ს ქარხანას, გვიამბობს ტყიბულის რკინის გზის გამოყვანის ისტორიას. ეს ხომ მისი პირადი დამსახურებაა, მან შეაგულიანა და დაარწმუნა მთავრობა თავისის საგაზეთო წერილებით ამ შტოს გამოყვანის საჭიროებაში.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, ნიკო დაიღუნა და რაღაც მოზრდილი ხოჭო აიყვანა და მოგვიბრუნდა:

- ამგვარი ხოჭო ამისთანა დიდი არ მინახავს ჯერ; საუცხოვო ნიმუშია...

ამის თქმა და ჩვენის ფრანგის დაკივლება და მოკურცხვლა ერთი იყო.

- აკი გითხარი, შე პა-ცო, ქალია-მეთქი! თუ ქალი არა, მაგნაირად ვინ იკივლებს ან ვინ შეშინდება ხოჭოს დანახვაზე?

ვალოდია იღიმება, მაგრამ უარს ველარ ბედავს.

აქედგან დაწყებული მოსვენება აღარ ჰქონია ჩემს ვალოდიას:

- ვიღაც ფრანგი ქალი ჩამოუყვანია, ბატონო! კაცურად აცვია და ასე ჰგონია, ველარავინ მიუხვდება, ქალიაო!

სამი წლის შემდეგ ნიკო თავდგირიძეს მოუხდა პარიზში ჩამოსვლა და ჩვენში რომ ჩამობრუნდა, მიამბო:

- საწყალი მარსელ კლამორი! (ამ სახელს ატარებდა ჩვენი ყმაწვილი ფრანგი საქართველოში მოგზაურობის დროს).

- როგორ თუ საწყალი?

- მოკვდა. ერთ დღეს მისი ბარათი მომივიდა, საავადმყოფოში ვარ და მნახეო, ოღონდ კლამორს კი ნუ იკითხავ, ელიზ ბუატე იკითხეო. მივედი, ენახე ავადმყოფი და ქალი გამოდგა. საწყალმა მიამბო, რისთვისაც დასჭირვებოდა ასეთი მასკარადი.

1892-ში მოსკოვში გაიმართა ელექტრონის გამოფენა. თან გამოფენის დათვალიერება მინდოდა და თან რუსეთის ნახვაო. ქალის სახით ვერ გავბედე მარტოდ წასვლა და გადავწყვიტე მამაკაცის ტანისამოსი ჩამეცვა და ისე მემოგზაურნაო.

მოსკოვში მამაკაცის სახით ყოფნამ ისე გამათამამა, რომ გადავწყვიტე ამ სახითვე მეცხოვრა ოდესაშიაც, სადაც რამდენსამე წელიწადს ვაპირებდი დარჩენას. ჩემი სქესის ასეთი დამალვა ძლიერ გამომადგა, - გაკვეთილებს, რომელიც ერთად-ერთი წყარო ჩემის არსებობის, უფრო ადვილად ვშოვილობდი და უფრო კარგ ფასში, ვიდრე ქალად რომ დავრჩენილიყავი.

მომიკითხე ყველა ნაცნობი. მათი თავაზიანი მოპყრობა არასოდეს დამავიწყდება. ვხედავდი, მიმხვდარი იყვნენ, ვინც ვიყავი, მაგრამ ერთხელაც არ შემამჩნევინეს.

ო, როგორ მინდოდა, ერთხელ კიდევ მენახა თქვენი ლამაზი ქვეყანა, ერთხელ კიდევ გამეტარებინა რამდენიმე ხანი

თქვენს კეთილსა და რაინდ ხალხში, მაგრამ, ვაი, რომ უიმედო ნატვრაა, რადგან არა მგონია, ამ ავადმყოფობას გადავურჩეო.

მართლაც, ერთ კვირაზე გარდაიცვალა კიდეც.

დაასრულა ვალოდიამ უნივერსიტეტი, და ქუთაისის ინტელიგენციის ერთმა წრემ მოისურვა მისი საზღვარგარეთ გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად.

ჯერ კიდევ მესამე კურსიდგან მეოთხეზე გადასვლისას საფაკულტეტო საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა ახლო აღმოსავლეთის შესახებ ვალოდიას მიერ წარდგენილი სამეცნიერო შრომა.

რაკი ვალოდიას მედლით დაჯილდოვებაზე ჩამოვაგდე სიტყვა, ბარემ აქვე გაკვრით აღვნიშნავ, რომ ვალოდიასთან ერთად იმავე წელს და იმავ ოდესის უნივერსიტეტში დაჯილდოვებულ იქნა ვერცხლის მედლით მეორე ჩვენი მეგობრის, ნიკო თავდგირიძის შრომა, რომელიც ის ამტკიცებდა, რომ ბიზანტიის გავლენა რუსეთზე ხდებოდა საქართველოს საშუალებითო.

ზემოხსენებულ ქუთათურ ინტელიგენციის წრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შენიშნა ვალოდიას ნიჭი და მასთან შრომის სიყვარული და უნარი, და ხელი გაუმართა მეცნიერული სწავლის გასაგრძელებლად.

იმავ შემოდგომაზე ვალოდია გერმანიაში წავიდა.

სრულ ორ წელსაც არ გაევლო, და 1897-ს შუა ზაფხულში ვალოდიას ჩვენს მექაში — თბილისში — გაჩნდა, სადაც უკვე მოვიკალათეთ მის მეგობართა უმეტესობამ.

მეტად გაგვიხარდა ჩვენის მეგობრის ჩვენს წრეში დაბრუნება, მაგრამ ასე მალე არ ველოდით, - სულ ცოტა

სამის წლით გვეგონა წასული; ასე ვარაუდობდა ქუთაისელი დამხმარე წრეც, - ამიტომ მისალმებისა და პირველ, ასე ვთქვათ, პროტოკოლურ კითხვა-პასუხების შემდეგ, შევეკითხეთ:

- ასე მალე რომ ჩამოხვედი, განა ვეღარ გაგიგრძელეს დახმარება?

- არა, დახმარებას ერთხანს კიდევ გამიგრძელებდნენ, ოღონდ გერმანელმა ექიმებმა კატეგორიულად მიბრძანეს, ერთ კვირასაც ნუ დააყოვნებ, ახლავე დაბრუნდი შენს ქვეყანაში. იქაური ჰავა მალე გამოგამთელებს; აქ რომ დარჩა კი, ჩვენი სუსხიანი, ცივი ქვეყანა არაფერს ხეირს დაგაყრის, რადგან ფილტვები გაქვს დაზიანებულიო. მეც, რაღა დამრჩენოდა, შევკარი ბარგი და გამოვსწიე.

მაშინ დავაჩერდით მხოლოდ ჩვენის მეგობრის სახეს და პირველ შეხვედრის სიხარულზე რომ ვერ შეგვენიშნა, ეხლა დავინახეთ? რომ სახე როგორღაც დაწმენდოდა, სახის ძვლები უფრო მკაფიოდ იხატებოდნენ, რომ სახეს, ერთის სიტყვით, ის იერი მისცემოდა, რომლითაც ისე ადვილია ფილტვების დაზიანება გამოიცნოს კაცმა. დავფაცურდით, წავიყვანეთ ვალოდია ჩვენს "გეგე"-სთან, - ამ სახელით იცნობდა თბილისის მაშინდელი ქართველობა განთქმულ ექიმს, კეთილსა და უანგარო გრიგოლ გრიგოლის ძე მაღალაშვილს.

განსვენებული გამოჩენილ პეტერბურგელ პროფესორ ბოტკინის მოწაფე იყო. ისეთი მახვილი ყური ჰქონდა და ისეთი გამოცდილება შინაგან, განსაკუთრებით ფილტვების, სენთა გამოცნობაში, რომ ხშირად სადაც სხვას ვერაფერს ხედავდა, "გე-გე" თუ იჭვნეულად გაიქნევდა თავს, უნდა გცოდნოდათ, რომ საქმე ვერ იყო კარგად. ერთხელ ვიღაც თბილისელი პეტერბურგს წასულიყო, ბოტკინისათვის უნდა

გაესინჯვინებინა თავი. ამას რომ გაეგო, თბილისელი იყო, ეთქვა თურმე:

- თქვე დალოცვილო, აქ, ამ სიშორეზე მოსვლას რა გსჯიდათ, მაღალაშვილი იქ გყავთ! მისი ყურის პატრონს ვერაფერი გამოეპარება!

აი, ამ მახვილის ყურის პატრონთან მივიყვანეთ ვალოდია. გასინჯა, გამოჰკითხა. საუბედუროდ, გერმანელი ექიმები მართალი გამომდგარიყვნენ: ვალოდიას დიდი სიფრთხილე ჰმართებდა და თავის მოვლა.

ერთხანს კარგადაც უვლიდა თავის თავს. ზაფხულობით აბასთუმანს მიდიოდა და იმდენად მოიკეთა, რომ ორისამის წლის შემდეგ სამშვიდობოში გამოსული გვეგონა.

ან მაშინ რა იცოდა, ან ჩვენ მაშინ რას ვიფიქრებდით, რომ ამ, ჩვენის აზრით, სრულებით გამოკეთებულს და იმედებით სავსეს ოცდა შვიდი-რვა წლის ვაჟკაცს სულ ათის წლის სიცოცხლეც არ დარჩენოდა.

მხნედ და მხიარულად შეუდგა ჩვენი ვალოდია ქვეყნის სამსახურს. შევიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად და თან იმ დროს ერთ რედაქტორობის ქვეშ მოქცეულ "მოამბე"-სა და "სახალხო ფურცელ"-ში დაიწყო თანამშრომლობა.

ახირებულია, რა რიგ იცვლება ადამიანის ხასიათის ზოგი მხარე, რაც რომ დრო მიდის. სხვას კი არა, ზოგჯერ შენს თავსაც ატყობ ასეთს ცვლილებას. არა თუ ბოროტი კეთილად იქცეს, ან კიდე ნიჭიერი უნიჭოდ და ზარმაცი მუყაითად, თუმცა ასეთს უკიდურესს და გადამტეხ მოვლენასაც აქვს ზოგჯერ ადგილი ცხოვრებაში.

არა, ჩვენ სხვა ცვლილებაზე ვლაპარაკობთ, შეუმჩნეველზე, ძნელად დასახასიათებელზე. თქვენი ნაცნობი, ნათესავი თუ მეგობარი ისევ ისაა, როგორსაც მუდამ იცნობდით,

ოღონდ დროგამოშვებით ხედავთ, ან უფრო გრძნობთ, ვიდრე ხედავთ, მის არსებაში რაღაც ახალს, რაღაც უჩვევს.

დაეტყო ასეთი ცვლილება ვალოდიასაც. გიმნაზიაში და უნივერსიტეტში ეს იყო კერპი ნიღილისტი. მახსოვს, როგორის სისასტიკით უარყოფდა ჩვეულებრივს, მიღებულს ჩაცმულობას: გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში და სტუდენტობის დროს ზაფხულობით შავ ღვედ შემორტყმულ ლურჯ ხალათს ატარებდა და წუღებს, ოღონდ თეთრი გახამებული საყელო და სამაჯურები, რას მიქვიან, მაშ კეხს როგორ დავიდგამ კისერზეო.

პირველი, რაც თვალში გვეცა და რის შესახებაც ნიშნი მივუგეთ სამზღვარგარეთიდგან ჩამოსვლისას, იყო მისი ჩინებული ჩაცმულობა და კეხის დადგმაც.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი, - ასეთი ცვლილება ადვილი მოსალოდნელი და გასაგები იყო ყმაწვილისაგან, რომელსაც სამი წელიწადი გაეტარებინა ევროპაში. ვალოდია სხვანაირადაც გამოცვლილიყო.

ეხლა ის კეთილი და გულწრფელი ვალოდია იყო, უკიდურესობამდის უანგარო მეგობარი, ოღონდ გიმნაზიელობისა და სტუდენტობის დროს თავი რომ მაღლა ეჭირა, სიტყვას ხანდახან რომ მოკლედ მოსჭრიდა და ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გადასთქვამდა, ეხლა როგორლაც უფრო დამთმობი გახდა, დარბილდა. საზოგადოებაში არა თუ არ ეტანებოდა წინა რიგებს, პირიქით, ჩრდილში დგებოდა და სხვებს უთმობდა პირველ ადგილს.

მოხდება ხოლმე, ადამიანს ისეთი რამ გარემოება შეემთხვევა ცხოვრებაში, რომ წელს მოსტეხს, და გუშინ რომ თავმომწონე, ამაყი და გაბედული იყო, დღეს დაშინებულსავით ყველას ერიდება, დაჩუმებულა და თითქო დაპატარავებულაო.

არა, ვალოდია კვლავინდებურად გაბედული და მაგარი დარჩა. არც რამე ისეთს შემთხვევას ჰქონია ადგილი მის ცხოვრებაში, რომ გაეტეხოს. არა, ის, როგორც ნათქვამი იყო, როგორღაც დარბილდა, რაღაც დინჯის თავმდაბლობის იერი მიეცა.

თავგამოდებით იღვწის ვალოდია საზოგადო ასპარეზზე, - მასწავლებლობს ეროვნულ გიმნაზიაში და ჟურნალ-გაზეთში თანამშრომლობსო, რომ ვთქვათ, ვერაფერი დამახასიათებელი იქნება მის ლიტერატურულ შრომისათვის, - რედაქციაში ათევს და აღამებს.

სწერს წერილებს, სთარგმნის, ასწორებს ხელნაწერებს; თუ დასჭირდა, არც კორექტორობაზე ამბობს უარს და ძლიერ ხშირად დაღალული, ზის რედაქციაში ნაშუაღამევს კარგად გადაცილებულს და ელის ტელეგრამებს, რომელთაც რუსული სააგენტო იძლევა და რომელთაც, მაშასადამე, საჩქაროდ სჭირია თარგმნა, რომ სახვალიო გაზეთში მოთავსდეს, და ქართველ მკითხველს მსოფლიო ახალ ამბების გაზეთის გასაგებად რუსულ გაზეთის კითხვა არ დასჭირდეს.

თავის დაკვირვებულს, დიდის ნიჭით და ცოდნით დაწერილს წერილებს ან სულ არ აწერს ხელს, ან ვინ-ლასს მოაწერს, ან კიდე სხვა რაიმე ფსევდონიმს ამოეფარება.

აკი მოგახსენეთ, გამოიცვალა ვალოდია-მეთქი. უწინ თუ თავმომწონე ყმაწვილი იყო და ამაყი, ეხლა თავის გამოჩენას აღარაფრად დაგიდევთ, - სხვა უფრო დიდი სახელი, უფრო დიდი მცნებაა მისის გონების და მის მისწრაფებათა სალოლიავებელი საგანი; საგანი, რომლის ჩრდილში თავის პიროვნებისა და სახელის დაყენება ბედნიერებად მიაჩნია.

სახელი რას უქვიან, თვით სიცოცხლესაც სიხარულით შესწირავს იმ საყვარელ და დიდებულ საგანს!

- რას ელი, ბიჭო? შენი მეგობრები ყველანი დავცოლშვილდით, ოჯახს მოვეკიდეთ, შენ რაღას ელი?

საბედო რომ საძებნელი გყავდეს, კიდევ ჰო, არას გეტყოდით, მაგრამ რომ ვიცით, რომ სიცოცხლეს ურჩევნიხარ და შენც გიყვარს?

არა ერთხელ ჩავციებივართ ჩვენს მეგობარს და გვიმაჭანკლია განსაკუთრებით ერთერთ ჩვენთაგანის ცოლს, ვალოდიას საბედოს დიდ მეგობარს.

ვალოდია გაჩუმებულია, შუბლ ქვემოდგან გვიყურებს, იღიმება და... ხელებს იფშვნეტს.

ვმაჭანკლობთ და, ღმერთმა იცის, თუ ამაზე კეთილი, ორივესადმი ძმურის სიყვარულით და ღრმა გრძნობით მაჭანკლობა სხვას ვისმე გაეწიოს.

იშვიათი მეულლე გხვდა წილად, ჩემო ვალოდია, - კეთილი, უწყინარი, ყოველნაირ გაჭირვებისა და უსიამოვნების მუდამ ერთნაირის მოსიყვარულე, ტკბილისა და მადლიანის ღიმილით დამხვედრი კატო. მაგრამ, ვინ რა იცოდა მაშინ, რომ ისე მოკლე ხანი ედო წინ თქვენს ბედნიერებას.

თუ შენის დაკარგვით გამოწვეულმა უსაზღვრო მწუხარებამ მაშინვე არ გადაიყოლა საბრალო კატო, ეს ხომ მხოლოდ იმიტომ, რომ ვალოდიას ქვრივს ხელთ დარჩა სამი წვრილშვილი.

დატრიალდა პატარა ქალი, ოთარაანთ ქვრივის არ იყოს, მოუარა და დაზარდა, ფეხზე დააყენა სამივე და ეს სტრიქონები დაწერილი არ მქონია ჯერ, - აგერ ორი თუ სამი

თვეა, ჩვენის მეგობრის ქვრივი და თვით გულითადი მეგობარი ჩვენი, კატოც გამოესალმა აქაურობას და სამუდამოდ შეუერთდა თავის ვალოდიას.

1909-ის ივნისია, ნაშუადღევი. მოდის კიტა აბაშიძე და მეუბნება:

- ვალოდია უარესად გამხდარა, - მითხრეს; ქობულეთიდგან ჯიხაიშში ჩამოუყვანიათ. თუ არა გაბრკოლებს რა, წავიდეთ, ვნახოთ.

იმავ საღამოს ვსხდებით ბათომს მიმავალ მატარებელში და დილა ადრიან ჩამოვდივართ ნიკოლაძის პლატფორმაზე, სამტრედიასა და კოპიტნარს შუა.

აქედგან სულ ოთხი და რაღაც კილომეტრია ვალოდიას სახლამდის. ნახევარ საათში ვალოდიას ეზოს ჭიშკართანაც ვართ კიდეც.

ვიღაც უცნობი გამოდის ოდიდგან და ჭიშკრისკენ მოდის; უცნობს კატო მოაცილებს.

იმაზე, თუ როგორის შემკითხავის თვალებით შეჰყურებს უცნობს კატო, მიმხვდარი ვართ, ექიმია.

შუა ეზოში შევიყარენით. ჩვენს დანახვაზე კატოს ნაღვლიან სახეზე სიამოვნება ეხატება. გვაცნობს უცნობ კაცს! მართლაც ექიმი გამოდგა.

ამ დილა ადრიან ექიმის ვიზიტი არაფრის კარგის მომასწავებელია. ვერიდებით რისამე კითხვას, მინამ კატო ჩვენთანაა; ველით მარტონი დაგვტოვოს. დიდის ხნის ლოდინი არ გვჭირდება.

- მშვიდობით, ბ-ნო ექიმო! თქვენ ამოხვალთ, თუ გირჩევნიათ ცოტა ხანს დაისვენოთ ეზოში? — გვეკითხება ჩვენ, პასუხს აღარ ელის და ოდისკენ მიეშურება.

ექიმი აღარც კი ელის ჩვენს შეკითხვას: არც ისე ძნელი მისახვედრია, რომ დროს გასატარებლად მოსული სტუმრები არა ვართ; ჩვენი სახეები უსიტყვოდ გამოსთქვამენ მწუხარე კითხვას.

- ამ დილას მეტად მძლავრი პროქსიზმი ჰქონდა. ჯერ შეაცივა, შემდეგ ორმოცი და ხუთი მეათედი სიცხე მისცა და ბოლოს საშინელი ოფლი დაასხა. მდგომარეობა მეტად მძიმეა, - გვითხრა ექიმმა და კიდევ რამდენისამე განმარტების შემდეგ გამოგვეთხოვა, ჩვენ კი ოდისაკენ გავეშურეთ.

შევედით თუ არა, ვალოდია შემოგვეგება. ჩვენს დანახვაზე ღიმილი მოგვაშუქა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს საშინლად გამხდარი, გაყვითლებული ადამიანის აჩრდილი ის ჩვენი ვალოდიაა, რომელიც დევი არასოდეს ყოფილა, მართალია, მაგრამ მაგარი, ჩაფსკვნილი, საკმარისად მხარბეჭიანი და ლამაზი ბიჭი იყო. თვალები-ღა შერჩენია მხოლოდ წინანდელი.

შერჩენია? უფრო გადიდებია, შიგ რაღაც კითხვა ჩასახვია და აღარ შორდება.

რამდენსამე წამს ფეხზე დგას; მალე სისუსტე ერევა და სკამზე ჩამოჯდება, მაგრამ სკამზე ჯდომაც ჩქარა ღალავს და მეორე ოთახში გადის წამოსაწოლად.

მისიანებთან ვრჩებით. კატო მოუსვენრად დარბის, - ხან ჩვენთანაა, ხან ვალოდიასთან.

სადილობის დროც მოდის. გაშალეს სუფრა. დავსხედით. ვალოდიას ჩვენთან უნდა სჭამოს პური. დაჯდა, მაგრამ არაფრის მადა არ აქვს, და ცოტა ხანს უკან აღარც ღონე აქვს სუფრაზე ჯდომის. ისევ საწოლ ოთახში მიდის.

- იქნება მოისვენოთ, - გვეკითხება ნასადილევს კატო, - ღამით ნამგზავრი ხართ და დაიღლებოდით. სად გირჩევნიათ, აქ ოთახში, თუ გარეთ, ხეებ ქვეშ?

- ბორჯომში, - ვუპასუხებ მე და ამ სახელის ხსენებაზე მწარე ფიქრები მომდის თავში.

მაგონდება, პირველად რომ ვესტუმრე ვალოდიას. პირველსავე დღეს, სუფრიდგან რომ ავიშალენით, ვალოდიამ ხელი წაატანა ხალიჩის ყურს! ამოიიღლიავა ორი მუთაქა და მითხრა:

- ახლა ბორჯომს წავიდეთ!

ეს ბორჯომი სამი თუ ოთხი, ჯგუფად ამოსული ხე აღმოჩნდა ოდის მოშორებით, მშვენიერის მოლით ხეებქვეშ და ირგვლივ.

აქ მუდამ გრილოდა ხეების ჩრდილში; ნაშუადღევს კი, მზე რომ გადიხრებოდა და ნიავი წამოუქროლებდა, ხომ ნეტარება იყო ამ ხეებ ქვეშ ხალიჩაზე გაგორება.

რამდენჯერ მივცემივართ აქ განცხრომას ვალოდია და მე; რამდენი გვილაპარაკნია, რამდენი გვიოცნებია... ამ დღის მოლოდინში?..

გაგვიშალეს "ბორჯომში" ხალიჩა, დაგვიდვეს მუთაქები; წამოვწექით კიტა და მე, ოღონდ სასაუბროდ აღარცერთს არ გვედო გული.

ცოტა ხანს უკან კიტას ჩაეძინა. არც მე ვიყავი ნაკლები დაღლილი, მაგრამ ამაოდ, - ძილი არ მეკარებოდა.

ერთხანს გულაღმა ვიწექი და ცაში მიმავალ ღრუბლებს ვადევნებდი თვალს.

ერიდე, ადამიანო, თუ ნაღვლიანად ხარ, თვალის აყოლებას იმ პატარა, გაპენტილ ბამბის ქულების მსგავს ღრუბლებისათვის, ნელ-ნელა რომ მისცურავენ ლაჟვარდ ცაზე და ნელ-ნელადვე, შეუმჩნევლად დნებიან და ინთქებიან უსაზღვრო სივრცეში. ერიდე, თორემ უფრო მწარე ფიქრებს მოგგვრიან...

მზე დასავალს გადიხარა და ნიავმა წამოქროლა.

გაუქროლა "ბორჯომის" ხეებს და ააშრიალა იქვე, ეზოს საზღვარზე დაყოლებულ ახალგაზრდა ალვის ხეების ფოთლები.

მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით

ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა...

უეჭველია, ხშირად ლაზღანდარობენ ნიავი და ფოთლები. სწორედ რომ ლაზღანდარობენ, როგორც ეს შეუდარებელის სილამაზით და ზედმიწევნით გამოსთქვა ბუნების მოტრფიალე ჩვენმა დიდმა ილიამ. ოღონდ იმ დღეს იმ ალვის ხეების ფოთლებს სალაზღანდაროდ არა სცალოდათ...

ნამდვილ შეთქმულებსა გვანდნენ: ხან აგერ შეინძრეოდა ორი-სამი ფოთოლი, წაიჩურჩულებდნენ რაღაცას თავიანთ გაუგებარ ენაზე და მიჩუმდებოდნენ, ხან ეგერ წაილაპარაკებდნენ ორი სხვა.

ახლა ეგერ, შორს ჩურჩულობს ფოთლების პატარა გროვა. ჩამოვარდება ერთ წამს სიჩუმე, და თითქო ვიღაც უხილავმა შიკრიკმა ჩამოურბინა, მერე ხმას უმატებენ, და აი, აშრიალდნენ, ალაპარაკდნენ ზედწაბმით, მთელს სიგრძეზე, ყველა ხეებზე პატარ-პატარა ჯგუფები.

ხიდგან ხეზე გადარბის ფოთლების მუქარის ხმა, იზრდება მათი წყრომა, მატულობს.

კიდე ერთი წამი, და დიდის ხმაურობით აიშლება მთელი მწვანე სამეფო.

შრიალებენ, გმინავენ, მრისხანე მუქარას უთვლიან ვიღაც უხილავ მტერს.

ეს აღარ არის ლაზღანდარობა. ფოთლების აბობოქრებულ ზღვის ხმაში ისმის რაღაც საბედისწერო, რაღაც უბედობის მომასწავებელი...

ვეღარ გავუძელ პატარა თეთრ ლამაზ ღრუბლების ნელა-ნელა დნობის, არარად ქცევის ცქერას.

გული დამიღონა ფოთლების ხან საიდუმლო ჩურჩულმა, ხან მზაკვრულის მუქარით სავსე მაღლა ხმაურობამ. ფეხზე წამოვხტი, მოვიხედე და...

აივანის მოაჯირზე ორსავე ხელით დაყრდნობილი, ტან გარეთ წამოღებული იდგა ვალოდია და გაგანიერებულის თვალებით მოგვჩერებოდა ჩვენ.

შევხედე და თვალი მოვარიდე.

რად გვიყურებდა ისე დაშტერებით? რას ფიქრობდა იმ დროს?..

დაღამდა. გამოვეთხოვეთ ვალოდიას და მის ოჯახობას და წამოვედით.

რამდენისმე დღის შემდეგ შეგვატყობინეს, რომ ვალოდია აბასთუმანს წაეყვანათ.

ძლიეს ერთმა თვემ გაიარა მას აქეთ, რაც ვალოდია უკანასკნელად ვნახეთ. შუა ივლისია. თბილისში აუტანელი სიცხეა. მზე უმოწყალოდ გვაჭერს, მაგრამ ჩვენ ვერ ვგრძნობთ მის სიმწვავეს: ჩუმად, უსიტყვოდ მივსდევთ ჩვენის მეგობრის კუბოს ავჭალის ქუჩით კუკიის სასაფლაოსკენ...

კირილე ლორთქიფანიძე

ოქტომბრის მიწურულია, კვირა დღე. საღამოს ოთხ საათ-ნახევარია დაახლოვებით.

დღე და საათი იმიტომ მახსოვს ასე კარგად, რომ შვებულებიდგან პანსიონში ვბრუნდებოდი; იქ კი, წესისამებრ, კვირა საღამოს სრულს ხუთ საათზე უნდა დავბრუნებულიყავ.

მივდივარ ნაცნობ ქუჩებით. გზაში ერთი ჩემის კლასის ამხანაგი შემხვდა. ისიც პანსიონში ბრუნდება, ამიტომ ერთად განვაგრძობთ გზას და თან ვმუსაიფობთ.

შუა ლაპარაკში რომ ვართ, გავიხედე, ქუჩის მეორე მხარეს დინჯად, ზომიერის ნაბიჯით, მოდის მხრებში ოდნავ მოხრილი მაღალის ტანის მოხუცი.

ერთბაშად შევწყვიტე მუსაიფი და:

- იცი, ვინ არის მოხუცი? — ვეუბნები ჩემს ამხანაგს, - ეს ჩვენი, ქართველების, არისტიდეა.

- არისტიდე? — შემომხედა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ჩემმა ამხანაგმა.

- ჰო, ნამდვილი არისტიდე, რადგან მაგისთანა მართალი და პატიოსანი მეორე არ მოიპოვება-მეთქი, - განვუმარტე ჩემი აზრი, და რაკი ამ დროს გავუსწორდით მოხუცს, დიდის მოწიწებით სალამი მივეცი.

მოხუცმა, რომელიც, ვეჭვობ, მიცნობდა იმ დროს თორმეტის-ცამეტის წლის გიმნაზიის მოწაფეს, თავაზიანად ქუდი მოიხადა და კეთილის ღიმილით სალამზე სალმით მიპასუხა.

უნდა გამოვტყდე, საშინლად მიყვარდა ბავშვობისას დიდებისათვის სალამის მიცემა, მაგრამ არა იმდენად თვით ქალაქში, რამდენადაც ქალაქს გარეთ; ქალაქიდგან მიმავალ რომელ შარა გზითაც არ უნდა წავსულიყავ სასეირნოდ, კალათებით დატვირთული ოკრიბელი გლეხი იქნებოდა, თუ გუდა მოკიდებული ლეჩხუმელი, ან კიდე რაჭველი, ან მხრებზე განიგან გადებულ ჯოხით ბაღდადელი, არ შეიძლებოდა, მხიარულად და რაც შეიძლება ალერსიანად არ შემეძახნა:

- გამარჯვება, კაი კაცო!

მიყვარდა მათის ღირსებით სავსე იმავ დროს მხიარული და ალერსიანი პასუხი:

- ღმერთმა გაგიმარჯვოს, პატარა!

ან:

- შენც გაგიმარჯოს, კუტაია, და კაი კაცი გაგზარდოს!

მაგრამ იმ დღეინდელ ჩვენის "არისტიდეს"-ადმი მისალმებას ორი აზრი ჰქონდა: უნდა მეჩვენებინა იმ ჩემ რუს ამხანაგისათვის, რომ ჩვენ, ქართველებს, შესანიშნავი ადამიანი გვყავდა და რომ, ამ ადამიანს რომ თავს დავუკრავდი, ის საპასუხო სალამს მომცემდა.

გამცა კიდეც პასუხი, და ჩემი პატარა გული სიამაყით აივსო.

ან როგორ არ ვიამაყებდი, - ეს ხომ თვით კირილე იყო, კირილე ლორთქიფანიძე, რომლის შესახებ იმდენი მესმოდა გარშემო ყველა დიდისაგან.

ეხლა რომ მკითხოთ, რა მსმენოდა, ერთ სიტყვასაც ვერ გეტყვით, ვიცი ოღონდ, რომ გაგონილის საერთო შთაბეჭდილებას იყო ის, რომ, თუ კირილე რასმე ამბობს, ნამდვილია და მართალი. რომ მისგან მიდგომა და სიმრუდე არავის უნახავს, რომ... კირილესთანა პატიოსანი და მართალი ადამიანი, ერთის სიტყვით, იშვიათზე იშვიათია.

ამ შთაბეჭდილებას ადასტურებდა კირილეს გარეგნობაც: მშვენივრად მოყვანილი, მაღალი, ოდნავ მოხრილი ტანი, დაწმენდილი ლამაზი სახე, მშვენივრად დავარცხნილი ახალის ვერცხლისფერი თმა და იმავ ვერცხლის წვერ-ულვაში, და ყველა ამის დამამშვენებელი ლმობიერი, უმეტეს ნაწილად კეთილად მოღიმარე გონიერი დიდრონი ცისფერი თვალები.

ასეთი მახსოვს კირილე ჩემის ბავშვობის დროს, ასეთივე მიდგას თვალ წინ მისი სახე, საზაფხულოდ რომ ჩამოვიდოდი ხოლმე ქუთაისს სტუდენტობისას და ერთ ხანს კიდე მას შემდეგაც. მუდამ ერთი და იგივე, უცვლელი, თითქო დროს შეეჩერებინოს მისთვის თავისი დენა.

კირილეც, როგორც ყველა ქუთაისელი ინტელიგენტი და არაინტელიგენტი, ერთერთი მუდმივი წევრი და დაუზარებელი მოსიარულე იყო ქუთაისის "ბულვარისა", ამ თავისუფალ კლუბისა, როგორც ვიღაცამ დაარქვა მას.

გადიხრებოდა მზე თუ არა, და სიგრილის სიო შემოჰკრავდა, უნდა გცოდნოდათ, რომ, სადაც არის, კირილეც გამოჩნდებოდა დინჯად მომავალი ბალახვნის ქუჩით, მუდამ ერთნაირად გამოწყობილი, - შავს ჟაკეტში, განიერის შავის მაუდის ქუდით და ჯოხით, ან ქოლგით ხელში.

მოსაუბრეთ ძებნა არ სჭირდებოდა, იქვე შესავალ კართან შეეყრებოდა უკვე შემდგარ მობაასეთა ჯგუფს, და კირილეც, ასე ვთქვათ, "ინ მედიას რეს" შედიოდა, - უკვე გაბმულ მუსაიფს უერთდებოდა.

კირილე მეტად სასიამოვნო მოსაუბრე იყო. დინჯი და თვით პატიოსნების განსახიერება სიტყვას არავის წაართმევდა, მოსაუბრეს თუ მოკამათეს მოთმინებით უსმენდა. გუშინდელ გიმნაზიელს ისე ებაასებოდა, როგორც თავის ტოლს, თითქო მისის ცოდნის და გამოცდილების პატრონი ყოფილიყოს.

ოღონდ, - და შეიძლება, ეს მის ბუნების ინსტიქტიური პროტესტი იყო, მოკამათეს სოფისტურ ხრიკისათვის მიემართნა, რომ მუდამ დინჯსა და ზომიერს კირილეს სახე წამოწითლებოდა, თვალები გაგანივრებოდა და აწეული ხმა როგორღაც გაწვრილდებოდა.

ასეთს შემთხვევაში ისეთის სისწრაფით ისროდა სიტყვებს, თითქო, რაც სათქმელი ჰქონდა, ერთხელ ჩასუნთქულ და დაგუბებულ ჰაერისათვის უნდა ამოეყოლებინა.

და მართლადაც, ბოლო სიტყვები სუნთქვა-გამოლეულს ჩურჩულად გადაექცეოდა და ხმა დაუწვრილდებოდა.

ასეთი გაცხარებული არა ერთხელ მინახავს კირილე ქუთათურ ბანკოვიადას დროს, როდესაც ქუთაისის, - და განა მხოლოდ ქუთაისის? — იმერეთის, გურია-სამეგრელოს და რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებნი, ვისაც კი რამე დამოკიდებულება ჰქონდა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმეებთან, ორ ბანაკად იყვნენ დაყოფილი: კალისტრატეებად და ანტიკალისტრატეებად.

ქუთაისის ბანკოვიადა, თუ ბანკის მართვა-გამგეობის გარშემო ორ მოპირდაპირე ბანაკის გაჩენა და მათ შორის უკიდურესი ბრძოლა, წინამორბედი იყო თბილისისა. იქაც და აქაც საზოგადოებაში ასეთ განხეთქილების ჩამოვარდნის მიზეზი ერთი და იგივე იყო: პიროვნული თავ-დაპატივმოყვარეობა ზოგიერთისა და საზოგადოებრივ ლა პოლიტიკურ ფართო მუშაობის დაუკმაყოფილებელი წყურვილი დანარჩენებისა.

ჩვენს საგანს არ შეადგენს ამ ბრძოლების ამბის მოყოლა. გაკვრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ენა მახვილ და სიტყვა მოსწრებულ კალისტრატე ჩიკვაიძეს და უფრო კიდე განათლებულსა და დიდის ნიჭით დაჯილდოებულს ივანე მაჩაბელს სხვანაირად შეეძლოთ გამოეჩინათ თავი და საზოგადოებისათვის და ერისათვის უფრო სასარგებლოდ გამოეყენებინათ თავიანთი ნიჭი და ენერგია.

აქ თუ შევეხეთ ამ ამბავს, მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია, რომელიმე იმდროინდელი მოღვაწე მოიგონო და შენდა უნებურად მაშინდელი ამბებიც თვალწინ არ დაგიდგეს, მეტადრე, როდესაც კირილეზეა ლაპარაკი.

ახლა რომ მახსენდება ქუთაისის საბანკო ბრძოლები, გაკვირვებული ვარ, როგორ ითმენდა მაშინდელი ადმინისტრაცია იმ მიტინგებს, რომელიც თითქმის მთელის ერთის თვის განმავლობაში იმართებოდა ქუჩების ჯვარედინებზე შიგ შუა ქალაქში.

ასეთ თავისუფლებას მაშინდელ რუსეთში კი არა, ევროპაშიაც ვერ იპოვიდით. ალბათ ამ მიტინგების და ჩოჩქოლის თვით საგანი მიაჩნდა ადმინისტრაციას უმნიშვნელოდ.

იმდროინდელ მოღვაწეს ისე ვერ მოიგონებ, რომ მაშინდელი ამბებიც თვალწინ არ დაგიყენოს-მეთქი, მოგახსენეთ. მაგრამ დახეთ, ბანკის გარშემო ბრძოლების გახსენებამ თავის მხრით მომაგონა ერთი მაშინდელი ახალგაზრდა მოღვაწე.

თვალწინ მიდგას ერთი მრავალრიცხოვანი მიტინგისებური ყრილობა იმ ქუჩების გზაჯვარედინზე, რომელთაგან ერთი ბულვარს ჩაუდის და მეორე ქუთაისის თეატრს.

მახსოვს, შუაში ჩამდგარა ახალგაზრდა დათიკო წულუკიძე, ნიჭიერი, თამამი და ჩინებული მოლაპარაკე:

უქუდო, თმებ აშლილი დათიკო თან კითხულობს კალის-

ტრატე ჩიკვაიძის საწინააღმდეგოდ დაწერილ ბროშურას და თან თავის განმარტებებს დასძენს. გარშემო ხმაურობაა, ჩოჩქოლი. კალისტრატეს მომხრენი სიტყვას აწყვეტინებენ, რეპლიკებს აძლევენ; მოწინააღმდეგენი მხარს აძლევენ, სიტყვას უწონებენ.

დათიკო მარჯვედ არის, ხმას იმაღლებს, რომ ხმაურობა სძლიოს, კალისტრატეს მოწინააღმდეგეთა ოხუნჯობას თავისას უმატებს, მის მომხრეთ რეპლიკებზე მოსწრებულის პასუხით ბურთსა სჩრის პირში.

ქარი თმას უშლის. ჟაკეტის კალთებს უფრიალებს და – რაკი მთელი არსება მოძრაობაშია: ენა, თმა, ჟაკეტი – თვალების, წარბების და ხელების მოძრაობასაც თან ატანს არგუმენტაციის გასაძლიერებლად.

საწყალი დათიკო! რა კარგი სანახავი იყო სამიტინგო ორატორის როლში... ოღონდ რამდენი სხვა ნიჭიერი და გატაცებული, მშვენიერის სულის პატიოსანი ქართველი "დათიკო" დახურდავებულა შედარებით ისეთ პატარა საქმისათვის, როგორიც ბანკის საქმეების მართვა იყო და რამდენ სხვას ისიც არ რგებია წილად, რადგან განვითარების ბუნებრივ პირობებს მოკლებული გონება და სული იჩაგრებოდა...

რა თქმა უნდა, ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, როგორიც იყო კირილე, ქუთაისის ქართულ საზოგადოების ერთი მოთავეთაგანი, "დროებ"-ის ყოფილი რედაქტორი და თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემათა თანამშრომელი, ვერ დარჩებოდა ამ ბრძოლების გულგრილი მაყურებელი.: ქუჩების ჯკვარედინებზე მიტინგებისათვის კირილე ვერ გამოდგებოდა და არც გამოდიოდა.

მას უფრო ეხერხებოდა და ურჩევნოდა წესიერი ყრილობები, კრებები, ან... ბულვარის პატარა ჯგუფები, სადაც ჯერ წყნარ ლაპარაკს შეჰყვებოდა და ჩქარა, კამათით გატაცე-

ბული და უფრო გაცხარებული, თავისებურად ხმას აუმაღლებდა, წამოწითლდებოდა და ბოლოს უწვრილებდა ხმას.

სიფაქიზე, ულრმესი პატიოსნება, სიკეთე და უწყინარობა, გარეგანი ხისუფთავე და წესიერება, ერთის სიტყვით, იშვიათი სათნოება, ასეთი იყო კირილეს გამოსვლები, საბანკო კრება იქნებოდა თუ ქალაქის საბჭოს სხდომა, სადაც ქუთაისის მოსახლეობა უცვლელად ირჩევდა მას ხმოსნად.

არა ნააზრი და ხელოვნური, არამედ სავსებით ბუნებრივი, - ასეთი იყო ამ ადამიანის თანდაყოლილი თვისება.

თანდაყოლილი, რადგან ჩემის დროის დაჭაღარავებული კირილე ბევრით არაფრით განირჩევა იმ სურათისაგან, რომელსაც იძლევა თავის მოგონებებში ნიკო ნიკოლაძე.*

ნ. ნიკოლაძეს კირილე ფილიპე ბერიშვილის სახელით ჰყავს გამოყვანილი. სახელი ბერიშვილი სიტყვა "ბერი"-დგან თუ აქვს ნაწარმოები, რადგან კირილეს ცხოვრება, მართლაც, ძლიერ წააგავდა ბერის ცხოვრებას.

ნიკო ასე აგვიწერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს კირილეს:

..."ფილიპე და მე მალე დავძმობილდით... საკვირველი ქმნილება იყო ეს კაცი. მისთანა ახირებული და თან სასიყვარულო ჰირი არც მანამდე შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ.

ამ კაცის კანში ბედს ორი წინააღმდეგი ხასიათის პირი ჩაუკვეტებია. ერთი მათგანი თავაზიანი, თავდაკავებული, გონიერი და სხვისთვის თავგამოდებული ქმნილებაა, ფაქიზიანი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორსგამჭვრეტი.

---

* "სტუდენტობის პირველი დრო". ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები ტ. 1

მაგიერად ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რამოდენად ჯიუტი და თავისნებაა, რამოდენად აჩქარებული და ცეცხლმოკიდებული მეორე.

სანამ ფილიპე მოთმინებიდან გამოვა, სანამ მას რამე გააცეცხლებს ან აღაშფოთებს, მასში პირველი ხასიათი სჩანს და მოქმედობს. მაგრამ "ბზიკი რომ უკბენს", "ჯორზედ რომ შეჯდება", ეს ხასიათი მეორეს უთმობს ადგილს. მაშინ თქვენ წინ წამოდგება გაჭარხლებული, თვალებ გამოკუსული, ათრთოლებული კაცი, რომელსაც როდიღა ახსოვს რამე...

ვერ დაითვლის კაცი მაშინ მის მწარე სიტყვებს, ვერ წარმოიდგენს მის შფოთვას, წყრომას და რისხვას...

...ფილიპე ბევრს ფიქრობდა,ბევრს კითხულობდა იმ დროს; ჩვენ ყმაწვილებში ის ცოდნით როდი ვისმე ჩამოუვარდებოდა. მისი ნიჭი იშვიათად გამოჩენილა, ამიტომ რომ, თუმცა დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს: ერთობ მძიმედ, ერთობ სინდისიანად უცქერის ცხოვრებას და მოქმედებას. საქმეს კაცმა მარტო მაშინ უნდა მოჰკიდოს ხელიო, ამბობს, როცა ხელთ ყველაფერი მზადა აქვს საქმის ბოლომდი მისაყვანადო...

...ყველას რომ ასე ემოქმედოს, ბევრი არაფერი გაკეთდებოდა ქვეყანაზე... ყოველი კაცი ვალდებულია ერთი ნაბიჯი მაინც წაადგმევინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროვეებს; ჩვენ რომ ვუცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთბაშად მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენს დღეშიაც არ გვეღირსოს.

ის ჰქენი, რაც შეგიძლია, რისიც ღონე გქონდეს; სცადე და, თუნდა არა გამოვიდეს რა, ამ გაბედვასაც და ამ

ცდასაც სარგებლობა მოსდევს. აუხოცელი კვალი მაინც დარჩება“...

ნიკო ნიკოლაძის მარჯვე კალამი და მკვეთრი სიტყვა უფრო ცხოველ სურათს იძლევა უთუოდ, ვიდრე ეს შეეძელი მე, მაგრამ მაინც მგონია, მის მიერ დახატულ სტუდენტ კირილეში ადვილია იცნოს კაცმა ჩემი ჭაღარა კირილე.

არის, რასაკვირველია, ჩვენს სურათებში ჰატარ-ჰატარა განსხვავებაც.

...“მაშინ თქვენ წინ წამოდგება გაჭარხლებული, თვალებ გამოკუსული, ათრთოლებული კაცი, რომელსაც როდიღა ახსოვს რამე... ვერ დათვლის კაცი მაშინ მის მწარე სიტყვებს, ვერ წარმოიდგენს მის შფოთვას, წყრომას და რისხვას“, - ამბობს ნიკო სტუდენტ კირილეს შესახებ და უმატებს: მაშინ მზად არის ყველაფერი დალეწოს და შემუსროსო.

ჩემ დროის კირილეს უკმაყოფილებისა და წყრომის გამოსათქმელადაა და გამოსახატავად მხოლოდ ის შერჩა ახალგაზრდობის დროიდგან, რომ სახე გაუწითლდებოდა, ან როგორც ნიკო ამბობს, გაჭარხლდებოდა, თვალები გაუგანიერდებოდა, ან ისევ ნიკოს სიტყვა რომ ვიხმაროთ, თვალებს გამოკუსავდა და ხმას უწვრილებდა.

ოღონდ რა “ბზიკსაც არ უნდა ეკბინა“, რისამე დალეწვის ან შემუსრვის გუნებაზე მაინც ვერ მოიყვანდა. აღარც მწარე სიტყვებს გაიგონებდით მისგან.

ეს განსხვავება ადვილი გასაგებია და მსგავსებას არას აკლებს. ნუ დაივიწყებთ, რომ დრო იგივე მანძილია, და დახეთ რიონს ქუთაისს და მის ზემოდ და მერე ჭალადიდსა ან ფოთში. აქ შფოთია და ბრაზიანი, იქ დამშვიდებული და წყნარი.

იყო კირილეს ხასიათში ერთი მხარე, რომელსაც ნიკო განსაკუთრებით ხაზს ავლებს:

...“თუმცა დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს“-ო...

არ ვიტყვი, მთელი თავისი ნიჭი, მაგრამ რომ მისი კარგა დიდი ნაწილი კირილემ მიწაში დამარხა, იქნებ არ იყოს მოკლებული სიმართლეს.

კირილე გადამეტებულის თადარიგის კაცი იყო. ყოველსავე საქმეს ისე დაწვრილებით დაამუშავებდა, ისე დაალაგებდა, რომ კაცი ვერაფერ წუნს დასდებდა, მაგრამ ამ დალაგება-დამზადებაში დრო მიდიოდა და ზოგჯერ კარგად დამზადებული და მოსაზრებული გეგმა... დაგვიანებული გამოდგებოდა, სხვა რომ არა ვთქვათ.

ასეთის სინელის ერთი მაგალითი, მახსოვს, ჩემს თვალ წინ მოხდა:

კირილე მამია გურიელის ლექსების სრულ გამოცემას ამზადებდა. დიდი ხანი მოანდომა ლექსებისა და პოემების დალაგებას. დიდი ხნის ლოდინით მოთმინება დაკარგულმა ქუთაისის გამომცემელმა საზოგადოებამ დაგვიანება უსაყვედურა.

"რა ვქნა, ბატონო, იმ ნეტარხსენებულმა კინაღამ დამაფიცა, მასალა კარგად დამელაგებინა და ტექსტი კარგად შემემოწმებინა. მეც ფრთხილად ვეკიდები, მეშინია, ერთი მძიმე არ გამომეპაროს ან უადგილოდ დასმული არ აღმოჩნდეს“-ო — თავისებურად გაგრძელებულის სიტყვით უპასუხა კირილემ.

- ის დალოცვილი მძიმეებს გამოდგომია, და ჩვენ კი აგერ წელიწადნახევარია ველით ტექსტს, რომ ბეჭდვას შევუდგეთ, - შემომჩივლა გამომცემელ საზოგადოების ერთმა წევრმა, თომა მთავრიშვილმა, როდესაც, როგორც იქნა, ხელნაწერი ხელში ჩაიგდო და გადასაწერად გადმომცა.

ესეც კიდე კირილეს ახირება იყო: ჩემ მიერ გადაწერილი და წიგნად აკინძული მამიას ლექსები არამც-და-არამც არ

მისცეთ სტამბაში; გადააწერინეთ ვისმე და თქვენი გადაწერილი მიეცით, ჩემი ნაწერი კი ისევე სუფთა და ხელუხლებელი დამიბრუნეთ, როგორც მომიციაო.

- თუ კაცი ხარ, ფრთხილად მოექეცი, გადაწერისას ლაქა არ მოხვდეს ან კიდე ფურცლები არ დაიჭმუჭნოს, - გამაფრთხილა თომამ.

ასეთი იყო კირილეს გადამეტებული პუნქტუალობა, მისი საქმიანობის მეთოდი. ეს ქართველ კაცისათვის იშვიათი თვისება თან დაყოლილი ჰქონია და სიყმაწვილეშივე იმდენად განმტკიცებული და ძლიერი, რომ, ნიკოს სიტყვებით, ნიჭს მიწაში ამარხვინებდა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ის აზრი, რომ კირილემ მთელი თავისი ნიჭი მიწაში დამარხა, გადამეტებულია, მაგრამ კალამ ქვეშ ადვილ გასაგები.

გავიხსენოთ, ვინ არის მხატვარი და სურათი ვისია, ნიკო და კირილე.

ერთი — მოუსვენარი და გაბედული: თავის გამსჯელობის მუდამ სულ ახალ და ახალ საგნის მძებნელი; ცოცხალ და მომქმედ ბუნების და დიდი ნიჭის პატრონი.

მეორე — აგრეთვე ნიჭიერი, მაგრამ მეტის-მეტად ფრთხილი და ამიტომ ნელი, მეტის-მეტად მეთოდიური და ხშირად საჭირო გამბედაობას მოკლებული.

რაღა გასაკვირია, რომ ამ ორ ანტიპოდში პირველი რომ მეორეს ახასიათებს, სწორედ ამ განსხვავებას დააწვეს და მას გაავლოს უმთავრესად ხაზი.

მაგრამ უნაკლულო ვინ არის ამ ქვეყნად, კირილეს თავისი არ ჰქონოდეს!

გაუბედავობა და ნაკლულევანებად გადაქცეული პუნქტუალობა და არ აჩქარება, ეს ისეთი მცირე რამ არის კირილეს სულისა და გულის მრავალ სხვა მაღალ და მშვენიერ

თვისებებთან შედარებით, რომ მის მოგონებაზე მხოლოდ ესენი გვაგონდება და თვალ წინ გვიყენებს მის მშვენიერსა და სპეტაკს სახეს და მის კეთილშობილ ბუნებას.

აკი ნიკოლაძეც არ ამბობს, მისთანა "სასიყვარულო პირი არც მაქნამდი შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ"-ო.

დიდსა და განსაკუთრებულ ბუნებას უმეტეს ნაწილად თან ახლავს რამე ახირებულება. კირილესაც მოსდევდა ასეთი რამ.

არ ვიცი, როდის ან რა მოსაზრებით, გადაეწყვიტნა ფოტოგრაფიული სურათი არ გადაეღო. მართლადაც, თავის ნებით არადროს არ გადაუღია.

მეორე მისი ახირება ის იყო, რომ, რა რო უნივერსიტეტიდგან ჩამოვიდა, ქუთაისიდგან ფეხი არ მოუცვლია და არსად არ უმოგზაურნია: დიდ მგზავრობას ვიღან ამბობს, არც თბილისში და არც ბათომში არც ერთხელ არ ჩასულა, და ვგონებ, რკინის გზის იმ პატარა შტოზედაც არ უვლია, რომელიც ქუთაისს ამიერკავკასიის რკინის გზის მთავარ ლიანდაგს უერთებს სადგურ რიონში.

დიდის და მაღალის ბუნების პატრონი იყო კირილე. მისი გული ღრმა და კეთილ გრძნობათ გაეხადათ თავიანთ სამკვიდრებლად, და მისი სული — პატიოსან და მაღალ მისწრაფებათ. და ყველა ეს გრძნობა, მისწრაფება და აზრი, მთელი მისი სული, გული და გონება ერთს საგანს ევლებოდა თავს, - თავის ერს.

სიტყვით, კალმით თუ მოქმედებით მთელ თავის სიცოცხლეს მას ემსახურებოდა და მისთვის უძგერდა გული.

არ იყო ისეთი საზოგადო საქმე, რომელშიაც მას არ მიეღოს მონაწილეობა. საზოგადო კრებებზე თუ კერძო სხდომებზე, ყველგან და მუდამ ისმოდა ხან დინჯი და წყნარი, ხან ამაღლებული და ბოლოში მიწვრილებული

კირილეს ხმა. ხოლო ყველაზე სატრფიალო მისი საგანი იყო, განათლების შემოტანა და გავრცელება ერში და მწიგნობრობის ქვეყნისათვის მოდება.

არ მახსოვს და დაწვრილებით არც არადროს მცოდნია იმ ბიბლიოთეკის დაარსების ამბავი, რომელიც კირილეს და მის მეგობრებს განეზრახათ.

თუ არა ვცდები, საქმე ასე უნდა ყოფილიყო. — ვიღაც კერძო პირს ჰქონოდა საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა. კირილემ და მისმა წრემ განიზრახეს მისი შესყიდვა და საჯარო წიგნთსაცავის დაარსება. საყიდლად ფული იყო საჭირო. კირილეს მოაწერინეს, თუ არა ვცდები, ხელი თამასუქებზე, გაანაღდეს ეს თამასუქები და ამ საშუალებით ნაშოვნ ფულით იყიდეს იმ კერძო პირისაგან ბიბლიოთეკა.

თამასუქები უნდა გამოეყიდათ შემდეგში ერთმანეთს შორის შეგროვილ ფულით.

ამნაირადვე და ამნაირისავე დაპირებით, თუ არ ვცდები, იყო ნაშოვნი ფული გაზეთის გამოსაცემად.

საუბედუროდ, არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში კირილეს ხელმოწერილ თამასუქების გამოსასყიდლად ფულის შეგროვებისათვის ან გამოღებისათვის თავი არავის შეუწუხებია, და კირილესაგან ხელმოწერილი თამასუქები გადაუხდელი და დაუხსნელი დარჩა იმ ბანკში, სადაც ერთერთი დირექტორი თვით კირილე იყო.

ბანკის გამგეობის სხვა წევრებმა კარგად იცოდნენ ამ თამასუქების წარმოშობის ამბავი. მათაც და ბანკის ბევრ სხვა წევრსაც არა ერთხელ ეთქვათ კირილესათვის, მოვახსენოთ საზოგადო კრებას მთელი ამბავი და მაგ თამასუქებს ზარალად ჩაითვლის, და შენ სატკივარსაც ბოლო მოელებაო.

მაგრამ კირილე, ნ. ნიკოლაძის სიტყვის არ იყოს, "ჯორზე შეჯდა": ან მოგროვდება ფული, ანადა, რა გაეწყობა, მე

ვიშოვი როგორმე და გადავიხდი, რაკი თამასუქები ჩემი ხელმოწერილიაო.

დრო მიდიოდა; ფული არავის მოჰქონდა. და კირილეს თავისი იმდენი არ ჰქონდა, რომ თვითონ გამოეყიდნა თამასუქები. კირილე თავისას არ იშლიდა: ყოველწლიურ კრების წინ ჩააცივდებოდნენ გამგეობისა და მომავალ კრების წევრები, საზოგადო კრებაზე ერთი არ იქნება მაგ თამასუქების გაუქმების წინააღმდეგი, ერთხმად მიიღებენ მაგ ვალის მოშლას, ოღონდ კი მოხსენდეს საზოგადო კრებასაო. კირილე კი თამასუქების გამოყიდვის იმედს არ ჰკარგავდა.

ვინც იცოდა, - და ვინ იყო ქუთაისში რომ არ სცოდნოდა ამ თამასუქების ამბავი, - აზრად არავის მოსდიოდა კირილესათვის რამე პასუხი მოეთხოვნა. ყველა ფიქრობდა, რაკი კირილე ასე ჯიუტობს და არ სთანხმდება საკითხის იმ სახით გადაწყვეტას, როგორც სთავაზობენ, დაე, ჰქონდეს შენახული, ათ, ოც, თუ გინდ ორმოცდაათ წელიწადს. მისთვის პასუხის მომთხოვნი ან კიდე ბრალის დამდები კაცი არ არის, და მაშასადამე, დრო თვითონ გადასწყვეტს საკითხსაო.

ასე მსჯელობდა ქუთაისის საზოგადოება, მაგრამ... გასამხელი ნურაფერი იქნება, თორემ დამბეზღებელი ყოველთვის მოინახება.

ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა ვიღაც მაბეზღარი, რომელიც არც კირილეს ჭაღარას მოერიდა, არც მის უმწიკვლო და ქვეყნისადმი ერთგულებით სავსე წარსულს და თამასუქების ამბავი საბრალმდებლო უწყებას აცნობა.

დაიწყო გამოძიება, და ის, ვინც უნივერსიტეტიდგან დაბრუნებისთანავე თავისი დროებით ვალდებული გლეხები თავისავე ნებით გაანთავისუფლა და სრულებით უსასყიდლოდ გადასცა მათ "ნადელები", უარი სთქვა თავის

მამულის შემოსავალზე; ის, ვისაც სრულებით გულგრილს სტოვებდა ამა ცხოვრების სიტკბოებანი და სიამოვნებანი, ვინც სიმდიდრეს არ ეძებდა და არც არა შეუძენია, ხოლო მცირედ საშოვარის მეტ ნაწილს საზოგადო საქმისათვის და უმთავრესად მოზარდ თაობის აღსაზრდელად სწირავდა, ბრალდებულის სკამზე დასვეს... და... დამნაშავედ იცნეს!

ქუთაისის საზოგადოებას ამ ამბავმა ზარი დასცა: როგორ მოგვივიდა, რომ დროზე ვერ მოუღეთ ბოლო ამ ამბავსაო.

მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი.

იმ ხანებში კირილე არ მინახავს. გამიგონია კი, რომ ამ ამბავმა ერთბაშად მოსტეხა წელში ეს იშვიათი პატიოსნებისა და სიკეთით სავსე გულის პატრონი. კირილე წელში მოხრილიყო, მოდუნებულიყო და, ცოტა ხანს უკან, ასეთმა უსამართლო და უკუღმართმა ამა სოფლის მიერ მისის ცხოვრების დაფასებამ კიდეც გადაიყოლია იშვიათის სილამაზის სულისა და კეთილშობილ გულის პატრონი მამულიშვილი.

მიხეილ ხელთუფლიშვილი

ქუთაისი! დიაღ, ისევ ქუთაისი!

ან კი როგორ გინდა, ჩემო მკითხველო! ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე იქ გამიტარებია.

და იცი, რა არის ბავშვობისა და სიყრმის ხანა?

ეს ის სალაროა, სადაც დაგროვილია უმშვენიერესი თვალმარგალიტი: მზის შუქის ოქროში ამოვლებული და მისის სითბოთი გამთბარი და გაღუებული, უმძლავრესი და უძვირფასესი, წაუშლელი შთაბეჭდილებანი გრძნობანი, რომლითაც იკვებება ადამიანის სული და გული ცხოვრების დანარჩენ მანძილზე.

ის მარანია, სადაც დაუშრეტელ ქვევრებში დაყენებულია ცხოვრების წყაროს მსგავსი ყმაწვილურ გრძნობა-განცდათა ვაზის უკეთილშობილესი წვენი.

ოდეს გულს სევდა შეგვიპყრობს, ღვინოს მივმართავთ და მასში ვეძებთ დავიწყებას, მას ვთხოვთ, ერთის წამით მაინც აქნევინოს ჩვენსკენ სახე სიხარულს, ადამიანის გულის არც ისე ხშირ სტუმარს.

ოღონდ რომელი ღვინო შეედაროს ყმაწვილურ გრძნობათა მოგონებას!

ადამიანი სიკვდილამდე განიცდის ახალ-ახალ შთაბეჭდილებათ, მაგრამ ერთადერთი უჭკნობი და წარუხოცელნი, ისეთი, რომელნიც მეფობენ მის გულში და ყველაფერს თავის ფერს სდებენ, ისინი, სიყმაწვილეში ნაგრძნობი და განაცადი შთაბეჭდილებანი არიან.

ამ სალაროდან ეზიდება პოეტი სახეებს; აქ პოულობს ფერადებს და ხმებს; აქედგან ამოღებულ გრძნობებს კაზმავს სიტყვით და ამღერებს თავის ქნარს.

და თუ მერმინდელი გრძნობა რამ შეგხვდეთ მის სიმღერაში, მის კაზმულ სიტყვაში, ჩაუკვირდით, ყური კარგად ათხოვეთ და უთუოდ დაინახავთ, რომ მასაც ყმაწვილურ განცდათა ფერი სდევს, მის ოქრო-ვერცხლში არის ამოვლებული...

და თუ ვისამე გულში გამქრალა ყმაწვილურ გრძნობათა ცეცხლი, წაშლია სულში ბავშვობისა და სიყრმის შთაბეჭდილებანი, შეიბრალეთ საწყალი და ღარიბი, - დაცალიერებია სალარო, დაშრეტია მარანი...

დიაღ, ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილის ხანა ქუთაისს გამიტარებია. იქაურ ზაფხულ-ზამთართა დენით იზომებოდა ჩემ წელთა დენაც.

მისის მიდამოების ერთი გოჯი, მისის სერების ერთი მაღლობი არ დამრჩენია მოუვლელი.

გაზაფხულის პირველ სულთქმასთან გავჭრილვარ მის გარშემო დაფენილ მინდვრებში და ტყეებში იისა და ზამბახის საკრეფად და სოკო წითელის საძებნელად.

მის სერებზე ავსულვარ; იქაურ ქვენასათვის შემიშვერია გახურებული შუბლი გასაგრილებლად; ყური დამიგდია საიდუმლოებით სავსე მისის ჩურჩულისათვის და მისთვისვე გამინდვია ჩემი ბავშვური და ყმაწვილური იჭვები დაა იმედები; შემიჩიელია წყენა და სიხარული.

არ ვიცი, მე მეჩვენება, თუ ნამდვილად ასე იყო. რაღაც სხვა ფერი ედო, სხვანაირად ცოცხალი და მხიარული იყო ქუთაისი, სხვანაირად მიმზიდველი წარსულ საუკუნის ოთხმოციანსა და ოთხმოცდაათიან წლებში.

ვინც ქუთაისს ყოფილა, იცის, რომ ამ ქალაქს ერთადერთი საზოგადო ბაღი აქვს შიგ შუაგულში მოქცეული და რომ ამ ბაღს სრულებით შეუფერებელი სახელი აქვს, - ბულვარი.

ქუთაისელი არასდროს არ იტყვის, - ჩემსობას არ იტყოდა მაინც-ადა-მაინც — ბაღში წავიდეთ, არამედ — ბულვარში წავიდეთ, ბულვარში ვისეირნოთო.

ისპანიის დედა-ქალაქ მადრიდის შიგ, შუაგულ ქალაქში ერთი დიდი მოედანია, რომელსაც "პუერტა დელ სოლ" (მზის კარი) ჰქვიან.

ამბობენ, დღე ისე არ გაივლის, მადრიდის მცხოვრები ეოთხელ მაინც არ მოვიდეს ამ მოედანზეო.

იგივე ითქმის ქუთაისის ბულვარის შესახებაც. წარმოუდგენელია, ქუთაისელს დღეში ერთხელ მაინც არ გაევლო ბულვარში.

არ ვიცი, საკმარისია თუ არა "პუერტა დელ სოლ"-ზე გავლა — გასეირნება, რომ სთქვას კაცმა, მადრიდელების ხასიათსა და ჩვეულებებს გავეცანიო, ხოლო ქუთაისის კი შემიძლია ვთქვა, რომ მის მკვიდრთა ჭირ-ვარამის, მათ სურვილების და ზრახვების, მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრებისა, ერთის სიტყვით, მთელის მათის ცხოვრების გასაცნობად და გასაგებად, მის ბულვარზე უკეთესი ადგილი არ მოიპოვებოდა.

ზემოდ მოგახსენეთ, არც ერთი ქუთაისელი ერთ დღესაც არ გაატარებდა ისე, რომ ერთხელ მაინც არ გაევლო ბულვარში-თქო, - ამას გზის შესამოკლებლად ან თვალის გადასავლებად კი არ შვრებოდა მხოლოდ.

ბულვარში არა ერთ თანამოქალაქეს შეხვდებოდა უთუოდ; ერთი ერთს ეტყოდა, მეორე — მეორეს, მესამესათვის თვითონაც ექნებოდა გასაზიარებელი რამე, თუნდაც პირველ პირისაგან გაგონილი, ქალაქის საქმეების შესახებ იქნებოდა, თუ პოლიტიკური რამ ახალი ამბავი, თუ, - ყურში გეტყვით, - ზოგჯერ პატარა ჭორიც.

ამრიგად, ბულვარზე გავლა, რომ მოგახსენეთ, ბულვარში კარგა დიდ ხანს დარჩენად უნდა გამიგოთ.

ადვილად წარმოსადგენია ამიტომ, რა სიცოცხლით სავსე იყო ეს ორიოდ დღიურის ოდენა ბაღი, ეს ურეგლამენტო თავისუფალი კლუბი.

მაგრამ განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო ბულვარი ზაფხულში, როდესაც მის ხეივნებში მოსეირნეთ წაემატებოდა რუსეთის სხვა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქიდგან დაბრუნებული სტუდენტობა.

სტუდენტები დილითვე იწყებდნენ ბულვარისაკენ დენას და ჯგუფ-ჯგუფად თავის მოყრას. სადილობისას დაიშლებოდნენ, რომ ნაშუადღევის საათის ხუთზე-ექვსზე ისევ მოდებოდნენ ბულვარის ხეივნებს. ამ დროს მოდიოდნენ ბულვარში ისინიც, ვისაც სამსახურისა და სხვა საქმეების გამო სადილობამდის არ სცალოდათ სასეირნოდ, - მანდილოსნები, საზოგადო მოღვაწენი, მოხელენი, ვაჭრები...

ეგერ მოაბიჯებს თავისის აუჩქარებელის, მუდამ ერთნაირის ნაბიჯით ბალახვნის ქუჩით მომავალი თეთრწვერა, სახე სპეტაკი, მხრებში ოდნავ მოხრილი, თავისის განუყრელის შავის ქოლგით ხელში, ყველასაგან კარგად ცნობილი კირილე.

მოდის დინჯად, სახე არ უცინის, მაგრამ კარგად რომ ჩააკვირდეს კაცი თვალებში, ადვილად ამოიკითხავს იქ იმ

სიამოვნებას, რომელსაც წინდაწინვე განიცდის ეს გულკეთილი ადამიანი.

და იცით, რა არის ეს სიამოვნება? უხარია კირილე ლორთქიფანიძეს, რომ წლითიწლობით მატულობს და იზრდება განათლებულ ქართველთა რიცხვი, რომ ამ ოცდაათის წლის წინად რამდენისმე ერთეულის მაგიერ ახლა მხოლოდ ქართველ სტუდენტთა რიცხვი, რომელიც აგერ, ამ ბულვარში დახვდება, ასამდე ავიდეს იქნებ და შეიძლება ასზეც მეტი იყოს.

ჩქარია რიონი, მაგრამ არც ისე ბევრ წყალს გაუვლია ქუთაისის ხიდეებს ქვეშ მას აქეთ, რაც ახალგაზრდა კირილე ფოსტის ეტლით გაემგზავრა ჩრდილოეთისკენ უნივერსიტეტში. მისი ამხანაგები, პირველი ქართველი სტუდენტები, თითებზე ჩამოითვლებიან, - კირილე, ძმანი ღოლობერიძენი, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, პავლე თუმანიშვილი და დავით აბდუშელი, დასავლეთ საქართველოდან; ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ოქრომჭედლიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი და ჩუბინაშვილი — აღმოსავლეთიდგან. ორიოდ გვარი თუ გამოგვრჩა, თორემ ეს იყო და ეს თავში ქართველი სტუდენტობა.

ეხლა კი საქართველოს ქალაქები სავსეა სტუდენტებით, თითქმის ყოველ სოფელს ჰყავს თავისი ლურჯქუდა ყმაწვილი, და როგორ არ უხაროდეს კირილეს, მის ქვეყანაში უმაღლეს განათლების გავრცელების ცოცხალ მოწმეს....

ცოტა ხანს უკან იმავ კარით შემოდის ბულვარში ცალ მკლავზე მოსასხამ გადაგდებული, თავის მუდამ უნაკლულო ვესტონში ჩასხმული, წვრილის ჯოხით ხელში, თავზე რგვალის მაგარის ქუდით, რომლითაც ისე მოხდენილად იძლევა სალამს, მაღალის, სწორის ტანის ოდნავის რხევით — დავით ხელთუფლიშვილი.

ენერგიულად მოაბიჯებს ენერგიულისავე სახის პატრონი, მოწითანო წვერებიანი, უკან ლამაზად გადავარცხნილთმიანი გიორგი მაიაშვილი, ბულვარის დასავლეთ კარისაკენ.

უკვე დასეირნობს ბაღში ან ჩამდგარა რომელსამე ჯგუფის შუაში მიხაკისფერ ჩოხა ჩაცმული "ადამიანის" ავტორი მამია გურიელი. ხელებს ზურგს უკან მოუყრია, უხეირო დადგმულ კეხსავით ბრუნდად გაკეთებული პენსნე ლამის ჩამოუვარდეს ცხვირიდგან, მაგრამ არას დაეძებს, რადგანაც არც სჭირია, - პენსნეს ზემოდ ყურება და ისე მისჩერებია გვერდიდგან მოლაპარაკეს.

დაგვიანებით მოდის მუდამ მოღიმარი, ახოვანი, ლომის ფაფარსავით თმა მოყრილი აკაკი წერეთელი. ძველ საბერძნეთის ტანსაცმელში რომ გამოაწყოთ, გინდათ ედიპოსად გამოდგება, გინდა ჰომიროსად. ცალ ხელში ჯოხი უჭირავს და თავისუფალ ხელის ცერი კი ჟილეტის სახელოში აქვს გაყრილი.

დროგამოშვებით, თუ ქუთაისშია, გაჩნდება ბულვარში თავის ტოლთა შორის ყველაზე ყმაწვილი, ცოცხალი და მკვირცხლი ნიკო ნიკოლაძე.

მოდიან სხვებიც, რომელთაც ამა თუ იმ სახით წილი უდევთ თავიანთ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში და მამულიშვილურ სამსახურში.

ქუთაისის ბულვარი ძველის ათინის "აგორას", ხან მის "აკადემიას", ან კიდევ პერიპატეტიკ-ფილოსოფოსების ასპარეზის სახეს ღებულობს...

იყო ერთი ვინმე, ვისაც სხვებზე უფრო უხაროდა სტუდენტების გაჩენა ბულვარში, ვინც მოუთმენლად ელოდა მათ დაბრუნებას სამშობლოში.

იმ დღიდგან, რა პირველი სტუდენტი ჩამოვიდოდა, მიხეილ ხელთუფლიშვილი ბაღს აღარ შორდებოდა.

შუა ტანის, სახე გამხდარი, ცოცხალთვალებიანი მიშა სიცოცხლის გამოხატულებად იქცეოდა. მხიარული, მოღიმარი, ენაწყლიანი და ოხუნჯი, ხან აგერ შემოიკრებდა გარს სტუდენტების ჯგუფს, ეგერ. ხან ერთს, ხან მეორეს ეკითხება უნივერსიტეტის ამბებს, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტების წრეებისას სხვა-და-სხვა უნივერსიტეტებში, - ამათი ყველაფერი ეინტერესება, ყოველი წვრილმანი უნდა გაიგოს. ყურადღებით უგდებს ყურს მოლაპარაკეს და მხოლოდ გახშირებულის თავისის ჩვეულებრივის ჰნ, ჰნ-თ აჩქარებს მთქმელს.

ლამაზი და მეტყველი ცისფერი თვალები კი უფრო და უფრო უბრწყინავს და მომხიბლავი ღიმი უფრო და უფრო ფართოდ უპობს წვრილს კოხტა ულვაშით შემოსილ ტუჩებს, ვიდრე სადმე, ამბის რომელსამე ადგილს მხიარულ, გულიან და წარმტაც სიცილად არ წამოსკდება.

თვით საუცხოვო მოსაუბრე და მოლაპარაკე, ცოცხალ და მხატვრულ სიტყვის პატრონი, განათლებული და დიდად განვითარებული ყმაწვილი, მიხეილი იშვიათი მომსმენიც იყო ამავე დროს.

ზოგჯერ უყვარდა, მართალია, ისეთ ირონიულ რეპლიკის მოცემა, რომელიც, როგორც იტყვიან, მოსპობს კაცს, მაგრამ არ ყოფილა არც ყმაწვილი და არც ხნიერი, ასეთი ირონია სწყენოდეს, რადგან ყველა გრძნობდა, რომ ამის მიზეზი გონების და ენის სიმახვილე იყო და რომ წყენის, ან მითუმეტეს შეურაცხყოფის მიყენების სურვილს მის გულში ადგილი არა ჰქონია.

მიხეილს თუ ისე უყვარდა სტუდენტების ჩამოსვლა და მათ წრეში ყოფნა, ჩვენც, იმ დროის სტუდენტებს ძლიერ გვიყვარდა ჩვენი მიშა, მასთან ბაასი და კამათი, მასთან ყოფნა.

ან კი რა საკვირველია, რომ მიხეილს ასეთი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სტუდენტების წრეში, და განა მხოლოდ სტუდენტების წრეში!

საქმე ის იყო, რომ საუნივერსიტეტო კურსი მიხეილს მოსმენილი ჰქონდა ბოლომდე, დასრულებული, უნდა გამოევლო მხოლოდ საბოლოო, სახელმწიფო გამოცდა, როდესაც მოულოდნელად აღმოაჩნდა იმ სენის ნიშნები, რომელმაც რუსეთის ცივ ქალაქებში უმაღლეს განათლების მისაღებად წასული იმდენი ახალგაზრდა ქართველი იმსხვერპლა და რომელმაც ეს საუცხოვო ნიჭისა და ბუნების პატრონიც გადაიტანა მალე.

მიხეილი სამშობლოსაკენ გამოეშურა იმ იმედით, რომ აქაური მზე და ჰაერი მალე განკურნავდნენ და მომავალ გაზაფხულზე დაბრუნდებოდა უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. ამ მომავალ წლის მოლოდინში გაიარა ხუთმა წელმა, და ამ ხუთი წლის განმავლობაში ყველას სტუდენტად მიგვაჩნდა განსვენებული, და თვითონაც არ იშორებდა სტუდენტურ ქუდს, თუმცა ვგრძნობდით, რომ ის გაზაფხული, როდესაც გამოცდების ჩასაბარებლად უნდა გამგზავრებულიყო, აღარ დაუდგებოდა.

მიხეილი დიდად განვითარებული, ნიჭიერი და განათლებული ყმაწვილი იყო-მეთქი, მოგახსენეთ, და ეს არ არის არც ცალიერი სიტყვა და არც გადამეტება.

იურიდიულ ფაკულტეტზე, - მიხეილი ამ ფაკულტეტის სტუდენტი იყო, - მესამე წლის ბოლოს სტუდენტებს გამოცდების მაგიერ უნდა წარედგინათ დაწერილი გამოკვლევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ წინდაწინვე გამოცხადებულ რომელიმე საკითხის შესახებ. მიხეილმა თვითონ აირჩია ასეთი საკითხი, ნებართვა სთხოვა საკონსტიტუციო სამართლის პროფესორს თავისუფალ თემაზე გამოკვლევის წარდგენისა, დაწერა და მიართვა.

გაიარა ერთმა თუ ორმა თვემ. ერთ დღეს პროფესორი იბარებს მიხეილ ხელთუფლიშვილს და ეუბნება: ნება მომეცით, ბ-ნო სტუდენტო, გთხოვოთ, რომ განვლილ წლის ჩასათვლელად სხვა გამოკვლევა დამიწეროთ. მართალია, დრო ნაკლები გრჩებათ, მაგრამ არც მე გთხოვთ რამე დიდ გამოკვლევას. დასწერეთ, რაც გნებავდეთ და როგორც გნებავდეთ, - რაც უნდა წარმოადგინოთ, წინდაწინვე აღმითქვამს, გამოდგებაო...

მიხეილი გაკვირვებული უყურებდა ხან პროფესორს, ხან იმ სქელ რვეულს, რომელიც პროფესორს ხელში ეჭირა და მიხეილს კარგად ეცნაურებოდა, მაგრამ შემდეგ სიტყვებზე ამ გაკვირვებას სხვა სახე მიეცა.

...“რაც შეეხება, - დააბოლოვა პროფესორმა, - თქვენ მიერ უკვე წარმოდგენილ გამოკვლევას, მე ცოდვად მიმაჩნია მისი ფორმალური დანიშნულებისათვის გამოყენება, - სავალდებულო გამოკვლევად რომ მივიღო, ის ფაკულტეტის არქივში დარჩება და ვერავინ წაიკითხავს, ხოლო გამოკვლევა ისე კარგად არის დაწერილი, საგანი ისეთის ცოდნით დამუშავებული და დასაბუთებული და იმავ დროს იმდენად საინტერესო, რომ ცოდვაა არ გამოქვეყნდეს.

ამიტომ გთხოვთ, ნება დამრთოთ ეს თქვენი გამოკვლევა უნივერსიტეტთან არსებულ იურიდიულ საზოგადოების ორგანოში, - “იურიდიულ მოამბე“-ში მოვათავსო, დავბეჭდო. (“იურიდიჩესკი ვესტნიკ“, ჟურნალ იურიდიჩესკოგო ობშჩესტვა პრი მოსკოვსკომ უნივერსიტეტე).

მიხეილ ხელთუფლიშვილის გამოკვლევა დასტამბულ იქნა ხსენებულ ორგანოში. მოსკოვის იურიდიული საზოგადოება ერთად ერთი უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებათაგანი იყო. მისი წევრები უმთავრესად უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ, და თავმჯდომარედ იმ დროს

ჰყავდა გამოჩენილი პროფესორი მურომცევი, შემდეგში რუსეთის პირველ სახელმწიფო დუმის პირველი თავმჯდომარე.

სუყველაზე საინტერესო ამ ამბავში ამ გამოკვლევის საგანია, - ერეკლე მეფისა და გიორგი მეცამეტეს რუსეთთან შეკრული ტრაქტატები და მათი მნიშვნელობა სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალის თვალსაზრისით...

მაგონდება ერთი ზაფხული.

რა მოუთმენლად ველოდი პირველი კურსის სტუდენტი სწავლის გათავებას და შინ დაბრუნებას. პირველად იყო, რომ მშობელ ქვეყანას და ნაცნობ-ნათესავთ მთელის ერთის წლით მოვშორებოდი. ამიტომ ადვილად გასაგებია, თუ როგორ მიმდიოდა სული, ვიდრე სადგურზე წავიდოდი, მერე ვიდრე რკინის გზას ზღვა შესცვლიდა, ვიდრე გემზე ავიდოდი და ვიდრე გემი ბათომს მიუახლოვდებოდა. გემზე უკანასკნელ ღამეს თვალს ლული არ მომკარებია. ირიჟრაჟა თუ არა, ბაქნიდგან ფეხი არ მომიცვლია და თვალი ვერ მომეშორებინა ცის იმ კუთხისათვის, საითკენაც გემს ცხვირი ჰქონდა მიშვერილი და სადაც ბათომი მეგულებოდა.

აი, გამოჩნდა დილის ნისლში ბათომს იქით, შორს გადაჭიმული კავკასიონი, მისი კალთები, ცოტა კიდევ და ამოჰყვეს თავები სხვა უფრო დაბალმა ქედებმაც.

ბოლოს, როგორც იქნა, თვალმა გაარჩია მორგვალებულ ნაპირის ზოლიც და თვით ქალაქი.

რა პატარა სახლებია, ერთი გოჯის სიმაღლისაც კი არ არიან!

მოუთმენლობა მატულობს და იზდება, - როდის იქნება გემი ნავთსადგურში შევა, ან, ერთხელ კიდევ, გემს მატარებელზე შევცვლი!

აჰა, ბათომში ვარ კიდეც. რომ არ მრცხვენოდეს, ვემთხვევი მშობელ მიწას, მაგრამ... ჩქარა, ჩქარა სადგურისკენ!..

დაიძრა მატარებელიც. აგერ ციხისძირი, ჩაქვი, ქობულეთი... ღმერთო, როგორ მიიზლაზნება ეს მატარებელი... ლანჩხუთი, საჯავახო, სამტრედია...

გზას მიმოკლებს და მოუთმენლობას მინელებს ხან ერთთან და ხან მეორესთან გამოლაპარაკება: ყველა სადგურზე ჩამოვდივართ ხოლმე და ხან ერთს და ხან მეორეს მივმართავ ისეთის კითხვით, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ვიძლევი, რომ სალაპარაკოდ გამოვიწვიო ჩემის ქვეყნის კაცი, რადგან მშვენივრად ვიცი ის, რასაც ვეკითხები. მაგრამ მშობლიურ ხმას მონატრებული ყური სიამოვნებით უსმენს პასუხს:

- ე, ეგერ, ჩემო ბატონო, ეგერ არის შესავალი!

- კაი მოგეცა, ბატონო, კარგი დარი იყოს!

- აწი თუ არაფერმა გააფუჭა, ჯერ ქე უჩანს მოსავალს კაი პირი!

- ქუთაისს სამ საათზე ჩადის!..

აგერ რიონიც. ერთი გადასავალი-ღა კიდე და...

ქუთაისი!

ისევ ის, რაც შარშან დავტოვე.

მეცნაურება ყოველი სახლი, ყოველი ეზო და ღობე, ყოველი გამვლელი და გამომვლელი, დუქნები და მედუქნეები, ყოველი ხე და... ზოგან მოკირწყლულ ოღრო-ჩოღრო ქუჩის ქვაც კი.

ღმერთო, რა ბედნიერებაა!

მაგრამ არა მხოლოდ დასასვენებლად ვარ ჩამოსული, საქმეც მაქვს. მართალია, იმ საქმეს ერთი კვირა, ბევრი — ათიოდე დღე დასჭირდეს იქნება, მაგრამ მაინც საქმეა და დიდიც.

ჯერ კიდე, მინამ მე სტუდენტი გავხდებოდი და გიმნაზიაში ვიყავი, ძველ სტუდენტების წრეებში დაბადებულიყო ქართულ სტუდენტურ კონგრესის მოწყობის აზრი. მისი საგანი უნდა ყოფილიყო "განთავისუფლების ლიგის" დაარსება. ის უნდა ყოფილიყო, ასე ვთქვათ, დამფუძნებელი კონგრესი.

გათვალისწინებული იყო ძირითადი საკითხები, - პოლიტიკური და სოციალური, - და შემუშავებული პირველ კონგრესის საქმიანობის პროგრამაც.

მიუხედავად ამისა, კონგრესის მოწყობა ვერ ხერხდებოდა როგორლაც, და როდესაც მოხერხდა ბოლოს, მე უკვე სტუდენტი ვიყავი კიდეც და ჩემის უნივერსიტეტის ქართველობამ ორ სხვასთან ერთად თავის წარმომადგენლად გამომგზავნა ამ კონგრესზე.

პირველი კონგრესი ქუთაისს უნდა შეყრილიყო.

შევიყარენით. პირველი სხდომა ერთერთ ჩვენის ამხანაგის, იოსებ ჩარექიშვილის, ბინაზე მოხდა, თეთრის ხიდის მახლობლად, რიონის პირას.

სხდომის ბოლოს ვიღამაც სთქვა, მიხეილ ხელთუფლიშვილს ძლიერ უნდა ჩვენ სხდომების დასწრება, თუნდ უბრალო მაყურებლის სახითაც. ამასთან, საკონგრესო ბინის შოვნა თუ გაგიჭირდეთ, ჩემს ბინაზე შეიკრიბენით და გამართეთ სხდომებიო, გნებავთ სახლში, გნებავთ ბაღში, რადგან ბაღი დიდია და მეტის ცნობისმოყვარეობის თვალისა და ყურისაგან კარგად არის დაცულიო.

მიხეილის ჩვენს სხდომებზე დასწრებას ყველა დიდის სიხარულით დაუხვდა. ერთხმად დავადგინეთ მისი მაყურებლად დაშვება კი არა, სრულუფლებიან წევრად მიღება. იმავ საღამოს მის ბინაზე გავმართეთ სხდომა და... თვით

მიხეილი კონგრესის თავმჯდომარედაც ავირჩიეთ ერთხმად.

ცოცხლად მიდგას თვალწინ ჩვენი საყვარელი, თვალებ ანთებული, სახე წამოწითლებული, აღტაცებული მიშა.

რა ცეცხლი შეჰქონდა კამათში, და იმავ დროს, როგორის თავაზიანობით დააბრუნებდა მჭევრმეტყველობით გატაცებულ ორატორს საკითხის ფარგლებში.

რა მორიდებით ეკიდებოდა ზოგჯერ მეტად გულუბრყვილოდ და მეტად სადად გამოთქმულ აზრს, როგორის პატივისცემით ეპყრობოდა, საზოგადოდ სხვის აზრს, და რა სიამოვნება ეხატებოდა სახეზე, როდესაც რაიმე თავისებური, ორიგინალური აზრი გამოითქმებოდა, მიუხედავად იმისა, იზიარებდა მას თვითონ თუ არა...

მისის თავმჯდომარეობით კონგრესი ჩინებულად ჩატარდა. გამოტანილ იქნა მრავალი გადაწყვეტილება. შემდეგი კონგრესი დაინიშნა მომავალ, 1892 წლისათვის თბილისში, ხოლო მდივნებს დაევალათ ამ პირველ კონგრესის ოქმების დალაგება და სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტურ წრეებისათვის გასაცნობად ჯერ-ჯერობით გაგზავნა.

ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება უბედური გამოდგა: მოსკოვიდან ვარშავაში გადაგზავნისას ოქმები ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში და... დაიწყო გამოძიება.

საბედნიეროდ, ეს ჩავარდნა ცოტა დაგვიანებით მოხდა, ჩხრეკა-დაკითხვა უფრო გვიან, და ამასობაში მეორე კონგრესის მოწყობა მოვასწარით თბილისში...

მაგონდება კიდე ერთი ზაფხული, ან უფრო გაზაფხული, რადგან მესამე კურსის სტუდენტს გამოცდები არა მქონდა და შემეძლო სამშობლოში ადრე დავბრუნებულიყავი.

აპრილი იყო, ქუთაისს რომ ჩამოვედი.

რაც არ უნდა ტიალი და ვერანი იყოს ქვეყანა, სულდგმული გრძნობს ბუნების განახლებას და უხარიან.

ადვილი წარმოსადგენია იმიტომ, როგორის განსაკუთრებულის სიხარულით უნდა ევსებოდეს გული ქართველს, როდესაც თავის მშვენიერ ქვეყანის ბუნების გამოღვიძებას უცქერის!

ვინა სთქვას, რომელია უკეთესი, - ალაზნის ველის აბიბინება, მისის ზღუდეების — დაღესტნის კავკასიონზე და ცივის — კალთებზე დაყრილ სოფლების ამწვანება, მისის ვენახების აცრემლება, თუ მტკვრისა და არაგვის ხეობებისა და ჭალების ფოთლით შემოსვა, თუ კიდევ ქუთაისის მიდამოთა, მის სერთა და მდელოთა აყვავება, აყვავილება?

ერთი მეორეს სჯობია, ერთი მეორის უკეთესია, და ყველანი ერთობ სამოთხის სახელის ღირსია.

დაბერავს თუ არა გაზაფხულის პირველი სიო, ერთბაშად გადათეთრდება ბაღები ტყემლის, ქლიავის და ბალალუბლის თეთრის ყვავილებით.

ჯერ კიდევ ესენი ვერ მოასწრობენ დაცვენას, და აგერ-ეგერ თეთრს ნაზი, ნაზი ვარდისფერი გადაჰკრავს, - ვაშლი და კომში ჰყვავიან.

თვალი შეჩვევას ვერ ასწრობს ამათსას, გაიხედავ , და ნაზ ვარდისფერს მუქი შეპარვია, - ატამს გამოუტანია თავისი ყვავილი.

და გაზაფხულის ქალწული ღმერთი, თითქო ყვავილთა ამ ნამდვილ ორგიის შერცხვაო, ჩქარობს მწვანე საბანი გადააფაროს და ადამიანის თვალს მოარიდოს.

ეს დრო იყო ქუთაისს რომ ჩამოვედი.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ბულვარისკენ გავწიე. სობოროს მოედანზე გადამეღობა მიხეილი.

ისევ ის მიშა იყო თავისის საყვარელ ღიმილით, თავისის მეტყველის, ლამაზისა და მოცინარ თვალებით; ოღონდ

წყეულ სენს უფრო სასტიკად დაესო თავისი დაღი, - მკრთალი სახე უფრო გამხდარი მეჩვენა.

როგორის სიხარულით მომეხვია, რა სიყვარულით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

აღელვებულებს ხმა ვერ ამოგვეღო და ისე ვუყურებდით ერთი მეორეს. ასე ვიდექით ერთ ხანს, ვიდრე შეხვედრის პიირველმა აღელვეკბამ გაგვიარა, და ნელ-ნელა ბაასს შევყევით.

ეს მისი მაშინდელი სახე, საყვარელი და დაუვიწყარი, წინ მიდგება ხოლმე, როდესაც ფიქრები წამიღებენ, და, თითქო სიყმაწვილის ნიავმა დამკრაო, ასე მგონია, საკმარისია ქუდი დავიხურო, გავიდე და რამდენსამე წუთში ბულვარში მივალ, და მიხეილიც იქ დამხვდება.

აღარც სიყმაწვილე, და არც მიხეილი.

არც... ბულვარი...

ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო ჩვენი. ერთის წლის შემდეგ უკვე სამუდამოდ ჩამოვედი სწავლა დამთავრებული და არა სტუდენტი. აღარც მიხეილი იყო სტუდენტი...

მანაც მოითავა სტუდენტური ხანა... და სიცოცხლეც.

იმ გაზაფხულზე გარდაცვლილიყო.

გაჰქრა სული იშვიათის სისპეტაკისა. წარვიდა მაღალის ნიჭით უხვად დაჯილდოვებული გონება და გული, სავსე უწმინდეს გრძნობებით...

პარიზი, 1937 წ.

კონდრატი მხეიძე

- ე, ბატონო, მობრძანდა!

- რა გინდა, კაცო, რომ მოსულხარ, ვერ მოისვენებ იმ შენს თბილისში?

ამ სიტყვებით მომეგება სამუშაო ოთახიდგან გამოსული თეთრ ხალათში ჩაცმული

კონდრატი.

გარეგნად ყოველსავე მეგობრულ ნიშანს მოკლებული სიტყვები ნამდვილად კეთილისა და ალერსიან დახვედრის გამომხატველი იყო. ამას მოწმობდა მისი მეგობრულად გამოწვდილი ხელი და ამას ამბობდა მისი მხიარული და მოცინარე სახე და კიდე ის გარემოება, რომ ავადმყოფიც კი არ გაესტუმრებინა თავის საექიმო კაბინეტიდგან და ხმის პირველსავე გაგონებაზე გამოეშურა მისასალმებლად.

- ერთი წამი დამაცალე, ჩემო ვ..., გავისტუმრებ ავადმყოფებს და თავისუფალი ვიქნები.

- რამდენია კიდე, ბიჭო? — მიუბრუნდა მოსამსახურეს.

- სამი, ბატონო.

- აჰა, გაზეთები წაიკითხე, თბილისელებს გაზეთი სად გექნებათ! თუ გინდა, ე, მაგერ, გრამოფონი დაატრიალე,

ამასობაში მეც მოვრჩები ჩემს საქმეს — გავისტუმრებ ავადმყოფებს.

- არ გამექცე კი. სადილად ჩემსა ხარ და ნასადილევს წავიმუსაიფოთ. საღამოს კიდე, ვნახოთ, სად წავიდეთ, ან როგორ გავატაროთ დრო.

- ჰო, მართლა, როდემდის რჩები?

- ამ საღამოს ვაპირებ გაბრუნებას.

- ამ საღამოს? რა ამბავია? დილით ჩამოხვალთ ხოლმე და საღამოს კიდეც გარბიხართ.

- კი, რასაკვირველია, დიდი პერსონები ბრძანდებით თბილისელი ვაჟბატონები, მაგრამ არც ჩვენ გახლავართ ვიგინდარაები, რომ ცოტა მეტის პატივისცემით მოგვექცეთ.

- საღამოს უნდა გაბრუნდეს... ჰმ, - მიჯავრდება ვითომ და თან თავისებურად იღიმებოდა; თავისებურად, რადგან ტუჩების იმ კუნთების შეკუმშვა-გასწორება, რომელნიც ღიმილს ჰქმნიან, კონდრატის სახეზე განსაკუთრებული სიჩქარით ხდებოდა.

- აბა, ამეებზე მერე და ეხლა ავადმყოფებს უნდა მივხედო. შენ კი არ გამექცე, იცოდე.

ასეთი იყო ხოლმე, ან დაახლოვებით ასეთი, კონტრადის დახვედრა, როდესაც, ბათომში ყოველს ჩასვლაზე, მის ბინას მივაშურებდი, რომ გამარჯვება მეთქვა ამ იშვიათის სულისა და გულის პატრონ ადამიანისათვის.

აი, გაისტუმრა კიდეც უკანასკნელი ავადმყოფი, გაიხადა ხალათი და:

- ხომ არ გაპარულხარ? — შემოვიდა სასადილო ოთახში, სადაც მისის ბრძანებისამებრ გაზეთების კითხვას ვაყოლებდი დროს მის მოლოდინში.

- აბა, დავსხდეთ, ბიჭო, რა გაქვს დღეს, - მიუბრუნდა ბიჭს. — არ შევრცხვეთ, თორემ დაბრუნდება ეს ჩვენი

სტუმარი თბილისში და ქვეყანას მოსდებს, ბათომელებს არც ჰავა უვარგათ და არც საჭმელიო.

- ღვინო დაგალევინო, რა ღვინო! თქვენი "კახეთია" არ გეგონოს. ჩემი დაყენებულია.

- ვენახი გააშენე განა ბათომში, კონდრატი?

- ე, ბატონო! აკი ვთქვი. ბათომშიო!.. ჩემს სოფელში მოვაშენე, ადამიანო. ზემოურს რომ იტყვიან, ის არის. ნამდვილი ზემოური ღვინო დაგალევინო ისეთი, შენს დღეში არ გესვას!

- სად ოკრიბა და სად ზემოური ღვინო, ჩემო კონდრატი.

- არ მოიტანო, ბიჭო, ჩვენი ღვინო, "კახეთია" მოართვი. რა ესმის თბილისელს ჩვენი ღვინოების!

- ისიც სთქვა იქნება, ის თქვენი მტკვრის ზუთხი სჯობდეს ამ რიონის ზუთხს! არა? — მომიბრუნდა ახლა მე, როდესაც დაინახა, რომ მოსამსახურემ საჭმელი შემოიტანა.

არც ნამდვილი მადის გამხსნელი სასმელი, ან აპერატივს რომ იტყვიან, აკლდა გულუხვ კონდრატის სუფრას, ოღონდ ამგვარ ხუმრობას რომელი აპერატივი აჯობებდა!

სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა ხომ ქართველის თვისებაა, მაგრამ კონდრატისებურ მეგობრულ გრძნობით, მისის კეთილის ღიმილით შეზავებული ეს გულუხვობა სულ სხვა იყო.

მოგეხსენებათ ჩაგრული ერის ამბავი: თუ თვითონ არ უპატრონა თავის თავს, სხვა გამკითხავი და მის გაჭირვებისათვის მზრუნველი მას არა ჰყავს.

მზრუნველსა და გამკითხავს ვინ დაეძებს, მჩაგვრელი რომ სულთამხუთავსავით მუდამ თავს არ ადგეს.

საზოგადოებრივი თვითმოქმედება და გამსჯელობა თავისუფალ ერსაც სჭირია, რა თქმა უნდა, ოღონდ თავისუ-

ფალ ერის ცხოვრებაში ხალხის კეთილდღეობისათვის, გარდა თვით საზოგადოებისა, ზრუნავს სახელმწიფო თავის მრავალგვარ დაწესებულებათა საშუალებით.

დაჩაგრულ ერის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კი არავინ ფიქრობს.

არავინ ფიქრობს?

ვაი, რომ ფიქრობს ზოგჯერ, მაგრამ არა დახმარებას, ხელის შეწყობას, არამედ ხელის შეშლას, უკულმართ საშუალებათა ხმარებას, ან უფრო ხშირად, აკრძალვას და დაშლას.

დაჩაგრულიც ხომ ამიტომ ჰქვიან.

მახსოვს, ერთ საღამოს თბილისის ქართულ თეატრში ვარ. აღარ მახსოვს, რა პიესა იყო დადგმული; მახსოვს ოღონდ, გათავდა ერთ-ერთი მოქმედება, პარტერისა და ლოჟების ხალხი ფოიესკენ გამოეშურა: ქანდარა, ქართულ თეატრის თბილისელი ქანდარა კი, ადგილს არ სტოვებდა და თავის სიამოვნებასა და გატაცებას ისეთის ხმაურობით გამოხატავდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო.

საერთო ტაშის ცემისა და ფეხების ბრაგუნის ხმაურობაში გაისმოდა სამხეობთა სახელები, - ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, ვალიკო გუნია!

ზოგი თაყვაპნისმცემელი კი შინაურულად ეძახდა თავის საყვარელ მსახიობთ: ვა...ა...სო, ნაა-ტო, ვა-ლი-კოოო...

- რა რიგ უყვარს ჩვენს ხალხს თეატრი, როგორ ენტუზიაზმს იჩენს-მეთქი, - გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილება ერთერთ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს.

- ბუნებრივია, -მომიგო მან, - ყველაფერს მოკლებულს ერთადერთი თეატრი ღა დარჩენია. აქ ესმის თავისი დედა-ენა. ყველაფერი მოუსპეს; მისთვის არც სკოლა არსე-

ბობს, არც სასამართლო და აღარც ეკლესია; სხვა დაწესებულებათ ვიღან დაეძებს!

- აქ, თეატრში ეზიარება მაღალ გრძნობათ. ეს არის მისი სკოლაც და ეკლესიაც; მისი სენატიც და სინოდიც.

ეს მისი ენტუზიაზმი მისის საღის ინსტინკტის გამომხატველია.

ასე ესმოდა ქართველ ერის მოწინავე ნაწილს ამ ერის უმწეო მდგომარეობა, გული შესტკიოდა ქვეყნის გაჭირვებისათვის და თავის დაუზოგველად, რაც შეეძლო, ხელს ეწყობდა ყოველნაირ განმანათლებელ საქმეს.

თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათომი, გორი, ამ მხრით, ისე გადაბმულ-გაერთიანებული, ისე ერთსულოვანი იყვნენ, თითქო ცალკე, ერთი მეორეს დაშორებული ქალაქები კი არა, არამედ ერთის ქალაქის საზოგადოების წევრნი ყოფილიყვნენ.

ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და გამყრელიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალიკო გუნია და კოტე შათირიშვილი ერთ და იმავე დროს თბილისელებიც იყვნენ, თელაველებიც, ქუთაისელებიც და ბათომელებიც.

- აბა, კონდრატი, ვასო აბაშიძეს ცილინდრი სჭირია ამ საღამოს წარმოდგენისათვის, იქნება, გქონდეს?

კონდრატის ცილინდრი არა აქვს, მაგრამ ეგულება ვიღაც ცილინდრის მქონე და, გიშოვიო, ჰპირდება მთხოვნელს.

ცილინდრი არც ისე ძნელი საშოვარი საბუტაფორიო საგანი იყო, ოღონდ ქართულ ძირითად დასს, რომელიც საქართველოს ყველა დიდ ქალაქში მართავდა წარმოდგენებს, ხშირად სხვა, უფრო დიდი გასაჭირიც ადგა, მაგრამ მშველელიცა და მოკეთეც ყველგან ეგულებოდა.

ეს იყო ქართველი ინტელიგენტი, და ერთი მათგანი, მუდამ მზა, თანაგრძნობით და გამსჯელობით, იქნებოდა, თუ

ნივთიერად, საკუთარის ჯიბით დასახმარებლად და ხელის მოსაწყობად, იყო კონდრატი.

ქართული დასი იყო თუ წერა-კითხვის საზოგადოება, საქველმოქმედო საქმის მოწყობა და კიდევ სხვა რამ, კონდრატის არ ასცილდებოდა არასდროს შრომის გაწევა ან ფულის გამოღება.

წერა-კითხვის საზოგადოებისათვის წევრების მოპოება, მისთვის საღამოს გამართვა, ფულის შეგროვება, ჟურნალ-გაზეთებისათვის დახმარების გაწევა და მრავალი ამგვარი, - ასეთი იყო, საზოგადოდ, განათლებულ ქართველის მოვალეობა.

მაგრამ მოვალეობის ასრულებაც არის და ასრულებაც.

არა თუ სხვა განათლებული ქართველი მას გაურბოდა, უგულოდ ასრულებდა, ხოლო თავის ქვეყნისა და თავის მოძმისადმი იმ სიყვარულს, რომელსაც იჩენდა თავის მოქალაქებრივ მოვალეობათა ასრულებაში კონდრატი, რაღაც თავისებური, - წყნარის აუჩქარებელ და ღრმა გულკეთილობის ბეჭედი ესვა.

ამიტომაც იყო, რომ კონდრატის ძვირის მთქმელი არა ჰყავდა; ყველა, ვინც კი იცნობდა, ბათომში თუ სხვაგან, ღრმა პატივისცემით და უფრო სიყვარულით უხვდებოდა.

რევოლუციისა და დამოუკიდებლობის ხანაში კონდრატი აღარ მინახავს.

რა თქმა უნდა, ისიც, როგორც ყველა შეგნებული ქართველი, უთუოდ გაიტაცა და ჩაითრია ძალზე გაჩაღებულმა საზოგადოებრივმა საქმიანობამ და სახელმწიფო მშენებლობამ.

სადარბაზოდ აღარავის სცალოდა და სტუმრობისა და მოკითხვის დრო აღარავის ჰქონდა.

განათლებული და შეგნებული ძალები არც ისე ნაკლები იყო ჩვენში, როგორც მტერს შეეძლო მოენატრა, მაგრამ

არც ისე მრავალი, როგორც ჩვენ გვსურდა გვყოლოდა. ამიტომ ჩვენ ეროვნულ ცხოვრების იმ აჩქარებულ ტემპის ხანაში და, განსაკუთრებით, ჩვენის დამოუკიდებლობის ბედნიერ დღეებში ვერც ერთი შეგნებული ქართველი ვერ დარჩებოდა უსაქმოდ.

ამ ლხინის დროს არ მინახავს კონდრატი. ბედმა სხვა დრო და სხვა წამი გვარგუნა ერთმანეთთან შესახვედრად.

დადგა შავბნელი 1921-ის თებერვალი. ხარბმა და გაუმაძღარმა მოძალე მტერმა ვერ მოინელა უწყინარ პატარა ერის თავისუფლება, - ქურდულად მიეპარა და შეასია თავისი ჯარები...

24 თებერვალია, ნაშუადღევი. დილით ჯერ კიდე მზიანი და ბრწყინვალე თბილისის ცა შავმა ღრუბლებმა მოიცვა.

შემობერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა და აათამაშა ჰაერში თითო-ოროლა შორიდგან მოტანილი თოვლის ფიფქი.

გუშინ კიდე ხალხით, მისის მოძრაობით და ხმაურობით სავსე რუსთველის ქუჩა თითქმის ცალიერია.

გარშემო გამეფებულ სიჩუმეს ქარის ზმუილი არღვევს მხოლოდ და უბედურების მომასწავებელ მის ხმაზე რაღაც ბნელის წინაგრძნობით ივსება გული. თითო-ოროლა გამვლელი, სახე დაღრეჯილი, თავდახრილი და მხრებ დაშვებული, თითქო რაღაც აუტანელი სიმძიმე დასწოლია, უხმოდ მიისწრაფვის სადღაც ჩქარის ნაბიჯით; თითქმის მირბის; ასე ეგონება კაცს, ვიღაცას ან რაღაცას გაურბისო...

სასაუბროდ საბაასოდ გული არავის უდევს.

ბაასი? ლაპარაკი? ეგ ხომ აზრების გამოთქმას ნიშნავს, და გამვლელი სწორედ ამ აუტანელ და მოუშორებელ აზრებს გაურბის, სხვა მტერი ჯერ არ სჩანს...

ქარმა უმატა. წამოვიდა წვრილი თოვლი.

ბნელით მოცული მამა-დავითი მწუხარედ დაჰყურებს შავს სუდარაში გახვეულ ქალაქს და უტყვ მოწამე მტკვარს.

მტკვარო, მტკვარო! ვარსკვლავთ მესაიდუმლემაც ვერ მიგიხვდა მწყრალსა, მაგრამ უსიტყვო შენსა ბუტბუტს!

ვერც იმათ ამოიკითხონ მაშ მაგ შენს ბუტბუტში, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს დღეს ქართველის წამებულ სულში?

ვერა ხვდეს მათ ყურს კვნესა დადაგულ მისის გულისა?

მაგრამ არა, ცუდად ვერ ჩაივლის დღევანდელი საქართველოს სულის კვეთება!..

აღსრულდა, - თბილისს სტოვებენ. მოსულ მტერს სხვაგან გაუმაგრდებიან...

და იწყება გასვლა: ვინ მატარებლით მიდის, ვინ ცხენით და ვინ კიდე ფეხით, და სტოვებს ქალაქსა და კერას.

ისრაელს ეგვიპტედგან გამოსვლა ზეციით ებრძანა. მას აღთქმული ჰქონდა სხვა ქვეყანა.

დღეს სხვა თავისუფალი ქვეყანა აღარ მოიპოვება: მსოფლიო მჭიდროდ არის დასახლებული და არც არავის აღუთქვამს ქართველ ერისათვის მისი ქანაანი.

არც ქართველი გასცვლის თავის სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...

ქალაქიდან გამოსული ხალხი იმ იმედით მოდის, რომ ხვალ თუ ზეგ გამარჯვებულ ჯარს უკან გამოჰყვება და თავის კერას დაუბრუნდება. მართალია, ამ იმედს შიშიც ახლავს, ვაი თუ დატოვებულ თბილისის დაბრუნება შეუძლებელი გახდეს!

მაგრამ იმედი შიშსა სძლევს, თორემ ამოდენა ხალხს რა აყრიდა!

ხაშური, ქუთაისი, ბათომი! — აი, ამ იმედის დნობისა და გაქარწყლების ხანმოკლე ეტაპები.

მარტის პირველი რიცხვებია. ბათომის მოსახლეობა გაორკეცებულია, თუ გასამკეცებული არა. აქ მოიყარა თავი ყველამ, ვინც თბილისიდგან წამოვიდა, ბევრი ქუთაისელიცაა და ფოთ-სოხუმელი.

კონდრატის მივადექი მთელის ოჯახობით და იმ პატარა ბარგით, რომლის წამოღებაც მოვასწარი იმ უბედურ ღამეს.

მივედი თუ არა, კონდრატი მომეგება უწინდებურად. — მეგობრულად; გამიღიმა კიდეც ნიშნად სიამოვნებისა, რომ დიდის ხნის უნახავს მხედავდა, ოღონდ... რაც ამ შეხვედრით გამოწვეულ სიამოვნებას სიმწარე ედო სარჩულად, ეს სიმწარეც იხატებოდა იმავ ღიმილში.

კონდრატი, შენთან უნდა დავბინავდე რამდენიმე დღით. აი, ის პატარა ოთახი რომ გაქვს, ყველანი მოვთავსდებით შიგ, თუ მეტად არ შეგაწუხებთ მოულოდნელის სტუმრობით.

- პატარა ოთახი რას ქვიან! — შემომძახა კონდრატიმ. — მე მარტოხელი დიდ ოთახში დავრჩე და თქვენ, რამდენიმე სული პატარაში? აქ მოიტა შენი ბარგი; აქ მოეწყვეთ, - გამიღო დიდის საწოლ ოთახის კარი.

დიდის დავიდარაბისა და კამათის შემდეგ, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც დავემუქრე, სულ აღარ დავრჩები შენთან-მეთქი, დასთანხმდა ჩემგან ამორჩეულ ოთახში დავრჩენილიყავი.

ექვსი თუ შვიდი დღე დავრჩი კონდრატისთან, - ტრაღედიის უკანასკნელი აქტი სრულდებოდა.

სტიქიურ ტალღით ბათომზე ჩამოქანებულისათვის, ჩემთვის უეცრად წამოიჭრა საკითხი:

დავრჩე? წავიდე?

მწარე და გადასაჭრელად მეტად მძიმე საკითხი.

ამ წამებში გადიშალა ჩემს წინაშე კონდრატის სულისა და გულის სიმშვენიერე, მისი უსაზღვრო გულკეთილობა და ადამიანური გრძნობა.

მეტის გულდადებით, მეტის ყურადღებით და ზრუნვით კაცი თავის გაჭირვებას და თავის დარდს ვერ მოეკიდება, როგორითაც ეს ადამიანი ჩემთან ერთად სცდილობდა ჩემის საკითხის გადაწყვეტას.

- მე ექიმი ვარ; ჩემს მუშაობას განვაგრძობ, და ვის რა საქმე ექნება ჩემთან, - ამბობდა კონდრატი.

როგორ სცდებოდი, როგორ ვსცდებოდით, ჩემო დაუვიწყარო მეგობარო!

- შენი საქმე სხვაა. შეგიძლია, კანონებს მექოთნესავით, საითაც მოუხდება მომავალ წყობილების მოთხოვნილებისამებრ გამოაბა ყური? დარჩი. არა და, სჯობს წახვიდე.

- ჰო, სჯობს წახვიდე: რამდენადაც გიცნობ, ვერ შეეწყობი იმ ცხოვრებას, რომელიც მოგველის.

- ძნელია, რა თქმა უნდა, ახალი ცხოვრების დაწყება უცხო ქვეყანაში?, უცხო ხალხში და სრულებით ახალ პირობებში, მაგრამ, ბოლოს, ადამიანი ყველგან მოინახება და ქვეყანა დიდია. წადი, წადი, წასვლა სჯობია შენი... ცდა ბედის მონახევრეა...

გადავწყვიტე წასვლა, გადავარდნა. უკანასკნელად შემოვდივარ კონდრატისთან, რომ გამოვეთხოვო.

კონდრატი თავის სამუშაო ოთახშია, ავადმყოფი ჰყავს. მეც მის მოლოდინში ბარგსა ვკრავ.

ჩემ ხმაურობის გაგონებაზე გამოიხედა, დაინახა, რომ ბარგს ვალაგებდი, ერთ წამს სასადილო ოთახში გატრიალდა და... თავჩაღუნული რაღაცას რომ ვალაგებ ყუთში,

ვხედავ, გამოწვდილი ხელი მიდებს იმავ ყუთში რაღაცას. ვერცხლის ნივთებია.

თავი მაღლა ავიღე.

?!

- იქნებ გაჭირვების დღე დაგიდგეს, გაჰყიდე, ერთ ორ გროშს მოგცემენ, და იმ შენს ბიჭს პურს მაინც უყიდი, - მიპასუხებს კონდრატი ჩემს უსიტყვო კითხვაზე.

თავი ვეღარ შევიკავეთ: ორივეს ცრემლი მოგვადგა თვალებზე და ერთმანეთს გადავეხვივნეთ...

გაიარა ერთმა ხანმა, და ერთ-ერთ ემიგრანტს წერილი მოუვიდა. სულ ორი სიტყვა: კონდრატი გარდაიცვალაო.

კონდრატი გარდაიცვალა? შეუძლებელია, ის ხომ ისეთი მთელი, მაგარი და თავშენახული იყო! რაღაც შეცდომა უნდა იყოს.

გაიარა ერთმა ხანმა და ერთერთ ემიგრანტს წერილი მოუვიდა, რომელიც, ვაი, რომ ადასტურებდა ამ საშინელ ამბავს და გვატყობინებდა, თუ როგორ მოხდა კონდრატის გარდაცვალება.

ერთ ნაცნობ ოჯახში გაეტარებინა საღამო. კარგ გუნებაზე ყოფილიყო და შინაც ისევ კარგ გუნებაზე დაბრუნებულიყო. იმდენად ნორმალურად განწყობილი იყოო, იწერებოდა ბათომელი მოამბე, რომ იმის აზრად გავლება, რაც მოხდა, ყოვლად წარმოუდგენელი იყოო.

მოხდა კი ის, რომ სრულებით ჯანმრთელმა და საღმა, კეთილმა კეთილისავე და მშვიდობიან გრძნობების პატრონმა, შინ დაბრუნებისას, ტანთ გაიხადა, ჩაწვა ლოგინში... და თავი მოიწამლა...

მოწამლულ ცხოვრებას თავის მოწამვლა სჯობიაო, - იყო ალბად მისი უკანასკნელი აზრი და დასკვნა.

ეს იყო ჩემთვის თუ პირველი არა, ერთი იმ პირველ დაკარგვათაგანი, რომელიც უკურნებელ ჭრილობად ემჩნევა

ნათესავ სულთა და მშობელ ქვეყანას მოშორებულს ადამიანის გულს.

პირველი თუ პირველთაგანი. მას აქეთ ბევრი, ბევრი წაემატა იმ სამწუხარო სიას, რომელსაც უკლებლივ აწარმოებს მჭმუნვარე გონება.

გამორჩება განა ერთი მაინც?

საკმარისია, ჩაიხედოს დასერილ გულში და დაითვალოს იქ ჭრილობის ზოლები, რომ არავინ გამორჩეს.

დღითი დღე იზდება სია, მაგრამ საცოდავ და საბრალო გონებას არ ძალუძს ამ სიის წარმოების მიტოვება, - ნაღვლიანი ნუსხავს ახალსა და ახალ სახეებს და სახელებს, კვნესის, მაგრამ ნუსხავს მაინც, ვიდრე თვითონაც არ დაუდგება უკანასკნელ მგზავრობის ვადა...

დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი

თბილისში ის-ის იყო, დასრულდა ქართველ სტუდენტობის, ან, როგორც ინიციატორების პირველ მიწერ-მოწერაში ეწოდებოდა, - "განთავისუფლების ლიგის", მეორე კონგრესი. პირველს ადგილი ჰქონდა წინა-წელს ქუთაისში.

1893 წლის ივლისის მიწურული იყო ან მარიობისთვის დასაწყისი. კონგრესის წევრთა შორის გვერია ნიკო ქართველიშვილი. მამა მისმა, გიორგი ქართველიშვილმა, მხატვრულ "ვეფხის ტყაოსნის" ცნობილმა გამომცემელმა, კონგრესზე თავმოყრილ სტუდენტთა გამასპინძლება მოისურვა და სადილად მიგვიპატიჟა თავის ჩინებულ, მყუდრო ბინაზე, მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდის მადლობლად.

პირველი და უკანასკნელი იყო ჩემგან ამ წყნარის, აუჩქარებელის და ჩინებულ ქართველის ნახვა. ქართულ ოჯახს ქართული ელფერი სდევდეს, რა გასაკვირია, მაგრამ გიორგის ოჯახს ეს ქართული ხასიათი როგორღაც განსაკუთრებით აჩნდა.

ჯერ თვით გიორგის და მის მეუღლის გარეგნობა, - გიორგი კაბაში, ყურთმაჯებ უკან შნოიანად მოგდებული და

მისი მეულლე თავდახურული, - და მერე მათი აუჩქარებელი, დინჯი და დარბაისლური კითხვა-პასუხი, მათი ტკბილი და, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს გარდა ყველანი ყმაწვილები ვიყავით, დიდის ყურადღებით და პატივისცემით მოპყრობა, - ეს იყო ალბად, რომ ხაზს უსობდა ჩვენს თვალში ამ ოჯახის ტრადიციულ ქართულ ხასიათს.

დასრულდა ქართველ სტუდენტობის მეორე და უკანასკნელი კონგრესი; უკანასკნელი, რადგან წინა წლის ოქმები, რომელთაც ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის ქართველი წრეები უნდა მოევლო, ერთ-ერთ გადაგზავნის დროს, თუ არ ვცდები, ხარკოვიდან ვარშავაში, ჟანდარმებს ჩავარდნოდათ ხელში, და 1893 წლის ზამთარში დაიწყო ამ ქალაქებში სტუდენტების გაჩხრეკა-დაკითხვა.

ეს იყო იმის მიზეზიც, რომ მეორე კონგრესის ოქმების შავები ამის მომთხრობმა ცალიერ ტიკში ჩაკუჭა და სახლის თავზე სახურავის ქვეშ შეაგდო.

ვინ იცის, ის ტიკი, იქნება, დღესაც იქ აგდია...

კონგრესის მონაწილენი დაიშალნენ და თავ-თავიანთ დაბა-სოფლებს მიაშურეს.

მე რამდენიმე ხნით თბილისში დავრჩი, რადგან, მინამ კონგრესი გრძელდებოდა, გინდ არც ვყოფილიყავ თბილისში: დილით საათის ცხრაზე დაწყებული სხდომა ერთის-ორის საათით თუ შესწყდებოდა, რომ პური გვეჭამა, და მერე კარგა დაღამებამდე გრძელდებოდა.

პირველსავე თავისუფალ დილას ნიკო ნიკოლაძის ბინისაკენ გავეშურე. აქვე ცოტა ხანს უკან კარგა დიდი საზოგადოება შეიკრიბა, - ახალგაზრდა ინჟინერი დათა და მისი ნათესავი იორამ ჯორჯაძენი, რამდენიმე სხვა კიდევ და ნიკოს ცოლის ძმა დავით გურამიშვილი. პირველად ვხედავდი ამ უკანასკნელს.

შუა ტანისა, შავგვრემანი, წვერებ სუფთად გაპარსული და ულვაშებ მოკლედ შეკრეჭილი, - განსაკუთრებით სასიამოვნო სახის პატრონი იყო.

შემდეგში ხშირად გამიგონია, სიყმაწვილეში ერთი დარდიმანდი რამ იყო და ქალებსაც ძლიერ მოსწონდაო.

ჯერაც ყმაწვილი იყო, - სულ ოცდათხუთმეტის, თექვსმეტის წლისა იქნებოდა, როცა გავიცანი; ქალებს ეხლაც მოეწონებოდათ, ოღონდ მისი დარდიმანდობა როგორღაც ძნელად წარმომედგინა და კიდე უფრო ძნელად მისი ჩოხოსნობა, - თურმე ჩოხასაც ატარებდა, - იმდენად დინჯი და აუჩქარებელი მომეჩვენა.

დარდი-მანდისაგან ასე დადინჯება ძნელი წარმოსადგენია და, თუ მოხდებოდა ხოლმე, სიდინჯეს რაღაც ხელოვნური ხასიათი დაჰყვება ხოლმე. დავითის სიდინჯე კი სრულებით ბუნებრივი იყო: იმდენად ბუნებრივი, რომ, აკი მოგახსენეთ, მისი დარდიმანდობა ვერც კი წარმომედგინა.

ნიკოს იმ დილით ეყიდნა იმ დღეებში ახლად გამოსული ქართულ გამომცემელ ამხანაგობისაგან გამოცემული აკაკი წერეთლის ლექსების პირველი ორი ტომი.

ხან ერთ წიგნს გადაშლის ნიკო, ხან მეორეს; ხან ერთიდგან ამოიკითხავს რომელსამე ლექსს, ხან მეორედგან და თავისებურად, კატეგორიულის კილოთი, თითქო ვისმე საწინააღმდეგო ჰქონდეს რამ, წამოიძახებს:

- აი, საქმე ამას ჰქვიან! დახეთ, როგორ სუფთად არის დასტამბული, ასოებიც რა ჩინებულად ჩამოუსხამთ... ძლივს არ მოვესწარით ჩვენის მწერლების ნაწერების გამოცემათ!

ამ დროის პირობების მიხედვით, მართლა დიდი მამულიშვილური სამსახური გაუწია თავის ქვეყანას ხსენებულმა ამხანაგობამ: სამის თუ ოთხის წლის მანძილზე, ოთხმოციან წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანის თავში, მან გამოსცა 4 თუ 5 ტომი ყაზბეგის რომანებისა, ოთხი

ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა, ორი აკაკი წერეთლისა, თითო წიგნი გიორგი წერეთლის და რაფიელ ერისთავისა და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, საბას სიბრძნე-სიცრუე და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

მართალია, არცერთი ავტორი არ იყო სავსებით გამოცემული, მაგრამ ქართველ ხალხს პირველად ეძლეოდა თავის საყვარელ პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებთა პოვნისა და წეკითხვის შეძლება.

გამომცემლობიდგან ლაპარაკი სხვა საზოგადო საგნებზე გადავიდა და ამასობაში სადილობის დროც მოახლოვდა. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, და ნიკოსა და მისი სახლობის გარდა დავრჩით დავითი და მე.

- მოდით, ჩემსა წამოდით სადილად, - მოგვმართა ნიკოსა და მე, აღარც ჩვენ გვითქვამს უარი.

დავითის, ან როგორც შინაურობაშიაც და გარეთაც ეძახდნენ, დათიკოს სახლში პირველად ვიყავი მიმსვლელი.

მითხარ, ვის მეგობრობ, და გეტყვი, ვინც ხარო, - იტყვიან.

ნამდვილია. ოღონდ არის სხვა ნიშანიც ადამიანის ბუნების, მისის სულიერის განწყობილების და გუნების გამოსაცნობად.

ეს არის მისი ბინა, ამ ბინის მორთვა-მოწყობა.

უმეტესობა ბინებისა შაბლონურია; ისე ჰგავს ერთი მეორეს, რომ თითქმის არ იქცევს თქვენს ყურადღებას, და თქვენი თვალი მათ ხილვაზე სრულებით გრილი რჩება.

მეტ სიმდიდრეს თუ შეამჩნევთ აქა-იქ, ან კიდე ფერების უფრო ლაზათიანსა და ბედნიერ შეხამებას.

დათიკოს სასტუმროში შესვლისთანავე ჩემს გონებაში ერთბაშად გამოიხატა მისის პატრონის სრული სახე. შემდეგში უფრო და უფრო თუ განმტკიცდა ეს ჩეამი პირველი წარმოდგენა დათიკოზე, თორემ არაფრით არ შეცვლილა.

ო, როგორ არ გავდა აქაურობა მრავალ სხვა სასტუმროს! მდიდარი? დიაღ, თუ გნებავთ, მაგრამ არა იმ აზრით, რომ მის მოსაწყობად დიდი ფული ყოფილიყოს დახარჯული.

აქაც იდგა ტრადიციული ქართული ტახტი, სავარძლები, გძელი პიანო; უკვე ამ ავეჯეულობასაც ეტყობა განსაკუთრებული გემოვნება, მაგრამ დათიკოს გემოვნების თავისებურობის გამომხატველი ეს კი არ იყო. ეს თავისებურობა გამოიხატებოდა საუცხოვო ხალიჩებსა და მშვენიერ ნახატებში.

სხვის ხელში იქნება ამ მასალასაც ვერ მოეცა მაღალ არტისტულ გემოვნების ის შთაბეჭდილება, რომლისთვისაც მიეღწია სილამაზის შეგნების და გამოხატვის დათიკოს ნიჭს.

რიცხვით ნახატები არ იყო მრავალი: 9 თუ 10; ყველა ორიგინალი, - ხუთიოდ ჩვენის დიდის მხატვრის გიგო გაბაშვილისა და დანარჩენი, რემბოს ორის პატარა პორტრექის გარდა, გერმანელ მხატვრებისა, გერმანელ მეგობრების საჩუქრები, - სიყმაწვილეში დავითი მხატვრობას სწავლობდა მიუნხენში და იქ მრავალი მეგობარი გაეჩინა.

დათიკოს დიდი ცოდნა ჰქონდა მხატვრობისა და უფრო დიდი კიდე გემოვნება.

ძლიერ აღონებდა დავითს, რომ მისის თანამემამულის და ნათესავისაც გიგო გაბაშვილის ნიჭი არ იყო ჯეროვნად დაფასებული ჩვენში.

მართალია, თვით მხატვარსაც უჩიოდა უნერგიობას, მაგრამ იტყოდა ამგვარ საყვედურს თუ არა, მაშინვე დაატანდა მის გასამართლებლად:

- ან კი რა ჰქნას, - ყველა ნიჭს თავისი ჰავა სჭირია ისე, როგორც ყოველ მცენარეს.

- მცენარეს უვლიან, ანოყიერებენ,, რწყავენ და ნიჭს

კიდე გაგება სჭირია, მოწონება, წაქეზება; ნიჭის ჰავა ეგ არის. ეჰ, გიდი! გიგო რომ ევროპიელი მხატვარი იყოს, მისი სახელი დიდად იქნებოდა განთქმული.

- გერმანელებს ლენბახით მოაქვთ თავი და ჩემის აზრით, გიგო ლენბახზე უფრო დიდი პორტრეტისტია, - გულდაწყვეტილად იტყოდა ხოლმე დათიკო და გადახედავდა იქვე ჩამოკიდებულ გიგოს ნახატებს, და მეც უნებურად იქით მივაყოლებდი თვალს, საითაც ის იყურებოდა:

"ძრეცხავი დედაკაცები დაბახანაზე". როგორ ცოცხლად, ფერადების როგორის შერჩევით იყვნენ გადმოცემული მანდილ წაკრული, ხელებ დაკაპიწებული მრეცხავი დედაკაცები, ან გოდრებაკიდებული ფილოსოფიურად ჩაფიქრებული და ფილოსოფიურისვე მოთმინებით თავ ჩაქინდრული ვირები, და ყველა ამათ ზემოდან ჩვენის ქვეყნის ბრწყინვალე ცა!

აი, გიგოს მეორე ნახატიც: ხევსურების ფარიკაობა. ამაზე უფრო სიცოცხლით საავსე სახეებს, მოძრაობის ბუნებრიობას დიდის მხატვრების ტილოებზე თუ ნახავს ადამიანი.

საზოგადოდ, გიგო გაბაშვილს მეტად ემარჯვებოდა სახეები, პორტრეტები. ვის არ ენახა ჩვენს დროს სადეპუტატო საკრებულოში მისი შესანიშნავი "სამი ღენერალი", - ზაქარია ჭავჭავაძის, ივანე ამილახორის და მიხეილ ამირეჯიბის ერთად დახატული სამი პორტრეტი. ამ სამთა სახე, მათი გამომეტსველება ისეთის მხატვრულის სიძლიერით იყო გადმოცემული, რომ კაცს ეგონებოდა, პორტრეტები კი არ არის, თვითონ ღენერლები ამოდგომიან ჩარჩოს უკანო.

ასეთისავე ნიჭით, სიტყვით გამოუთქმელის, იმ რაღაც განსაკუთრებულის, რაც ახასიათებს ყოველ ცალკე პირის სახის გამომეტყველებას, გადმოცემით არის დახატული ილიას

პორტრეტი, რომელიც საადგილმამულო ბანკში ზედამხედველ კომიტეტის კაბინეტში ეკიდა...

მიუნხენი იყო ვითომ, რომ ჩაუნერგა დავით გურამიშვილს სილამაზის ასეთი შეგნება და ღრმა გრძნობა?

რა თქმა უნდა, ამ მუზეუმების ქალაქში, ამ "თანამედროვე ათინა"-ში, როგორც გერმანელები ეძახიან მას, ცხოვრებას არ შეეძლო ძლიერი კვალი არ დაემჩნია დათიკოს სულზე და გულზე, მის არტისტიულ მსოფლმხედველობაზე, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თუ დავითის თანდაყოლილი გრძნობა მშვენიერებისა, თუ მისი არტისტიული ბუნება არა, მიუნხენის პინაკოტეკების და გლიპტოკეტის ნახვა, შაკის გალერიის და სხვა იქაულ მხატვრულ საუნჯეთა დათვალიერება ისევე უშედეგოდ ჩაუვლიდა, როგორც ამ მხატვრულ სიმდიდრეთა მრავალ სხვა მნახველს. მიუხედავად ევროპიულ არტისტიულ გემოვნებისა და ჩვეულებებისა, ხასიათით ძნელი წარმოსადგენია დათიკოზე უფრო დასრულებული ტიპი ქართველისა, ქართველ თავადისა. დინჯი, ცოტა მოზანტოც თითქო, ლაპარაკში აუჩქარებელი, - მისგან საუბარში ვისთვისმე სიტყვის გაწყვეტა ან წყენის მიყენება გაუგონარი ამბავი იყო, - ყურადღებით ყურის დამგდები და მობაასის აუშფოთებელი მომსმენი, - ის მიმზიდველი ღიმი, მუდამ რომ უნათებდა სახეს, ზოგჯერ ოდნავ და ისიც ერთის წამით თუ მიიღებდა ირონიულ გამოხატულებას, - დავითი განხორციელება იყო ადამიანისადმი კეთილგანწყობილებისა და ლმობიერების.

დავითის ეს მორალური პორტრეტი, მეტადრე მისი ქართველური მხარე, სრული არ იქნება, თუ არ ითქვა, რომ მისი ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა ის ნიადაგი

იყო, რომელზედაც იქარგებოდა მისის სულის და გულის ყველა მაღალი თვისება.

დაუმატეთ იმას, რომ ხშირად ისეთს მოსწრებულ სიტყვას გადმოისროდა, ისე გემრიელად იოხუნჯებდა, ზოგჯერ ლექსადაც რომ დამსწრეთ სიცილისაგან თვალი ცრემლი მოადგებოდა.

მახსოვს, მაშინ ჯერ კიდე თითქმის ბავშვი, მისი დისწული გიორგი ნიკოლაძე, რომელიც აუტანელ პირობებში ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ისე უდროოდ და უღმრთოდ გამოასალმეს ამ წუთისოფელს*, ძალზე გატაცებული იყო ტანთვარჯიშობით.

ჰო-და მაგონდება, ერთ დღეს ჯერ კიდე თითქმის ბავშვი თავის გიმნასტიურ მიღწევათ რომ უამბობდა თავის ძიას, ამან უგდო ყური და ბოლოს ლექსად მიუგო, დაახლოვებით შემდეგი, რადგან ლექსი ბევრად უკეთესი იყო იმაზე, რაც მე მახსოვს:

ვარჯიშობა, თქმა არ უნდა, საქმე არის დიდად მარგი.
ოღონდ ვშიშობ, ჩემო გიორგი,
წრეს გადასული ვარჯიშობა
არ გამოდგეს ვირჯიშობა...

ტყუილად არ ჩაუვლია ამ გატაცებას, - აკი შემდეგში, რევოლუციის პირველ დღეებშივე, გიორგიმ საძირკველი ჩაუყარა ქართულ "შევარდენს", რომელიც მისის აზრით, უნ-

---

* გიორგი ნიკოლაძე 42 წლისა გარდაიცვალა თბილისში 1930 წ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ: ქარხანაში თითქმის 18 საათის მუშაობით და უძილობით დაუძლურებულმა სხეულმა ვერ გაუძლო სენს, მით უმეტეს, რომ საჭირო წამალიც აკლდა.

და მოფენოდა საქართველოს და გაეღვიძებინა და განევითარებინა ქართველ ხალხში მისი ბუნებრივი თვისებანი, - მხნეობა, ძალა, ლაზათი; სიმარჯვე, გამბლეობა, გაბედულობა.

მაგრამ ამ ყმაწვილურმა გატაცებამ არა თუ არ დათრგუნა ამ ყმაწვილს უხვად მინიჭებული სხვა ნიჭი, არამედ რომაულ თქმულების არ იყოს, საღს სხეულში საღი გონებაო, შეიძლება ხელი შეუწყო მის ნიჭიერ გონების დიდ განვითარებას.

დავითი ნამდვილი ესტეტი იყო, გამოჩენილ მხატვართა ორიგინალ ნახატებს, საუცხოვო ლამაზ ხალიჩების სნობურ განზრახვით, მნახველისათვის თვალის დასაყენებლად კი არ იძენდა, არამედ თვით მშვენიერ საგნის სიყვარულით.

სულით და გულით არტისტი, მშვენიერების ტრფიალსა და ძებნაში იყო. ჯერ მიუნხენიდგან რომ ჩამოვიდა, მხატვრობას განაგრძობდა, - დახატა დავით აღმაშენებლის სურათი, რომელიც დიდ-ჯიხაიშის ეკლესიას შესწირა; დახატა კიდე რამდენიმე, ეგზოტიურ შინაარსის ნახიტი, მაგრამ მალე ყოველდღიურ საჭიროებაზე ზრუნვამ მხატვრობაზე ხელი ააღებინა.

ოღონდ თანდაყოლილი არტისტიული ნიჭი ისე ადვილად ჩასაკლავი როდია, და ორმოც წელს კარგად გადასული დავითი ერთ მშვენიერ დღეს ვიოლინოზე დაკვრის სწავლას იწყებს.

ერთ საღამოს შევესწარ, როდესაც დიდის გულმოდგინებით უკრავდა ვიოლინოზე სავარჯიშოებს.

- დათიკო, - ვუთხარი ღიმილით, - რაღა დროს შენი ვიოლონის სწავლაა? ეგ ისეთი ძნელი ინსტრუმენტია, რომ თუ ბავშვობიდგან არ სწავლობს მას ადამიანი, მერე ველარადროს შეიძენს საჭირო სიმარჯვეს.

- არც მე ვემზადები საჯაროდ გამოსვლას, - მიპასუხა დათიკომ. — ჩემთვის ვსწავლობ; ცოტა თუ გავიწაფე, სრულებით კმაყოფილი ვიქნები: გუნება რომ მომივა, დავჯდები და ჩემთვის დავუკრავ რაც მომენატრება, თორემ გუნებაზე რომ მოვალ, დამკვრელი სად ვეძიო!

ვიოლინოს დამკვრელი იქნება ისე ადვილად ვერ ეპოვნა, ოღონდ პიანოს კარგი დამკვრელი და კიდე უკეთესი მომღერალი კი მუდამ გვერდით ჰყავდა: ეს იყო მისი მეუღლე, იშვიათის სილამაზის ხმის პატრონი.

პარიზში სამის წლის სწავლის შემდეგ, სამი თუ ოთხი კონცერტი გაჰმართა თბილისს!, ქუთაისს, ბათომში და.... საუბედუროდ ამით დაამთავრა თავისი არტისტიული კარიერა დათიკოს მეუღლემ.

მახსოვს, ერთხელ შევედი თუ არა დავითთან, თვალში მეცა ერთ-ერთ კარზე ჩამოკიდებული ახალი ხალიჩა; იშვიათი სინაზის ფერები საუცხოოდ იყო შეუღლებული; შალისა იყო და ნამდვილ ხავერდს კი ჰგავდა.

- მოგწონს? — შემომასწრო თვალი დათიკომ. — სულ ახალს არა ჰგავს.

- როგორ თუ ჰგავს? ახალია და ახალს უნდა ჰგავდეს. სად გიპოვნია იმის ტყუპი? — მივუთითე მეორე კარზე ჩამოკიდებულ სრულიად იმისთანავე ხალიჩაზე.

- არა, შენ ისა სთქვი, ხომ ახალსა ჰგავს?

- ახალია-მეთქი და ახალს ემსგავსება, მაშ!

- და რომ გითხრა, რომ ასი წლისა მეტია!

- როგორ თუ ასი წლისა?

აქ დავითმა თავისებურად აუჩქარებლად მიამბო ამ ხალიჩის შეძენის ამბავი:

ეს ხალიჩა თურმე სიონის ტაძარში ეფინა, საკურთხევლიდგან წამოსული, ამბიონს სჭრიდა, მის საფეხურებზე

ჩამოდიოდა და თითქმის არქიელის ტახტამდე მიდიოდა.

- ამას წინად სიონის ტაძარში ყოფნა მომივიდა, - მოჰყვა დათიკო, - და უეცრად ამ ხალიჩას მოვკარი თვალი. დავაკვირდი, - ადვილად მიხვდები, რა დაკვირვებაც იყო საჭირო: რაოდენა ხალხმა თელა ფეხებით, რამდენი თაფლის სანთელი დაღვენთილა ზედ, - და აი, იმ ხალიჩის ტყუპი არ ვიცანი!

- ამეშალა საღერღელი. რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევიძინო-მეთქი. დიდის მოლაპარაკების შემდეგ დავითანხმე დეკანოზი ახალში გაეცვალა, ვიციო, - მითხრა დეკანოზმა, - ძველ ხალიჩებს ისე დიდად აფასებენ, რომ სანაცვლოდ ახალსაც იძლევიან და ზედ კიდე ფულსაც ადებენ. მაგრამ ეს მეტის-მეტად არის გალახული და თაფლის სანთელიც ისე აქვს გამჯდარი, რომ იმას კაცი ვერ ამოიყვანსო.

ეს გარემოება მეც მაფიქრებდა. ასე თუ ისე, მოვიტანე შინ და მის გამოხალისების ფიქრს მივეცი თავი. ბოლოს, აი, რა მოვიფიქრე: დავუძახე ბიჭს, ჩავდეთ ეს ჩემი ხალიჩა ეტლში და წავედით... აბანოში, სადაც ყველაზე უფრო ცხელი წყალი მეგულებოდა. სამ-ოთხ საათს დავრჩით აბანოში. სული გვეხუთებოდა სიცხისაგან. კარგი სანახაევები კი ვიქნებოდით ხალიჩის მექისეების როლში!

რაღა გავაგრძელო, ერთის საუკუნის განმავლობაში დაგროვილი და შიგ გამჯდარი ჭუჭყი და თაფლის სანთელი გავაცალე,, და, როგორც ხედავ, ახალს დავამსგავსე...

მხატვრობა, მუსიკა, ძვირფასი ხალიჩები, - თავადიშვილური დროს გატარება, რაღა! — სთქვას ვინმემ.

არა, რადგან ეს არ იყო დროს გატარება და ჟინის მოკვლა, არამედ სულის უღრმეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, დაკმაყოფილება იმ განვითარებულ გრძნობისა,

რომლის პირვანდელი გამოსახულება სალამურს გამოათ-ლევინებს ლერწმიდგან ველად გასულ მწყემსსა. ამ მწყემ-სისა არ იყოს, არც დავითს ავიწყებდა ესტეტიური განცდა ყოველდღიურ ცხოვრების საჭიროებათ. დავითმა იცოდა გასჯა და მერე როგორ?

პეტერბურგიდან ახლად ჩამობრუნებულმა ნიკო ნიკო-ლაძემ მოგვმართა ერთხელ მე და დავითს:

- ერთი ჩინებული სავაჭრო წარმომადგენლობა ვიშოვე, და აბა, რომელი თქვენგანი მოჰკიდებს მას ხელს. გასავ-რცელებელი საგანი ვინმე ინჟინერ გალკინის გამოგონილი ნავთის საღუებელი სანათია.

- მე მაგისთვის ვერ მოვიცლი და იქნებ დათიკომ იკისროს.

დათიკომ მოჰკიდა, მართლაც, ხელი.

ერთ დღეს შევედი დათიკოსთან; შინ არ დამიხვდა.

- დათიკო ეხლავე მოვა, - მითხრა მისმა მეუღლემ.

მართლაც, არ გასულა ნახევარი საათი და დავითიც შემოვიდა უქუდოთ, ხელებ გაზენთილი, ზეთით და ნავთით გათხვრილ ხალათში.

- ოჰ, შენა! დამაცა, ეს ხალათი გავიძრო და ხელები დავიბანო და ეხლავე მოვალ.

- როდის აქეთ გახდი ზეინკალი? — ვკითხე დათიკოს; როდესაც ცოტა ხანს უკან შემობრუნდა გასუფთავებული:

- ჩემს პატარა სახელოსნოში ვმუშაობდი.

- სახელოსნოში? როდის გაიჩინე განა?

- როგორ როდის? აი, იმ სანათების წარმომადგენლობა რომ ავიღე.

- მერე სახელოსნო რაში გჭირდებოდა? შენ ხომ წარ-მომადგენლობა გაქვს და, მაშასადამე, მყიდველი უნდა ეძიო!

- იჰ, რა ადვილად გაქვს წარმოდგენილი საქმე. ნამდვი-

ლად, არც ეგრე ადვილია. მყიდველი უნდა ეძიო, და როგორ იშოვება მყიდველი, აღარ იკითხავ?

მყიდველმა უნდა იცოდეს თუ არა: რას ყიდულობს და მყიდველზე ადრე ხომ გამყიდველი უნდა იცნობდეს საგანს. მისი აწყობა, მოხმარება, შეკეთება, თუ რამე დაუშავდება მომხმარებლის გამოუცდელობით, თუ ყველა ეს გამყიდველმა არ იცის, მყიდველმა საიდან გაიგოს! აი, ამისთვის გავმართე პატარა სახელოსნო აქვე, სარდაფში და იქ ვმუშაობ...

არა, ცხოვრების არტისტიული მხარე, ესტეტიური განცდანი არ უშლიდნენ დავითს ხელის განძრევას და მუშაობას, იყო ეს სანათების აწყობა-შეკეთება, თუ სადეპუტატო საკრებულოსათვის კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ მოხსენებების დამზადება.

ამასთან, რასაც მოჰკიდებდა ხელს, საბუთიანად და დაწვრილებით უნდა შეესწავლა. ასეთი იყო კახეთის რკინიგზის გაყვანის საქმეშიაც და სადეპუტატო საკრებულომაც იმიტომ აირჩია დავითი ლონდონს გასაგზავნად საჭირო ფულის საშოვნელად, სესხის ასაღებად.

დავითმა იშოვა კიდეც საკმარისი თანხა, მილიონ ნახევარი სტერლინგი სესხი აიღო, და კახეთიც რკინის გზით შეუერთდა დედა-ქალაქს.

რუსეთის თვითმპყრობელობას ქართველი თავად-აზნაურობა გარეგნად ისეთსავე პატივში ჰყავდა, როგორც თავისი საკუთარი.

ნამდვილად კი, იჭვის თვალით უყურებდა, რადგან, მიუხედავად მისგან ოფიციალ ქვეშევრდომობის განცხადებისა, მისი ეროვნული ხაზი და საქმიანობა მეტად არ ეჭაშნიკებოდა და აწუხებდა, რაც გამოიხატებოდა პეტერბურ-

გელ ოფიციოზის "ნოვოე ვრემია"-ს დროგამოშვებით გამოლაშქრებაში.

ასეთს გამოლაშქრებას თავადაზნაურობის წლიურ ყრილობებზე ორჯელ-სამჯელ პასუხი გასცა ყრილობის სახელით დავით გურამიშვილმა.

პირადად დავითის ამ გამოსვლებს არ დავსწრებივარ; ერთხელ გაზეთში წავიკითხე მხოლოდ და საზოგადოდ ბევრისგან გამიგონია, რომ დიდის ღირსებით წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველთვის საკადრისი პასუხი ყოფილა "ნოვოე ვრემია"-ს ბრალდებისა და ინსინუაციების.

დავითს საჭიროდ არ დაუნახავს იმის მალვა და გადაფიცვა, რომ უმაღლეს წოდების საკრებულოს თავის უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა საერთო ეროვნულ საჭიროებათათვის ზრუნვა, რომ თავის პრივილეგიას, თავის წარჩინებულ მდგომარეობას ის იყენებდა ეროვნულ სამსახურისათვის.

სოციალ საკითხების განვითარებამ ჩვენშიაც დიდის ხნიდგან დასვა წოდებათა ურთიერთობის საკითხი, და სწორედ წარჩინებულ წოდების საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ, რომ სჭრიდნენ ამ საკითხს ერის საზოგადო ინტერესების სასარგებლოდ.

მე-19 საუკუნის დამლევს თუ გამოდიან საზოგადო ასპარეზზე არა თავადი და აზნაურნი მოღვაწენი, თორემ მანამდე ერთავად თავადები თუ იყვნენ, რომ გამოდიოდნენ ერის და მის უდიდეს ნაწილის, გლეხობის, ინტერესების დასაცველად.

ერის წოდებრივმა დაყოფამ თუ დიდი ხანია მოჭამა თავისი დრო და მაღალ წოდების სახელი მუქთახორაობის და მუქთამჭამელობის სინონიმი შეიქმნა, ითქვას მაინც, რომ ქართველი მაღალი წოდება დიდად განირჩეოდა რუსეთის თავად-აზნაურობისაგან.

ჩვენში არადროს გაგვიგონია, რუსეთში თავადაზნაურობისაგან ერვონული საქმისათვის ზრუნვა, მაშინ როდესაც ეროვნულ საერთო შეგნებას არა ერთხელ უჩენია თავი ქართველ თავადაზნაურობაში.

ასეთის შეგნების საუკეთესო მაგალითი მან გამოიჩინა ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ დღეებში.

მახსოვს, ერთ დღეს განსვენებულმა კონსტანტინე აფხაზმა დამიბარა სადეპუტატო საკრებულოში.

მივედი თუ არა, ამოიღო ბიუროს უჯრიდან საწერ მანქანაზე დაბეჭდილი კარგა სქელი რვეული, გამომიწოდა და მითხრა:

- ერთი ეს წაიკითხე, ვერასდროს ვერ ისწავლიან ჭკუას.

რვეულის პირველ გვერდზე წავიკითხე: "ნ-ის გუბერნიის ყოფილ თავად-აზნაურთა საზოგადოების წესდება".

- დროს ნუ ჰკარგავ; მოკლედ გეტყვი, რაც არის. ზოგიერთ რუსის აზნაურს აზრად მოსვლია თურმე, რევოლუციას წოდებრიობის გაუქმება მოჰყვება უთუოდ და თუ წოდებრივ საზოგადო ქონებას დროზედ არ ვუშველეთ, სახელმწიფო ჩამოგვართმევს და დაგვეკარგებაო. ამიტომ ჯერ კიდე მინამ არსებობს კანონით თავადაზნაურთა თვითმმართველობა და შეუძლია რა დანიშნულებაც უნდა, ის მისცეს თავის ქონებას, დავაარსოთ გუბერნიებში ყოფილ კეთილშობილთა კერძო საზოგადოებანი, სადეპუტატო საკრებულონი და დაადგნენ თავიანთ ქონებათა ამ საზოგადოებათათვის გადაცემას და ამრიგად შევინარჩუნებთ ამ ქონებასო.

- ქვეყანა ყირაზე დგება და ამ ვაჟბატონებს ამაზე უკეთესი ვერა მოუგონიათ. როგორც ხედავ, პროექტის ერთი ცალი ჩვენც გამოგვიგზავნეს, თქვენი აზრი გვითხარითო.

- დიდ ხანს დასჭირდებათ ჩემის აზრის ლოდინი... ეხლა კი სხვა რამ მინდა გითხრა, - დააბოლოვა კოტემ: განზრახვა მაქვს მოვიწვიო ჩვენი საზოგადო მოღვაწენი თავადაზნაურობის საზოგადო ქონების ბედის გადასაწყვეტად...

- საქმე ისაა, რომ ჩვენს საკრებულოში ორი აზრი ტრიალებს. ერთნი ამბობენ, რომელსამე ერთს ან რამდენსამე საზოგადოებას გადავცეთო, სხვებს კი სურთ ეროვნულ საბჭოს გადაეცეს საკრებულოს ქონება...

- მინდა ბოლომდე მივსდიო ჩვენს ტრადიციას, საზოგადო მოღვაწეთა არა-წოდებრივ წრეში გაირჩეს და გადაწყდეს საკითხი.

- სხდომა მინდა თქვენს ბანკში (საადგილმამულო ბანკის შენობა) დავნიშნო...

მახსოვს ის სხდომაც, კარგა დიდრიცხოვანი იყო. კრებამ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა, თავადაზნაურობის მთელი ქონება ერს უნდა გადაეცესო, და ეროვნულ საბჭოს გახსნის ისტორიულ სხდომაზე მან, ვინც შემდეგში თვით სიცოცხლე შესწირა თავის ერს, სათავადაზნაურო მთელი ქონება, ასე ვთქვათ, ხონჩაზე მიართვა.

თავადაზნაურთ იმ წრეს, რომელსაც ერის სამსახურისათვის ჰქონდა გამოყენებული თავისი წოდებრივი უფლება და რომელსაც ამ ხაზით წელთა განმავლობაში წინ მიუძღოდა ჯერ დიდი ილია და მის სიკვდილის შემდეგ მისი ღირსეული დისწული, წამებული გმირი კოტე აფაქაზი, ეკუთვნოდა დავით გურამიშვილიც.

ეშიშობ, ზემოდ ნათქვამის გამო, ერის წოდებრივად დაყოფის და თავადაზნაურობის ტრფიალი არ დამწამდეს.

ხალხის წოდებებად დაყოფა და ერთისათვის , თავადაზნაურობისათვის, პრივილეგიების მიენიჭება, უეჭველია, ადამიანის სინდისსა და ღირსებას ეწინააღმდეგება.

ადამიანის უფლებრივი უთანასწორობა მიუღებელია ჩვენის დროის შეგნებისათვის და ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ერის ცხოვრებიდგან.

როგორ და რა საშუალებით?

ეს კანონმდებლობის საქმეა.

ოღონდ... ოღონდ უბედურობა ის არის, რომ ყველა რევოლუციებს, სადაც და როდესაც კი მომხდარა, ერთი და იგივე შეცდომა მოსდევდა: პრივილეგია, ე.ი. განსაკუთრებული უფლება, და მისი პატრონი ერთმანეთში აურევია. პრივილეგიების გაუქმებად მიუჩნევია მათ მატარებელთა ფიზიკური მოსპობა...

ვისაც არ გაუგონია ან დავიწყებია საფრანგეთის დიდ რევოლუციის 1792 წლის სექტემბრის დღეები, საკმარისია ბოლშევიკურ რევოლუციის მაგალითი, როდესაც რევოლუციის ამოცანად დასახული იყო პრივილეგიურ კლასების საკუთრებით ამოწყვეტა.

პრივილეგიური ყოფა, თქმა არ უნდა, რყვნის პრივილეგიის მქონესაც და არა მქონესაც; ოღონდ ვერც იმას ჰყოფს უარს კაცი, რომ პრივილეგიურმა ყოფამ შეძლება მისცა მაღალ წოდებას განევითარებინა თავის წრეში ზოგიერთი დადებითი თვისებებიც, ზოგჯერ მეტად დიდის ღირსებისაც.

ფორმალური კეთილშობილება ძლიერ ხშირად ამ წრეში აღწევდა ნამდვილ კეთილშობილების უმაღლეს განვითარებას და ადამიანის ღირსების უღრმესს შეგნებას.

პიროვნების პატივისა და ღირსების დასაცველად, პატიოსნურ მოვალეობის ასასრულებლად მრავალი მისი წევრი უშიშრად დახვედრია სიკვდილს. და განა ის არა სჯობს ქვეყნისათვის, ასეთის შეგნების ნიმუშები შეინარჩუნოს!

ასეთი შეგნება წარმოშვა, მართალია, საუკუნეთა განმავლობაში ერის უმცირეს ნაწილის პრივილეგიურმა ყოფამ, ის იძლეოდა გონების და სულის და გულის მაღალ თვისებათა განვითარებისათვის საჭირო თავისუფალ დროს.

საუბედუროდ, იმ ერთეულთა გვერდით, რომელნიც ამ თავისუფალ დროს ერის საკეთილდღეოდ იყენებდნენ, იდგა მაღალ წოდების დიდი უმრავლესობა, რომლისთვისაც უზრუნველობა და თავისუფალი დრო უსაქმურობის სინონიმი შეიქნა.

უსაქმურობა კი ხომ საუკეთესო ნიადაგია ადამიანში ყოველნაირ სიბილწისა და საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის მავნე თვისებების აღმოსაცენად.

მოშალეთ მაშ, გააუქმეთ პრივილეგიები, უთანასწორობა; გაათანასწორეთ ყველა კანონის წინაშე. თვით კანონს მიანიჭეთ პირუთვნელობა და დანარჩენს ცხოვრება მოაგვარებს!

პრივილეგიების მოსპობა ადამიანთა მოუსპობლადაც შეიძლება.

საუკუნეობით შეძენილ და განვითარებულ შეგნების ის ნაწილი, რომელიც მაღალ და ნამდვილ კეთილშობილურ გრძნობებს შეიცავს, მისაბაძ მაგალითად შეუნახეთ ერსა და ქვეყანას!

ის იგივე სიმდიდრეა, როგორც ყოველივე სხვა, იმ განსხვავებით, რომ მატერიალური სიმდიდრე ადვილად შეიძლება განიავდეს, გაიფლანგოს, ის კი, რაც უფრო ხელგაშლილად არიგებთ, მით უფრო იზდება...

წარმომიდგენია, ჩემო მკითხველო, ჩვენში რევოლუცია მომხდარიყო წარსულ საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მას მაღალ წოდების მოსპობა განეზრახა და ამ განზრახვის ასრულებას მოჰყოლოდა შედეგად კეთილშობილთა იმ პლეადის მოსპობაც, რომელიც მოევლინა იმ დროს

ჩვენს ქვეყანას, - ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეების, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანისა, გიორგი და რაფიელ ერისთავისა, აკაკი და გიორგი წერეთლისა და მრავალ სხვებისა, ყველა მათი სალიკვიდაციო მასალად დასახვა ისე, როგორც ეს უყო საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ქიმიის მამად წოდებულ ლავუაზიეს და დიდ პოეტს ანდრე შენიეს?

არა, არც ცალკე პიროვნება, არც მითუმეტეს ერის მთელი ნაწილი, ვერ დაისახება სალიკვიდაციო მასალად. ლიკვიდაცია ცუდ კანონს სჭირია, ცუდ წყობილებას, რომელთაც ედებათ მთელი ბრალი და პასუხისგება უსამართლობის შექმნაში!

მაგრამ ამისათვის საჭიროა დიდი სიბრძნე და დიდი სათნოება!

ო, რამდენად უფრო დიდია ეს სიბრძნე, ვიდრე ის, რომელიც ადამიანთა გათანასწორებას და სამართლიანობის დამყარებას ერის ერთის ნაწილის გაწყვეტა-მოსპობაში ხედავს...

ჩვენის თავისუფლების დღეს დავითი გამოუთქმელის სიხარულით დახვდა. ისიც ჩაება ერის ცხოვრების გადახალისების მუშაობაში: აღარ მახსოვს, რომელ დაწესებულებაში თავისებურად წყნარად და მორიდებულად შეჰქონდა შრომის თავისი წვლილი.

აღარ დაგვცალდა არავის. თებერვლის იმ შავ დღეებში დავითს შევხვდი სასახლის ქუჩაზე დაღონებულს და ჩაფიქრებულს.

გამიღიმა თავისის კეთილის ღიმილით, რომლის ჩვეულებრივ სიტკბოს ეხლა სიმწარე შერეოდა.

- ეს რა უბედურობა დაგვატყდა თავსა-მეთქი, - მივმართე პირველმა მისალმების მაგიერ.

დათიკომ მწუხარედ ჩაიქნია ხელი. დაფიქრებული, უღიმო ერთ ხანს სადღაც შორს რაღაც უხილავ საგანს მისჩერებოდა, მერე ხელი გამომიწოდა, სახეზე თავის ალერსიან ღიმილ მოგვრილმა და ეს-და მითხრა:

- პირველია განა? ჩვეული არა ვართ ასეთს ბედს?..

გაიარა რამდენსამე წელმა და ერთ დღეს უცხოეთში გადმოხვეწილს მისის მეუღლის ბარათზე მიწერილი მისი რამდენიმე სიტყვა მომივიდა: უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში წინად თითქმის შეუმჩნევალი გულის ავადმყოფობას ისეთის ნაბიჯით ევლო, რომ ეხლა გძელის წერილის მოწერაც ველარ შესძლებოდა.

- სადა ხარ ან რა დღე გიდგას, - იწერებოდა დათიკო იმ რამდენსამე სტრიქონში, რომელზედაც უკეთესად ვერავითარი გრძელი ბარათი ვერ გამოსთქვამდა მის კეთილ გრძნობას.

- რომ იცოდე, როგორ ვწუხვარ შენს მოგონებაზე... გაკოცებ და გულში გიხუტებ... შენი დ...

- ამ "გულში გიხუტებ"-ო და ამ სიტყვებში გამოთქმულმა მისმა აზრმა, რომ სამშობლო მიწა-წყალს იძულებით მოშორებაზე უარესი უბედურობა წარმოუდგენელია, ბავშვსავით ამატირა.

ნაცნობ და საყვარელ სახეების მოშორება, ნაცნობ და საყვარელ ადგილების იძულებით განშორება, ვაი, რომ ამაზე დიდი უბედურობა არ არის.

მაგრამ ჩემის ცრემლების მიზეზი ეს დიდი უბედურობა კი არ იყო: თვითონ, ცხოვრების იმ აუტანელ პირობებში ჩავარდნილი, რომელნიც ისეთის სიჩქარით მიაქანებდნენ ჩემს

დავითს საბედისწერო წუთამდე, ის ჩემს უბედურობას სწუხდა და შორიდგან გულში ჩახუტებით ლამობდა ჩემის მწუხარების დაამებას. მე კი... მე კი მისა და მის პირობებში მყოფთა მოგონებაზე სირცხვილი მწვავდა და მეტირებოდა.

ვინ არის, ვფიქრობდი, ჩვენ ორში უფრო უბედური და შესაბრალებელი?

ის, ვისაც სამშობლო ცა წაართვეს, თუ ისა, ვისთვისაც სამოთხის მსგავსი სამშობლო მიწა-წყალი ჯოჯოხეთად უქცევიათ, და საყვარელი ნათელი ლაჟვარდი ცა სიცოცხლითვე სუდარად გადაუფენიათ...

გაიარა კიდე ერთმა თუ ორმა წელმა, და დავითი ჩემს გულში ჩახუტებას ვერ მოესწრო, - მისმა სამშობლო მიწამ ის ჩაიხუტა გულში.

თამარ ორბელიანის ასული

ორბელიანთ ბინაზე დიდი ფაცა-ფუცია: სასტუმრო ოთახს ვცლით. კაცს ეგონება, ოჯახი ბინას იცვლის, ახალზე გადადისო.

ნამდვილად სულ სხვა ხდება.

ამ საღამოს აქ იმართება "ირაკლის ფონდის" სასარგებლოდ კონცერტი სალიტერატურო განყოფილებით.

"ირაკლის ფონდი"! ეს იყო კიტა აბაშიძის პირველი ინიციატივა ქართულ საგანმანათლებლო საქმეში.

პირველი, რადგან ერთის თუ ორის წლის შემდეგ, მან სხვაც გამოიჩინა: თავისის წერილოებით ჩეხურ "მატიცაზე" და მატიცისებურ საქმიანობაზე ჩვენის "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სასარგებლოდ კიტამ ისე ააგულიანა ქართველი საზოგადოება, რომ ოჯახი არ დარჩენილიყო თითქმის, სასტუმრო ოთახში თვალსაჩინო ადგილსყულაბი არ ჰქონოდა ზედ მიკრულის წარწერით: "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ.

მიხვიდოდით ასეთ ოჯხში სადარბაზოდ თუ სტუმრად, და დიასახლისი მოსალმების უმალ ხელს წაავლებდა ყულაბს და გამოგიწოდებდათ, რომ ფული ჩაგეგდოთ შიგ.

მახსოვს, ერთი ახალგაზრდა სტუდენტი ხარლამპი ღლონტი* ისე გაიტაცა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ფულის შეკრების სურვილმა, რომ საგანგებოდ გააკეთებინა ხის ისეთი ბრტყელი კოლოფი, რომ უბის ჯიბეში ჩაიდებოდა, და მუდამ თან ატარებდა.

გავლა არ ჰქონდა მისგან არავის; ამოიღებდა შუა ქუჩაში ჯიბიდგან ამ თავის კოლოფს-ყულაბს და:

- წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ!.. რამდენიც გენებოთ! თუ გინდ რამდენიმე გროში!..

"ირაკლის ფონდი", რომელსაც ამ კონცერტის შემოსავლით საძირკველი ეყრებოდა, უნდა მოხმარებოდა რუსეთში სწავლა დამთავრებულ ნიჭიერ ახალგაზდობის სამზღვარ გარეთ გაგზავნას.

თვით სახელიც კიტამ მოიგონა: სწორედ იმ ხანებში დანიშნა კიტამ ორბელიანის ქალი და ფონდსაც თავის საცოლის დიდის და დიდებულ წინაპრის სახელი უწოდა.

ღღევანდელი კონცერტი, როგორც ყველა საქველმოქმედო კონცერტი, მძიმედ არის დატვირთული სხვა-და-სხვა ნომრებით, - გალობა, პიანო, ვიოლონი და ვიოლონსელი, დეკლამაცია და კუპლეტები. სხვათა შორის პიანოზე უნდა დაეკრა კიტას საცოლეს, თეკლე ორბელიანის ასულს, უფროსს დებს შორის, და ვიოლონზე კიდე — ყველაზე უნცროსს — ანასტასიას**.

---

* ეს ის ყმაწვილი იყო, რომელიც ხიშტით დასჭრეს მკლავში ქართულ გიმნაზიაში შევარდნილმა გამხეცებულმა ყაზახებმა, როდესაც გიმნაზიის სახურავიდგან ვიღაცამ ყუმბარა ესროლა (1904-ში) თბილისის პოლიცმეისტერს მარტინოვს, ხოლო გიმნაზიის დირექტორი I. ჩიტაძე მოკლეს

** შემდეგში პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მეუღლე.

ამავე კონცერტში გამოვიდა პირველად მომღერლის სახით ჩვენი განთქმული მსახიობის ვასო აბაშიძის ქალი — ტასო, და ამრიგად მისი სასცენო კარიერა კერძო ბინაზე გამართულ კონცერტით დაიწყო, თუმცა შემდეგში ის ცნობილი იყო როგორც ქართულ დრამატიულ დასის ნიჭიერი მსახიობი და არა როგორც მომღერალი...

რა თქმა უნდა, კერძო ბინის საკონცერტო დარბაზად გადაქცევა ისეთ სახლის პატრონებს დააწვა მძიმე ტვირთად და ყველაზე უფროს სამ ყმაწვილ ქალს, უკვე დასახელებულ კონცერტში მონაწილე ორ დას, თეკლასა და ანასტასიას და ჩუმსა და მორიდებულს, მათ შუათანას — თამარს.

სხვები თუ ხმა მაღლა ლაპარაკით, ზოგჯერ ძახილით, აქეთ-იქით სირბილით ჩვეულებრივს ასეთ შემთხვევაში აურზაურს უფრო უმატებენ, ეს უკანასკნელი ჩუმად მიდი-მოდის და სხვების დაუხმარებლად აკეთებს თავის საქმეს.

გიმნაზიის მეოთხე თუ მეხუთე კლასის მოწაფეა. იმ ხანშია, როდესაც უკვე ეღვიძება კოპწიაობის ქალური გრძნობა და გარეშეთა ყურადღების მიქცევის სურვილი.

თამარი სრულებით მოკლებულია ამ ბუნებრივ ქალურ გრძნობას.

ყურადღება მიიქციოს? ამისათვის რამე ცდა გამოიჩინოს? გაგიგონიათ?! მისი ერთად-ერთი ცდაა, შეუნიშნავი დარჩეს, თვალში არავის მოხვდეს.

მაგრამ რაც არ უნდა ეცადოს ჩრდილში ყოფნას, შეუძლებელია მისი შეუმჩნეველობა.

იმ დალოცვილ ბუნებას არა დანანებია რა ამ უცხო ასულისათვის; უხვად და ხელგაშლილად მიუნიჭებია ყველაფერი, რაც რომ ჰქმნის სრულს სილამაზეს, უნაკლულო სიმშვენიერეს.

იშვიათის სილამაზის ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები, კულულებად მოყრილი გიშერსავით შავი თმა; მაღალი შუბლი და ვარდის ფერ მარმარილოს მსგავსი საუცხოოდ მოყვანილი სახე ჰქმნიდნენ იმ სრულს სილამაზეს, რომელიც იქით თუ შეშურდებოდათ ჰომიროსის ოლიმპის ტურფა ღვთაებათ, თორემ მისთვის აღარას სტოვებდა სანატრელს და შესაშურებელს.

ჯერ არ დაქალებულა, მართალია: სიმწიფემ იქნება ერთ-ერთ მითოლოგიურ ქალღმერთს დაამსგავსოს, ხოლო უკვე დღესაც უნაკლულოდ მშვენიერია და ლამაზი.

და ამ იშვიათ სილამაზესთან ასეთი მორიდებული ხასიათი, თითქმის მორცხობა! თითქმის-თქო, რადგან, სადაც საჭიროა, ნამდვილ ვაჟკაცურ მხნეობით აღიჭურვება და მაშინ მორიდებისა და მორცხვობის ნიშანიც აღარ რჩება...

1898-ში კიტა დაქორწინდა, და ამ ხნიდგან იწყება მისი ბოგანო ცხოვრება. დაქორწინების შემდეგ ერთხანს თბილისში რჩება, და შემდეგ ხან რაჭას სცხოვრობს, ხან ზესტაფონში, სადაც მომრიგებელ შუამავლის თანამდებობას ასრულებს. 1900 — ასეთსავე თანამდებობაზე დაინიშნა თავის ქვეყანაში და თავის სოფელ კაცხში დასახლდა.

ამასობაში თამარმა სწავლა დაამთავრა წარჩინებით თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, და წავიდა საცხოვრებლად თავის უფროს დასთან, რომელსაც უკვე ორი ვაჟი შესძენოდა.

აი, აქ, სოფლურ მყუდროების ჩარჩოში და იშვიათის სილამაზის ბუნების წიაღში მაგონდება თამარი, ისევ ისე მშვიდად მორიდებული, როდესაც კიტას ვინმე სტუმარი ჰყავს, რაიცა, სხვათა შორის, ძლიერ ხშირი მოვლენა იყო, და უფრო თამამი და ალერსიანი, თუ შინაურების მეტი არავინ ეგულვებოდა შინ.

ეხლა, როდესაც თითქმის ორმოცი წლითა ვარ დაშორებული იმ დროს, ეხლა მებადება გაკვირვება, რა რიგ ბუნებრივად შეუთვისდა ეს ქალაქში დაბადებული და აღზრდილი ყმაწვილი ქალი სოფლურ მყუდრო და სადა ცხოვრებას.

ყველა გარემოება, - გვარიშვილობა, განათლება, განვითარება, იშვიათი სილამაზე, - თითქო ხელს უწყობდა საზოგადოებაში გამოსულიყო და მისი ცხოვრება სულ სხვა რიგად მოწყობილიყო.

ის კი ქვეყანას ემალებოდა.

მართალია, სოფლად ცხოვრებას და ქალაქის ამრიგ განდგომას თან ახლდა ერთი მხარე, რომელიც დიდის შინაარსით ავსებდა მის არსებას.

ეს ის იყო, რომ აქ ეგულვებოდნენ მისი დისწულები. მაგრამ ჯერ ისინი სულ პატარა ბავშვები იყვნენ და ამას გარდა მათ ჰყავდათ დედა, რომელიც ქართველ დედის ჩვეულებისამებრ თავს ევლებოდა და გადაყოლილი იყო თავის შვილებზე.

ესეც არ იყოს, თვითონ თამარიც ხომ სულ ყმაწვილი იყო და ეს უკიდურეს წერტილამდე განვითარებული დედობრივი ინსტინქტი, რომელმაც მთელი მისი ახალგაზრდობა შეაწირვინა არა თავის შვილებს, და ბოლოს თანაც გადააყოლა ერთს მათგანს, ეხლა, განვლილ დროის ამ გძელ მანძილის ბოლოში, აღტაცებით მივსებს გრძნობას და გაკვირვებით იცავს გონებას ამ განუზომელ სიღრმის სულიერ ბუნების წინაშე.

დისწულები პატარეები იყვნენ-თქო, და თუმცა ბავშვის გონების და გრძნობის აღზდა მისის ფეხის ადგმის დღიდამ იწყება, არ მოითხოვდნენ იმდენს ყურადღებას და დაკვირვებას, მაგრამ თამარის მიმხვდომი გული მაინც პოულობდა გართობის სახით ათასგვარ საშუალებას მათის გონებისა და გრძნობის კეთილისაკენ წარმართვისათვის...

გავიდა რამდენიმე წელი. ბავშვები წამოიზარდნენ. ორ ძმას და-ძმა წაემატნენ. ოთხმა სხვა-და-სხვა ხასიათმა იწყო ჩამოსხმა-ჩამოყალიბება. ეხლა სჭირდა მათის სულისა და გულის მომვლელს გამჭრიახობა და უნარი.

სწორედ აქ იჩინა თავი მათის დეიდის ღრმა ბუნებამ, - ბავშვის გულის ნადების მიგნების, ამ გულის სრულის ნდობის მოპოების უსაზღვრო ნიჭმა.

არ მახსოვს, ერთხელ რა არის, გაჯავრებოდეს რომელსამე კი არა, ოდნავ ხმა აემაღლებინოს.

არც ის მახსოვს, ჩვენში ისე ხშირის "შენი ჭირიმე", "შენ გენაცვალე"-თი მიემართოს რომელსამე მათგანისათვის.

აქაც, ბავშვებთან მოპყრობაშიაც, თავს იჩენდა იგივ თავისებური, იგივ სრულებით განსაკუთრებული ხასიათი, რომლის უმთავრესი ნიშანი იყო მორიდება, - გარეგანი გადამეტებული სინაზე თითქო ეჩოთირებოდა.

მაგრამ ბავშვები, და არა მხოლოდ თავისიანები, სხვისი, გარეშენიც კი, როგორღაც ინსტინქტიურად გრძნობდნენ მის მშვენიერ სულის სიღრმეს, მის კეთილ ფერიისებურ გულის სინაზეს და მუდამ გარს ეხვევნენ.

ან რომელ ფერიას შეელო იმდენ სინათლის და სიხარულის მოცემა მათის ცხოვრებისათვის, რასაც ანიჭებდა ამ იასავით მშვენიერი და იისებური მორიდებული არსება.

თამაში, გართობა და, უმთავრესად, ზღაპრებისა და ამბების კითხვა და უფრო კი ზეპირად მოყოლა, ოღონდ ამას ხომ სხვებიც შვებიან.

ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილის და ვახტანგის ასულის მარიამ ორბელიანის ძმისწულს თამარს, აბა, რა გასაკვირია, თავის ერისა და მშობლიურ ენის სიყვარული თან დაჰყოლოდა!

კიტას ჩასიძებამ მისის გატაცებულის ეროვნულ მიმართულებით და მკვირცხლ და მოქმედ ხასიათით ხომ ქართულის ენის ნამდვილი კულტი შეჰქმნა მის ოჯახში და, რამდენადაც მის მსახურებას ბავშვების აღზდასთან ჰქონდა კავშირი, თამარი იყო ეს მსახური და ქურუმი.

ამას გრძნობდნენ თავისის ბავშვურის უშუალო მიხვედრით პატარეები და ამიტომ ევლებოდნენ გარს თავიანთ საყვარელ თამარს.

ოღონდ თამარის გული ღია იყო არა ბავშვთათვისაც.

მაგონდება, მივსულვარ და, როდესაც კარგა დიდ ხანს არ გამოჩენილა რომელიმე მათთაგანი და მიკითხავს, სად არის-მეთქი, პასუხად მიმიღია:

- ტასიას გაზეთს უკითხავს.

ტასია იყო თამარისა და მის და-ძმათა გამდელი. მოხუც გადიას დიდი ხანია დამბლა მოსვლოდა და უფრო ადრე კიდე თვალთა ხედვა წართმეოდა, და გაზდილებს თავიანთ ოთახის გვერდით მიეჩინათ მისთვის ცალკე ოთახი და ეხლა თვითონ უვლიდნენ და ემსახურებოდნენ. უსინათლო გამდელისათვის დროზედ საჭმელ-სასმელის მირთმევა და მისთვის მოვლა უკვე თავისთავად დიდი მაჩვენებელია გულის და სულის კეთილშობილების, ხოლო თუ რა სიმაღლეს შეუძლია მიაღწიოს გულის ასეთმა კეთილშობილებამ, ამის მაჩვენებელია ეს "ტასიას გაზეთს უკითხავს".

თურმე იმ დღიდამ, რაც ტასიას თვალთა ხედვა ლაჰკარგოდა, თამარსა და მის დებს და დედა მათ წესად შემოეღოთ უსინათლო მოხუცებულ გამდელის მორიგეობით გართობა, - ყოველ დღე უკითხავდნენ გაზეთს, წიგნებს, უყვებოდნენ ახალ ამბებს და ემუსაიფებოდნენ.

ასე, ბავშვების გართობა-სწავლაში, მათში მაღალ გრძნობებისა და აზრების ჩანერგვაში და მოხუც უსინათლო

გამდელის მოვლა-გართობაში გადიოდა ამ განსაკუთრებულ ყმაწვილ ქალის დღენი.

მაგრამ საკმარისი იყო მომხდარიყო რამე არა ჩვეულებრივი ამბავი, სადაც საჭირო იყო თავგამოდება და მოსწრებულად გასვლა, და იმ წამსვე იელვებდა მანამდის უხილავი, ყოველდღიური ცხოვრების ფერფლ ქვეშ მოქცეული, მისის ხასიათის სხვა სახე, - სიმხნეე და გამბედაობა, ქართველ ქალის ეს შორეულ წარსულში გამჩდარი და იქიდგან გამოყოლილი იშვიათი თვისებანი.

ასეთ შემთხვევაში რაღაც სხვა იერი მიეცემოდა ერთბაშად, მთელი მისი არსება, - სახე, სიტყვა, მოძრაობა, - ყველაფერი თავგამოდებას ამბობდა.

მახსოვს, ერთხელ მისი ძმა რაღასაც ჩარხავდა და გაუფრთხილებლობით მძიმედ დაიჭრა ხელი.

სახლში თამარის მეტი არავინ ყოფილიყო. თამარი არ დაიბნა; საჩქაროდ შეუხვია დაჭრილი ხელი და, რაკი სისხლი ვერ შეეჩერებინა, ჭრილობაზე მაგრად მოუჭირა ხელი და, ასე ხელ ჩაჭიდებულმა ჩასვა ეტლში და საავადმყოფოში გააქანა.

მაგრამ გაივლიდა თავგამოდების საჭიროების ასეთი წამი, და თამარი ისევ ის მორიდებული თამარი იყო.

თუ რა დიდი იყო ეს მორიდება, თითქმის მორცხვობა, საკმარისია ითქვას, რომ საზოგადო გასართობი, - საცეკვაო საღამო, სეირნობა თუ თეატრი, - მისთვის თითქო არ არსებობდა.

სამჯერ-ოთხჯერ თუ დასწრებია ქართულ წარმოდგენას და ამდენჯერვე ოპერას და კონცერტს, ისიც მამიდა მისის მოთხოვნით.

არც მისი დები იყვნენ საზოგადო გასართობთა დიდი მოყვარულნი, მაგრამ ერთგვარ მინიმუმის დაცვა მათ მაინც მიაჩნდათ საჭიროდ.

ერთხელ, მახსოვს, არა საკეკლუცოდ, არამედ თმის დასაკავებლად, ვარდისფერ აბრეშუმის ნაჭრით გამოინასკვა თმა.

- უუ, შეხედეთ, თამარს აბრეშუმის ნასკვი გაუკეთებია თავზე! — დაიძახა კიტამ, და ამის დაძახება და თამარისაგან ნასკვის თავიდგან მოგლეჯა ერთი იყო.

ზაფხულია. კიტას ოჯახობა სოფლად არის გახიზნული, ლამის ყანაში, ქსნის ხეობაში.

დროგამოშვებით კიტა და მე, ჩვენც გავურბივართ თბილისის აუტანელ სიცხეს და თავს ვაფარებთ სოფლის სიგრილეს.

აქ პატარეების სამეფოა და ამიტომ დღის განაწილება და გართობის წესრიგი მათ გემოვნებაზე და მოთხოვნილებაზეა აგებული.

მათსავე განკარგულებაშია გართობის მომწყობი მთავარი რეჟისორიც — თამარი.

დიდებულია ქართლის ბუნება ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხისაც. ქართლსაც უძევს თავისი თვალსაჩინო წილი დიდსა და დიდებულ კავკასიონში, რომლის კალთები და ქედები, მათ შუა შეჭრილი ხევები, და ამ ხევებში ზოგან გიჟურად მჩქეფარე, ქაფმოყრილი მდინარენი, ზოგან ძლივს გასაგონის ჟღურტულით მომდინარე მთის წყარონი ქმნიან ჩვენის ქვეყნის მრავალსახიან და განუმეორებელ სილამაზეს.

სხვა რომ არა ვთქვათ, რა შეედაროს ბორჯომის ხეობის აუწერელ სიმშვენიერეს, მის აქეთ-იქით აყუდებულ კლდოვან მთების თავისებურ, სრულებით განსაკუთრებით მოხაზულობას!

მოუმწყვდევიათ ამ მთებს შორის დინჯი მტკვარი, ხან აგერ გადაეღობებიან, ხან აგერ, აწვალებენ, აბრაზებენ. და

ისიც ხან ერთს მხარეს ეცემა, ხან მეორეს, შმაგობს, ბრაზის ქაფს იყრის. ზოგჯერ ღრიალებს და გაურბის თავის მწვალებელთ.

რა შეედაროს ამ მთების კალთებს, გაზაფხულ-ზაფხულს გიჟურად ამოყრილ მცენარეულობის გაუგონარ სიუხვის მწვანეთი შებურვილს და შემოდგომაზე ისეთნაირად აფერადებულს და აჭრელებულს, თითქო ბუნება დღეობას იხდიდეს და უხილავ ხელებით ნაქარგი უნაზეს და უმდიდრეს ფერადების თვალმიუწვდომელი ხალიჩა გაეშალოს და თვალსა, სულსა და გულს ზედ სანადიმოდ ეპატიჟებოდეს.

მაგრამ ვაკეს, რომელიც ლიხის მთიდგან დაქანებულა მცხეთამდის და რომლის მანძილზე შენელებულის დენით მოდუდუნებს ბორჯომის მთების კლანჭებიდგან თავდაღწეული მტკვარი, რაღაც სევდით არის მოცული.

ტყეებს მოკლებული მისი სერები და გორაკები, ეს ნელა მოდუდუნე მტკვარი, აქეთ-იქით გადაშლილი ყანები და მინდვრები და თვით ადამიანი თითქო რაღაც ნაღვლიან აზრს წაუღია.

აქ ყველა და ყველაფერი უფრო ნელია და დინჯი, მტკვრის შენელებულ დენისა არ იყოს, - სიტყვა, ნაბიჯი, კითხვა-პასუხი...

ახირებულია, აი, ამ ბუნების წიაღში, რომელიც თითქო ზედ გამოჭრილი იყო თამარის წყნარ და აუჩქარებელ ხასიათის თვისებათა განსამტკიცებლად, სწორედ აქ იჩენდა თავს ამ ხასიათის სულ სხვა თვისება.

იყო ეს მემკვიდრეობით დაგროვებულ ეროვნულ სულის გამოძახილი, თუ ბარათაშვილისებური ბედის სამზღვრის გადალახვის და ნიავისათვის თავის საიდუმლო ფიქრთა

მიცემის სურვილი, ოღონდ მახსოვს, რამდენჯერმე მოინდომა თამარმა ცხენით გასეირნება.

მოიყვანეს შეკაზმული ცხენები. ვინც სასეირნოდ მივდიოდით, მზად ვიყავით და ცხენებზე შემჯდარი ველოდებით ამ სეირნობის აზრის მომცემს.

ვხედავთ, თამარი ვაჟურად გამოწყობილა, - ჩაუცვამს თეთრი ჩოხა. ცხენს ისე მარდად და მარჯვედ შემოახტა, რომ ზოგი მისი ტოლი ბიჭიც ვერ მოახერხებდა, და გასწია.

სეირნობა რომ დავაპირეთ, წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავი, ცხენების ჭენებასაც ექნებოდა უთუოდ ადგილი, - შესაძლებელი იყო განა, ყმაწვილებს შეჯიბრების სურვილი არ მოგვსვლოდა?

მაგრამ თამარი არავის არ ეჯიბრებოდა; მას თითქო დაავიწყდა კიდეც, თუ ვინმე ახლდა.

მთელი სეირნობის დროს სულ ჭენებით ატარებდა ცხენს; ასე ეგონებოდა კაცს, რაღაც უხილავ არსებას დადევნებია და მის დაწევას ლამობსო.

თვალებს წინ მიჩერებულს ქარი თმას უკან აყრიდა და ის კი უფრო და უფრო უმატებდა ჭენებას.

...გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,

გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი-ო, - ფიქრობდა თითქო...

ფიქრობდა თითქო, რადგან არას ამბობდა და მოუსვენრად მიაჭენებდა ცხენს.

იყო ეს ერთგვარი ახირებული და უნებური სახე იმ სულიერ და გონებრივ ძალთა გადმოსკდომისა, რომელიც უხვად იყო დაგროვილი ამ ყმაწვილ ქალის არსებაში?

ერთნაირი ჟინის მოკვლა?

ჩაირბინა წელთა რიგმა. უდროო და უწყალო სიკვდილმა, - უწყალოზედ უწყალომ, რადგან სწორედ იმ დროს მოუსპო დღენი, როდესაც მის ქვეყანას განსაკუთრებით ეჭირვებოდა მისის სულისა და გულის ძალები, მისი მაღალი გონება და ამ ქვეყნისადმი უსაზღვრო, გატაცებული სიყვარული, - გამოასალმა ამ წუთისოფელს კიტა.

აქამდისინ მხნე და მხიარული მისი ოჯახი მწუხარებამ მოიცვა.

მის ქვრივს მონოზნად შედგომის აღთქმა არ დაუდვია, მონასტერში არ განდგომილა, მაგრამ მუდამ შავებით მოსილი, ფერმკრთალი, თვალებ ერთ წერტილს იმ დაჟინებით მიჩერებული, რომელიც მოწმობს, რომ გარეგანს ვერას ხედავსო, და თავის აზრებს აქვს მიპყრობილი, მონოზნის ქანდაკებას ჰგავდა.

ოჯახში მხნეობს თამარი. მხნეობს და ჯერ კიდევ დიდ ხანს იმხნევებს, მინამ...

მინამ ის მეხი არ გავარდება, რომლის ცეცხლი ერთბაშად დასწვავს და გაუნადგურებს სულსაც და გულსაც...

რვა თვეა უკვე კიტას პირმშო შვილი მეტეხშია...

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გია (გიორგი) გატაცებული მამულიშვილია. თავის ერისა და თავის ქვეყნის სიყვარული, რომელიც მამი მისისგან მოსდევს და ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, განმტკიცებულია შემდეგში იმ ამბებითა და წიგნებით, რომელთაც უამბობდა და უკითხავდა დეიდა მისი თამარი.

აღსრულდა, - მისი სათაყვანო, უთვალავ ჭირ გამოვლილი სამშობლო თავისუფალია, დამოუკიდებელი.

თვრამეტის წლის გია აბაშიძის აღგზნებულ გრძნობას ბედნიერებით სავსე ეხატვის მისის ერის მომავალი.

აქამდისინ ყოველსავე სარბიელს მოკლებული, ყოველის მხრით შებორკილი და დაჩაგრული ეროვნული სული აწ

მთელის თავის დაგუბებულის ძალღონით გაიწევს წინ.

ამ რწმენით სავსე თბილისის უნივერსიტეტის, პირველ ქართულ უნივერსიტეტის პირველ წყობის სტუდენტი გია თან სწავლას ეწაფება, თან სტუდენტურ წრეში საზოგადოებრივ მუშაობას ეტანება.

ჯერ კიდევ პირშეუკრავ იარად აზის კიტას დაობლებულ ოჯახს მისი უდროოდ დაკარგვა, მაგრამ მამისავე იდეალებისათვის თავგამოდებული გია მკურნავ მალამოსავით მოქმედობს ამ სატკივარზე: იმედით და სიყვარულით შეჰყურებენ ყმაწვილს მწუხარების გამოსახულებად გადაქცეული დედა მისი, თამარი და მთელი ოჯახი...

საქართველოს ფირუზი ცა ბნელმა და ღრუბელმა მოიცვა. ჩრდილოეთის სუსხმა დაჰკრა და მოსწვა გაზაფხულის ცხოველმყოფელ მზის გაფურჩქვნილი თავისუფლების ყვავილი, და ულმობელმა გრიგალმა განადგურების მუქარით დაჰქროლა ქვეყანას ერთის ბოლოდგან მეორემდე.

მაგრამ კურთხეულ ქვეყნის ნიადაგში ფესვებ ღრმად წასულ მშვენიერსა და ძლიერ მცენარეულობას ვერ დააკლო.

დაე, გააცალოს ყვავილი და ფოთოლი, ღრმა შემოდგომის სანახავს დაამსგავსოს, ძაძებით შემოსოს ტყე და ველი, მთა და ბარი, მაგრამ რამდენსაც არ უნდა მრისხანებდეს, მიწის გულს მაგრად მოკიდებულ ფესვებს ვერას დააკლებს.

იხრება, იწვება და მშობელ მიწას ეკვრის ხე და ბუჩქი, რომ შემდეგ წამს ისევ გაიმართოს და... და მოვა დრო, დაჰკრავს სხვა ქარი, გადაჰყრის შავ ღრუბელს, მოწმენდილ ლაჟვარდზე ამობრწყინდება ცხოვრების განმაამხლებელი მნათობი, და ისევ აყვავდება და აფერადდება ყოველივე...

მხნედ ებრძვის გია შემოსულ უცხო სულის გამხრწნელს და დამთრგუნველ ძალმომრეობას, ებრძვის სიტყვით, წერით, საქმით.

მეგობრებთან ერთად გაიჩინა პატარა სტამბა და ნაბეჭდის სიტყვით ამხნევებს და წინააღმდეგობისა და გამძლეობისაკენ მოუწოდებს თანამემამულეთ.

ბოროტება ფხიზლობს. ერთ დღეს მიაგნებს ახალგაზდათა წრეს და აპატიმრებს გიას და ერთ-ერთ მის მეგობარს.

წყვილი? ორი ყმაწვილის სიცოცხლე? აბა რას კმარა ეს მოწყურებულ ბოროტებისათვის.

- გვითხარით, ვინ იყო კიდე თქვენს წრეში, და სიცოცხლეს შეგარჩენთ, - აძლევენ ცრუ დაპირებას, მაგრამ ტყუილია მოფერება და მუქარაც.

- ჩვენი ორის საქმეა, სხვა მონაწილე არავინ გვყოლია, - მტკიცედ სდგანან თავისაზე განწირულები.

დღე არ გავა, არ მიაკითხოს ციხეში თამარმა თავის საყვარელ გიას, თავის გმირს.

რვა თვეს, რვა დაუსრულებელ თვეს გძელდება ციხეში და ციხის გარეთ მყოფთ აუტანელი ტანჯვა, და ერთ დღეს, როდესაც თამარმა ჩვეულებისამებრ მიაკითხა და საკვები მიუტანა,

- ნულარ ირჯებით, აღარ სჭირია-ო,- მიახლიან.

მტკიცე და იმდენად გაკაჟებული, რომ, ერთხელ რა არის, ერთი სიტყვა არ წამოსცდენია ისეთი, რომელსაც შეეძლო მისის გმირ დისწულის სიმტკიცე შეერყია, - ამ შემზარავმა სიტყვებმა ერთბაშად გასტეხა.

არ გასულა დიდი ხანი, თამარი ლოგინად დავარდა და ძალიან ხანგრძლივ, მეტად ხანგრძლივ, - რამდენიმე წლის, - ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა.

ეხლა, განვლილ წელთა დიდ რიგის ბოლოს, თვალ წინ მიდგება ამ მშვენიერი ასულის სახე და თავში მებადება საკითხი: რისთვის, რა განზრახვით მოავლინა ბუნებამ ამ

ქვეყნად ეს სულიერი და ხორციელი სრული სიტურფე!

ამა ქვეყნის სიხარულისა და სიტკბოების უნაკლულო ჭერჭელი რამ შეჰქმნა?

მაშ რად-ღა არ ააავსო იგი ყოველნაირ ბედნიერებითა!

ის სიყვარული, რომელიც მან დაახარჯა თავის დისწულებს, უთუოდ უდიდესი სიხარული და ბედნიერება იყო, მაგრამ, რაც უნდა დიდი ყოფილიყო, ის არ იყო მის მაღალის სულის და მშვენიერ გულის ყოველმხრივი გაშლა, მის ნიჭთათვის ფართო გზის მიცემა.

ნუ თუ ერთხელ არის მაინც არ აღმოხდა იმ გულის სიღრმიდგან კვნესა სხვა, არ განცდილ ბედნიერებისათვის?..

ვინ მიხვდეს? ვინ გაიგოს?

სარჩევი

ივანე ზურაბიშვილი *9*

პარმ ქართველთა ხსოვნისათვის

დედა *32*

დედის მაგიერი

(ანა ივანე მგალობლიშვილის ასული) 37

გრიგოლ ვოლსკი *52*

გაბრიელ ეპისკოპოსი *65*

კიტა აბაშიძე *89*

ვლადიმერ ლორთქიფანიძე *117*

კირილე ლორთქიფანიძე *141*

მიხეილ ხელთუფლიშვილი *156*

კონდრატი მხეიძე *171*

დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი *183*

თამარ ორბელიანის ასული *204*

რედაქტორები: თამარ გულბანი
და ქეთევან ქურდოვანიძე

მხატვარი რევაზ ებრალიძე

აეწყო და დაკაბადონდა ლიტერას კომპიუტერულ ცენტრში

დაისტამბა *პირველი ელექტრონული გამომცემლობის*
პოლიგრაფიულ ცენტრში

ივანე ზურაბიშვილი

კარგ ქართველთა ხსოვნისათვის

A la Mémoire de quelques Bons Géorgiens
de mon temps

(PORTRAITS - SOUVENIRS)

par Jean Zourabichvili

PARIS, 1962

ლიტერა, 2006